სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ვიქა ქაჩლაგა

ინგლისური რომანისცენებში კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2021

რედაქტორი
ნანა კუცია

რეცენზენტები
მარინე ტურავა
როსტომ ჩხეიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-3362-5
© ვიკა ქარდავა, 2021

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა

კონსტანტინე გამსახურდია ქართული ლიტერატურის ერთერთი გამორჩეული, კონცეპტუალური, საკულტო ავტორია. მაღალი მოდერნიზმის ეპოქა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგნად უნდა იქცეს, რადგან მოდერნიზმი, ბელა წიფურიას შეფასებით, „შეწყვეტილი პროექტია“ [**ქართული ლიტერატურა..., 2016, 76**]. ჟამის ლიტერატურული კონცეპტების, ეპოქალური სულისძვრების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია ქართული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური ხაზის უწყვეტობის გააზრება.

ქართული კულტურა ყოველთვის წარმოადგენდა ერთგვარ სინთეზს აზიური თუ ევროპული კულტურული „გოლფშტრიმებისა“ (გამსახურდიასეული დეფინიციაა), რასაც იღებდა არა უკრიტიკოდ და გაუცნობიერებლად, არამედ - მერჩულესთან ფიქსირებული პრინციპით „კეთილის შეწყნარებისა, ჯერკუალის (მიუღებლის) განგდებისა.“

ესეში „ქართველობა და უცხოეთის გენია“ *[„გენიას“ აქ მწერალი იყენებს „სულის“ მნიშვნელობით - ვ.ქ.]* მწერალი ლაპიდარულად განსაზღვრავს ბუნებას ქართული კულტურისა.

ინგლისური რემინისცენციები, ზოგადად, ბრიტანეთისადმი მიმართება კონსტანტინე გამსახურდიას უაღრესად მრავალშროვანი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედების ერთი უარსებითესი პლასტია. ვფიქრობთ, აღნიშნული შრის კვლევა უაღრესად საინტერესო სივრცეს გადაშლის მკვლევართა წინაშე.

წინამდებარე ნაშრომში შევისწავლით კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ინგლისურ რემინისცენციებს შემდეგ მასალაზე დაყრდნობით:

ნოველები; ბიოგრაფიულ-პუბლიცისტური რომანი „გოეტეს ცხოვრების რომანი“; დაუმთავრებელი მხატვრული ტექსტები („ევ-

როპა გალიაში", „ლანდებთან ლაციცი", „უკრაინის თემიდი"), ესეისტიკა, რომანები „მთვარის მოტაცება", „დიონისოს ღიმილი."

თითოეული ტექსტი უაღრესად მნიშვნელოვანია არამხოლოდ საკუთრივ ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით. ნოველები, ესეები, წერილები, ნარკვევები, დაუსრულებელი თხზულებები, რომანები ეპოქის მხატვრული რეფლექსია-რეცეფციებია, რომელთა გათვალისწინების გარეშეც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის კონცეპტუალური პრობლემების სიღრმისეული ანალიზი შეუძლებელია, მაგრამ ჩვენეულ კვლევაში პოლიტიკური ასპექტები მხოლოდ გაკვრით ფიქსირდება და ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნება ინგლისის, როგორც კულტურული ფენომენის კონსტანტინე გამსახურდიასეულ აღქმაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ინგლისური ლიტერატურის საკულტო პერსონებისა (შექსპირი, ბაირონი...) და ტექსტებისადმი („ჰამლეტი", „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა"...) მწერლის მიმართებას.

„ახალი ადამიანის ფორმირების" უმძიმეს, ტრაგიკულ ეპოქაში დიდი მწერალი ყურადღებას მიაპყრობს წარუვალ ღირებულებებს, მხატვრული სიტყვის შეუზღუდავი, უნაპირო ძალმოსილებით „ხსნის" ჩაკეტილ საზღვრებს, „ახდის" „რკინის ფარდას" და ქართველთ შესთავაზებს მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის გამორჩეული სივრცის - ინგლისის საკუთარ ხედვას.

მოდერნიზმის „პროექტის შეწყვეტის", მასების ცნობიერებით მანიპულირების ჟამს მწერლისეული რემინისცენციები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, უხილავ ძაფებს აბამს ცივილიზებული მსოფლიოსაკენ, რომლის ნაწილიც ყოველთვის იყო ქართული საზოგადოება, ისტორიული კატაკლიზმების გამო ხშირად იძულებით იზოლირებული, „ყურესა ამას ქუეყანისასა" (იოვანე საბანისძე) შთენილი.

პრობლემის შესწავლის ისტორია

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას აქტიურად იკვლევდნენ როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა ეპოქაში. გამოწვლილვითაა გაანალიზებული მწერლის მსოფლმხედველობის, შემოქმედებითი მემკვიდრეობის უარსებითესი კონცეპტები (მი-

მართება წარსულსა და აწმყოსთან, ისტორიული და თანადროული ნარატივი, თეორიული სისტემა, ენობრივი კონცეფცია, ჟანრული თავისებურებანი, დამოკიდებულება ფოლკლორთან, მსოფლიო თუ ლოკალურ ლიტერატურულ სივრცესთან....).

განსაკუთრებული სიღრმით გამსახურდიას შემოქმედება **სოსო სიგუას** მონოგრაფიებში [„კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, თბ., 1980; ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი, თბ., 1989; „მარტვილი და ალამდარი“, თბ., 1991] ანალიზდება, მწერლის შემოქმედების ცალკეული ასპექტები შეისწავლეს როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა ეპოქის კრიტიკოსებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა: **ბესო ჟღენტმა** [კონსტანტინე გამსახურდია (ლიტერატურული პორტრეტი), კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ათტომეულის წინასიტყვაობა, ტ. 1, თბ., 1973], **სერგი ჭილაიამ** [უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1975], **აკაკი ბაქრაძემ** [ლიტერატურული ენგადი, თბ., 1969], დიონისოს თვითმკვლელობა, „მნათობი“ N12, 1968; „მთვარის მოტაცების“ მედიტაცია, „მნათობი“ N10, 1967; მითი „მთვარის მოტაცებაში“, „მნათობი“ N12, 1967], **მირიან აბულაძემ** [კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1976], **გიორგი მერკვილაძემ** [თანამედროვე ქართული რომანი, თბ., 1965; რომანი და ეპოქა, თბ., 1973], **ლავროსი კალანდაძემ** [ლიტერატურული წერილები, თბ., 1972], **გიორგი ჯიბლაძემ** [კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გამოცემის გამო, „მნათობი“, N7, 1968], **შალვა რადიანმა** [კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1958], **აკაკი გაწერელიამ** [რჩეული ნაწერები, წ. 2, თბ., 1978], **ზვიად გამსახურდიამ** [წერილები, ესეები, თბ., 1991], **ელგუჯა მაღრაძემ** [„გულითა მართლით“ (კონსტანტინე გამსახურდია), თბ., 1988], **სარგის ცაიშვილმა** [ქართული მწერლობა, თბ., 1987], **რეზი თვარაძემ** [წიგნი და მკითხველი, თბ., 1971], **ეთერ შუშანიამ** [კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1976], **თენგიზ კიკაჩეიშვილმა** [კონსტანტინე გამსახურდიას პოეტიკა, თბ., 1978], **მაია ჯალიაშვილმა** [ქართული მოდერნისტული რომანი, თბ., 2006], **ამირან გომართელმა** [ქართული სიმბოლისტური პროზა, თბ., 1997], **როსტომ ჩხეიძემ** [პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა, თბ., 2016], **ნონა კუპრეიშვილმა** [სიტყვის დეგუსტაცია, თბ., 2013],

კონსტანტინე ბრეგაძემ [ქართული მოდერნიზმი, თბ., 2012], **ნანა ქირიამ** [კონსტანტინე გამსახურდიას სწავლება სკოლაში, თბ., 2010], **ზაზა გოგიამ** [ძველი სურათები ახალ ჩარჩოში (შტრიხები კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტისათვის), „ჩვენი მწერლობა", 2 მაისი, 2014, 56-62], **კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ** [„რა ვქნისა ციხე ავაგე", თბ., 2015], **გურამ კანკავამ** [ქართული ექსპრესიონისტული ნოველა (კონსტანტინე გამსახურდია), ალმანახი „კრიტიკა" N1, 1978], **თეიმურაზ მაღლაფერიძემ** [ინტერლუდია - „შავჩოხიანები", „არილი" 7-13 სექტემბერი, 1996, 6], **რევაზ მიშველაძემ** [უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1990], **დავით თევზაძემ** [კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1996], **დიმიტრი ბენაშვილმა** [კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1967], **აპოლონ ცანავამ** [კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, თბ., 1970], **თეიმურაზ დოიაშვილმა** [მატერიაზე გავლით - სულობისაკენ (კონსტანტინე გამსახურდია), კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის 1-ლი ტომის ბოლოსიტყვაობა, თბ., 1992], **თათია გიგანმა** [კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, დისერტაციის მაცნე, თსუ, თბილისი, 2010], **თამარ გუმბერიძემ** [ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, დისერტაციის მაცნე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2010] ...

საკუთრივ ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ფართო კვლევის საგნად არ ქცეულა. ვფიქრობთ, ჩვენეული დაკვირვებები მწერლის მხატვრული მემკვიდრეობის აღნიშნულ შრეს მეტ-ნაკლებად გამოკვეთს, მნიშვნელოვან პლასტად წარმოაჩენს.

მკვლევარი თამარ გუმბერიძე სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავდა, რომ „ქართული კულტურის ევროპეიზაციის პროცესი", რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში იწყება, „სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურას უშუალოდ კი არ ვუკავშირდებოდით, არამედ - რუსული კულტურის მეშვეობით, რომელიც თავადაც ევროპული ცხოვრების პერიფერიას წარმოადგენს. დასავლურ სამყაროსთან პირდა-

პირი კავშირის დამყარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1918-1921 წლებში, მაგრამ მალე-ვე ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობა შეუძლებელი გახდა“ **[გუმბერიძე თ., 2010, 8]**.

ქვეყნის პოლიტიკური იზოლაციის ჟამს კულტურულ სივრცეს სთავაზობს მწერალი ქართველ მკითხველს და წარმოუჩენს ევროპის გამორჩეული კულტურული ლანდშაფტის - ინგლისური ცივილიზაციის საკუთარ ხედვას. ამ ხედვის კონკრეტული გამოვლინებები, ცალკეული ასპექტები დასახელებულ მკვლევართა ნააზრევშია არეკლილი, მაგრამ, გავიმეორებთ, მხოლოდ ც ა ლ კ ე უ ლ ი ასპექტები და არა საკითხის მეცნიერული, მონოგრაფიული კვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განისაზღვრება **დისერტაციის საგანი, მიზანი, ამოცანები:**

დისერტაციის **საგანს** წარმოადგენს ინგლისური რემინისცენციების მოძიება და ანალიზი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, კერძოდ:

ნოველისტიკაში, ბიოგრაფიულ-პუბლიცისტურ რომანში „გოეტეს ცხოვრების რომანი“, დაუმთავრებელ თხზულებებში („ევროპა გალიაში“, „ლანდებთან ლაციცი“, „უკრაინის თემიდი“), პუბლიცისტურ ნარატივში (ესეები, წერილები, ნარკვევები), რომანებში („მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“).

შესასწავლ ტექსტთა ჟანრული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რემინისცენციების სპეციფიკაც განსხვავებულია. ნოველებსა და რომანებში ინგლისური რემინისცენციები პ ე რ ს ო ნ ა ჟ თ ა თვალთახედვის, მრწამსის რეცეფცია-რეფლექსიადაა წარმოდგენილი, პუბლიცისტურ ნარატივში კი - თავად მ წ ე რ ლ ი ს ე უ ლ ი კონცეპტებისა.

მასალა უაღრესად მოცულობითია და საკითხის გაშლაც მრავალი მიმართულებითაა შესაძლებელი (კულტურული, კულტუროლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ლიტერატურათმცოდნეობითი...).

კვლევის **მიზანსა და ამოცანას** წარმოადგენს კონსტანტინე გამსახურდიას მრავალშროვანი და მონუმენტური შემოქმედების ერთი, ჩვენი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პლასტის - ევრო-

პული (კონკრეტულად, ინგლისური ალუზია-რემინისცენციების) მოძიება, ფიქსირება და კვლევა, რაც, ჩვენი აზრით, მწერლის მონუმენტური მემკვიდრეობის საინტერესო წახნაგს გამოკვეთს. ბუნებრივია, გარკვეულ სიძნელეს ქმნის სპეციალური ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის, კვლევითი წანამძღვრების ფაქტობრივი არარსებობა, თუმც ზემოთქმული, იმავდროულად, ერთგვარ გამოწვევადაც აღიქმება და კვლევას უფრო საინტერესოს ხდის.

კვლევის თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია

დისერტაციაში **კვლევის წყაროებად** გამოყენებულია ავტორიტეტულ მეცნიერთა ნაშრომები, რომელთა უმეტესობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის კლასიკად გაიაზრება (იხ. ზემოთ). ლიტერატურულ-კრიტიკული დისკურსები განსაზღვრავს ნაშრომის **ანალიტიკურ ბაზისსაც.**

ნაშრომზე მუშაობისას გავითვალისწინეთ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ცალკეული ასპექტების ანარეკლი როგორც საბჭოურ, ასევე პოსტსაბჭოურ კვლევით ნარატივებში. განსაკუთრებული მასშტაბით მწერლის შემოქმედება სოსო სიგუას მონოგრაფიებშია წარმოჩენილი და აღნიშნულმა კვლევამ კონსტანტინე გამსახურდიას მემკვიდრეობის მასშტაბურობა განსაკუთრებული სიცხადით წარმოგვიჩინა.

გარდა ზემოთქმულისა, საკვალიფიკაციო ნაშრომის ფინალურ პასაჟში გავითვალისწინეთ ინგლისის ჯეიმზ ჯოისისეული ხედვა (მოდერნიზმის რაკურსი).

თეორიულ საფუძვლებად აგრეთვე გამოყენებულია ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის ზოგიერთი კონცეპტუალური დებულება მოდერნიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულ კანონებთან მიმართებით, ფიქსირებული ცალკეულ ლიტერატურათმცოდნეობით სახელმძღვანელოსა თუ ესეისტურ ნარატივში.

საჭიროდ დავისახეთ **კონკრეტული ამოცანების** გადაჭრა:

1. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველისტიკის, დაუსრულებელი ტექსტების, პუბლიცისტურ-ბელეტრისტული რომანის („გოეტეს ცხოვრების რომანი“), რომანების („დიონისოს ღიმი-

ლი“„მთვარის მოტაცება“) საფუძველზე იმ პასაჟების დაძებნა, სადაც ინგლისის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ზოგადად, ინგლისური ცივილიზაციისადმი მწერლის (ან პერსონაჟის, რაც, რასაკვირველია, მწერლისეულია) მიმართება ირეკლება;

2. ინგლისური რემინისცენციების მოძიების პარალელურად, საცნაური ხდება, რომ ყოველი ალუზია ქართულ სინამდვილეს თანპარალელიზებისათვის სჭირდება მწერალს, ამდენად, ეს შრეც დავაფიქსირეთ კვლევაში (ვგულისხმობთ, მაგალითად, რუსთველისა და შექსპირის მუდმივ პარალელურ მოხსენიებას მსოფლიო გენიოსთა დასში).

3. ინგლისური ენისადმი, როგორც ლინგვა-ფრანკასადმი მწერლის დამოკიდებულების ფიქსირება (ზემოთქმული ცალკე კონცეპტად არ გამოვკვეთეთ, თუმც ყოველ კონკრეტულ ესეში „გავამკვეთრეთ");

4. ინგლისის გამორჩეულ მოაზროვნეთა პორტრეტების კონსტანტინე გამსახურდიასეული განაზრება;

5. ინგლისური ლიტერატურის ჟანრული თავისებურებების ცალკეული ასპექტებისადმი მწერლის დამოკიდებულების წარმოჩენა;

ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, მივმართავთ **კვლევის სხვადასხვა მეთოდს,** რაც განპირობებულია დისერტაციის ინტერდისციპლინარული ხასიათით. ძირითადი კვლევითი პრინციპია ***კომპარატივისტული*** *მეთოდი,* ზოგიერთი ცნების დასაზუსტებლად გამოყენებულია ***ჰერმენევტიკული, ფაქტების კონცეპტუალური ინტერპრეტაციის, ისტორიულ-კრიტიკული, კულტუროლოგიური ანალიზის, ინტერდისციპლინარული მეთოდები.***

ნაშრომის სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, კვლევა ეხება პრობლემას, რომელიც მონუმენტურად, მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი, თუმც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მრავალი ასპექტი გამოწვლილვითაა გაანალიზებული ავტორიტეტულ ლიტერატურათმცოდნეთა (როგორც საბჭოთა, ასევე

პოსტსაბჭოთა ეპოქის მკვლევართა) მონოგრაფიებში, წერილებში, ესეებში, ნარკვევებში.

ინგლისური რემინისცენციები გამსახურდიას პუბლიცისტურ-ბელეტრისტულ ნარატივში მოცულობითი, მრავალშროვანი პრობლემაა და, ვფიქრობთ, ჩვენეული კვლევა მოკრძალებულ წვლილს შეიტანს პრობლემის ანალიზში.

კვლევის **ძირითადი შედეგები** კონკრეტიზდება, ირეკლება შემდეგ დებულებებში:

ინგლისური რემინისცენციების კონტექსტში შესწავლილი მემკვიდრეობა კონსტანტინე გამსახურდიასი თვალნათლივი დასტურია მწერლის მაღალი გემოვნებისა, განსაკუთრებული ერუდიციისა. ჩვენეული კვლევა ადასტურებს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია გამორჩეული ევროპული სივრცისადმი (ინგლისისადმი) მწერლის მიზანმიმართული ყურადღება, რაც ტოტალიტარიზმის ზეობის ხანაში წარმოაჩენს ქართული კულტურის განსაკუთრებულ ღიაობას „უცხოური გოლფშტრიმების" მისაღებად;

იკვეთება ინგლისური პოლიტიკური სისტემის „იმედი" „რკინის ფარდის" მიღმა დარჩენილთათვის („ქოსა გახუ");

კონცეპტუალურია მუდმივი „პარალელიზება" ინგლისურ-ქართული ლიტერატურული თუ, ზოგადკულტურული სივრცეებისა (რუსთველი და შექსპირი, ბაირონი და ბარათაშვილი, მაჩაბლისეული თარგმანები და ივირონის მთარგმნელობითი ტრადიცია და ა. შ.);

დასაფასებელია მწერლის ძალისხმევა - მიმართული იმისაკენ, რომ ტოტალიტარიზმს ევროპული კონტექსტიდან ვერ ამოეგლიჯა ბოლშევიკური იმპერიის წიაღში მოქცეული საქართველო.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება

დისერტაციის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს შემდგომი კვლევებისას მისი ფაქტობრივ მასალად გამოყენების შესაძლებლობა. ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგებისა და, ზოგადად, ლიტერატურულ-კულტუროლოგიური საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. კვლევის დასკვნების, შედეგებისა და მასალის გამოყენება მიზანშეწონილია ჰუმანიტარული სპეციალობების სტუდენტებისათვის (სპეცკურსის სახით).

ნაშრომის სტრუქტურა საკვალიფიკაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისაგან. ნაშრომს ახლავს დამოწმებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში გამოკვეთილია პრობლემის აქტუალობა, მიმოხილულია საკვლევი მასალის ზოგადი არსი, პრობლემის შესწავლის ისტორია, კვლევის საგანი, მიზნები, ამოცანები, კონსტატირებულია, რომ სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, წარმოჩნდეს ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას როგორც ბელეტრისტულ, ასევე - პუბლიცისტურ ნარატივში. გასაანალიზებლად შერჩეულია რომანები: „გოეტეს ცხოვრების რომანი" (პუბლიცისტურ-ბიოგრაფიული), „დიონისოს ღიმილი", „მთვარის მოტაცება", ნოველები, პუბლიცისტიკა (ესეები, წერილები, ნარკვევები), დაუმთავრებელი თხზულებები, რომელნიც გაანალიზდება კვლევის ძირითად ნაწილში.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში ფიქსირებულია კვლევის წყაროები, წარმოდგენილია თეორიული ბაზა, მეთოდოლოგიური პრინციპები (კომპარატივისტული, ჰერმენევტიკული, კონცეპტუალური ინტერპრეტაციის, ინტერდისციპლინარული, მეთოდები), განსაზღვრულია სამეცნიერო სიახლე და მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება.

თავი 1.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველ თავში - „ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტულ-ესეისტურ ნარატივში"** - შესწავლილია ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში, ბიოგრაფიულ-პუბლიცისტურ რომანში „გოეტეს ცხოვრების რომანი", დაუმთავრებელ ტექსტებში („ევროპა გალიაში", „უკრაინის თემიდი", „ლანდებთან ლაციცი"), პუბლიცისტურ ნარატივში (ესეები, წერილები, ნარკვევები).

კვლევისას, ძირითადად, დავეყრდენით კონსტანტინე გამსახურდიას ათტომეულსა და ოცტომეულში (არასრული გამოცე-

მა), ასევე, „პალიტრა ლ“-ის ეგიდით გამოცემულ მრავალტომეულში დაბეჭდილ ტექსტებს. გულდასმით წავიკითხეთ თითოეული ტექსტი, ამოვკრიბეთ ციტატები, რომლებშიც საფუძვლიანად, გაკვრით თუ მინიშნებით ირეკლება ინგლისთან დაკავშირებული ფრაგმენტული მოსაზრებები თუ ფუნდამენტური განაზრებანი. ბუნებრივია, მხატვრულ ტექსტებში ეს რეფლექსიები თავისუფალია, შემოქმედებითი, ინტერპრეტაციული (მაგალითად, ტაგუ სამუგიას გულუბრყვილო რწმენა, რომ ბოლშევიკებს მის დაჩაგვრას „ანგლია“ არ დაანებებს“, ან „დჟენტლმენური“ *[ტრანსლიტერაცია მწერლისეული - ვ.ქ.]* მანერები „თავადყოფილ“ ანჩაბაძისა, რომელიც „რომელიმე ლედი ბიკონსფილდსაც კი მოხიბლავდა“), პუბლიცისტურში - გაცილებით კონკრეტიზებული, კონკრეტულ ფაქტთან, ფენომენთან დაკავშირებული (მაგალითად, „ლანდებთან ლაციცში“ ბავშვობისა და სიყრმის მოგონებები აქცენტირდება, „უკრაინის თემიდში“ - უკრაინული თემატიკა, რომელშიც ინგლისური რემინისცენციებიც კრთება...). კლასიკურ პუბლიცისტურ ნარატივში (ესეებში, წერილებში, ნარკვევებში, რომელთა ჟანრული დიფერენცირებაც წარმოუდგენლად რთულია, ფაქტობრივად, შეუძლებელიც) მწერალი უამრავ თემას წამოჭრის, კონცეპტს ეხმიანება - ისტორიულს, კულტურულს, კულტუროლოგიურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს, თვალს გაადევნებს ბრიტანეთის ისტორიას კელტებიდან ვიდრე თანამედროვე სახელმწიფომდის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ინგლისის მთავარ მოაზროვნეებს - შექსპირსა და ბაირონს, რომელთა პორტრეტები განსაკუთრებული სიყვარულითაა დახატული აბსოლუტურად განსხვავებულ კონტექსტში და ყველგან - მწერლისათვის დამახასიათებელი აკადემიურობით.

თავი 2.

სადისერტაციო ნაშრომის **მ ე ო რ ე თავში - „კონსტანტინე გამსახურდიას რომანების ევროპული კონცეპტები“** - განხილულია მწერლის ორი რომანი - „მთვარის მოტაცება“ და „დიონისოს ღიმილი.“

რომანებში საკუთრივ ინგლისის რეფლექსია-რეცეფციები შედარებით მწირია, თუმც ევროპის აბრისი უაღრესად საინტერე-

სოდ წარმოჩნდება. სწორედ ამ ასპექტს გამოვკვეთთ საკვალიფიკაციო კვლევაში. წარმოვადგინეთ მწერლისეული აღქმა ნიცშეანური მოტივებისა, ევროპის კონცეპტუალური ღირებულებებისა, პერსონალიებისა (ქრისტიანობა, კათოლიციზმი, გოტიკა, დანტე, შექსპირი, ბაირონი...), ასევე - კონკრეტული სახელმწიფოების კულტურისა და პოლიტიკის (იტალია, გერმანია, საფრანგეთი...) კონსტანტინე გამსახურდიასეულ განაზრებებს, რაც წარმოუდგენლად აქტუალურად აღიქმება თანამედროვეობის კონტექსტშიც.

თავი 3.

სადისერტაციო ნაშრომის **მ ე ს ა მ ე** თავში **„კონსტანტინე გამსახურდიას ნარატივის ზოგიერთი კონცეპტი“** შესწავლილია პუბლიცისტურ-ბელეტრისტულ ტექსტებში რეფლექსირებულ-რეცეფცირებული კულტურა და პოლიტიკა ამერიკისა, მეორე პარაგრაფად გამოტანილია მუზეუმის (როგორც მოდერნიზმის ეპოქალური პარადიგმის) კონცეპტის მწერლისეული გააზრება. ამავე თავში მესამე პარაგრაფად წარმოვადგინეთ ინგლისის კონცეპტი მოდერნიზმის ქრესტომათიულ ტექსტში „ულისე“ („საქსონელის ღიმილსა და იანკის ღრეჭას შორის“). ვფიქრობთ, იმპერიისადმი ქართველ და ირლანდიელ ავტორებს მსგავსი დამოკიდებულება აქვთ - დაპყრობილი ქვეყნის მკვიდრისა - დამპყრობლისადმი. ეს კონცეპტი, ვფიქრობთ, უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმც მისი კვლევა სცდება ჩვენი ნაშრომის „სივრცეს“, ამდენად, მხოლოდ რამდენიმე პარალელით შემოვიფარგლეთ.

დასკვნაში განზოგადებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია გამოყენებული ნაწარმოებების ნუსხა **(121 ერთეული, ინტერნეტრესურსის ჩათვლით).**

თავი 1

ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტულ-ესეისტურ ნარატივში

1.1. ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში

„მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართული პროზა მრავალგვარი ნარატიული ხერხითაა არტიკულირებული. ესაა შედეგი, ერთი მხრივ, თვით ეპოქის რევოლუციური, ფეთქებადი ხასიათისა, მეორე მხრივ - იმ ახალი ფორმის ძიებისა, რომელიც პირობითი ნიშნებითა და კულტურული სისტემებით დაფარული „წმინდა რეალობის" მიღმაა", - წერს ლიტერატურათმცოდნე ნონა კუპრეიშვილი ესეში „მეოცე საუკუნის ოციანი წლების ნარატიული სტრატეგიები" [კუპრეიშვილი ნ., 2013, 59].

საუკუნის დასაწყისის ქართულ პროზაში, სოლომონ ცაიშვილის მიხედვით, „შეინიშნებოდა იმპრესიონისტული მხატვრული ხედვის აშკარა გავლენა... კონსტანტინე გამსახურდიას პირველ მხატვრულ ქმნილებებს არცთუ უხილავი ძაფები აკავშირებს ექსპრესიონისტულ მსოფლგანცდასთან" [ცაიშვილი ს., 1990, 352].

ექსპრესიონიზმი მოდერნიზმის ერთი უარსებითესი პლასტია. ზურაბ კიკნაძის დაკვირვებით, ქართველი მოდერნისტები (მათ შორის, რასაკვირველია, კონსტანტინე გამსახურდიაც) „ყოფიერების მეტაისტორიული აზრის მაძიებელნი" არიან [კიკნაძე ზ., 2015, 233]. იმავდროულად, სწორედ მოდერნიზმის ეპოქაში „კეთდება განაცხადი მსოფლიო სივრცესთან ქართული ლიტერატურის დაახლოების შესახებ, დეკლარირებულად პრიორიტეტი ენიჭება დასავლურ კულტურულ ვექტორს" [მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, 2016, 9].

მკვლევარ სოსო სიგუას თვალსაზრისით, კონსტანტინე გამსახურდიას არ უცდია, დაეცვა კანონიკური ფორმები - „ის ისწრაფოდა ტრაგიკულად გააზრებული ნაციონალური ეპოსის შესაქმნელად, რომელიც წარმოედგინა ჯერ როგორც რელიგია, შემდეგ - როგორც ეპოსი“ [სიგუა ს., 1989, 18].

ინგლისი, მისი კულტურა, ისტორია, სოციალ-პოლიტიკური აბრისი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთი საინტერესო შრეა. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, „უცხოეროვნული თემატიკის თავისებურებას სინკრეტული ხასიათი განსაზღვრავს. მასში თავმოყრილი და შერწყმულია ისტორიული და ლიტერატურული ცხოვრების მრავალი ასპექტი, ამიტომ, ამ პრობლემატიკის შესწავლისას, მკვლევარი ხშირად იძულებულია, გამოვიდეს წმინდა ლიტერატურული ჩარჩოებიდან და „შეიჭრას“ ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფსიქოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ენათმეცნიერების... სფეროში“ [გაფრინდაშვილი ნ., 2012, 124].

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნე, მიშელ ფუკო, კონცეპტუალურ ნაშრომში „სიტყვები და საგნები“ ყურადღებას მიაპყრობს პოსტმოდერნიზმის გამორჩეული ავტორის, ხორხე ლუის ბორხესის კონცეპტუალურსავე დაკვირვებას - „საფუძველი შეერყა „იგივედ“ და „სხვად“ დაყოფის ჩვენს ათასწლოვან ცოდნა-გამოცდილებასო“ [ფუკო მ., 2004, 21].

ინგლისურ ცივილიზაციასთან დაკავშირებულ პასაჟს მრავლად ვხვდებით კ. გამსახურდიას ნოველისტიკაში. ეს, ძირითადად, ცალკეული დეტალია, შტრიხი. მწერალი ბრბოში გამოარჩევს ინგლისელის ფსიქოლოგიურ და ვიზუალურ ტიპს, მის განსაკუთრებულ, თვალშისაცემ, გამორჩეულ გარეგნობას, ჩაცმის ასევე განსაკუთრებულ სტილს, რაც „უშქარ ბრბოში“ უმალვე იპყრობს ყურადღებას. ნოველაში „კლარა“ ფიქსირებულია ეპიზოდი ბერლინის მეტროს ყოველდღიურობიდან: „სადგურზე კოხტად თმაგადავარცხნილი, ი ნ გ ლ ი ს ურ- კ ო ს ტ ი უ მ ი ა ნ ი ჯენტლმენები შემოვიდნენ. ორი უქუდო ვაჟია, ორივე ორიგინალურად ჩაცმული. ორთავეს სტეკები *[a stick - ხელჯოხი - ვ.ქ.]* უჭირავთ ხელში, დაჯდომისას ორივემ შარვლები წამოიწიეს. ორივეს ლილისფერი წინდები უჩანდათ და გვერდის ჯიბიდან - ლილისფერივე ცხვირსახოცები“ [გამსახურდია კ., 1992, 32].

თუნდაც ის დეტალი, რომ დაჯდომისას ინგლისელი შარვალს წამოიწევს, სახასიათო შტრიხია, ინგლისელთა პენიანობის ხაზგამსმელი, ასევე ფიქსირებულია ფერთა შეხამება გარდერობში („ლილისფერი წინდები" „ლილისფერი ხელსახოცები"), რაც, გარდა ეპოქის მოდური ტენდენციებისა, საკუთრივ ინგლისურ გემოვნებაზეც, ფერისადმი ინგლისელის ფაქიზ დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებს (ცნობილია, რომ ინგლისელები მუქ, მყუდრო ტონალობებს, ხარისხიან ქსოვილს ანიჭებენ უპირატესობას).

„ინგლისური ჰომპსონის კოსტიუმი, სქელლანჩებიანი ამერიკული ფეხსაცმელი" აცვია მწერლის ალტერ ეგოს „ტაბუში" **[გამსახურდია კ., 1992, 97]**, საკუთარი თავი კი „ანგლო-ამერიკულ ტიპაჟად" წარმოუდგენია (ვიზუალურ დონეზე).

მწერლისეული დეფინიცია გროტესკულობას მოკლებული არაა.

ამერიკული კონცეპტები კვლევის მესამე თავში წარმოვაჩინეთ, ამჯერად გავიხსენებთ ნოველა „პორცელანს", რომელშიც მოდერნიზმის ეპოქის სულისკვეთება საოცარი სიღრმით ირეკლება - ხაზი გაესმის რომანტი(კ)ულის, ტრადიციულის, ამაღლებულის ჩანაცვლებას ერზაცულით.

ეპოქის გემოვნება ინდივიდუალური კონცეპტიდან მასობრივის სასარგებლოდ იცვლება, უნიკალურს (ერთადერთსა და განუმეორებელს) მასკულტურის გემოვნება ანაცვლებს, ინდივიდუალურობის ნიშნით აღბეჭდილს - ზემოთ ხაზგასმული ერზაცულობით დატვიფრული. საგულისხმოა, რომ სწორედ ამერიკელი შეისყიდის იაპონური ოჯახის საუკუნოვან რელიკვიას მსოფლიო მოდერნიზმის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონალიის - რიუნოსკე აკუტაგავას ქრესტომათიულ ნოველაში „ხინა-თოჯინები" (ცივილიზაციის დაპირისპირება კულტურასთან).

თეიმურაზ დოიაშვილის უაღრესად საინტერესო წერილში „მატერიის გავლით - სულობისაკენ" აღნიშნულია: „მოკვდა პორცელანი და, მასთან ერთად, მთელი ეპოქის სულიერი სიმდიდრე, რადგან იგი ეპოქის სულიერი სიმდიდრის ჭურჭელი იყო" **[დოიაშვილი თ., 1992, 440]**.

არსებობს მკვლევარ ზაზა გოგიას ორიგინალური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, „ეპოქის ანტიჰუმანური მერკანტი-

ლიზმის მოწინააღმდეგე თავად აღმოჩნდება ნივთის მომნუსხველ ტყვეობაში“ [გოგია ზ., 2014, 58].

ნოველაში „ლილ“ ინგლისი ცივილიზაციის (აქ: მედიცინის) პარადიგმულ სივრცედ ჩნდება: „საგანგებოდ შევიძინე ინგლისური სამგზავრო აფთიაქი, გადაწყვეტილი მქონდა, მთელი ჩემი სიცოცხლე მეარნა, და ხალხი განმეკურნა ამ საშინელი სენისაგან, რომელიც ასე უმოწყალოდ მუსრავს ჩვენს მხარეში მცირეწლოვანებს და მოზრდილებს სამუდამოდ ასახიჩრებს. მალარია ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურებაა“ [გამსახურდია კ., 1992, 58].

„ინგლისური სამგზავრო აფთიაქი“ საგნის კონდიციას სცდება და პარადიგმის სტატუსს იძენს - სტაბილურობის, საიმედოობის ტვიფარს ატარებს (თითქოს ამგვარი აფთიაქის დანახვაც კი აპრიორი განკურნავს „ნაციებ“ პაციენტს).

საინტერესოა ქართული (კოლხური) და ბრიტანული ფსიქოტიპების შედარება ამავე ნოველაში: „მე საოცრად გამახელა ამ დედაკაცის კადნიერმა მოპყრობამ, რაც ჩემს დონჟუანურ პრაქტიკაში ერთხელაც არ მიგემნია. ექიმის ცოლი ჩინებულად იფერებდა თავის(ი) მეფურ(ი) სილამაზის უპირატესობას, მაგრამ ზედმიწევნით სინაზით უღიმოდა მის გვერდით მჯდარ თავადყოფილს, ანჩაბაძეს, რომელიც თავისი აბხაზურ-მეგრული დჟენტლმენური ქცევითა და სიტყვა-პასუხით, ალბათ, რომელიმე ლ ე დ ი ბ ი კ ო ნ ს ფ ი ლ დ ს ა ც კი მოხიბლავდა“ [გამსახურდია კ., 1992, 51].

ფიქსირება ფაქტისა, რომ ანჩაბაძე „თავადყოფილია“, ეპოქის ტრაგიკულ ინტონაციასაც მოიყოლებს, იმასაც დაადასტურებს, რომ ბოლშევიკთა (ოთარ ჩხეიძის დეფინიციით, „ახალმოწესეთა“) ზეობის ჟამსაც კი „აბხაზურ-მეგრული დჟენტლმენური ქცევა“ (სხვა განსაზღვრებით, ქართული რაინდული სული) შენარჩუნებულია და ვერანაირი „ახალმოწესეობა“ მას ვერც დაეღირება და ვერც ჩაანაცვლებს, სანამ საზოგადოების ეს ზეპური ფენა იარსებებს (ამიტომაც ანადგურებდა არისტოკრატიას ბოლშევიკური პლებსი).

ტრაგიკულ-გროტესკულია „ქოსა გახუს“ უაღრესად კოლორიტული პერსონაჟის - ტაგუ სამუგიას მიმართება ბრიტანეთის იმპერიასთან:

„ - ერთი ამ ბოლშევიკებს მინდა ვუჩივლო. რა იქნება, ა ნ გ ლ ი - ა შ ი რომ მიმიწეროთ?"

- როგორ? ინგლისთან გინდა ქართველ კომუნისტებს უჩივლო?"

- თქვენ რას იტყვით? ანგლია ყურადღებას არ მიაქცევს ჩემს თხოვნას? "

- პა, პა, პა, ეს არსად წაგცდეს, ჩემო ტაგუ, თორემ ორივეს ფეხით მოგვიხდება საიქიოს წასვლა." ... მერე ავუხსენი ტაგუ სამუგიას, რომ კომუნისტები ი ნ გ ლ ი ს ი ს მთავრობას არ ექვემდებარებიან და არც ინგლისი გამოიდებს თავს მისი ჩამურის გამო" **[გამსახურდია კ., 1992, 178]**.

პასაჟი ეპოქის ტრაგიზმს გროტესკულ საფანელშიც ირეკლავს.

ბოლშევიზმის ზეობის პარალელურად, მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ორი მსოფლიო ომის ჟამიანი ჟამიცაა. მსოფლიო ომში ბრიტანელთა გამორჩეული როლი ფიქსირდება ნოველაში „ვერცხლის ბეჭედი": „ჩვენ, ფაშისტები, განა მარტო ებრაელებს ვებრძვით! ყველას, ვინც სლავებს და ი ნ გ ლ ი ს -ს ა ქ ს ო ნ ე ბს მხარში უდგას ამ გადამწყვეტ ომში" **[გამსახურდია კ., 1992, 399]**. ამავე ტექსტში ამერიკული პრესის პათოსიცა და პოზიციაც ფიქსირდება: „გვიან გავიგე ბევრი რამ. ტფილისში მობრუნებულს შემთხვევით ჩამივარდა ა მ ე რ ი კ უ ლ ი ჟურნალის "THE JOURNAL OF AMERICAN MEDICAL ASSOCIATION"-ის რამდენიმე ნომერი, თურმე ფაშისტი ფიზიკოსები და ექიმები ბოკმაიერისებრ ცდებს აწარმოებდნენ აუშვიცის და დახაუს საკონცენტრაციო ლაგერებში" **[გამსახურდია კ., 1992, 401]**.

აქვეა კონსტატირებული, ზოგადად, ამერიკელ მეცნიერთა პოზიციაც მსოფლიო ომის გაუგონარი დანაშაულების მიმართ: „ნიურნბერგის პროცესში გაასამართლეს 29 გერმანელი ფიზიკოსი, რომელთა გაუგონარი გულმხეცობის ამბავი მოახსენა სამსჯავროს ა მ ე რ ი კ ე ლ მ ა დოქტორმა ივიმ: ფიზიკოსები კანქვეშ უშხაპუნებდნენ თურმე ტყვეებს ტუბერკულოზის და ტიფის ბაცილებს, აწარმოებდნენ ფაჩვუნიერი ნაწილებიდან გლუ ადგილებზე თმების გადანერგვას" **[გამსახურდია კ., 1992, 401]**.

მოცულობით მოთხრობაში სხვა პასაჟშიც გაიელვებს ბრიტანელის პორტრეტი, ამჯერად - აბსოლუტურად განსხვავებულ

კონტექსტსა და ტოპოსში: „ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი დოქტორ ბრეიდ მოგვითხრობს: ათონელი ბერები ექსტატიურ ლოცვის დროს შეიპყრო კატალეპტიურმა ძილმა. მონასტრის წინამძღვარმა სიტყვით გამოაბრუნა ისინი“ [გამსახურდია კ., 1992, 409].

ინგლისელთა მზერა სწვდება სამყაროს წმიდათაწმიდა სივრცეებსაც (ათონის წმინდა სავანე), ერთი მხრივ, და ეპოქალური ჯოჯოხეთის უღრმეს შრე-სკნელებს - დახაუსა და აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკებს, რაც ხასიათის უფართოეს დიაპაზონს, ბრიტანელთა უსაზმნო ცნობისმოყვარეობას უსვამს ხაზს [მთელ სამყაროზე აღებული ეს ერთგვარი პასუხისმგებლობა, სამყაროსავ მოხილვისა და შეცნობის ჟინით გაზავებული, ჯერ კიდევ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის“ უმნიშვნელოვანეს კონცეპტად გვევლინება, შეზავებული, ასევე, ერთგვარ ავანტიურულ სულთან, რაც არც ქართული ხასიათისათვის იყო უცხო (ყოველ შემთხვევაში, ქართული ხასიათის ამ თვისებას დავით წერედიანი ჩახრუხაძესთან აღმოაჩენს [ჩხეიძე რ., 2015, 289]).

1.2. ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიულ რომანში *„გოეტეს ცხოვრების რომანი“*

კონსტანტინე გამსახურდია საგულისხმო დეტალებს გვთავაზობს ინგლისთან მიმართებით „გოეტეს ცხოვრების რომანში“.

ერთ-ერთი (უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო) პასაჟის მიხედვით, „[გერმანელებს] ჯერაც არ ჰქონდათ შეგნებული, რომ ბავშვებს საკუთარი იდეური სამყარო მოეპოვებათ და, მაშასადამე, საგანგებო ბიბლიოთეკა უნდა მიუჩინო. კ ი პ ლ ი ნ გ ი ჯერაც არ იყო დაბადებული და არც ფრანგული, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი და გერმანული პირველხარისხოვანი საბავშვო ლიტერატურა არსებობდა“ [გამსახურდია კ., 1980, 13].

ზემოთ დამოწმებული პოზიცია მთხრობლისა წარმოაჩენს, რომ ყრმათა „იდეური სამყაროს“ ჩამოსაყალიბებლად აუცილებელ საკითხავთა შორის ერთი უპირველესი ადგილი ინგლისელ კიპლინგს უჭირავს და ზოგადად, ინგლისური სათავგადასავლო-ეთნოგრაფიული ნარატივები ყმაწვილთათვის გამორჩეულად საყვარელი სივრცეა, ერთგვარი „საგანგებო ბიბლიოთეკის“ (დოჩანაშვილისეული „კარცერ-ლუქსის“ გამსახურდიასეული

წანამძღვრის - ვ.ქ.) განსაკუთრებული განძი (კიდევ ერთი ასოციაციით - ერთგვარი „განძთა კუნძული“).

ინგლისური ხასიათის პოზიტიურად ავანტიურისტული, რაციონალური, პრაგმატული, პროგრესისადმი მიმართული მახასიათებლები (ისევე, როგორც „ინგლისური სააფთიაქო ჩანთა“ ნოველებში), „გოეთეს ცხოვრების რომანშიც“ იკვეთება, მით უფრო საცნაური და გამკვეთრებული გოეთესდრინდელი პატრიარქალური, ტრადიციული გერმანული ხასიათის ფონზე (თუ - მასთან შედარებისას): „იმდროინდელ გერმანიაში ჯერაც შუასაუკუნეთა მემკვიდრეობა მძლავრობდა, ჟამი *[შავი ჭირი - ვ.ქ.]*, კეთრი და ყვავილი მუსრს ავლებდა ხალხს. აცრას ჯერ კიდევ იჭვის თვალით უცქერდნენ. ზოგიერთი ა ვ ა ნ ტ ი უ რ ი ს ტ ი ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ევროპის ხმელზე გადმოდიოდა და ფრიად წარჩინებულ ოჯახის წევრებს უცრიდნენ, უშველებელ ჯილდოს ღებულობდნენ გასამრჯელოდ“ **[გამსახურდია კ., 1980, 14]**.

კუნძულოვანი ბრიტანეთიდან „ევროპის ხმელზე“ *[ანუ კონტინენტურ ევროპაში, მატერიკზე - ვ. ქ.]* გადმოსვლა გამსახურდიასთან ერთგვარი ხაზგასმაა ფაქტისა, რომ ბრიტანელებს კუნძულიდან (ანუ - განცალკევებულ-განკერძოებული სივრციდან) მატერიკზე გადმოაქვთ სწორედ უპირველესი მახასიათებელი საკუთარი ნატურისა - „ავანტიურისტული“ სული. ინგლისურ ენაზე ამ სიტყვის კონოტაცია პოზიტიურია - „ავანტიურიზმი“ თავგადასავლების სიყვარულია, თავგადასავალი კი ისაა, რაშიც სული იწრთობა, განისწავლება, გამოიცდება და (ა)მაღლდება. არის ამ „ავანტიურიზმში“ რაღაც ინიციაციური. სწორედ ამ კონოტაციით იყენებს, ჩვენი თვალსაზრისით, კონსტანტინე გამსახურდიაც ამ დეფინიციას „გოეტეს ცხოვრების რომანში.“

რაკი „ავანტიურისტული“ (ანუ სათავგადასავლო) საკითხავები არისტოკრატ გერმანელ ყრმათათვის მეთვრამეტე საუკუნეში ჯერაც მიუწვდომელი ფუფუნება იყო, ყრმა გოეთე, გამსახურდიასეული ცნობით, იღებს ეპოქის გემოვნების შესაბამის განათლებას: „გერმანელი გრაფ დე ტორნაკის და მხატვარ ზეეკაცის მენტორობით ეცნობა იგი პლასტიურსა და თეატრალურ ხელოვნებას. პარალელურად, მამის სასტიკი პედაგოგიური განსწავლის წყალობით, ლათინურს, იტალიურს და ი ნ გ ლ ი ს უ რ ს სწავლობს“ **[გამსახურდია კ., 1980, 17]**.

საცნაურია ენათა ჩამონათვალში ინგლისურის მითითებაც, მით უფრო, რომ იმხანად (გოეთეს სიყრმისას) ინგლისური სულაც არ არის ლინგვა-ფრანკა და ენის ამ სტატუსამდის ლამის მთელი საუკუნეა.

კონტინენტური ევროპა თითქოს წინათგრძნობს ინგლისურის მომავალ სტატუსს და გერმანელი გენიოსის უმკაცრესი მამა სიყრმიდანვე აზიარებს შვილს ამ ენის მშვენიერებასა და სილრმეს, არაჩვეულებრივ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ფიქსირებულს ჩოსერისა და შექსპირის შემოქმედებაში. ენის, როგორც ერის სულის უპირველესი გასაღების ფენომენი არაერთგზის კონსტატირდება რომანში. საგულისხმოა პასაჟი, რომ არა მხოლოდ ვოლფგანგის (ანუ ვაჟის, მემკვიდრის), არამედ კეთილშობილ ქალთა აღზრდის ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად გერმანული ზეპური საზოგადოება სწორედ ენების ცოდნას იაზრებდა, ამდენად, მოსალოდნელია რომანში შემდეგი პასაჟის აქცენტირება: „როცა ვოლფგანგი ოჯახიდან წავიდა, ოჯახის მამამ მთელი თავისი პედანტური პედაგოგობა კორნელიას მოანდომა. კორნელია იძულებული იყო, ბეჯითად ესწავლა იტალიური, ფრანგული და ი ნ გ ლ ი ს უ რ ი“ [გამსახურდია კ., 1980, 559] (ენების ცოდნა, როგორც ზეპური საზოგადოების აღზრდის უარსებითესი ელემენტი, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაშიც („შელოცვა რადიოთი“) ფიქსირდება, ოღონდ მოდერნისტულ ტექსტში ეს ენა ფრანგულია და არა ინგლისური).

რომანში კონსტანტინე გამსახურდია ერთურთს ადარებს აღზრდის ინგლისურ-გერმანულ სისტემებსაც. საინტერესო და საცნაურია დაკვირვება: „ბუნება, ოჯახი და აღზრდა, პატრიციული ოჯახის ბიურგერული მორალი - ეს ყოველივე შეზღუდულ ატმოსფეროს ჰბადებდა ყრმა ვოლფგანგის გარშემო. „რ ო ბ ი ნ ზ ო ნ კ რ უ ზ ო ს ა“ და ი ნ გ ლ ი ს უ რ ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ა ლ უ რ რომანებს, მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ი ს მემუარებს დაწაფებული ბავშვის ფანტაზია რაიმე არაჩვეულებრივისა და სახიფათო განცდის მონატრებული იყო“ [გამსახურდია კ., 1980, 27].

სწორედ ინგლისური სათავგადასავლო რომანი, როგორც განსაკუთრებული „საკითხავი“ (დეფოს „რობინზონ კრუზო“, სტერნის „სანტიმენტალური მოგზაურობა“, „ტრისტრამ შენ-

დი"..., რომელთაც მწერალი-ბიოგრაფოსი არ ასახელებს, მაგრამ გულისხმობს), წარმოადგენს ლიტერატურულ რეფლექსია-რეცეფციას ინგლისური ხასიათისა, რომლის გასაცნობადაც (რასაკვირველია, ინგლისურ ენასთან ერთად) გოეთეს შორსმჭვრეტელი მამა სიყრმიდანვე ამზადებდა, განაწყობდა შვილს.

ზემოთ მოყვანილი ციტატა კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრს „ავანტიურისტული" (სათავგადასავლო) ლიტერატურის განსაკუთრებული როლის შესახებ ყრმათა აღზრდის საქმეში.

რომანის სხვა ეპიზოდში, თავად გოეთეს სათავგადასავლო-მემუარული ტექსტის - „იტალიაში მოგზაურობის" - შეფასებისას, გამსახურდია აღნიშნავს, რომ „გოეტეს ეს ქმნილება უბრწყინვალესი ძეგლია ევროპულ მოგზაურობათა" ლიტერატურაში, მას სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობა" თუ შეედრება" **[გამსახურდია კ., 1980, 161]**.

გერმანული სივრცის აღწერისას უაღრესად მნიშვნელოვანია პასაჟი ლაიფციგის წიგნის ბაზრობის შესახებ, ბაზრობისა, სადაც, ბუნებრივია, თავისი „ნიშა" ჰქონდა ინგლისურ წიგნსაც (ზოგადად, ინგლისური წარმოების ნებისმიერ პროდუქტს): „მხატვრობით, ლიტერატურითა და ენებით უზომოდ დაინტერესებულ ჭაბუკს *(გოეთეს - ვ.ქ.)* უშველებელი ასპარეზი თვალწინ გადაეშალა. ლაიპციგი მაშინაც წიგნით ვაჭრობის მსოფლიო ბაზარი იყო, ლაიპციგის მესსე. მაშინაც ამ მესსეზე ჩამოდიოდნენ მთელი ევროპის და აზიის სხვადასხვა კუთხის ვაჭრები, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი, ესპანელები, ფრანგები, იტალიელები, ბალკანელები, თურქები, რუსები, ჩინელები, სპარსები. ზოგს თავიანთი ნაწარმოები მოჰქონდა, ზოგიც საქონლის შესაძენად ჩამოდიოდა" **[გამსახურდია კ., 1980, 46]**.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ლინგვისტურ-კულტურულ-კულტუროლოგიური განსხვავებებისა, ევროპა ე რ თ ი ა ნ სივრცედ მოიაზრება ობიექტურადაც და, რასაკვირველია, კონსტანტინე გამსახურდიას კონცეპტითაც. ლაიპციგის „მესსეც" ევროპელთა ერთმანეთის კულტურისადმი ცხოველი ინტერესის ერთი უკეთეს დასტურთაგანია.

ბუნებრივია, გოეთე „მარტო არ იყო თავის ბრწყინვალებაში" და მწერალი-ბიოგრაფოსი სხვა გერმანელი მწერლების მიმარ-

თებასაც წარმოგვიჩენს ინგლისური კულტურისადმი, მაგალითად, „შლოსსერი თავად მწერლობდა. უცხო ენების ცოდნაში ფრიად დახელოვნებული იყო, ლექსსა და პროზას სწერდა, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი პ ო ე ზ ი ი ს ნიმუშებს დიდ უპირატესობას აძლევდა და მომეტებულის სიამოვნებით სწავლობდა ი ნ გ ლ ი ს უ რ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ს ა დ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ს" **[გამსახურდია კ., 1980, 50].**

აღნიშნული ციტატაც დასტურია ევროპელი ერების „ღიაობისა" ერთმანეთის კულტურათა მიმართ.

აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო „გოეთეს ცხოვრების რომანში" ინგლისელი „გონთამპყრობლის" *[დეფინიცია გამსახურდიასეულია - ვ.ქ.]* - ლორდ ბაირონის პორტრეტის წარმოჩენაც. კონსტანტინე გამსახურდია ერთგვარ ლირიკულ ინტერმეცოსავით ჩაურთავს ბიოგრაფიულ ნარატივში საგულისხმო განაზრებას: „ლორდ ბაირონის ფრიად მოუსვენარი ტემპერამენტი და მისი მოგზაურობის ჟინი ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ს პ ლ ი ნ ი თ უნდა აიხსნას" **[გამსახურდია კ., 1980, 54].** [საგულისხმოა, რომ სპლინს ანგლოამერიკული ხასიათის ერთ უპირველეს შტრიხად მიიიჩნევს გრიგოლ რობაქიძეც და „გველის პერანგში" ამერიკელ მილიარდერს - ფერგიუს ურვოორს სწორედ „სპლინით სნეულად" ხატავს].

სპლინი, როგორც მოყირჭება, დეპრესიის განსაკუთრებული ფორმა, ხასიათის პრეტენზიული სიაზიზე ინგლისური ხასიათის მრავალწახნაგოვნების ერთ-არსებითად მახასიათებლად გაიაზრება რომანში.

კონსტანტინე გამსახურდიას კონცეპტით, „ზნეობრივად ეს საზოგადოება გახრწნილი იყო, მაგრამ ცხოვრების გარეგანი ფორმები სასტიკი ეტიკეტების საფარველით ნიღაბდებოდა. უკეთუ პოეტი ან პირად ცხოვრებაში ან თავის შემოქმედებაში ამ საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, იგი უთუოდ გაიკიცხებოდა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ეს გაბედ ე ს ი ნ გ ლ ი ს შ ი ლორდ ბ ა ი რ ო ნ მ ა და ო ს კ ა რ უ ა ი ლ დ მ ა *[ეს პერსონა-პერსონაჟები ცალკეულ ესეებში გვხვდება კ. გამსახურდიასთან. იხ. ქვემოთ - ვ.ქ.]*... ფილისტერულმა საზოგადოებამ ბნელი დილეგი მიუჩინა უ ა ი ლ დ ს, ხოლო მისი სულუნგის გმირი ტროპიულ ციებას რომ არ მოეკლა, სულერთია,

ინგლისის საზოგადოების გესლი მოშხამავდა მას" [გამსახურდია კ., 1980, 73].

რომანში ინგლისურ სივრცესთან არა მხოლოდ გოეთეს, არამედ გერმანიის სხვა გამორჩეულ მოაზროვნეთა მიმართებასაც წარმოაჩენს კონსტანტინე გამსახურდია, მაგალითად, ლესინგის გამორჩეულ პერსონაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ „გერმანიის უახლესი ლიტერატურიდან იგი *[ლესინგი - ვ.ქ.]* გოეტეს „გოცს" შეეხო და „შექსპირისადმი საცოდავ მიბაძვად" გამოაცხადა" [გამსახურდია კ., 1980, 73]. მწერლის დაკვირვებით, „ლესსინგი გრძნობდა: გერმანული პოეზია ჯერაც ვერ შეძლებდა საკუთარი მუხლებისადმი მინდობას, ამიტომ მისმა ლიტერატურულმა პოლიტიკამ მოითხოვა ახალგაზრდობის გასაგონად შექსპირი აეყვანა ფარზე. ამ ხანებშივე იწყება გოეთეს შექსპირით გატაცება. შექსპირი ევროპაში ყველაზე უკეთ გერმანელებმა შეიცნეს და შეისწავლეს. ეს ბუნებრივია, რადგან თავათ ინგლისურ-საქსური ენის ინსტრუმენტი ძლიერ ახლოსაა გერმანულ ენასა და სულობასთან" [გამსახურდია კ., 1980, 78]. კონსტანტინე გამსახურდიას ლინგვისტური დაკვირვებაც აბსოლუტურად მართებულია.

შექსპირისადმი გოეთეს განსაკუთრებულ ინტერესს მწერალი-ბიოგრაფოსი პუბლიცისტურ-ბელეტრისტულ ნარატივში არაერთგზის აღნიშნავს: „ჯერ კიდევ ლაიპციგში ყოფნისას ვოლფგანგი გაეცნო დოდდის "Beauties of Shakespeare"-ს. იმავე ხანებში გამოქვეყნდა ვილანდის თარგმანიც."

ხელოვნება თარგმანისა, როგორც კულტურათა შორის დიალოგის ერთი უარსებითესი ბერკეტი, გამსახურდიას რომანშიც გამოკვეთილია.

კონცეპტუალურია კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგი თვალსაზრისიც: „ევროპაში ხშირად შეხვდებით პოეტური ქმნილებების პროზაულ თარგმანებს, რადგან ეს იძლევა შინაარსის ზუსტი ბადალის გადმოცემის საშუალებას. ასევე პროზით აქვთ, მაგალითად, ფრანგებს ჰომეროსი, შექსპირი და დანტე თარგმნილი. გოეტეც სიამოვნებით კითხულობდა შექსპირის პირველ პროზაულ თარგმანებს" [გამსახურდია კ., 1980, 79].

[პოეზიის პროზად თარგმნის შესანიშნავი ნიმუშია ფახფურ ჯორჯანელის „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიაც აღნიშნავს ერთ-ერთ ესეში].

ბელეტრისტულ-პუბლიცისტური რომანის სხვა ეპიზოდებშიც არაერთგზის გაკრთება შექსპირის სახელი: „შტრასსბურგში ვოლფგანგი დიდის ყურადღებით სწავლობდა შ ე ქ ს პ ი რ ს როგორც ორიგინალის, ისე - პროზაული თარგმანების მიხედვით. ჰერდერმა საგანგებო წერილი უძღვნა შექსპირს. შექსპირის თეატრალური ქმნილებები გაარჩია ლენცმა. მ ო კ ლ ე დ : შექსპირი უდიდესი კერპი გახდა ვოლფგანგისა და მისი შტრასბურგელი ამხანაგებისათვის - თვალშეუვლებელ სახატედ, რომელშიც ყოველი მისი ლიტერატურული გატაცება ერთბაშად თავს იყრიდა: ჰომეროსის სახეების გმირული პლასტიკა, დაბადების *[იგულისხმება - „დაბადება“ „შესაქმე“ - ვ.ქ.]* საკრალური პათეტიზმი, ოსსიანის პრიმიტიული ფანტასტიკა და საშინელების აპოლოგია. შტრასსბურგშივე წარმოთქმულ სიტყვაში ვოლფგანგმა აღიარა (შექსპირის შეცნობის შემდეგ): „მე ვიგრძენი რომ ჩემი არსობა განუზომელად გავრცელდა *[განივრცო - ვ.ქ.]*, ყოველივე ახლად და ახლად შეცნობილად მომეჩვენა, ამ უშველებელმა სინათლის ჩქერალმა მატკინა თვალნი... ზეწამოვიჭერ და პირველად ვიგრძენ, რომ ხელ-ფეხი მესხა“ **[გამსახურდია კ., 1980, 80]**.

შექსპირის მოხსენიება „სინათლის ჩქერალად“ კონცეპტუალური დეტალია. მწერალი-ბიოგრაფოსი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი, დაუვიწყარი სინტაგმით კალმის ერთი მოსმით წარმოაჩენს ერთი გენიოსის (გოეთეს) დამოკიდებულებას მეორისადმი (შექსპირისადმი). ბელეტრისტულ-პუბლიცისტური ნარატივის სხვა პასაჟში მითითებულია, რომ „ჰერდერის, ვოლტერის, შექსპირისა და რუსოს გარდა, გოეთეს სულიერ სამყაროზე დიდი გავლენა ჰქონდა ლაფატერსაც, რომელიც თავისი დიდი ფიზიონომისტური შრომებისთვის ემზადებოდა“ **[გამსახურდია კ., 1980, 107]**.

ტექსტში კონსტანტინე გამსახურდია არაერთგზის უბრუნდება ევროპულ ბელეტრისტულ სივრცეში გაიდეალებულ ოჯახურ გარემოს, კერძოდ, პასტორთა ოჯახის ფენომენს - პასტორების

ოჯახების იდილია მრავალგზისაა შექებული ინგლისურსა და გერმანულ პროზაში.

გამსახურდია საგანგებოდ უთითებს, რომ „ჯერ კიდევ ჰერდერმა ჩამოიტანა შტრასბურგში ინგლისელი მწერლის-ოლივერ გოლდსმიტის რომანი "The Vicar of Wakefield" („უეკფილდელი ვიკარი"). ამ სენტიმენტალურ რომანში აღწერილია ფრიად სათნო პროტესტანტი მღვდლის ცხოვრება." [გამსახურდია კ., 1980, 81].

გოეთეს აბრისის ხატვისას, გამსახურდია სხვადასხვა სახელოვნებო სკოლის კონცეპტუალურ მახასიათებლებთან გაავლებს პარალელს და მრავალგზის გაიმეორებს სახელებს ადრე ნახსენები ინგლისელი მოაზროვნეებისა, მაგალითად, განმანათლებლობისა და მოდერნიზმის (ესთეტიზმის) კონცეპტთა ანალიზისას, აღნიშნავს: „გადაჭარბებად მიმაჩნია ინგლისელი ესთეტიკოსის, ოსკარ უაილდის თეორია, რომლის მიხედვით ხელოვნება სინამდვილის უდიდესი რეფორმატორი იყოს თითქოს" [გამსახურდია კ., 1980, 118].

გოეთეს ხასიათის არსებით თავისებურებათა აქცენტირებისას, გამსახურდია-ბიოგრაფოსი კიდევ ერთხელ გამოიხმობს ბაირონის პერსონას, რათა პარალელი გაავლოს ორი გენიოსის პიროვნულ თვისებებს შორის: „ლორდ ბაირონიც უაღრესად დემონური უნდა ყოფილიყო, მიტომაც ჯადოსნურ ზეგავლენას ახდენდა იგი მასსებზე. განსაკუთრებით, ქალები ვეღარ უძლებდნენ ბუნების მისის მომხიბვლელობას, ...მაგრამ მოაწია აპოლონურმა პერიოდმა და ამ ჰასაკისათვის არც ბაირონს მიუღწევია, არც ნიკო ბარათაშვილს. აქ კი იუპიტერის კაპარჭის მტვირთველი გოეტე ერთბაშად ზავს ჩამოაგდებს ამ საზოგადოებასთან" [გამსახურდია კ., 1980, 138... 145].

გერმანელ ოლიმპიელსა და ინგლისელ გონთამპყრობელს შორის ხასიათის განმასხვავებელი შტრიხიც პედალირებულია რომანში: „ყოველი დროის დიდ პოეტს eternal feminin-ისაგან *[„მარადი ქალურობა" - ვ.ქ.]* მიუღია შთაგონება და სასიცოცხლო ენერგია. თვით თავაწყვეტილი ლორდ ბაირონი ვერ გაექცა ამ ატმოსფეროს, მაგრამ ბაირონს უფრო ჯიქური, უფრო მეტად მამაკაცური ბუნება ჰქონდა, ვიდრე გოეტეს" [გამსახურდია კ., 1980, 152].

აუცილებლად უნდა კონსტატირდეს დეტალი, რომელიც არაერთხელ აღვნიშნეთ - ევროპის, როგორც ერთიანი კულტურული სივრცის გააზრებისას. კონსტანტინე გამსახურდია ერთგვარი პარალელიზმის რეჟიმში გვთავაზობს პორტრეტებს ევროპის გამორჩეული მოაზროვნეებისა, მაგალითად, მათ მიმართებას ისეთ გამორჩეულ ლანდშაფტთან, როგორ(ი)ც იტალიაა: „იტალია მუდამ შთაგონების წყარო იყო ევროპის ჩრდილო და დასავლეთის პოეტებისა და მხატვრებისათვის. იტალიამ აღაფრთოვანა ბ ა ი რ ო ნ ი და შ ე ლ ლ ი, გოეტე და უ ა ი ლ დ ი, ტორვალდსენი, ვინკელმან, ბურკჰარტ, ჰიპოლიტ ტენი და დ ა ნ ტ ე გ ა ბ რ ი ე ლ რ ო ზ ე ტ ტ ი“ [გამსახურდია კ., 1980, 160] *[იტალიური წარმოშობის ინგლისელი პრერაფაელიტის - დ. გ. როსსეტის გვარს კონსტანტინე გამსახურდია აფიქსირებს ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციით „როზეტი.“ ამ ავტორისა და სხვა პრერაფაელიტების შემოქმედებას ბრწყინვალე გამოკვლევა უძღვნა დიდი კონსტანტინეს ღირსეულმა შთამომავალმა - კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ - ვ.ქ.].*

მწერალი-ბიოგრაფოსი გამუდმებით უსვამს ხაზს ევროპული ლიტერატურის „სინთეტიურ“ ბუნებას, აღმოსავლურ-დასავლურის არა კომპილირებას, არამედ - სწორედ სინთეზირებას. აღნიშნული კონცეპტი განსაკუთრებული სიღრმითაა დამუშავებული კონსტანტინე გამსახურდიას ესეში „ქართველობა და უცხოეთის გენია“, თუმც პრობლემა „გოეტეს ცხოვრების რომანშიც“ იკვეთება: „მთელი დასავლეთის ლიტერატურა და პოეზია საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა საბერძნეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსულ მოარულ ციკლებსა და სიუჟეტებს. არც არიოსტოს და არც დანტეს, არც შ ე ქ ს პ ი რ ს, არც გოეტეს, და არც ერთ თანამედროვე დიდოსტატს სიტყვისას აბსოლუტურად ახალი არა უთქვამთ რა, არც თემატიკისა და არც ფორმის შერჩევის თვალსაზრისით, რაც ძველ ჰინდოთა, არაბთა, სპარსთა პოეზიაში არ ყოფილიყო აღძრული და ცნობილი“ [გამსახურდია კ., 1980, 165].

მწერალი-ბიოგრაფოსი აღნიშნავს, რომ „თავად გოეტეც განუსაზღვრელად დავალებულია როგორც ბიბლიის, ძველ ჰინდოთა, სპარსთა, არაბთა პოეზიის, ისე ძველი ბერძნების,

რომაელების, რენესანსის იტალიელების, ფრანგი პოეტების და შ ე ქ ს პ ი რ ი ს მიმართ, მაგრამ ეს ოდნავ ჩრდილს არ აყენებს პოეზიის მისის ორიგინალობას და სიხალასეს."

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მწერალი არაერთგზის გვთავაზობს „პარალელურ ბიოგრაფიებს" (რაც ტექსტებს ერთგვარი ციკლურობის ნიშატით გამოარჩევს), მრავალგზის მოხაზავს აბრისს ევროპის გამორჩეულ მოაზროვნეთა: „გოეტე არა ყოფილა ბ ა ი რ ო ნ ი ვ ი თ ანარქისტი და ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ მას შილლერის "ყაჩაღები" არ მოსწონდა... **[გამსახურდია კ., 1980, 186].**

ეპოქის გამორჩეულ პერსონალიათა დახასიათებისას, გამსახურდია ბიოგრაფიის ტრაგიკულ პასაჟებსაც გამოკვეთს: „... ასე მოუვიდა ნაპოლეონსაც და სხვას მრავალს მისთანას. მოცარტი 36 წლის დაიღუპა, რაფაელიც - ამავე ასაკში, ბაირონი ცოტა უფრო ხნიერი მოკვდა, მაგრამ ყველამ ბრწყინვალედ შეასრულა ზენაარისაგან დაკისრებული მისია" **[გამსახურდია კ., 1980, 191].**

„ლორდ ბაირონი, - უამბობს ეკერმანს გოეტე,- ცეცხლმოკიდებული ჯაგი იყო, ლიბანის წმინდა ნაძვები ხანძრით რომ მოსრნა, უჩვეულო ტალანტი, ერთხელ შობილი უბადლო ნიჭი და, უნდა ითქვას, მისოდენი ტალანტი ჯერ არავის ჰქონია, დედისაგან შობილს. "

მწერლის შეფასებით, „საუკუნის უდიდესი სულები ურთიერთს გაეხმაურნენ. ბაირონმა ტრაგედია უძღვნა ვაიმარელ ბრძენს შემდეგის წარწერით: „ბრწყინვალე გოეტეს". გოეტემ უპასუხა ლექსით: "Ein freundlich wort kommt eines nach dem andern". ლექსმა ლივორნოში მოუსწრო ბაირონს, საბერძნეთის განმათავისუფლებელ ომში გამგზავრების წინ" **[გამსახურდია კ., 1980, 197].**

ბიოგრაფიულ-პუბლიცისტური რომანის ლირიკულ ინტერმეცოებში კვლავ პარალელური ბიოგრაფიების კომპოზიციურ ღერძს იყენებს მწერალი, აღნიშნავს რა, რომ 1824 წელს მისოლუნგში ლორდ ბაირონის დაღუპვამ გოეთე „ფრიად შეაძრწუნა. თუმცა ბაირონის პიროვნული გენია ტრაგიკულად დაღუპვის გარეშე წარმოუდგენელია. აბა, რა იქნებოდა ქრისტე, ან სოკრატე, შხამის ფიალა არ დაელია და ცრემლებით გამოესყიდა დანაშაული?!"

მწერალი რომანში აფიქსირებს ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაზიარებულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ „ფაუსტის“ მეორე ნაწილში გოეტემ „თავაწყვეტილი ლორდის“ მოუსვენარი და უკვდავი სული ეუფორიონში განაპიროვნა. ეუფორიონი სიბრძნისა და მშვენიერების პირმშოა... თავდაპირველად გოეტეს არ მოსწონდა ექზალტიური ბაირონი, მაგრამ, როცა მისი შემოქმედება კარგად შეიცნო, აზრი შეიცვალა. ეკერმანთან საუბარში აღიარებს: „მე მისი *[ბაირონის - ვ.ქ.]* „მანფრედი“ ისევ გადავიკითხე და უნდა გამოვტყდე: რაც დრო გადის, მისი ტალანტი უფრო და უფრო დიდად მეჩვენება. ამ ნაწარმოების ეშმაკი ჩემი მეფისტოფელიდანაა გამოსული, მაგრამ ეს მიმბაძველობა როდია, იგი სავსებით ახალია და ორიგინალური. ჰიპოხონდრია ხელს უშლის ბ ა ი რ ო ნ ს, უამისოდ შ ე ქ ს პ ი რ ი ს ა და ანტიკური პოეტების ბადალი იქნებოდა “ **[გამსახურდია კ., 1980, 198]**. ციტატაში კიდევ ერთხელ კონსტატირდება იპოქონდრიის (სპლინის) ფენომენი თუ პლასტი ინგლისურ ხასიათში.

ინგლისური რემინისცენციების პარალელურად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქართული შრე „გოეტეს ცხოვრების რომანში.“

1787 წლის 13 იანვრით დათარიღებულ წერილში გოეთე დასცინის კარდინალებს. ამავე ბარათში იგი ახსენებს ცნებას „ქართულს“ („კოლხური“).

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ სურვილი აქვს წერილის გადმოქართულებისა. სურვილს საქმედ აქცევს კიდეც: „ჯიუსტინიანის სასახლეში ერთი მინევრა სდგას. მას ეკუთვნის ჩემგან უდიდესი თაყვანისცემა... როცა ამ ქანდაკებას ვათვალიერებდით, სასხლის კუსტოდე ქალმა გვიამბო: ეს ქანდაკება ოდესღაც წმინდა ხატი ყოფილაო და ი ნ გ ლ ე ზ ი *[იტალიელები ასე ინგლისელებს უწოდებდნენ - ვ. ქ.]*, რომელნიც ამავე სჯულისანი იყვნენ, კვლავინდებურად თაყვანსცემდნენო მას და ხელებს უკოცნიდნენო იუნონას. რადგანაც მლოცველები ცალ ხელზე ჰკოცნიდნენ, ეს ხელი გათეთრებიაო. მართლაცდა, - განაგრძობს პოეტი, - ეს ცალი ხელი კოცნისაგან მთლად გათეთრებული იყო, ხოლო თავათ ქანდაკება სინგურისფერს გადაიკრავს

ოდნავ. ამას წინათ ვინმე ი ნ გ ლ ე ზ ი ს სჯულის ქალი იყოო აქ, - განაგრძო დედაკაცმა, - მუხლებზე დაეცა და თაყვანი სცაო. მე სიცილი ვერ შევიკავე და დარბაზიდან გავედიო. რაკი მეც არ ვეშვებოდი იუნონას ქანდაკებას, კუსტოდე ქალი შემეკითხა, შენც ინგლეზის სჯულისაგან ხომ არა ხარო. ამ კეთილ ქალისათვის დიახაც გასაგები იყო თაყვანისცემა და სიყვარული, მაგრამ მას ვერ შეეგნო წმინდა გაოცება ამ შესანიშნავი ქმნილების მიერ ჩემში აღძრული და ვეღარც ძმური აღტაცება ადამიანის ქმნილებისადმი...“

წერილის ქართული თარგმანის ს ხ ვ ა პ ა ს ა ჟ შ ი ვკითხულობთ: „ახლა სხვაგვარი სანახაობის შესახებ მოგითხრობთ. ამას წინად პროპაგანდაში ვიყავით. აქ სამი კარდინალისა და დიდძალი საზოგადოების წინაშე ლათინურად წარმოსთქვეს სიტყვა, ორატორი არკვევდა, ბოსელში მიიღო ღვთისმშობელმა მარიამ აღმოსავლეთის სამი მეფე თუ სხვაგან სადმე? ამის შემდეგ, ლათინური ლექსები წარმოსთქვეს. 30 სემინარიელი გამოვიდა და ყოველმა მათგანმა თავიანთ ენაზე ლექსი სთქვა, მალაბარულ, ეპიროტულ, თურქულ, მოლდავურ, სპარსულ, კ ო ლ ხ ურ, ჰებრაულ, არაბულ, სირიულ, კოპტურ, სარაცინულ, სომხურ, ბერძნულ, მადაგასკარულ, ისლანდიურ, ეგვიპტურ და ეთიოპიურ ენებზე. ეს ლექსები ნაციონალური მეტრით იყვნენ დაწერილი. საზოგადოება იცინოდა, ხარხარებდა ამ უცხო ბგერების გამგონე, ასე რომ, ეს სპექტაკლი ფარსად გადაიქცა“ **[გამსახურდია კ., 1980, 170]**.

მართებულად მიგვაჩნია მკვლევარ ზ. გოგიას თვალსაზრისი: „კონსტანტინე გამსახურდიას პროზა თავისი ბუნებით, ინტერტექსტუალურია, მაგრამ ინტერტექსტუალურობა მხოლოდ განსხვავებული წარმომავლობისა და დანიშნულების, ლიტერატურული თუ არალიტერატურული კულტურული „რეპერტუარიდან“ ამოკრებილი ტექსტების, აზრებისა და ციტატების მექანიკური ჯამი არაა. ესაა განსხვავებულ იდეურ-მხატვრულ სისტემებში, ცოცხალ თუ გარდასულ ცივილიზაციებში, მითოსში, ხალხთა კულტურებსა თუ კონკრეტულ ტექსტებში დაცული სემანტიკური ინფორმაციები“ **[გოგია ზ., 2014, 57]**, რომელთაც უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციით აწვდის მკითხველთ მწერალი

[„მითის მაკონსტრუირებელ“ სტრუქტურულ ელემენტს ჯერ კიდევ იუნგი მიაპყრობდა ყურადღებას და პირველხატებად (არქეტიპებად) იხსენიებდა“ [ლომიძე გ., 2008, 217].

„არქეტიპები სათანადო პირობებში (მაგალითად, დიდი სულიერი შეჭირვების ჟამს) აქტუალიზდებიან და ადამიანთა ფართო მასას ეუფლებიანო“, წერს ლევან ბრეგაძე ესეში „ფსიქოანალიზი და მხატვრული შემოქმედება“ [ბრეგაძე ლ., 2008, 74].

მოდერნიზმის ეპოქა სწორედ ამგვარ - „დიდი სულიერი შეჭირვების ჟამად“ აღიქმება, ამდენად, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში არქეტიპის კონცეპტი, ვფიქრობთ, უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაა, დისერტაბელური, მრავალშროვანი, მრავალწახნაგოვანი.

1.3. ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას დაუსრულებელ მხატვრულ ტექსტებში

1.3.1. ინგლისელთა პორტრეტები კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებში „ევროპა გალიაში“

რომანში „ევროპა გალიაში“ წარმოჩენილია სიჭრელე რასათა და ერთა, განსხვავება „ქვეყნისა“, რომელიც „გვაქვს უთვალავი ფერითა“: „მიჰყვება ურდოელი ქუჩას, ხანდახან ფრანგული, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ფრაზა დასცდება ვინმეს. სატრანსპორტო ჩანთებით, ბინოკლებით, დატვირთულ ტურისტებს შეავლებს თვალს, მიჩოჩქოლებენ ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ ი, თანაც ხორხოცობენ ისე ხმამაღლა, თითქოს საკუთარ ქვეყანაში ჩამოსულანო. ჰოლანდიელების ხავილი მოისმის, იტალიურის ფრინველისებრი ჭიკჭიკი და ამ წითურ და სელისფერ ევროპელების ფონზე ხოჭოებივით დაფუსფუსებენ ჩინელები, იაპონელები და ზანგები“ [გამსახურდია კ., 1983, 13].

მწერალი ხასიათის, ვიზუალის უღრმეს შრეებს სწვდება და ლაკონიურად რეფლექსირებს ენათა და ფსიქოტიპთა თავისებურებებს. ყურადღების მიღმა არ რჩება არც ინგლისური პარკის დახვეწილი გეომეტრია, არც „ლონ ტენისის“ (ბალახის ჩოგბურთის - როგორც ინგლისური ყოფის ერთი სიმპტომატური დეტალის) პარტიის ხიბლი.

ამავე ტექსტში სატელეფონო საუბრები ფიქსირდება ურთიერთობის ახალ, მოდურ ფორმად: „ამერიკელებმა და ინგლისე-

ლებმა ტელეფონით ამიკლეს, სამი დღის წინათ სამინისტროდან დამირეკეს, შვედი მეცნიერები ჩამოვიდნენ ბოტანიკოსების კონგრესზე...“

ევროპულ „გალიაში“ ინგლისელთა ხასიათი განსაკუთრებულად დახვეწილად წარმოჩნდება - „ყველაზე მეტად თავშეკავებულად“ ცხადდება **[გამსახურდია კ., 1983, 23]**. მიუხედავად ზემოთქმულისა, ტექსტის პერსონაჟი, მერი სიმსონი, საოცრად ჰგავს ბაირონის განთქმულ მიჯნურს - ლედი კაროლინა ლემს. ვახტანგ ურდოელს, ქართველ მხატვარს გაუმიჯნურდა და „საოცრად დაიმცირა თავი ამაყმა ინგლისელმა დამამ“ **[გამსახურდია კ., 1983, 26]**.

როგორც ყოველ ტექსტში, ლინგვისტური წიაღსვლები ამ დაუსრულებელ თხზულებაშიც გვხვდება, მაგალითად, პასაჟში: „ტიკჭორის“ სახელი ვერც ერთ ენაზე ვერ გამოძებნა ურდოელმა. ვერც გერმანულმა „შლაუხმა“, ვერც ინგლისურმა „ბეგ“ ვერას მიახვედრა იტალიელი და ჩეხი“ **[გამსახურდია კ., 1983, 42]**.

„ევროპა გალიაში“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კონტინენტის პოლიტიკურ-კულტურული ვითარების ზოგად სურათს გვთავაზობს, მატერიკის გემოვნებას, სულისძვრათ.

ევროპა, როგორც ყოველ ტექსტში, აქაც ერთიან სივრცედ გაიაზრება. საინტერესოა პასაჟი ერონიმუს მენგოს შავყდიანი ფოლიანტის შესახებ, რომლის გავლენამ განსაკუთრებით ინგლისური სივრცე მოიცვა: „მთელი მაშინდელი ევროპა შეაძრწუნა ამ შავმა წიგნმა. ალბერტ დიურერი და შ ე ქ ს პ ი რ ი ც გაიტაცა ამ კარაბადინმა. ჰაინრიხ მერვემ, ინგლისის მეფემ, ათასები გაგზავნა გილიოტინაზე. ელისაბედ ინგლისის დედოფალმა ათი ათასი დედაბერი დააწვევინა ტახტზე ასვლის დღეს. ინგლისის საგრაფო სუფოლკში გლეხების აჯანყება მოაწყვეს გადაცმულმა ბერებმა. ასეთივე ამბები დატრიალდა ესპანეთსა, საფრანგეთსა და გერმანიაში“ **[გამსახურდია კ., 1983, 46]**.

ტექსტში „ბრიტიშ *[სწორედ ამ ტრანსკრიფციით - ვ.ქ.]* გვინეას“ მოხსენიება ცხადყოფს ბრიტანეთის კოლონიალისტურ პოლიტიკას, რომლისადმი პერსონაჟის დამოკიდებულებაც ფიქსირდება ფრაზაში: „ინგლისის მეფის გვირგვინი რომ გადავარდეს, სამი კონტინენტის ხალხები ამოისუნთქავდნენ“ **[გამსახურდია კ., 1983, 48]**.

1.3.2 „ლანდებთან ლაციცი“

ისევე, როგორც დაუმთავრებელ ტექსტში „ევროპა გალიაში“, ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში „ლანდებთან ლაციცი“ არაერთი ანგლოამერიკული რემინისცენცია-ალუზიაა. ინგლისური პარკი, როგორც წესრიგის, სიზუსტის პარადიგმა, მემუარებშიც გაკრთება. კონსტანტინე გამსახურდია მოგვითხრობს: „დიმიტრი დადიანის შთაგონებით, მამაჩემმა თავი მიანება პურმარილს, ქეიფს, ნადირობას და ჩვენს მამულში მოაწყო ი ნ გ ლ ი ს უ რ ი პ ა რ კ ი, თითქმის პირველად შემოიტანა სამეგრელოში ციტრუსები, ჰინდური ხურმები და სხვა ეგზოტიკური მცენარეული, ზანას გადაღმა, მდინარე აბაშამდე მისი საუფლო იყო, მოაშენა შესანიშნავი ვენახი, დაბლნარი. ჩვენებური აზნაურები მას სასაცილოდ იღებდნენ: აზნაურმა თოხნა და ბარვა დაიწყოო“ [მსგავსი იყო დამოკიდებულება გლეხებისა ლევ ტოლსტოისადმი].

საკუთარი ბიოგრაფიის თხრობისას მწერალი არაერთხელ გალანდავს ტექსტში ინგლისურ რემინისცენციას. სტუდენტობის შთაბეჭდილებების აღნუსხვისას აღნიშნავს: „გერმანიაში ჩამესახა მე იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის კულტურისადმი ინტერესი. ინგლისურ სემინარებში ვსწავლობდი ინგლისურს, ამას მოჰყვა შექსპირით, პოუპით, რობერტ ბრაუნინგითა და სტივენსონთ გატაცება“ **[გამსახურდია კ., 1983, 93]**.

ინგლისური სამყაროს უპირველესი პოეტის, შექსპირის პერსონაჟი ამ ტექსტშიც ჩნდება: „რუსთაველმა, დანტემ, იტალიელმა დიდმა მხატვრებმა ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქაში ქალის დეეფკაციას შეუწყვეს ხელი. შექსპირს მრავალი ნეგატიური ხასიათი აქვს მოცემული ქალთა სამყაროდან, მაგრამ მისი ოფელია მაინც ბრწყინვალეა და გოეტეს გრეტხენიც ოფელიას ზეგავლენითაა შექმნილი“ **[გამსახურდია კ., 1983, 99]**.

უკანასკნელი თვალსაზრისი (გრეტხენის ხასიათის გამოძერწვა ოფელიას ხასიათის გავლენით) მნიშვნელოვანი კონცეპტია, რაც, ვფიქრობთ, სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს, მაგრამ საკითხი სცდება კვლევის ჩვენეულ სივრცეს.

ევროპის პოლიტიკური ვითარების ხატვისას მემუარებში ირეკლება ანტანტასა და „სამთა კავშირის“ წევრთა შორის რა-

დიკალური დაპირისპირება. გერმანელი პერსონაჟის თვალსაზრისი, ზოგადად, მთელი იმდროინდელი გერმანიის სულისძვრათა ანარეკლია: „ჩვენ [გერმანელებმა] და ფრანგებმა უნდა შევკრათ კავშირი რუსეთისა და ი ნ გ ლ ი ს ი ს წინააღმდეგ. ინგლისი, მოგეხსენებათ, მუდამ იმის ცდაში იყო, ევროპის ჰეგემონი გამხდარიყო, ამიტომაც მრავალი საუკუნის მანძილზე ებრძოდა იგი საფრანგეთსა და გერმანიას და ახლაც ებრძვის. ნაპოლეონის იმპერიის დამსხვრევამ ინგლისი ევროპის ჰეგემონად აქცია... კაიზერ ვილჰელმი ამას ვერა ჰხედავს და მეც აგრე მეოცნებება: მომავალ ომში კვლავ ინგლისი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ჩვენსა და ფრანგებს ინგლისის სატელიტობა მოგველის“ **[გამსახურდია კ., 1983, 110]**.

მსგავსი განაზრებები ტრაგიკულ მოტივად გასდევს რიჰარდ ვაგნერის ქრესტომათიულ ესეს „რა არის გერმანული?“: „გერმანულ დიდებას მონატრებული გერმანელი მხოლოდ და მხოლოდ რომის იმპერიის მსგავს აღორძინებაზე ოცნებობს და ყველაზე უწყინარ გერმანელსაც კი ამ დროს ძალაუფლების აშკარა ჟინი, სხვა ხალხებზე ბატონობის მოთხოვნილება ეუფლება. მას ავიწყდება, რა უარყოფითი გავლენა მოახდინა გერმანელი ხალხის განვითარებაზე რომის სახელმწიფოს იდეამ“ **[ვაგნერი რ., 2013, 136]**.

პოლიტიკური ვითარების ანალიზი გამსახურდიასეული მემუარების უარსებითესი შრეა, ანალიზდება ეპოქის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ-ისტორიულ-კულტურული პრიორიტეტები. პერსონაჟების საუბარში მრავალი საგულისხმო მოსაზრება ილანდება, მაგალითად, გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა: „რუსეთის იმპერატორი შლეგი რომ არ იყოს, რუსეთს ბრილიანტი მდგომარეობა აქვს - ინგლისი მას ვერასოდეს მისწვდება სამტროდ“ **[გამსახურდია კ., 1983, 110]**.

პირველი მსოფლიო ომის დროს იმპერიათა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისას ქართველის მდგომარეობასაც გაესმის ხაზი დაუმთავრებელ მემუარებში:

- ყმაწვილო, თქვენ ფრანგი ხომ არ ხართ?
- არა, უფალო.
- არც ინგლისელი?

- არც ეგა.
- არც რუსი?
- არც ეგა, უფალო.
- მაშ, ვინა ბრძანდებით?
- ქართველი გახლავართ... არც არავისი მეშინია, რადგან მე არც რუსი ვარ, არც ფრანგი, არც ინგლისელი" **[გამსახურდია კ., 1983, 113].**

გამსახურდიასეულ მემუარებში - „ლანდებთან ლაციცში" - ხაზგასმულია, რომ „ეპოქალურ კრიზისში" განსაკუთრებული წონის „მოთამაშეთა" შორის ინგლისელი უცილობლივ მოიაზრება.

1.3.3. „უკრაინის თემიდი"

„უკრაინის თემიდში" წარმოჩნდება ბრიტანეთის დამოკიდებულება სხვადასხვა ერისადმი: „ევროპელები და ამერიკელები ამტკიცებენ - აღმოსავლეთის ერები, თავიანთი ფლეგმატურობის წყალობით, მხოლოდ პარიზსა, ლონდონსა და ვაშინგტონში გამოგონილი მანქანების მუნჯ მსახურებად თუ გამოდგებიანო" **[გამსახურდია კ., 1983, 186]**. ზემოაღნიშნულ დაუსრულებელ ტექსტშიც ჩნდება სახელი კიპლინგისა მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთხელ კონსტატირებული კონცეპტის - ეგზოტიკის პედალირებით - „კიპლინგის შემდეგ მთელი დასავლეთის მწერლობა ეგზოტიკაზე ნადირობას უნდება აღმოსავლეთში" **[გამსახურდია კ., 1983, 187]**. ეგზოტიკურის პარალელურად, აღმოსავლური ცივილიზაცი(ებ)ის კულტურათა უღრმესი შინაგანი შრეებისადმი ბრიტანეთის ინტერესი სავსებით ბუნებრივია, რადგან, კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, „ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ლიტერატურა ოდითგანვე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იღებდა შთაგონებას, ადრიანი რენესანსის ეპოქის შემდეგ იტალია ითვლება შთაგონების წყაროდ როგორც გოეტესთვის, ისე შ ე ქ ს პ ი რ ი ს თ ვ ი ს. სამხრეთისა და აღმოსავლეთისგან მიუღიათ უდიდესი შთაგონებანი ბ ა ი რ ო ნ ს და შ ე ლ ლ ი ს, ბოდლერსა და ჰაინეს, ლერმონტოვსა და პუშკინს."

ინგლისური რემინისცენციების პარალელურად, კონსტანტინე გამსახურდია არსად უშვებს ხელიდან შესაძლებლობას, მთავარ „წყევლაკრულვიან საკითხავსაც" - ქართულ პრობლე-

მატიკასაც მიაპყროს მკითხველის ყურადღება. სიმპტომატურია პასაჟი: „ჰოლანდიელებს, ფრანგებს, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ს და გერმანელებს არა ერთი და ორი ათასი ერის ტერიტორია დაუპყრიათ აღმოსავლეთსა და აფრიკაში, მაგრამ არსად დამპყრობელ ერების კულტურაზე იმდენი ზეგავლენა არ მოუხდენია დაპყრობილების კულტურას, რამდენიც კავკასიელებს - რუსულ კულტურაზე; სულ სხვა მანძილია ანალოგიურ შემთხვევაში დასავლეთის ეგზოტიკოსების: კ ი პ ლ ი ნ გ ი ს, ბონზელსის, მორანის და იოჰანეს ვ. იენსენის კულტურულ დონესა და მათ შთამაგონებელ ხალხებს შორის. აქ ბუნება წარმოადგენდა ყოფა-ცხოვრების თავისთავად ეგზოტიკას“ [„ეგზოტიკის“ ფენომენი მრავალგზის აქცენტირდება ბრიტანეთის კულტურაზე საუბრისას კონსტანტინე გამსახურდიასთან].

აანალიზებს რა ბრიტანეთის იმპერიის „იგავმიუწვდომელი ძლიერების“ მიზეზებს, ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად ქვანახშირის ინდუსტრიასაც მოიაზრებს მწერალი: „უნახშიროდ სავსებით წარმოუდგენელი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიის ძველ მსოფლიოში გაბატონება. თუ ბერძნებისა და რომაელების ფლოტი ქარს დაჰყავდა, ინგლისმა ნახშირის ძალით დაიპყრო აზია, აფრიკა და ამერიკა“ **[გამსახურდია კ., 1983, 199]**. მწერალი საგანგებოდ იხსენიებს „საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, გერმანიის მწერლების რომანებსა და მოთხრობებს ნახშირის მაღაროების მუშების ცხოვრებიდან“ **[გამსახურდია კ., 1983, 203]**. საინტერესო განაზრებად აღიქმება მწერლის კონცეფცია - „შესაძლოა „ნახშირის ტრაგედიამ“ დაამხოს დღევანდელი იმპერიალისტური ინგლისიო.“ ქვეყნის კოლონი(ალ)ური დოქტრინის ეკონომიკურ წანამძღვარ-განმაპირობებლებთან ერთად, ხაზგასმულია ბრიტანეთის ძლევამოსილების ერთ-ერთი ასპექტიც (რომლის შესახებაც ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ): „ინგლისურმა ანბანმა წალეკა ძველი და ახალი სამყარო. ყველაფერს აწერია „მეიდ ინ ინგლენდ“ „დამზადებულია ინგლისში“ - მწერალს ენა (ლინგვა-ფრანკა) იმპერიის ძლიერების დომინანტურ რეფლექსიად აბსოლუტურად მართებულად მიუჩნევია.

ლინგვა ფრანკას ჟღერადობაშიც ინგლისელთა ბუნების ზვიადობა სჭვივის - გამაზრებელი აცნობიერებს „მიუკარებელ

ბუმბერაზობას, განდგომილებას, გულზვიადობას და თავმოთნეობას, რომელნიც ატმოსფერულად გადმოეცემა ხოლმე ... ინგლისის ლორდების სასახლეების შემყურეს" [გამსახურდია კ., 1983, 207] - აკი ენაც „ყოფიერების სახლია." აღნიშნულ ტექსტში მწერალი გაკვრით იხსენიებს პრობლემას, რომელიც დაუსრულებელ თხზულებებშიც ხაზგასმულია - პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ევროპის პოლიტიკურ ვითარებას: „1914-1915 წლებში კარგა ლამაზად დასცხეს ჰაუბიცები გერმანელ პანგერმანისტებს მათმა „ბიძაშვილებმა" - ანგლოსაქსებმა... ბიზანტიის დაცემის დღიდან კულტურისა და პოლიტიკის ცენტრები სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადადიან. ესპანეთის დაცემა, ინგლისის გამარჯვება საფრანგეთზე 1812-1813 წლებში, პრუსიის მიერ ჰეგემონიის ხელში ჩაგდება - ეს ყოველივე მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებია" [გამსახურდია კ., 1983, 219].

1.4. ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტურ ნარატივში (ესეები, წერილები, ნარკვევები)

ესეისტიკა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების არსებითი პლასტია, გამორჩეული მხატვრული სივრცე, რომელშიც მწერლის ესთეტიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისია ფიქსირებული.

ესეში **„თამარ"** ავტობიოგრაფიულ პასაჟებს ვხვდებით (და ეს პასაჟები აბსოლუტურად იდენტურია ავტობიოგრაფულ მემუარებში ფიქსირებულისა): „ადრიანი ასალგაზრდობისას ნაყოფიერ შრომას ვეწეოდი უცხო ენების შესათვისებლად, ასე რომ, 20 წლის ჭაბუკი უკვე დავეუფლე ლათინურს, ფრანგულსა და გერმანულს, ხოლო იტალიურსა და ი ნ გ ლ ი ს უ რ ს ბერლინის უნივერსიტეტის სემინარებზე ვსწავლობდი" [გამსახურდია კ., 1983, 123].

მსოფლიო ომის პოლიტიკური პერიპეტიები ისევე, როგორც ნოველებსა თუ დაუმთავრებულ მხატვრულ ტექსტებში, ესეისტიკაშიც მნიშვნელოვან შრედ ჩნდება.

ესეში **„მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა"** საინტერესო პოლიტიკურ პასაჟებს გვთავაზობს მწერალი: „მსოფლიო ომმა სავსებით გაფანტა უნიათო ილუზიები. „ქრისტეანულმა" ი ნ გ ლ ი ს მ ა, საფრანგეთმა და რომანოვების რუსეთმა უსაძაგლეს პროვოკაციაში ჩაითრიეს ბედშავი სომხის ხალხი და მერმე თავათ გადგნენ

და პილატესავით ხელი დაიბანეს. პილატესავითო? პილატე ათასგზის უფრო პატიოსანი იყო, ვიდრე ეს ყაჩაღები მსოფლიო იმპერიალიზმისა" [გამსახურდია კ., 1983, 233]. ციტატა ცხადყოფს, რომ მწერალი არა მხოლოდ ქართულ კულტურას მესვეურობს, არამედ მეზობელი ხალხის - სომხების სვებედზე მონაღვლედაც ჩნდება.

საქართველოსა და სომხეთის ბედი იმპერიის წიაღში ერთიან კონტექსტში განიხილება მწერლის ესეისტიკაში: „სომხეთისა და საქართველოს ხუროთმოძღვრებას სავსებით განსაკუთრებული ყურადღებით მოექცევა საბჭოური მთავრობა, ცხადია, საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ერები ჩვენთან შედარებით ახალგაზრდებია და, ბუნებრივად, მათ არ ექნებათ ჩვენისთანა ხუროთმოძღვრება და არც ერთს დიდ ავტორიტეტს ბოლშევიზმის თეორიტიკოსთა შორის არსად დაუწერია, რომ ჩვენი მომავალი მშენებლობა ე.წ. ამერიკული „კონსტრუქტივისტული" სტილით უნდა წავიდესო. ამერიკის კონსერვები გამიგონია... და სტილის რა მოგახსენოთ" [გამსახურდია კ., 1983, 235].

მწერალი ესეში ევროპული და ქართული არქიტექტურის თავისებურებაზე, ერთ კონკრეტულ დეტალზეც ამახვილებს ყურადღებას, შედარებულია და ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნის კლიმატური უპირატესობა, რომელიც არქიტექტურულ სტილზეც ახდენს გავლენას: „ვრცელფანჯრიანი სახლები ცენტრალურ ევროპაში, რუსეთსა და უკრაინაში, ან ამერიკაში თუ გამოდგება, ჩვენში მზე საკმაოზე მეტია" [გამსახურდია კ., 1983 235].

„მზის სიჭარბე"ქართულის ხასიათის ცხოველმყოფლობის წანამძღვრად მიუჩნევია მწერალ-ესეისტს. მზიური ხასიათი სპლინის გათავისება-გაცნობიერებას ხელს სულაც არ უშლის და წერილში **„ლადო მესხიშვილის იუბილეს გამო"** კონსტანტინე გამსახურდია ქართული თეატრის უნიჭიერეს მსახიობს მომნუსხველად შესრულებული ჰ ა მ ლ ე ტ ი ს როლისთვის დადებითად აფასებს: „აბა, რომელ ქართველს არ ასტოკებია გული მესხიშვილის მომნუსხველი თამაშით?! რომელ ჩვენგანს საკუთარ სულის ღელვით არა ჰქცევია მუდამ მოყოყმანე ჰ ა მ ლ ე ტ ი ს სულის ტკივილი, მისი ხელოვნებით აღსავსე თამაშით განპირობებული?! მისი აკოსტა უგუნური ბრბოდან დაგმობილი,

უარყოფილი, ვითარცა ძველი ისრაელის წინასწარმეტყველი, სჭექსა და ჰქუხს ჭეშმარიტების წმინდა მიჯნაზე" **[გამსახურდია კ., 1983, 249]**. ჰამლეტი-პერსონაჟი, როგორც არა მხოლოდ საკუთრივ ინგლისური, არამედ ადამიანის უნივერსალური ნატურის ანარეკლი არაერთგზის გამოილანდება გამსახურდიას ესეისტიკაშიც - ისევე, როგორც ბელეტრისტულ ნარატივებში.

ესეში **„დაგვიანებული ბიბლიოგრაფია"** მწერალი კონსტატირებს, რომ, სხვა თარგმანებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს შექსპირის სწორედ ქართულ, მაჩაბლისეულ თარგმანს: „მაგალითად, მე მსურს შ ე ქ ს პ ი რ ი ს თარგმანის შეძენა, როგორ ფიქრობთ, წავალ და რუსულს ან სხვა ენაზე შევიძენ? სრულიადაც არა! ივანე მაჩაბლის ნათარგმნს ორი უპირატესობა აქვს ჩემთვის - ერთი, რომ იგი ჩემს დედაენაზეა, მეორე კიდევ ის, რომ თავდებია მისი სიკარგე და სისწორე" **[გამსახურდია კ., 1983, 251]**. კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა, რასაკვირველია, დაეჯერება (ამავე ესეში მოყვანილია კურიოზი დიკენსის ცხოვრებიდან: „დ ი კ ე ნ ს ი რომ პირველად პარიზს ჩავიდა, ფრანგული არ იცოდა. წინდების ყიდვა მოუნდა, შევიდა მაღაზიაში, ეუბნება მუნჯურად, ანიშნებს ხან თითებით, ხან ფეხსაცმელს იხდის... გიჟი ეგონათ. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდნენ, წინდები სდომებია, მაგრამ ზომა ვერ გაიგეს. მანაც მუშტები უჩვენა. აბა, შენ მუშტებით მოდიხარო... და კინაღამ სცემეს საცოდავს" **[გამსახურდია კ., 1983, 266]**).

ჰამლეტის თემა გრძელდება ესეში **„ჰამლეტი თუ დონ კიხოტი?"** - მწერალი გვთავაზობს მოსაზრებას ადამიანების ორ კატეგორიად დაყოფის შესახებ: „შემოქმედი, მებრძოლი, მოქალაქე, მოძრავი ადამიანები, ჩემის აზრით, ორ კატეგორიად უნდა დაიყოს. ერთი მთესველია, მეორე - გუთნისდედა; ერთი - ღვთაებრივი ქადაგი, მეორე - ცხოვრების ძალოვანი მესაჭე; ერთი მინდიასა ჰგავს, მეორე - ტარიელს; ერთი - ლუტერს ან ბუდას, მეორე - ნაპოლეონს; ერთი ჰ ა მ ლ ე ტ ია, მეორე - დონ კიხოტი. ერთი ტრიბუნია სიმართლისა და ჭეშმარიტების, იგი მუდამ ჰ ა მ ლ ე ტ-სოკრატესავით ეჭვით იტანჯება, მაგრამ მაინც მეტყველებს, მომავალ თაობათ ებაასება. მისი ერთადერ-

თი საქმე სიტყვაა, იგი კი არ იბრძვის - ჰ ა მ ლ ე ტ ს ა ვ ი თ „ხანჯლებით ლაპარაკობს“ [გამსახურდია კ., 1983, 285].

ინგლისური (და არამხოლოდ) ლიტერატურის კონცეპტუალური პერსონაჟის პორტრეტი ზდანევიჩზე საუბრისასაც ამოჩნდება. მწერალი-ესეისტი აღნიშნავს: „ქართული ბუნებისა და ტემპერამენტის საერთო ნაკვთებით ზდანევიჩი ვერ დახასიათდება. ზდანევიჩი შორს სდგას პათეტიურიდან, ამ მხრითაც იგი არაფრით ენათესავება ჰ ა მ ლ ე ტ ს (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნოველისტიკაშიც, ესეისტიკაშიც - ნებისმიერი ჟანრის ნარატივში - გამსახურდია გამუდმებით გამოლანდავს ქ ა რ თ უ ლ ი ხასიათის უარსებითეს შტრიხებს: „მგონია ქართულ ხასიათში მრავლადაა ძველი ბიზანტიური ელემენტები. მრავალი საუკუნის კულტურულ-ცივილიზაციურმა ურთიერთობამ ჩვენ ბიზანტიურ პათეტიზმს გვაზიარა. ამას მიუმატეთ აზიურ-აღმოსავლური რიტორობა და წრეგადასული სიმჭევრე“)... გიორგი ზდანევიჩის ბუნებაში, ბევრიც რომ ეცადოთ, ამ ნიშნებს თქვენ ვერ იპოვნით, ჰ ა მ ლ ე ტ უ რ პათეტიზმს ნახავთ თქვენ ილია ჭავჭავაძეში“ [გამსახურდია კ., 1983, 286]. ვფიქრობთ, ციტატა კონცეპტუალურია და დისერტაბელურ პრობლემასაც გამოკვეთს - „ჰამლეტური პათეტიზმი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ (ბუნებრივია, აღნიშნული რაკურსით კვლევა სცდება ჩვენი დისერტაციის ინტერესის სფეროს).

ესეში **„ტროასეული ცხენი“** წამოჭრილი პრობლემა კულტურის უნივერსალური ფენომენის იმპერიალისტურ-კოლონიუ(ალ)რ ასპექტში გამოყენების საფრთხეს ირეკლავს. მწერალი-ესეისტი მამულიშვილის, „მონაღვლის“ კატეგორიული, შეუვალი ტონით საუბრობს არაეროვნული უნივერსიტეტების და, ზოგადად, არაეროვნული განათლებით გამოწვეულ-განპირობებული გარდაუვალი კატასტროფული შედეგების შესახებ (პრობლემას გამსახურდია არაერთ ნაშრომში განიხილავს): „არაეროვნული უნივერსიტეტი რომ ეგზომ სანუკველი ყოფილიყო, მაშინ, მერწმუნეთ, გ ო ნ ი ე რ ს ა და გ ა მ ჭ რ ი ა ხ ე ვ რ ო პ ე ლ ე ბ ს ჩვენ ვერ დავასწრებდით ასეთ უნივერსიტეტის გახსნას. თვით ბატ. რადინის პროექტში ნახსენები შვეიცარიის უნივერსიტეტიც არ ეყრდნობა კულტურულ უნივერსალიზმს. იქაურ უნივერსიტე-

ტებში მ ხ ო ლ ო დ ი ს ე თ ი ე ნ ე ბ ი ა გაბატონებული, რომელზედაც უახლოესს კანტონების უმრავლესობა ლაპარაკობს და სწერს. ასეა ბაზელში, ჟენევაში, ლოზანაში... მარისებური *[ნ. მარი - ვ. ქ.]* უნივერსიტეტი ან უმაღლესი სასწავლებლები ი ნ გ ლ ი ს ს გაუხსნია თავის დროზე ქაიროში, ბომბეისა და ტრანსვაალში - ი ნ გ ლ ი ს უ რ(ი) უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სახით. ამგვარ კოლეჯებში ი ნ გ ლ ი ს ი ს ქრისტიანულ მისიონერებსა და „ბრიტიშ კონსულადის" შეგირდებსა და მოხელეებს წვრთნიან ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ცივილიზაციის ცენტრალურ აზიასა და აფრიკაში გასავრცელებლად. ამგვარ უნივერსიტეტებს მ ე კ ო ბ ა რ ი *[მეკობრე - ვ.ქ.]* ბ რ ი ტ ე ბ ი თავიანთ(ი) პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ მუდამ. ამგვარ უნივერსიტეტებში უსათუოდ სახელმწიფოს კ ო ლ ო ნ ი უ რ ი ინტერესი დაჩრდილავს ყოველგვარ ინდივიდუალურ ეროვნულ სულსა და შემოქმედებას" **[გამსახურდია კ., 1983, 290]**.

მწერალი „ტროას ცხენს" ადარებს ინტერნაციონალურ უნივერსიტეტებს: „რაიც შეეხება „ინტერნაციონალურ უნივერსიტეტს" კავკასიაში, ეს, ჩვენის აზრით, იგივე „ტროასეული ცხენია", რომელსაც თვით პატივცემული აკადემიკოსი [ნიკო მარი] იხსენიებს. ეს განმანათლებელი ინსტიტუტი, რომელიც ეგზომ თვალმომჭრელ სიქველედ ეჩვენება ზოგიერთს, სწორედ ისეთ(ი) ს ა შ ი შ (ი) კ უ ლ ტ უ რ უ ლ(ი) კ ო ნ ტ რ ა ბ ა ნ დ ი ს შემოტანას ნიშნავს ტიფლისში, რომელიც ბერძნის ჯარისკაცებზე მეტ საფრთხეს უმზადებს როგორც ქართველ ერს, ისე - დანარჩენ მის მეზობლად მოსახლე ერებს კავკასიაში" **[გამსახურდია კ., 1983, 292]**

(კონსტანტინე გამსახურდიას რომანისტიკაში ფიქსირებულ ინგლისურ რემინისცენციებზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, ვფიქრობთ, უპრიანია აქვე დავიმოწმოთ კონცეპტუალურად მსგავსი თვალსაზრისის ანარეკლი „მთვარის მოტაცებაში": „კეთილო ფრაუ, თქვენ, ევროპელები, ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნეთ, ე.ი., ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ, ან ვართ, ე.ი., თქვენ დაგემსგავსოთ. და თქვენ ეს მოგდით, კეთილო ფრაუ, არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება,

რომ ყველანი თქვენა გგავდეთ. თქვენ ბევრნი ხართ, ჩვენ - ცოტა, თქვენ გინდათ იმავე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას - ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად, ჯონი, ჟანი ან ჰანს გვერქვას. თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენს ენებზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა, თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავტომობილებს შევეჩვიოთ, თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენსაზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთები ვიწამოთ, ჩვენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ, თქვენმა გემებმა ჩვენს ზღვებში თავისუფლად ითარეშონ და, თუ ჩვენ მათზე თავდასხმას გავბედავთ, მაშინ უთუოდ „მეკობრებს“ დაგვიძახებთ, როგორც ძველი ბერძნები. რაც შეეხება ჩანგალს, მე მანამდის ხელით ვსჭამ, ვიდრე ჩვენსავე ქარხნებში გაკეთებულ ჩანგლებს არ მომიტანენ.“

ციტატა პროფეტული ნიჭით დანახული რეალობაა, რომელიც არ კარგავს აქტუალობას).

ენისადმი მწერლის სათუთ დამოკიდებულებას კონსტატირებს გიორგი ნატროშვილი წერილში „დიდოსტატის საუკუნე“: „თოთხმეტი წლისა გაეშურა დედაქალაქის სანახავად, გული დაეწვა, როდესაც დაინახა, რომ ქართული ასოები მხოლოდ თონეებსა და სახაშეების აბრებზე იყო წაწერილი“ **[ნატროშვილი გ., 1991, 116]**.

მსგავსია თეიმურაზ მაღლაფერიძისეული აღქმაც კონსტანტინე გამსახურდიასეული კონცეპტებისა წერილში „ინტერლუდია - „შავჩოხიანები“ **[მაღლაფერიძე თ., 1996, 7]**.

ესეში **„ქართველობა და უცხოეთის გენია“** გამსახურდია ხაზს უსვამს საქართველოს როლს გეოპოლიტიკურ რუკაზე: „ცხადია, დიდი ერის ნატეხი ვართ. თუმცა წარსულშიაც არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთი ბაზისი ახალ იდეათა და მიმდინარეობათა, როგორიც ძველი ინდოეთი, სპარსეთი, ახალი საფრანგეთი, გერმანია და ი ნ გ ლ ი ს ი“ **[გამსახურდია კ., 1983, 292]**.

ციტატაში ხაზგასმულია ბრიტანეთის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ, უპირველესად, კულტურტრეგერული როლი. როგორც ზემოთაც არაერთგზის აღვნიშნეთ, გამსახურდია ხსენებულ კონტექსტშიც გამოკვეთს მცირერიცხოვანი კულტურული ერისათვის „სამკვდრო-სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან" *(დეფინიცია მწერლისეულია - ვ.ქ.)* პრობლემას, ახდენს ფაქტის კონსტანტირებას: „მართალია, თანამოაზრეთა სიმრავლეს დიდი წილი უძევს ერის კულტურულ-ცივილიზაციურ მუშაობის განაყოფიერებაში, მაგრამ აქ უბრალო პროპორციის კანონების მობოდიშებით ვერას დავამტკიცებთ: განა ძველი ელადა ყველა თავის მეზობელ ერზე უფრო მცირერიცხოვანი არ იყო?! მაგრამ ილიონის ბჭეებთან აქაველების გამჭრიახობამ ტროელთა მრავალრიცხოვნებასა სძლია. რელიგია ჰომეროსისა, მოსეს, ქრისტესი, მცირერიცხოვანმა ერებმა არ წარმოშვეს?!" **[გამსახურდია კ., 1983, 293]**.

კონცეპტის გაგრძელება - მწერლის აზრით, „ჩვენი ისტორიული როლი შემაერთებლისას ჰგავს. სპარსულ, მცირეაზიურ კულტურას ელლინურ-ბიზანტიურთან ვაკავშირებდით და ჩვენს ეროვნულს, სპეციფიურ ქართულ სახესა და ხატს ვაძლევდით ხოლმე. საკუთარ ნიადაგზე მდგარნი, ორ ძუძუსა ვწოვდით, ჩვენი სამშობლო ორ(ი) კულტურულ(ი) ნაკადის შემაერთებელ აუზს წარმოადგენდა„ **[გამსახურდია კ., 1983, 295]**. მწერალი იქვე ახდენს ფაქტის კონსტატირებასაც, რომ „ჩვენი ბერები მონასტრის კედლებშიც ერის კაცებად რჩებოდნენ, ერისათვის, „სოფლისათვის" ზრუნავდნენ. მოიგონეთ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი, კლარჯეთის მაშენებელნი!"

წერილში **„ცოტა რამ თანამედროვე ინტერნაციონალურ პოლიტიკისათვის"** მწერალი-ესეისტი თითქოს აგრძელებს თემას ყოველი იმპერიის ისტორიული სასრულობისა და ბრიტანულ კოლონიალიზმსაც გარდაუვალ ბედს უწინასწარმეტყველებს: „ყველა ხედავს, რომ მარადიული მშვიდობიანობისთვის ისევე არ აღმოჩნდა ადგილი ევროპელ რასსათა ზრახვებში, როგორც ევროპისა და ამერიკის გეოგრაფიულ ქარტაზე ცნობილ(ი) ი ნ გ ლ ი ს ე ლ(ი) ე კ ო ნ ო მ ი ს ტ ი ს მიერ აღმოჩენილი კუნძული უტოპია. დღეს ყველამ იცის, რომ მარადიული მშვიდობიანობა

მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა იმ ადგილებზე, სადაც დღეს ე ვ რ ო პ უ ლ ი რასსები ბინადრობენ, ეგვიპტისა და ასურეთისებური სამახსოვრო კოლონები და სარკოფაგები აღიმართებიან... სერ-ედვარდ გრეიმ ამ რასათა ჭიდილში ი ნ გ ლ ი ს ს იმის მხარეზე გადაასროლინა სასწორში ხრმალი, საითკენაც მისი კოლონიალური და სხვა წმინდა მატერიალური ინტერესები იხრებოდა. წ ყ ა ლ თ ა დ ა ზ ღ ვ ა თ ა უ ს წ ო რ ო მ ე ფ ე მ, დ ი დ მ ა ბ რ ი ტ ა ნ ი ა მ *[შდრ. ბრიტანეთი - „ზღვათა მეუფე" - ჯეიმზ ჯოისის „ულისეში" - ვ.ქ.]* ნაყოფიერი და ვრცელი ინდოეთის ახალშენები არ იკმარა, გამჭვირვალე და სრულად უნაყოფო ჰაერიც კი შეშურდა თავის სისხლითა და რასიულად მონათესავე გერმანელთა ერისათვის... *[საცნაურია პოზიცია გერმანოფილი გამსახურდიასი - ვ.ქ.]*... იტალიაში მყოფ ი ნ გ ლ ი ს ელ *[ინგლისის - ვ.ქ.]* საელჩოებს, ლოდინისაგან გაფუჭებული სისხლის გარდა,

დ ი დ ი ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს გემების წონა ოქროც დაეხარჯათ, მაგრამ ი ნ გ ლ ი ს მ ა შეუდარებლად დააგვირგვინა თავისი შ ე უ დ ა რ ე ბ ე ლ ი, წ მ ი ნ დ ა ბ რ ი ტ ა ნ უ ლ ი წ ა ს ი ს ი ნ ე ბ ი ს პოლიტიკა."

ამავე ესეში ვკითხულობთ (მწერალი, თითქოს, თავს იზღვევს): „ი ნ გ ლ ი შ მ ე ნ ის" დახასიათება თუ გსურთ, წაიკითხეთ ინგლისელი მწერლის - უ ე ლ ს ი ს რომანი მისტერ ბრიტლინგმა თასი გამოსცალა", რომელშიც, გამსახურდიას მართებული დაკვირვებით, თავად ინგლისელია „პირუთვნელი" თავისი სამშობლოს პოლიტიკის აღწერისას.

გამსახურდია არ იკმარებს ჰერბერტ უელსის დამოწმებას და აგრძელებს: „ამაზე უკეთესად ახასიათებს ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ს ერთი ფრანგი მწერალი *[გამსახურდია არ აკონკრეტებს, კერძოდ, რომელი - ვ.ქ.]* პატარა, სხარტულად დაწერილ მოთხრობაში. „როცა, მე ჯერ კიდევ კოლეჯში ვსწავლობდი, - ამბობს ავტორი, - ერთი ახირებული ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ამხანაგი მყავდა, იგი ჩინებული ბოქსიორი იყო, მაგრამ არავის იწვევდა ბოქსში, სამაგიეროდ, ძლიერ უყვარდა ამხანაგების ერთიმეორეზე წაქეზება. ბოქსში სწვრთნიდა და საკრივო ხელოვნებას ასწავლიდა არა მარტო თავის ტოლებს, უმცროს ამხანაგებსაც კი, თვითონ თა-

ვის პაიპს, ყალიონს გააჩაღებდა, შორიახლო ქვაზე წამოსკუპდებოდა და სიამოვნებამორეული შეჰყურებდა, თუ როგორ უსისხლიანებდნენ ცხვირ-პირს ერთიმეორეს მოკრივე ამხანაგები."

ფრანგული ციტატის დამოწმების შემდეგ, გამსახურდია აზოგადებს ზემოთქმულს და ასკვნის: „მართლაცდა, ჩინებულად არ აწარმოებს დიდი ბრიტანეთი ამ შორიდან მეთვალყურე ბოქსიორის როლს?! არამარტო ევროპის კონტინენტებზე, არც ინდოეთში, არც მალაის, არც ახალი ზელანდიის, ავსტრალიის კუნძულებზე არ დაუტოვებია ინგლისს არც თეთრი და არც ფერადკანიანი ხალხი, რომელიც გერმანელებისათვის, ჰაერის ამ მეუფეებისთვის, არ მიესისინებინა" [გამსახურდია კ., 1983, 298]. კვლავ სახეზეა მწერლის გერმანოფილური სულისკვეთება.

ჩაურთავს რა ესეში პირველი მსოფლიო ომის ერთ უმძიმეს ეპიზოდზე მსჯელობას, გამსახურდია წერს: „1914 წლის ნოემბერში, როცა გერმანელმა გენერალმა ფ. ბესლერმა 42-სანტიმეტრიანი ზარბაზნები მიაყენა თვით ნაპოლეონის მიერ აუღებელ ციხეს ანტვერპენისას და სიმაგრის ბასტიონები სოკოებივით ძირს ჩამოყარა, ყველაზე უწინ ი ნ გ ლ ი ს ე ლ მ ა ესკადრონებმა უშველეს თავს გაქცევით. ... ერთი მეგობარი წერს: სულ 3-ოდე თვის წინათ გავიარე 3 მეომარი სახელმწიფოს: საფრანგეთის, ი ნ გ ლ ი ს ი ს და რუსეთის სატახტო ქალაქები. არაფერს ვიტყვი სამხრეთ საფრანგეთის, უმშვენიერეს შამპანის მიდამოების გაჩანაგებაზე" [გამსახურდია კ., 1983, 298].

მწერალი ხედვის კუთხეს ანაცვლებს და ფრანგული და ინგლისური მენტალობის თავისებურებების საკუთარ აღქმას გვთავაზობს: „ლ ო ნ დ ო ნ შ ი ზღვა ხალხი დაგანგაშობს ქუჩა-ქუჩა. ყველგან კმაყოფილებისა და სიამაყის იერგადაკრული მაღალი, აწეული თავები... გონიერ ი ნ გ ლ ი შ მ ე ნ ს შამპანში და არგონის ტყეებში მოგრიალე ზარბაზნების და მიორზერების გრიალი იმდენად აწუხებს, რამდენადაც - თავის(ი) საყვარელ(ი) ჩიბუხიდან ამდგარი ალისფერი ბოლი. თუ მართლაც ევროპიელი ბიურგერის კეთილდღეობა კუჭით განიზომება, მოგეხსენებათ: პ ა რ ი ზ შ ი 4,5 ფრანკზე ნაკლებ(ად) სადილს ვერ სჭამთ, რაც გინდა ხელმომჭირნეობა გამოიჩინოთ. ლ ო ნ დ ო ნ შ ი ამდენი ფულით საუზმეს, სადილსა და ვახშამსაც მიირთმევთ. მთელი დღეები დავ-

დიდი ქუჩებზე, მინდოდა ასეთი ატრიბუტები აღმომეჩინა ან ქუჩის, ან რესტორანების ცხოვრებისათვის, ან ქუჩაზე მოსეირნე ბრიტანელების სახეზე, მაგრამ ამაოდ" **[გამსახურდია კ., 1983, 299].**

ესეს ფინალურ პასაჟებში კონსტანტინე გამსახურდია ინგლისელებს კიდევ ერთხელ იხსენიებს „მეკობარი [მეკობრე] ბრიტების" სახელით და იმეორებს კონცეპტს, რომელიც მსჭვალავს მთელ პუბლიცისტურ ნარატივს გაანალიზებული ტექსტისა: „ი ნ გ ლ ი შ მ ა ნ ი ს ფსიხოლოგიას სეირის ბოლომდე ყურება უნდა. განაგრძნობდნენ რომანელები და სლავიანელები საომარ კამპანიას? ამით თავიანთ თავს მეტს ავნებდნენ და დ ი დ ი ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს კუნძულზე შესკუპებულ „ენგლიშმენს" კი ჯერაც არ მოსწყენია შორიდან მეთვალყურე "ბოქსიორის" როლი...." **[გამსახურდია კ., 1983, 299].**

ესეში **„აპოლიტიკოსის წერილები"** მწერალი-ესეისტი განაგრძობს ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული ვითარების ანალიზს და კიდევ ერთხელ იმეორებს არაერთგზის ფიქსირებულ თვალსაზრისს, რომ „ჩრდილო გერმანელებმა და ა ნ გ ლ ო -ს ა ქ ს ე ბ მ ა უორგულეს თავიანთ სისხლითა და თესლით ნათესავებს - გერმანელებს."

აშკარაა, „რა ნესტრით ნაჩხვლეტი" წერს კონსტანტინე გამსახურდია ამ ესეს. ტექსტის ერთგვარ რეზიუმედ შეიძლება პირდაპირ გაგვემეორებინა ციტატა წერილიდან ულიანოვ-ლენინისადმი - „ჩემში ლაპარაკობს ტკივილები ჩემი ხალხისაო."

ესეს კითხვისას საცნაური ხდება, რა სიღრმისეულად ერკვევა მწერალი თანადროული ეპოქის პოლიტიკურ კონტექსტებში: „რომანების *[რომანული გენეტიკის ერების - ვ.ქ.]* რევანშის წყურვილმაც ძუძუ აწოვა ევროპიულ ომს. ბოლოს რა გამოვიდა? არსებითად, პანსლავიანიზმი ტრიუმფს იხდის. ბუნებრივი დაჯგუფება მებრძოლ(ი) ხალხების ასე(თი) უნდა ყოფილიყო: გერმანია, ი ნ გ ლ ი ს ი, ავსტრია, ჰოლანდია, შვეიცარია და სკანდინავია, მეორე მხარეს - ფრანგები, იტალიელები და სლავიანელები. გერმანთა ხალხების პოლიტიკის პირდაპირი მიზანი იყო 1914 წლამდის მ ო ნ გ ო ლ უ რ რ უ ს ე თ ს ა და ევროპას შორის მაგარი ზღუდე გაევლოთ, ამ პოლიტიკურ გეზს ადგა ი ნ გ ლ ი ს ი 1821 წლიდან 1854 წლამდის... გაიხსენეთ, როგორი ბრძოლა

ჰქონდა ინგლისს ნიკოლოზ პირველთან ამის გამო. ი ნ გ ლ ი ს ი ს პირდაპირი მიზანი იყო რუსეთის გაძევება ბალკანეთიდან; მას თვალში ეჩხირებოდა, რომ რუსეთი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ფეხს იდგამდა. ნიკოლოზ პირველის გზას ნიკოლოზ მეორე უპირებდა დაგვირგვინებას" *[გავიმეორებთ არაერთგზის კონსტატირებულს - ევროპული ომის კონტექსტების ანალიზისასაც მთავარი „წყევლაკრულვიანი საკითხავი კონსტანტინე გამსახურდიასათვის, რასაკვირველია, კვლავ საქართველოს საკითხია - ვ.ქ.]*...

ერთი თვის წინად მთელი იტალიანური პრესსა გერმანიას შეჰყურებდა, როგორც ბუნებრივ მოკავშირეს სლავიანელების წინააღმდეგ. უნდა ვირწმუნოთ, რომ ა ნ გ ლ ო - ს ა ქ ს ე ბ ი ც შეიგნებენ, თუ როგორ მოუარონ საერთო ევროპიულ საქმეს... მე ვახსენე „საერთო ევროპიული საქმე" - ლეოპოლდ ფონ რანკემ თავის „მსოფლიო ისტორიაში" გამოჰყო გერმანელები, რომანები და ა ნ გ ლ ო-ს ა ქ ს ე ბ ი სხვა დანარჩენი ერებისაგან - მათ საერთო-ევროპიულ ერთა ოჯახი უწოდა. ეს შეხედულება ზედმიწევნით სწორია. ესენი სხვადასხვა მხარეს აღმართული შტოა ერთი და იმავე ხისაო, ამბობდა რანკე" **[გამსახურდია კ., 1983, 311]**.

გენეტიკაზე მოკლე ექსკურსის შემდეგ, მწერალი გეოგრაფიულ კონტექსტსაც გადასწვდება და აღნიშნავს, რომ „ინგლისის სეპარატიულმა მდგომარეობამ კონტინენტთან *[კონტინენტისაგან განცალკევებულობამ, კუნძულებზე მდებარეობამ - ვ.ქ.]* დაარღვია ამ ევროპიულ ერთა ოჯახის სოლიდარობა - როგორის დამცინავი ღიმილით გადმოჰყურებდნენ ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ე ბ ი ლამანშ პა დე კალის გადმოღმა მცხოვრებთ! ეს ღიმილი მე მომაგონებს დიდვაჭარს, რომელიც ზევიდან დაჰყურებს პაპიროსების გამყიდველ ქუჩის ბოგანოს. ეს ვნახე მე ი ნ გ ლ ი ს უ რ ლიტერატურაში, ეს არაერთხელ მინახავს მე ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ს თვალებში, როცა მას კანალს *[ლა-მანშის სრუტე, ინგლიშ ჩენელ - - ვ.ქ]* გადმოსული კაცი ფრანგულად ელაპარაკები. ბ რ ი ტ ა ნ ე ლ მ ა ვერ მოითმინა, რომ ამ პატარა ვაჭარმა დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი და დიდი ფლოტი გაიჩინა. ი ნ გ ლ ი ს ი მუდამ ეჭვის თვალით უცქეროდა ყველას, ვინც ევროპაში გაძლიერებას დააპირებდა. მოიგონეთ ბრძოლა ესპანიასთან. კორსიკელის თავხედური დანინაურება და ნაპოლეონის ომები. ვატერლოოს გამარჯვების შემ-

დეგ ი ნ გ ლ ი ს ს ნიკოლოზ პირველი უნდა დაემხო. აკი ვერ აიტანა ევროპის რევოლუციის ჟანდარმმა და, როცა სევასტოპოლთან გადმოსხმულმა ფრანგ-ინგლისელთა დესანტმა რუსებს სირცხვილი აჭამა, ნიკოლოზ პირველს ბრაზით გული გაუსკდა. მეორე ნაპოლეონიც გაუჩნდა დ ი დ ბ რ ი ტ ა ნ ე თ ს. ეს იყო ვილჰელმ II. დღეს ამ უკანასკნელ თავხედსაც ან წმინდა ჰელენეზე გააგზავნიან, ან - ეშმაკის კუნძულზე. ნაპოლეონის ომებში ა ნ გ ლ ო-გერმანელები, სლავიანებთან ერთად, ფრანგებს ჰმუსრავდნენ. ამ ომში კეხი უკუღმა მოაბრუნეს. ერთი დიდი კურიოზიც მოხდა ამ ომში, რომელიც არავის არ გაჰკვირვებია. ი ნ გ ლ ი ს მ ა, რუსებს გარდა, სხვა მონგოლური სისხლის ხალხიც გაჰრია ამ საერთო ევროპიულ ოჯახის საქმეში. ეს იყო იაპონია, ევროპელები საერთოდ ებრძოდნენ არაბებს, სელჯუკებს, მონგოლებს, დღეს ი ნ გ ლ ი ს მ ა სამართებელივით მძაფრ იარაღად მომართა იაპონია გერმანიის წინააღმდეგ. ეს სამართებელი ფრიად სარგო და სახმარი იარაღია, მაგრამ მითი საკუთარი ყელის გამოჭრაც შეიძლება" [გამსახურდია კ., 1983, 312].

მწერალ-ესეისტს ამ მოცულობით პასაჟებში, რომელნიც საგანგებოდ მოვიხმეთ კუპიურების გარეშე, ჩვენი თვალსაზრისით, მწერალი-ბელეტრისტი ჯაბნის. აქ, ფაქტობრივად, იმავე რანგის მსჯელობაა აღნიშნულ ეპოქასთან დაკავშირებით, რაც - ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში", კერძოდ, ნაპოლეონის კამპანიის პიერ ბეზუხოვისეული შეფასების პასაჟებში.

ბეზუხოვიც ამუნათებს (სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, რასაკვირველია) ი ნ გ ლ ი ს ს ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლისა გამო.

წინამდებარე ესეშიც ზედაპირზე ძევს გამსახურდიას გერმანოფილური მისწრაფებები, როდესაც ინგლისელს დაიმოწმებს საკუთარი პოზიციის მართებულობის დასადასტურებლად: „ომის დროსაც მარწმუნებდა ერთი ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი მეცნიერი, ანრი ემერი - „გერმანია ერთადერთი ქვეყანაა ევროპაში, სადაც სამუშაოდ და გ ო ნ ე ბ რ ი ვ ა დ მ ო ს ა ღ ო ნ ი ე რ ე ბ ლ ა დ მოვდივარო" [გამსახურდია კ., 1983, 312].

უფრო გროტესკულ ბელეტრისტულ (ვიდრე საკუთრივ ესეისტურ) მონასმად აღიქმება პასაჟი, თითქოს „თეოლოგი თეო-

დორ ბრიტი ამტკიცებდა, რომ ქრისტეს სიტყვებში - „გიყვარდეთ მტერი თქვენი“ - ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი არაა ნაგულისხმები, ინგლისელები ეშმაკით შეპყრობილები არიანო“ [გამსახურდია კ., 1983, 314].

ესეშივეა დაზუსტებული ერთი ბატალური პასაჟიც პირველი მსოფლიო ომისა, უშუალოდ დაკავშირებული ინგლისის უახლეს ისტორიასთან: „ახალი დოკუმენტების მიხედვით, უკვე გამოირკვა, რომ გერმანიას სულ ასიოდე წყალქვეშა ნავი ჰქონდა. ამ ძალებით ადმირალ ტირრპიცმა წარბშეუხრელად განაგრძო წყალქვეშა ბრძოლა ი ნ გ ლ ი ს ი ს ფლოტის წინააღმდეგ, მიუხედავად ამერიკის განცხადებისა, რომელიც წინასწარ აფრთხილებდა გერმანიას, რომ რადიკალური წყალქვეშა ომი მას აიძულებდა, ომში ჩარეულიყო“ [გამსახურდია კ., 1983, 318].

თუკი ზემოთ განხილულ ესეებში მწერალი გლობალურ პრობლემებს, პირველი მსოფლიო ომის პლანეტარულ კატასტროფას აანალიზებს, ესეში „რომში“ პერსონალურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და ლოკალსაც ავიწროებს: „1920 წ. პირველ იანვარს ბათუმის ბნელსა და ვიწრო ქუჩებში შევხვდი. ახალი წლის დასახვედრად ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ მ ა ნავთსადგურში გემები ააყირავეს... ხვალ ახალი წელია... 1920 წ. ნავთსადგურში ელექტრონით გაჩაღებული ი ნ გ ლ ი ს ე ლ თ ა კრეისერი სადღესასწაულოდ გაჩირაღდნებულ შობის ხეს მომაგონებს“ [გამსახურდია კ., 1983, 319].

ქართულ პუბლიცისტურ ნარატივში კონსტანტინე გამსახურდიამდე ინგლისელთა ყოფნა ბათუმში დავით კლდიაშვილის მემუარებში („ჩემი ცხოვრების გზაზე“) არის დაფიქსირებული:

ესეში, ინგლისურ ალუზია-რემინისცენციათა პარალელურად, ამერიკაც გაკრთება, როგორც უნივერსიტეტებისა და მუზეუმების სივრცეთაგანი. წუხილითა და დარდითაა კონსტატირებული: „ რა მცირე ადგილი უკავია ამ სამყაროზე მაღალსა და ღვთაებრივს. დაითვალეთ, რაც ევროპაში და ამერიკაში უნივერსიტეტები, მუზეუმები და სამხატვრო და საქანდაკო სალაროები, თეატრები და ტაძრებია, გამოიანგარიშეთ რამდენი კვადრატული მეტრი მიწა უკავია ქვეყანაზე კულტურისა და ხელოვნების საუნჯეებს“ [გამსახურდია კ., 1983, 332].

თემა კულტურის ცივილიზაციით ჩანაცვლებისა გრძელდება ესეში **„ფრაგმენტები“**, რომელშიც აღნიშნულია, რომ „რევოლუციონური *[ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია ავტორისეულია - ვ.ქ.]* ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სტოვებს მშობლიურ პენატებს და ტრადიციულ ევროპას და კოლუმბის ქვეყანაში იშენებს სამოცსართულიან კოშკებს. ამ ფანტასტიურ(ი) ამერიკულ(ი) კოშკების *[ცათამბჯენების - ვ.ქ.]* მოდელი არც ერთ ერსა და არც ერთ საუკუნეს არ ახსოვს. ახალი, ჯერ უცნობი პრინციპები იბადება ხუროთმოძღვრებაში. რკინისა და ფოლადისაგან იშენებს ახალი თაობა თავის საცხოვრებელს. ამ სახლში ცხოვრობენ ახალი ტიპის ადამიანები, ქარხნის მუშები, მილლიონები, კოჟრიანი ხელებით რომ ჰქმნიან ეროვნულ სიმდიდრეს. აწი თეატრებიც ამ მილიონებისათვის უნდა გააკეთონ. ასე ლონდონში, პარიზში და ბერლინშიც ჩნდება ქარხნის მუშა“ **[გამსახურდია კ., 1983, 341]**.

ამერიკის ხსენებისას, მწერალი ყოველთვის პედალირებს ცივილიზაციის ზეობას კულტურაზე. ესეში **„მოზაიკები“** კონსტატირებულია, რომ საზოგადოებრივი (და თავად მწერლისეულიც) „პროტესტი მიმართულია იმ საშინელი ამერიკანიზმის, იმ კოლოსალური მექანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე გაიტაცა ჩვენი საუკუნე. პოლიტიკურად ეს ამერიკანიზაცია საგრძნობელი გახდა ევროპაში მას შემდეგ, რაც ამერიკელი იანკები თავიანთი ტანკებით მოედნენ ფლანდრიის და შამპანიის მიდამოებს, გაუგონარი ამბავი: რომ ფერადი ხალხები მოსულიყვნენ ევროპის შინაურ საქმეებში ჩასარევად! *[ეს მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია კი არა, ანტიციპაციაცაა, წინასწარმეტყველება - ვ.ქ.]*.... ამ ამერიკანიზმს ახასიათებს წრეგადასული ბატონობა რაციონალიზმისა და უსასოო სკეპტიციზმი, ნიშანდობლივი თვისება ყოველივე დეგენერაციისა და სულიერი დეგრადაციის. ადამიანობა მეოცე საუკუნეში ველური პსიხოზითაა შეპყრობილი. ამ უსაშველოდ მოფუსფუსე ეპოქას ახასიათებს გადაჭარბებული მნიშვნელობების მიწყვა მატერიალურ(ი) ფაქტორებისადმი, თითქოს არ წერილ იყოს, რომ სიცარიელე შთანთქავს სამყაროებს და ისევე ცარიელი დარჩება ბოლოს“ **[გამსახურდია კ., 1983, 352]** - მწერალი ბიბლიას ციტირებს თუ პერიფრაზირებს.

ლავროსი კალანდაძე იგონებს მწერლისეულ მრწამსს: „მწამს და ვიცი არსთაგამრიგის უსათუობა. უაზრობაა, უგუნურებაა წარმოიდგინო სამყაროს საოცარი წესრიგი უზენაესი გონივრული საწყისის გარეშე“ [კალანდაძე ლ., 1984, 150].

მწერლის დაკვირვებული თვალი პოლიტიკურ ტრანსფორმაციებსაც ფხიზლად აღიქვამს და ასკვნის: „როგორც სახელმწიფურ, ისე ხელოვნურ, არტისტულ ფორმებს საფრანგეთი უფრო ხშირად იცვლის, ვიდრე კონსერვატორული ი ნ გ ლ ი ს ი, ან გერმანია. ფრანგული გენია მეტამორფოზის ჩქარ განცდაში მეტყველდება, გერმანულ-ა ნ გ ლ ო ს ა ქ ს უ რ ი სტაბილურ კონსერვატორობაში იხატება“ [გამსახურდია კ., 1983, 354]. პასაჟში გამკვეთრებულ-ამოწერილია კონკრეტულ ერთა ხასიათის არსებითი მახასიათებლები.

საინტერესოა, რომ მოდერნულობის კონცეპტის ანალიზისას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ერთ-ერთ არსებით ცნებად იაზრებს „წესრიგს“ *[ვფიქრობთ, აქ „წესრიგი“ კონსერვატიზმს, კონსერვატულობას უნდა გულისხმობდეს - ვ.ქ.]* - ბაუმანის აზრით, არსებობა (ეგზისტენცია) მოდერნულია, რამდენადაც ის წესრიგად და ქაოსად იყოფა“ [ანდრონიკაშვილი ზ., 2010, 13].

ეპოქის ფილოსოფიური იდეების კანონმდებლებად ესეისტს ნიცშე, „მისი მონაფე“ ბერგსონი და ი ნ გ ლ ი ს ე ლ თ ა გ ა ნ - „პრაგმატიკოსი“ *[როგორც გამსახურდია იხსენიებს - ვ.ქ.]* ჯეიმსი.“

კონსტანტინე გამსახურდიასეული კონცეპტი ნიცშესთან მიმართებით გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში: „ზარატუსტრას“ პრობლემატიკასა და ძირეულ იდეათა წრეს კვებავს ევროპული კაცობრიობის წიაღში მიმდინარე კრიზისული პროცესები, უფრო მეტიც, მსოფლიო ლიტერატურაში ცოტაა ნაწარმოები, რომელიც „ზარატუსტრასათვის“ დამახასიათებელი ფილოსოფიური საფუძვლიანობითა და პოეტური სახოვნებით გვიხატავს დასავლური საზოგადოების მძიმე სენს“ [ბუაჩიძე თ., 2014, 412].

პრაგმატული სულის ზეობის მიუხედავად, გამსახურდიას დაკვირვებით, „ეგზოტიურის“ კულტიც განაგრძობს არსებობას და „ეგზოტიური თემები რომანებში და მოთხრობებში, რომე-

ლიც მხოლოდ ი ნ გ ლ ი ს ი ს ლიტერატურას ახასიათებდა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ი ნ გ ლ ი ს ე ლ თ ა მსოფლიო მონარქიის ვრცელი პოლიტიკურ(ი) და კულტურულ(ი) ჰორიზონტების წყალობით, უკვე გერმანიის (ჰერმან ჰესსე, სტეფან ცვაიგი, მაქს დაუტანდაი), ისე დანიის (იოჰანეს ვ. იენსენ) და საფრანგეთის (პიერ ლოტიდან) პოეზიაში და ლიტერატურაში ხშირდება... ამიერიდან ექზოტიკოსებისათვის ჰქრება „ზოგადად ევროპულ" თემათა ჩარჩოები, ზოგადევროპული პატრიოტიზმი. ხელოვანის თვალი და გულისყური კოსმიურ პანორამებისკენაა მიქცეული. ამ კოსმიურობის პოეტებს ჯერ წარსული საუკუნიდან ახსოვთ ამერიკელ უ. უიტმანის ანდერძი: „უიტ უიტმანი - კოსმოსი მთელი"... ევროპაში იშვება უიტმანისტური ახალი პოეზია კოსმიურ დინამიურ შტრიხებით" **[გამსახურდია კ., 1983, 356].**

მწერლის ანტიციპაციური მზერა ევროპული და ამერიკული კულტურა-ცივილიზაციის გარდაუვალ ურთიერთშერწყმა-ზეგავლენას აფიქსირებს ესეში.

კულტურისა და ცივილიზაციის ფენომენთა არსს კონსტანტინე გამსახურდია მრავალ ტექსტში უღრმავდება, მაგრამ განსაკუთრებული განაზრებანი **„მეტაფიზიკოსის დღიურში"** გვხვდება. მწერლის მრწამსით, „კულტურა გენიალობაა, ცივილიზაცია - რაციონალობა. პირველი - ლაღი შემოქმედების ნაყოფი, მეორე - გონების ძალით ნაცოდვილები. კ უ ლ ტ უ რ ა ვატიკანია, სან პიეტრო, მილანის და კიოლნის ტაძრებში გაყინული მუსიკა. მეორე - გიგანტური ხიდები შპრეეზე, ტ ე მ ზ ა ზ ე და სენაზე, აპოკალიპსური ცხოველებივით რომ დამხობილან. კულტურა პოეზიით, ფილოსოფიით, ისტორიით, რელიგიით მეტყველებს. ცივილიზაცია რკინის ენაა - ეიფელის კოშკისა და სიმენს-შუკერტის და კრუპის გრანდიოზული ქარხნების საყვირების ცივი კივილი, რკინის ლიანდაგების ქსელი, მიწის გულს რომ სალტეებად შემორტყმული აქვს გარშემო" **[გამსახურდია კ., 1983, 365].**

ფაქტობრივად, ფორმულის დაწნეხილობითა და ლაპიდარულობითაა წარმოდგენილი არსი კულტურისა და ცივილიზაციისა.

საკითხზე მსჯელობისას, მწერალი-ესეისტი ევროპელთა ფსიქოტიპებს კიდევ ერთხელ უბრუნდება, რათა „ერთიანი ევროპის“ მოდელთაგან ერთ-ერთის არსი განსაზღვროს: „ნაპოლეონის იმპერია ფრანგული სისხლისა იყო, ხოლო - ი ნ გ ლ ი ს უ რ ი სტილის *[სტილით კი - ინგლისური - ვ.ქ.]*“ [გამსახურდია კ., 1983, 366].

ცივილიზაციის, როგორც კულტურის ანტითეზის, არსზე მსჯელობისას, მწერალი-ესეისტი ჰყვება, რომ „ლ ო ნ დ ო ნ შ ი დამუშავდა ევროპის ცივილიზაციის თეორია, ლ ო კ ი ს, შ ე ფ ს ბ უ რ ი ს და ბ ე რ კ ლ ი ს ხელით, ეს თეორია პარიზში გადაიტანეს ვოლტერმა და რუსსომ. ამ ვ ა ჭ რ უ ლ ი ი ნ გ ლ ი ს უ რ ი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ ი ზ მ ი ს სახელით იღვრებოდა სისხლი და სჭექდნენ ზარბაზნები იენაში, ვატერლოში, ლაიპციგსა და ბოროდინოში და ი ნ გ ლ ი ს უ რ მ ა სულმა ყველა ომებში გაიმარჯვა - დამარცხდა დასავლეთ ევროპის - ე.ი., საფრანგეთის კულტურა“ [გამსახურდია კ., 1983, 366].

დამოწმებული ციტატის მიხედვით, ცივილიზაცია ინგლისური ძირის ფენომენია, საპირწონედ საფრანგეთის კულტურისა.

უაღრესად საინტერესოა ეპოქალური სულის მწერლისეული ანალიზი, თანამედროვე ქალაქისა და ძველ კულტურათა სულისკვეთების შედარება: „ბუდისტური ნირვანა, ბერძნული „კატარზის“ სულისა (განწმენდა), ანტიური სტატუისებური მყუდროება როგორ დიამეტრალურადაა დაპირისპირებული ფაუსტის ფსიქიურ რევოლუციასა და შ ე ქ ს პ ი რ ი ს დრამის ტრაღიზმთან! წარმოიდგინეთ დიოგენეს და სოკრატეს *[დიოგენე და სოკრატე - ვ.ქ. - მწერალი იყენებს სახელთა ძველბერძნულ ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციას]* რომელიმე მოდერნულ დასავლეთის დიდ ქალაქში! ორივეს გლახაკების თავშესაფარში წაიყვანდა პირველი შეხვედრილი პოლიციელი. ფრიდრიხ ნიცშე რომანტიზმით შეპყრობილი დონ კიხოტი იყო, რომელიც ქრისტიანიზმის ქარის წისქვილებს ებრძოდა დასავლეთ ევროპაში. ქრისტიანული თანაგრძნობითი მორალი ევროპაში არასოდეს არსებულა... ვიკინგები და დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ს პ ო რ ტ ს მ ე ნ ი ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი სულ არ ჰგვანან ოდისეის სენტიმენტალურ მხლებლებს, რომელთაც იმდენი ნებისყოფა არ შესწევდათ, რომ სირენების

სიმღერის ჯადოსნურობისათვის გაეძლოთ.... დღეს „ცხოვრება“ დიდ ქალაქებშია. აზროვნების პირველი წყაროები ლ ო ნ დ ო ნ-შ ი, ბერლინში, ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ს ა და პარიზშია. დანარჩენი ქვეყანა პროვინციაა, ყრუ პროვინცია, სადაც ამ ქალაქებიდან მომავალ მატარებელს უცდიან მხოლოდ და ამ ქალაქებში ცხოვრება ქვების მოაჯირების ზღუდეში იხშობა. იბსენი და ბერგსონი აქ სტუმრებია, ამ ქალაქებში „გაქალაქელებული“ პროვინციელებია“ **[გამსახურდია კ., 1983, 371]**.

ფიოდორ დოსტოევსკისადმი მიძღვნილ ესეში მწერალი-ესეისტი აღნიშნავს, რომ ეპოქის გამორჩეულმა მოაზროვნემ „თავისი ნაწერები აავსო ედგარ პოეთი *[ანუ - ამერიკული რემინისცენციებით - ვ.ქ.]*: „ევროპის დიდ ცივილიზაციაზე და კულტურაზე მას ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მან ვაგონის ფანჯრიდან დაათვალიერა გერმანია, შვეიცარია, ერთი ღამეც ფლორენციაში და ორიოდე კვირა - ლ ო ნ დ ო ნ ი ს სიტის მიდამოებში და უკვე მზად იყო ზღაპარი „კბილჩამღძვრალ ევროპის“ შესახებ ... მას არ უნდოდა ანგარიში გაეწია იმ დიდ(ი) არტისტულ(ი) და ეთიურ(ი) კულტურისათვის, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელნი იყვნენ დანტე და გოეტე, შ ე ქ ს პ ი რ ი და მიქელანჯელო... მაგრამ ჩვენ გვიყვარს არა დოსტოევსკი- რომანსიე, არც დოსტოევსკი-სტილისტი, იგი ბლუკუნა გენიოსი იყო შ ე ქ ს პ ი რ თ ა ნ და დანტესთან შედარებით, არც თუ დოსტოევსკი-ჟურნალისტი, დილეტანტურად გადამჭრელი დიდი კულტურულ-ფილოსოფიური პრობლემებისა, არამედ - დოსტოევსკი - მისანი და ნათელმხილველი, მამამთავარი და წინამორბედი ძლიერი ეთიკისა და მსოფლიო გაგების, ამ პუნქტში იგი ძმურად ხელს უწვდის ჩვენი თანამედროვეობის შეუდარებელ ჰეროლდს, ფრიდრიჰ ნიცშეს“ **(„დოსტოევსკი“) [გამსახურდია კ., 1983, 388]**.

მსოფლიო მოვლენების ანალიზისას, საკუთრივ ქართული პრობლემატიკის კვლევისას მწერალი-ესეისტი ილიას მოიხსენიებს ეპითეტით „დიდი ანალოღოსი“ *[მსგავსი, ანალოგიური, მიმსგავსებული - ვ.ქ.]* მოსე წინასწარმეტყველისა და ჩაესმის „ახალი ყოფის ჯერაც ჰ ა მ ლ ე ტ ი ს ე ბ უ რ ი მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“ **[გამსახურდია კ., 983, 391]**.

ილიას პორტრეტი *[და სხვა „დიდი ანალოლოსისაც" - დიმიტრი ყიფიანისა - ვ.ქ.]* გაიელვებს ესეში **„ტრაგედიის გმირი"** - მწერლის დისკურსით, „დიდი საკითხია: ტრაგედიის გმირი უფრო დიდი კაცია, თუ ტრაგედიის ავტორი: ჰამლეტი თუ შ ე ქ ს პ ი რ ი, სოკრატე თუ პლატონი, დიმიტრი ყიფიანი თუ ილია ჭავჭავაძე" **[გამსახურდია კ. 1983, 395]**.

გამორჩეულ პერსონათა თანავარსკვლავედში მწერალ-ესეისტს, რასაკვირველია, არასოდეს გამორჩება შ ე ქ ს პ ი რ ი. ნიცშეს სათაურით ინსპირირებულსათაურიან წერილში **(„ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან"** - *შდრ. ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან" - ვ.ქ.)* გამსახურდია კიდევ ერთხელ ჩამოთვლის რჩეულთ: „იკვლევენ გზას ბნელი საუკუნეებიდან ჩვენამდის ქრისტე და ბუდდა, სოკრატეს და პლატონ, ჰომერი და შ ე ქ ს პ ი რ ი, რუსთაველი და გურამიშვილი" **[გამსახურდია კ., 1983, 401]**. შექსპირი გამსახურდიასეულ ნებისმიერ „შორთ-ლისტშია", როგორც კაცობრიული გონის განსაკუთრებული გამოვლინება!

ესეში **„ახალი სიტყვები"** კონსტანტინე გამსახურდია ი ნ გ ლისელებს მოიხსენიებს, როგორც „უგანათლებულეს ნაციას დღევანდელ ევროპისას" **[გამსახურდია კ., 1983, 410]**.

ეპოქის სულისკვეთებათა გააზრება, ბუნებრივია, წარმოუდგენელია თანადროულ ლიტერატურულ სკოლათა ანალიზის გარეშე. აღნიშნულ პრობლემას მწერალი-ესეისტი კონცეპტუალურ ესეს **(„იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი")** უძღვნის და სკოლის ადეპტად „ლამანშს გადაღმა" ოსკარ უ ა ი ლ დ ს ასახელებს.

მწერლის განმარტებით, „სიმბოლიზმი ეკზოტიკურ ლანდშაფტებსა და სივრცეს ელტვის. ამ სკოლის მწერლებს ხელოვნური სამოთხეები აქვთ, ხელოვნური ბაღები,

ო ს კ ა რ უ ა ი ლ დ ი ს და სტეფან გეორგეს ოცნებით შექმნილი" **[გამსახურდია კ., 1983, 419]**.

ექსპრესიონიზმიც, ცხადია, კულტურის ემანაციად აღუქვამს მწერალს, რომლის მრწამსითაც, „ყოველ დროში ყოფილა ექსპრესიონიზმი: როკოკო, რენესანსი, გოტიკა, საბერძნეთი, ეგვიპტე, სპარსეთი, რადგან ექსპრესიონიზმი ხელოვნური ემანაციაა ღვთაებრივი სულობის. როგორც ასეთს, მას ყოველი

კულტურა იცნობდა და შეიცავდა, რამდენადაც ყოველი დიდი სტილი რელიგიის პირმშო ყოფილა მარად. ექსპრესიონიზმი იყო ხალხების ყრმისებური მითების ტიტანში, სადაც მოთხრობილია უბინო ჩასახვა ღმერთისა და სასწაული სულისა. ასე უპანიშადებში, მაჰაბჰარატაში, ჩინურ პოეზიაში, შ ე ქ ს პ ი რ შ ი, შტრინდბერგში, ჩრდილოს ედებში, ყველგან და ყოველ დროს" **[გამსახურდია კ., 1983, 423]**.

შ ე ქ ს პ ი რ ს ა და გოეთეზე ახლოს, რუსთაველსა და ქართველი ერის „გენიასთან" (სულთან), გამსახურდიას თვალსაზრისით, „დანტე დგას თავისი დიდი ენტუზიაზმით და დიდი ტემპერამენტით. ამ მხრივ საგანგებო მონოგრაფიას მოითხოვს ბეატრიჩეს კულტი, ნესტანის კულტთან შედარებული *[კიდევ ერთი დისერტაბელური თემა - ვ.ქ.]* - ალიგიერი დანტე - ცამეტი მუნჯი საუკუნეის მაგივრად მეტყველი ოქროპირი" *[აკაკი განერელიაც აბსოლუტურად იზიარებს ამ კონცეპტს მონოგრაფიაში „რუსთაველი და დანტე" - ვ.ქ.]*.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვა ესეების მსგავსად, გამსახურდია ამ ტექსტშიც ჩამოთვლის კაცობრიული გენიის განსაკუთრებულ განმასახოვნებელთ: „ადამიანობას სულ რამდენიმე ანალოგიური სახელი მოეძევა: ჰომეროსი, დანტე, შ ე ქ ს პ ი რ ი და რუსთაველი. მათ შორის დაუსრულებელი პარალელების გაყვანა შეიძლება, ვისაც პარალელები უყვარს. პიროვნება ჰომერისა და შ ე ქ ს პ ი რ ი ს, პიროვნება დანტესი და რუსთაველის მუდამ ლეგენდარული დარჩება" **[გამსახურდია კ., 1983, 424]**.

გამსახურდია თვლის, რომ „დანტე მასწავლებელია როგორც შ ე ქ ს პ ი რ ი ს, ისე გოეთესი, როგორც კლოფშტოკის, ისე კ ო ლ რ ი ჯ ი ს. დანტე სათავეა მთელი ევროპიული ლიტერატურის და პოეზიის." ესეისტი წერს, რომ დანტე, სავარაუდოდ, ბრიტანეთშიც ყოფილა... კანტი კონიგსბერგს არ გასცილებია, მაგრამ მ ა ნ ჩ ე ს ტ ე რ ის ხიდი ისე აღწერა, თითქოს ლ ო ნ დ ო ნ ე ლ ი მოქალაქე ყოფილიყოს. არც დანტეს უნახავს თავისი ჯოჯოხეთის პირველსახე, მისი სიძლიერე იყო მისი პოეტური ინტუიცია, მისი სიმდიდრე - მისი ფანტაზია. „დივინა კომედია" მარტოოდენ დანტეს ცხოვრების ისტორია როდია, არამედ - ისტორია ადამიანის სულისა. შ ე ქ ს პ ი რ ზ ე სთქვა ერთმა გონებამახვილმა

ლორდმა: „შ ე ქ ს პ ი რ ი ს გარდა, ი ნ გ ლ ი ს ი ს ისტორია მე არ წამიკითხავსო." იგივე ითქმის დანტეში განსახიერებულ ისტორიაზედაც" [გამსახურდია კ., 1983, 429].

მწერალი-ესეისტი წერილში **„კრიტიკა და შემოქმედება"** იმ კრიტიკოსზეც გვიამბობს, რომელსაც შექსპირის შემოქმედების შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეუტანია: „კუნო ფიშერი სხვა არაფერია, თუ არა შ ე ქ ს პ ი რ ზ ე მოაზროვნე ფილოსოფოსი. კრიტიკოსის მიზანს ხელოვნების, კერძოდ, ლიტერატურის სფეროში ირაციონალის გახსნა შეადგენს, ირაციონალი ფილოსოფიის სამთავრო" [გამსახურდია კ., 1983, 431].

ეპოქის გამორჩეულ ავტორზე - ჰამსუნზე საუბრისასაც შექსპირს უბრუნდება ესეისტი და აღნიშნავს: „მწამს ერთნაირად იდენტიურობა *[ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფცია ავტორისეულია - ვ.ქ.]* მწერალსა და გმირებს შორის. მწამს, რომ შექსპირის „ძვალია ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი" არა მარტო ჰამლეტი, არამედ შაილოკიც - დიახ, შაილოკიც. ეს ადამიანის ხორცით მოვაჭრე შაილოკიც. [გამსახურდია კ., 1983, 447] [საპირისპიროა მოდერნიზმის გამორჩეული ავტორის, მარსელ პრუსტის შეხედულება ავტორისა და პერსონაჟის „ბიოგრაფიათა" ურთიერთმიმართებაზე („სენტ-ბევის წინააღმდეგ")].

„ლიტერატურულ პარიზში" აღნიშნულია, რომ მწერლის თანადროულ ეპოქაში ევროპულ კულტურულ სივრცეში ძალთა სერიოზული გადალაგება განხორციელდა: „თუ XVIII საუკუნეში ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ს ა ნ ი შ ნ ო ე ბ ი თ მიდიოდა ევროპის კულტურა, სოციალურ ცხოვრებაში საფრანგეთი იყო ავანგარდი. ჰეგელიდან დღემდის, თუმცა უჩინარად, მაგრამ არსებითად გერმანია მიუძღვის წინ ევროპიულ კულტურას. ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, მუსიკაში, სოციალურ ცხოვრებაში გერმანია იძლევა ახალ იდეებს. ერთადერთი დარგი ხელოვნებისა, რომელშიაც საფრანგეთს შერჩა უპირატესობა, ესაა მხატვრობა, საერთოდ, პლასტიური ხელოვნება" [გამსახურდია კ., 1983, 462].

მწერალი გამუდმებით უბრუნდება თემას ინგლისის მიერ პოლიტიკური პოზიციების ერთგვარი დათმობისა საუკუნის დასაწყისში, თუმც „გასახარ ამბად" მიაჩნია ფაქტი, რომ ბრიტანეთი კულტურულ პოზიციებს არ თმობს და ზემოთქმულის

დასტურად მოჰყავს ლაიპციგის „ინზელის“ გამომცემლობაში დაბეჭდილი მონუმენტური სერია „Biblioteca Germanorium“, რომლის „პირველ სერიაში შედის ყველა: ი ნ გ ლ ი ს ი, გერმანია, სკანდინავია, გერმანელი მისტიკოსები.“

მწერალს პარიზში შეუძენია „ლაიპციგში გამოცემული ბ ე რ ნ ა რ დ შოუს „Back to Mathusalem“ *[„უკან, მათუსალასკენ“ - ვ.ქ.]* ტაუხნიცის გამოცემა 5 ფრანკად. ინგლისური 7 ფრანკი ღირდა. ფორმატი 5X4 გოჯს არ აღემატებოდა. უდიდესი ევროპული გამომცემლობები დღესაც ბერლინში ან ლაიპციგში ბეჭდავენ წიგნს“ **(„სახელმწიფო გამომცემლობა“)[გამსახურდია კ., 1983, 473].**

თუკი ლაიფციგში, როგორც ევროპის საუკეთესო საგამომცემლო სივრცეში, იბეჭდება ინგლისური ლიტერატურის ნიმუშები (მაგალითად, შოუს ზემოთ დასახელებული ტექსტი), თავად ბრიტანეთში გამოიცემა „ქართველი ხალხის ისტორია “ ინგლისურ ენაზე - 1932 წელს, ლონდონში. ინგლისელი მეცნიერის უ.ე.დ. ოლენის „ქართველი ხალხის ისტორია“ შვიდასგვერდიანი მონოგრაფიაა („A History of the Georgian People, from the Beginning Down to the Russian Conquest in the Nineteenth Century by W.E.D. Allen“ *[„ქართველი ხალხის ისტორია სათავეებიდან რუსულ ინვაზიამდის, მეცხრამეტე საუკუნეში“, უ.ალენი - ვ.ქ.]* წიგნი გამოცემულია Keagen Paul, French, Frubner et c.o. a. d.-ის მიერ). წინასიტყვა დაწერილია ლონდონის ორიენტალური ინსტიტუტის დირექტორის დენისონ როსის მიერ (Sir Denisson Ross).“

მწერალი-ესეისტი დეტალურად განიხილავს წიგნის სტრუქტურას: გამოცემას დართული აქვს ინდექსი და შემდეგი ილუსტრაციები: საქართველოს მეფის - ირაკლი მეორის სურათი (მეორე გვერდზე), აწყურის ციხე, ცხენისწყლის სანახები სადადიანო სვანეთში, არტანუჯი, მდ. მაღარაულის ხიდი (ფშავეთში), უშგულის (სვანეთი), მესხეთის მონასტრები: საფარა და ოპიზა, წმ. გიორგის ხატის რეპროდუქცია, ხახულის ხის კარი, ხანძთა და შატბერდი, მთავარანგელოზის ხატი (რეპროდუქცია), უგვირის მთა (სვანეთში), კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე, გორის ციხე (კასტელის პალერმოს მუზეუმში დაცული

ილუსტრაციის რეპროდუქცია), დიდი მოურავი (კასტელისავე), ქართლის მეფე ხოსრო (მისივე), თეიმურაზ პირველი და მისი მეუღლე, თეიმურაზ მეორე, გუდანელი ხევსურების ფარიკაობა, შატილი, მეგრელი დიდებული მე-17 საუკ. - ვამეხ ლიპარტელიანი (კასტელისა), ნიკოლოზ ირბახი (Nicolas Erbachi ანუ Nicephorus, surnamed Irbarch, who went to Rome to Urban VIII in 1626 to ask him to send to his country apostolic ministers - *ნიკოლოზ(ნიკიფორე) ირბახი, რომელიც რომში ჩავიდა პაპ ურბან მერვესთან 1626 წელს თხოვნით, მის მშობლიურ ქვეყანაში წარეგზავნა მისიონერები - ვ.ქ.)* - კასტელი, ლებაისკარელი ხევსურის ქალები, ლაგანის მაცხოვრის ხატის რეპროდუქცია, ხახულის ღვთისმშობლის ხატის რეპროდუქცია, გრ. ხანძთელი Arcarl Bearley-ის ნახატი, კასტელის მიერ შესრულებული „ჯირითი", ალექსანდრე III იმერთა მეფე (კასტელისა), ამ სურათს, სხვათა შორის, მარკო პოლოს მოგზაურობიდან ამოღებული ცნობა ახლავს: თითქოს ბაგრატიონებს დაბადებიდან არწივი ჰქონოდესთ მხრებზე დახატული (The Statement of Marco Polo that all the kings of Georgia were in ancient days... born with the mark of an Eagle on their shoulder - *მარკო პოლოს მინიშნება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ყოველ მეფეს უხსოვარი დროიდან ბეჭზე ჰქონდა არწივის ნიშანი - ვ.ქ.)*, აქვეა კასტელის ნახატი მამია გურიელი (ცხენოსანი)" **[გამსახურდია კ., 1983, 12]**.

მწერალი იმოწმებს გამომცემელთა ლაპიდარულ რეზიუმეს, რომლის მიხედვითაც, „ოლენის წიგნის თავებში მოცემულია საქართველოს საშუალო საუკუნის *{შუა საუკუნეების - ვ.ქ.]* ისტორიის სოციალური ორგანიზაციის სურათი, რომელიც დღემდის სავსებით ხელმიუწვდომელი იყო ევროპის შედარებითი სოციოლოგიისათვის, ქართველების ზნე-ჩვეულებანი, მათი ვაჭრობა და ურთიერთობანი მეზობელ ქვეყნებთან, ქართული ხელოვნება საშუალო საუკუნეში, ბიზანტიისა და აღმოსავლეთის გავლენანი" **[გამსახურდია კ., 1983, 13]**.

მწერალი-ესეისტი ქართულ-ბრიტანულ კულტურულ კავშირებზე საუბრობს, იმოწმებს რა ოლენის წიგნის წინასიტყვაობის ავტორს, როს დენისონს, რომელიც, თავის მხრივ, განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს მარი ფელისიტე ბროსეს, „რო-

მელმაც თავისი ფუნდამენტალური შრომით „საქართველოს ისტორია“ (L'Histoire de la Georgie) საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიას ევროპაში, ვ ო რ დ რ ო პ ე ბ ს,

ო ლ ი ვ ე რ ს და მ ა რ ჯ ო რ ი ს, რუსთაველის, „ვისრამიანის“ და საბა ორბელიანის მთარგმნელებს, დავით აღმაშენებელს ნორმანდიის მეფეებს ადარებს და შემდეგ შესაფერ რეკომენდაციას უკეთებს უ. ოლენის ნაშრომებს“ [გამსახურდია კ., 1983, 13], თუმც ესეისტი პირუთვნელად დასძენს, რომ „სამწუხაროდ, ვორდროპის პროზაულ თარგმანში მხოლოდ აჩრდილია რუსთაველის გენიოსური ლექსისა.“

მწერალ-ესეისტს დიახაც გაცნობიერებული ჰქონდა კულტურის დესპანობის მნიშვნელობა უცხო ქვეყნებში, თუმც ემიგრაციის ფენომენს არ მიესალმებოდა, რაც საკმაოდ ხისტად გამოხატა ესეში **„გამოძახილი“**: „ვახტანგ მეექვსემ ორი ათასი საუკეთესო კაცი ნაიყვანა საქართველოდან, მაგრამ მის ემიგრანტობიდან არაფერი გამოსულა. სხვათა შორის, ვახტანგს გაცილებით მეტი ჭკუა და განათლება ჰქონდა, ვიდრე [ნოე] ჟორდანიასა და ძმათა მისთა მოეპოვებათ. და ვახტანგმა გაცილებით უკეთ იცოდა ქართველი ხალხის ბუნება და ისტორია, ვიდრე იმ ჭაბუკებმა, პარიზის, ბერლინის, ლ ო ნ დ ო ნ ი ს ქუჩებში რომ დასეირნობენ ამჟამად და ცაში გაფრენილ წეროებისათვის შამფურებს სთლიან“ [გამსახურდია , 1983, 23].

გამსახურდიას ყურადღების მიღმა არ რჩება, რომ ემიგრაციის თემა პირდაპირ უკავშირდება ენის დავიწყების პრობლემას, ენა კი მწერლისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წმიდათაწმიდაა.

ესეში **„ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“** ენისადმი მიმართების ევროპულ ისტორიულ ექსკურსს იყენებს და აღნიშნავს, რომ „გერმანელი არისტოკრატია და სამეფო კარი XVIII საუკუნის მიწურულამდე არ კადრულობდა გერმანულ ენაზე წერას და ლაპარაკს. ფრიდრიხ II, პრუსიის მეფე, თავათ ფრანგულად სწერდა და აროდეს მალავდა გერმანულის, ამ „უხეში ენის მიერ“ აღძრულ ზიზღს, ხოლო რომანოვების კარზე, ჯერ კიდევ მათი აგონიის წლებამდე, ხან ფრანგული ბატონობდა, ხანაც ი ნ გ ლ ი ს უ რ ი. დანიურმა ენამ XVIII საუკუნემდის ვერ შექმნა პროზა, რადგან აქაც ზემოთხსენებული ენები იყვნენ გაბატონე-

ბული... ენის სტიქიასთან ბრძოლაში ჭირის ოფლი ასქდებოდათ არა მარტო ბალზაკს, ფლობერს, სტენდალს და ტოლსტოის, არამედ თვით ისეთი ნაზი ლირიული ტემბრის პოეტებს, როგორიც იყვნენ ლ ო რ დ ბ ა ი რ ო ნ ი, სტეფან მალარმე, პოლ ვერლენი და მორის მეტერლინკი."

ევროპული ენების გაკვრით მოხსენიების შემდეგ, გამსახურდია საფუძვლიანად მსჯელობს ქართული ენის ისტორიულ ბედზე: „ქართული ენის წარსულისაკენაც გადავიხედოთ. ქართული ენა უხუცესთაგანია როგორც ევროპის, ისე წინააზიის ენათა შორის. იგი და სომხური უცნაური ბედის წყალობით ერთად ჟღერდნენ თანადროული ფრანგულის, რუსულის და ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ენების გვერდით... სრულასაკოვნებას ქართულმა ენამ მეთერთმეტე საუკუნეში მიაღწია, ხოლო დანიურმა - XIX საუკუნეში. სწორედ ამ პერიოდმა შექმნა უცნაური გოტიკა პეტრიწონელის ენისა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, როგორც შეუსწავლელი პლანეტა. ამ ეპოქამ მოგვცა სავსებით განსაცვიფრებელი რეალისტური პროზა. ამიტომაც იკმარა ქართული ენის სიტყვიერმა ინვენტარმა არა მარტო „ვეფხისტყაოსანის" დასაწერად, „ვისრამიანის", შ ე ქ ს პ ი რ ი ს და „ღვთაებრივი კომედიის", „შაჰ-ნამეს" და „ნიბელუნგების" სათარგმნელად, არამედ - თანადროული ქიმიის, მათემატიკის, გეოდეზიისა და ასტრონომიის ურთულეს ცნებათა კომპლექსის შესაჯერებლად" [გამსახურდია კ., 1983, 46].

მწერალი ერთგვარი დანანებითა თუ კეთილი შურით საუბრობს ევროპული ენების შესახებ: „ბედნიერია რომელიმე ენა ევროპული კონტინენტისა. ეს ენათა ოჯახი ისეა შეკრული ნათესაური არტახებით, ყოველ მათგანს შეუძლია თამამად დაესესხოს მეორეს. იგულისხმება ი ნ გ ლ ი ს-ს ა ქ ს უ რ ი, გერმანთა და სლავთა მოდგმების იდიომური ოჯახები. ასე რომ, მთელი სახომალდო და სასპორტო ტერმინოლოგია ევროპელ ხალხებისა ი ნ გ ლ ი ს-უ რ ი დ ა ნ ა ა ნასესხები, სამხედრო - ესპანურიდან და ფრანგულიდან უპირატესად, მედიცინის - ლათინურიდან. მუნიციპალიტეტის, საქარხნო მშენებლობის ხან ლათინურიდან, ხან ბერძნულიდან. ფილოსოფიური - ძველბერძნულიდან, ნაწილობრივ - ლათინურიდან."

როგორც ყოველ ესეში, წინამდებარეშიც ერთურთს ეწვნის ნარატივის პოლიტიკურ-კულტურული ასპექტები: „ქართული ენა ობლად დგას კავკასიის და წინააზიის ენათა შორის, მხოლოდ სომხურსა და ქართულს შეუძლიათ ასე თუ ისე თამამად ესესხონ ურთიერთს" *[შესაძლოა, ფრაზა დიპლომატიურ რევერანსადაც გავიაზროთ - ვ.ქ.].*

აღსარებად ჟღერს მწერლის სიტყვები: „იძულებული გავხდი საკმაოდ ჭარბად შემომეშვა ლიტერატურულ ქართულში ჩემამდე უხმარი სიტყვიერი დოვლათი. რა თქმა უნდა, მომეტებულად იმ შემთხვევაში, როცა ლიტერატურულ ენაში მათი ბადალი არ დამხვედრია. არც პარალელური სიტყვების, ომონიმების შემოღებაა საუგო, რადგან ეს მხოლოდ ამდიდრებს ენას. არც აქ გადამიჭარბებია თანამედროვე საფრანგეთისა და ი ნ გ ლ ი ს ი ს მწერალთა ცდებისათვის. ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი დაურიდებლად ესეხებიან ირლანდიურსაც, ხოლო ფრანგი პროზაიკოსები არ თაკილობენ პარიზულ „არგოს."

მწერალი ესეში ლინგვისტურ წიაღსვლასაც გვთავაზობს. ტონი, ერთდროულად, გროტესკულიც არის და მწუხარეც: „თანამედროვე ი ნ გ ლ ი ს უ რ შ ი ორგვარი ენაა: „ბეიზიკ ინგლიშ" და „კომფლით ინგლიშ"- ვულგარული ინგლისური და სრული ინგლისური. ვულგარული ინგლისური შეიცავს დაახლოებით 850 სიტყვას, ხოლო სრული ინგლისური აღწევს 500 000-მდე. უცნაური არ იქნებოდა, ვინმეს მოეთხოვა თანამედროვე ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი რომანისტისთვის, ჯოისისათვის, გინდა თუ არა, 850 სიტყვა იკმარეო შენი რომანების დასაწერად?! ლექსიკური სიმდიდრე ენის განვითარების შედეგია. ფრიად გავრცელებულია ინგლისური სიტყვა STANDARD. „სტანდარტს" მრავალი მნიშვნელობა აქვს: 1.ალამი ჯარისა; 2.მტკიცე; 3.ნორმალური ფასი; 4.ნიმუში; 5. კლასიკური; 6. ნორმალური...

არაბულ ენაზე „აქლემის" შესატყვისად მოიპოვება 6000 სახელი, „უბედურების" შესატყვისად - 400 სიტყვა (ეს ცნობა მომაწოდა ჩვენმა ცნობილმა არაბისტმა, აკადემიკოსმა გ. წერეთელმა), ე.ი., თითქმის იმდენივე სიტყვა, რამდენიც მთელი სამყაროს ცნებათა შესაჯერებლად არ გააჩნია ზოგიერთ განვითარებულ ენას!"

ლირიკულ-ლინგვისტური ინტერმეცოს შემდეგ, მწერალი-ესეისტი კვლავ ინგლისური ენის მთავარი მესაიდუმლის სახელს დაიმოწმებს: „განა, შ ე ქ ს პ ი რ ი ს გარდა, არავის უსარგებლნია ს ა ქ ს ო -გ რ ა მ ა ტ ი კ ო ს ი ს ქრონიკებიდან? ჰ ა მ ლ ე ტ ი ს გამო შეთხზული ტრაგედია, ხოლო ჰოლინშედის ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ქრონიკაც სხვა ინგლისურ მწერლებსაც გამოუყენებიათ მრავალგზის“ **[გამსახურდია კ., 1983, 60]**.

ინგლისური ენის მეორე მესაიდუმლის ხსნებისას გამსახურდია პარალელს კვლავ ქართულ სინამდვილესთან ავლებს და არც ამჯერად უშვებს ხელიდან შესაძლებლობას, დითირამბი ამჯერად ქართულ ლანდშაფტს აღუვლინოს (ესე **„კოლხეთში“**): „როგორც ლ ო რ დ ბ ა ი რ ო ნ ი ლ ო ნ დ ო ნ-ს ი ტ ი დ ა ნ გაუსვლელად, კონსტანტინეპოლისა და საბერძნეთის უნახავად ვერ დასწერდა თავის დიდ პოემებს, ასევე რუსი მწერლები ვერ დასწერდნენ თავიანთ დიდ ქმნილებებს კავკასიონის ბუნების შთაუგონებლად... არა მგონია, ამერიკასა და აფრიკაში იყოს ამაზე უფრო ლამაზი ჯუნგლები: სავსებით ველურ ვეგეტაციაში თავს იმალავს შველი, ტურა, მელა, წავი და მაჩვი (ნამდვილი ედემია ეს უკაცრიელი ნაპირები მდინარე ფიჩორისა)“ **[გამსახურდია კ., 1983, 83]**.

ესეში **„ხარისხისათვის“** მწერალი-ესეისტი აზუსტებს, რომ „თანამედროვე ქართველ მწერალს არა სჭირდება ი ნ გ ლ ი ს ი ს პოლიტიკის გამო წერილების წერა, ილიას დარად. ამ დარგს თავისი მესიტყვე ჰყავს მიჩენილი“ **[გამსახურდია კ., 1983, 91]** (თუმცა თავად გამსახურდიას ესეისტური მემკვიდრეობაა ზემოთქმულის უარყოფა, რადგან დიდი მწერალი „ინგლისის პოლიტიკის გამო“ *[ინგლისურ პოლიტიკაზე - ვ.ქ.]* დიახაც მსჯელობდა თავის როგორც ბელეტრისტულ, ასევე პუბლიცისტურ-ესეისტურ ნარატივში).

ესეისტი, რომელიც უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიულ-კულტუროლოგიურ შტუდიებს გვთავაზობს, მსოფლიო ლინგვა-ფრანკას ცვალებადობას არაერთგზის აღნიშნავს, ესეისტის მზერა სწვდება განსხვავებულ ეპოქებსა და განსხვავებულ ლანდშაფტს, მათ შორის, ენობრივსაც. ესეში კონცეპტუალური სათაურით **„ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის“** ვკითხულობთ: „ოდეს-

ღაც არაბული ენა და არაბული მწერლობა წინა აზიაში ისეთივე როლს ასრულებდა, როგორსაც ლათინური რომანულ, გერმანულ და ი ნ გ ლ ი ს-ს ა ქ ს უ რ ი ხალხებისთვის... ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ენა ერთ-ერთი უმდიდრესი ენაა მსოფლიოში: მისმა კუჭმა უამრავი ბარბარიზმი მოინელა - კელტურ-ბრიტული, ლათინურ-საქსური და ირული *[ირლანდიური - ვ.ქ.]* იდიომების ელემენტები საფუძვლად დაედო თანადროულ ინგლისურ ენას" **[გამსახურდია კ., 1983, 98]**.

ესეში **„ტფილისი"** თემა ღრმავდება: „არაბული აგრესია, როგორც ცნობილია, სელჯუკიანთა იმპერიალიზმმა შესცვალა. თუ რა ძლიერ მტერთან ჰქონდა საქმე ამ ერებს, ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ ჯვაროსნული ომები; იტალიელებმა, ფრანგებმა, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ მ ა და გერმანელებმა არაერთი მილიონი მეომარი შეაწყვიტეს სელჯუკიანებთან ბრძოლას; ბოლოს ეს კამპანია კათოლიკური ევროპისა სრული კატასტროფით დამთავრდა. დემეტრე I, გიორგი III და თამარის საქართველომ, რომელსაც ტფილისი ჰქონდა დიდი ბრძოლების ციტადელად არჩეული, განაგრძო დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, სელჯუკური აგრესია ალაგმა და ანისის აღორძინებაში დაეხმარა ერთმორწმუნე სომხის ხალხსა" **[გამსახურდია კ., 1983, 137]**.

პოლიტიკური ინვაზიებისას მთავარი დარტყმის ქვეშ, ეროვნულობის სხვა ატრიბუტებთან ერთად, უპირველესი სამიზნე - ენა ექცევა. დამპყრობელი სწორედ ენას დაეღირება და ერის უპირველესი „მონაღვლენიც" სწორედ ენის დასაცავად აღიმაღლებენ ხმას.

უაღრესად საინტერესო კონცეპტებზე მსჯელობს მწერალი ესეში **„ლევ ტოლსტოი"**, რომელშიც სხვადასხვა ერის გამორჩეულ მოაზროვნეთ მოიხსენიებს: „სიტყვა ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი ს, გოეტეს, ილია ჭავჭავაძის და ლევ ტოლსტოის პირში მე მაგონებს იმ მახვილს, რომელიც აპოკალიპსის იოანეს ჰქონდა... ჩვენთვის, კავკასიის მკვიდრთათვის, განსაკუთრებით საგულისხმოა ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატი." მწერალი და მისი ოსტატობა მომეტებულად იქ გამოჩნდება, როცა იგი მისთვის უცხო გარემოში გამოცდის თავის კალამს. შ ე ქ ს პ ი რ ი და გოეტე ისე გვიხატავენ იტალიას, ეგვიპტის და საბერძნეთის ხალხთა ზნესა და ჩვეულებს, თითქოს ეს მათი დედულეთი ყოფილიყო..."

ბაირონი, გოეთე და ილია ესეში **„ერისმთავარი“** კვლავ ერთად წარმოჩნდებიან: „ბრწყინვალეა მისი *[ილია ჭავჭავაძის - ვ.ქ.]* ანალოგია გოეტე-მყინვარისა და ბაირონ- თერგს შორის“ **[გამსახურდია კ., 1983, 180].**

ამ სახელებს გამსახურდია სხვა ტექსტშიც დააწყვილებს - გალაკტიონის გარდაცვალებით დამწუხრებული, დაწერს: „გალაკტიონის გარდაცვალების გამო ვიგონებ გოეტეს ლექსს, ლორდ ბაირონის სიკვდილის გამო დაწერილს:

„ის ღმერთების სწორია და ქუხილის ნაქადი,
მას შერჩება გლორია და ცრემლების ნაკადი“ **[გამსახურდია კ., 1983, 205].**

როგორც არაერთ სხვა პუბლიცისტურ ტექსტში, ესეში **„კორნელი კეკელიძე“** ლინგვა-ფრანკას პრობლემა აქტუალურდება (რასაკვირველია, ხაზგასმულია, რომ ლინგვა ფრანკა ეპოქათა შესაბამისად ცვალებადი კატეგორიაა): „ქართული ენა და ქართული მწერლობა თხუთმეტზე მეტი საუკუნის მანძილზე პერმანენტულად ეხებოდა ისეთ უძველესსა და უდიდეს ენებს, როგორიცაა ბერძნული, არაბული და ირანული. სამივენი უკვე მემკვიდრეობად იქცნენ და მათი შესწავლა შეეძლო ისეთ მეცნიერს, რომელსაც, ამ სამი ენის გარდა, უნდა სცოდნოდა ოთხი უდიდესი ენა ევროპისა: ლათინური, ფრანგული, გერმანული და ი ნ გ ლ ი ს უ რ ი, რადგან ამათ გარეშე წინა აზიისა და კავკასიის კულტურათა შესწავლა ყოვლად შეუძლებელია“ **[გამსახურდია კ., 1983, 181].**

ინგლისური ენის უღრმეს, ნიუანსობრივ ცოდნას ამჟღავნებს მწერალი-ესეისტი წერილში **„ჰამლეტის“ თარგმანის გამო.“** მწერლისეული აღიარებით: „დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეტეს „ვერტერის“ თარგმანის შემდეგ, მე აგრე ვთვლიდი: თარგმანის საქმეში მოვალეობა მოვიხადე მეთქი, მაგრამ მე ისე მიყვარს შექსპირის ეს უბრწყინვალესი ტრაგედია, სულმა წამძლია. 1936 წელს დავწერე კიდევაც მოსკოვურ „ელიტ გაზეტში“, „ჰ ა მ ლ ე ტ ი ს“ ხელახლა თარგმნას ვაპირებ-მეთქი, ძლიერ მეწადა „ჰამლეტი“ მენახა, ჩემს თარგმანში აკაკი ხორავას და უშანგი ჩხეიძის მიერ შესრულებული. მე ისე გატაცებული ვიყავი ამ ტრაგედიით, ჰამლეტი მინახავს კონრად ვაიტისა და ევრო-

პის უდიდესი მსახიობების მიერ ნათამაშევი... 1934 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ მე გავარჩიე ი. მაჩაბლისეული თარგმანი „ჰამლეტის“, მრავალი უსწორობა და ხელისმოცარვა აღმოვაჩინე და მოვითხოვე მაჩაბლისეული თარგმანების რევიზია“ **[გამსახურდია კ., 1983, 232].**

მწერალი-ესეისტი დეტალურად მიმოიხილავს, მისი აზრით, თარგმანის უზუსტობებს, რომელთა ანალიზი სცდება ჩვენი კვლევის მიზანს, მხოლოდ ორიოდ ციტატას დავიმოწმებთ, რომელნიც ადასტურებენ, ერთი მხრივ, მწერლის პოზიციას ენასთან მიმართებით („ჩვენ ხომ ბრიტანეთის იმპერიისოდენა ქვეყანა არა ვართ, დიალექტებს რომ ცხვირი ავუბზუოთ“) და, მეორე მხრივ, ლინგვა ფრანკას ნიუანსობრივ (ვიტყოდით, უფაქიზეს) ცოდნას („ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინათაც კარგად ვიცოდი, რომ ინგლისელები შენობით მხოლოდ ღმერთსა და ბავშვს მიმართავენ“). ესეს მწერალი მკითხველისათვის ფრიად სასიამოვნო ანონსით განასრულებს: „შემოქმედების ანტრაქტებში მე განვაგრძობ „ჰამლეტის“ თარგმნას და, უწინარეს ყოვლისა, თუ მე თვითონ მომეწონა ჩემი ნამუშევარი *[პასაჟი მწერლის უზომო პასუხისმგებლობას ადასტურებს - ვ.ქ.]*, უცილოდ გამოვაქვეყნებ“ **[გამსახურდია კ., 1983, 235].**

ფრიად საინტერესოდ წარმოჩნდება გოეთეს, შექსპირისა და ბაირონის პორტრეტები ესეში **„რეცენზიის საპასუხოდ“**, რომელშიც მწერალი-ესეისტი „ცისკრის“ მავან რეცენზენტს უპასუხებს: „რეცენზენტი ამტკიცებს, რომ კ. გამსახურდია გოეტეს და ბაირონს მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილ კოსმოპოლიტებად ხატავსო. კეთილი ინებოს და მიგვითითოს მან, სად ვუწოდე მე ამ ორ ბუმბერაზს „მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი კოსმოპოლიტები?!“ **[გამსახურდია კ., 1983, 246].**

ამ ესეშიც მრავალი ენობრივი ნიუანსია დაზუსტებულ-განმარტებული (მწერალი საგანგებოდ მსჯელობს გერუნდივის განსხვავებაზე პარტიციპიალური ზედსართავისაგან): „ახლა შევცვალოთ ჩემ მიერ ნახმარ ფრაზაში ინგლისური სიტყვა ქართულით და ვნახოთ რას მივიღებთ: ყოველი ინგლისელი ერთგვარ შეძრწუნებას განიცდის მათი სახელის ხსენებისას“. სად არის აქ „უაზრობა“ ან „უხეირობა“? (ჩაიხედოს რეცენზენტმა იმავე ოქსფორდულ ლექ-

სიკონში, რომელსაც თავათ იმოწმებს და დარწმუნდება, რომ სიტყვა shock მხოლოდ არსებითი სახელი როდია, ჩაიხედოს რომელიმე გრამატიკულ სახელმძღვანელოში, მოძებნოს გერუნდივის პარაგრაფი და ნათელი გახდება მისთვის ყოველივე!

გაკვრით შევეხოთ რეცენზენტის ქართულსაც: 124-ე გვერდზე გვხვდება ასეთი ფრაზა „შელის, გენიალურ, წინასწარმეტყველურ შელის და ბაირონს მუშათა შორის ჰყავთ ყველაზე მეტი მკითხველი." იქნებ, აჯობებდა დაგვეწერა: "გენიოს წინასწარმეტყველს, შელის?"

განსაკუთრებით კატეგორიულია მწერალი-ესეისტის ტონი ესეს ფინალში: „დასასრულ, კიდევ ერთი სიყალბის გამო უნდა ვამხილო „ცისკრის" რეცენზენტი: იგი ამტკიცებს, თითქოს მე უმართებულოდ ვამტკიცებდე ი ნ გ ლ ი ს ი ს ა და საფრანგეთის მწერლებისა და ფილოსოფოსების ზეგავლენას გერმანულ მწერლობასა და ფილოსოფიაზე. არსებობს ვრცელი ლიტერატურა ამ საკითხისათვის. ეს ზეგავლენანი ჩემი გამონაგონი არ გახლავთ. ცნობილია შ ე ქ ს პ ი რ ი ს ზეგავლენა გოეტესა და შილლერის შემოქმედებაზე. დ ე ი ვ ი დ ი უ მ ი და ბ ე რ კ ლ ი უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ გერმანულ ფილოსოფიაზე" [გამსახურდია კ., 1983, 249] - გერმანოფილი კონსტანტინე გამსახურდია ობიექტურობას არასოდეს კარგავს.

ევროპული აზროვნების ხსენებული სამი კორიფე - შექსპირი, გოეთე, ბაირონი - კვლავ ერთად ჩნდება, ამჯერად ესეში **„კიტა აბაშიძე"**, რომელშიც მწერალი-ესეისტი კრიტიკის ჟანრზე საგანგებოდ მსჯელობს, აღნიშნავს, რომ „კრიტიკა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, ძველბერძნებმა და ევროპელებმა შექმნეს. ეს ჟანრი სავსებით უცხო იყო აზიის ხალხების ლიტერატურისათვის. ჩვენში, არსებითად, პირველი კრიტიკოსი იყო ილია ჭავჭავაძე, მან პირველმა შეიცნო ნიკო ბარათაშვილის ტალანტი და ვაჟას უბადლო გენია. დღესაც პერმანენტული კრიტიკის ხშირად უმართებულო თავდასხმას განიცდიან ევროპულ ლიტერატურათა ისეთი კორიფეები, როგორიც არიან გოეტე, ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი და შ ე ქ ს პ ი რ ი. ფრანგმა კრიტიკოსმა ბარბეი დორევილმა თავის გუნებაში მიწასთან გაასწორა დიდი გოეტეს მთელი შემოქმედება" [გამსახურდია კ., 1983, 257].

მწერლის აზრით, ბაირონის სახელს ჩრდილს არ აყენებს ფაქტი, რომ ვერც მან და ვერც ჰაინემ „რომანი ვერ დაწერეს" (ესე **„ახალი წარმატებანი ვუსურცოთ იუბილარს") [გამსახურდია კ., 1983, 271].**

კრიტიკის (როგორც ჟანრის) კვლევის პარალელურად, კონსტანტინე გამსახურდია მსჯელობს თარგმანის ხელოვნების შესახებ. ესეში **„თარგმნითი ხელოვნების პრობლემისათვის"** აღნიშნულია, რომ „ოდითგანვე დიდი დახელოვნება და ცოდნა სჭირდება მას *[თარგმნას - ვ. ქ.]*. თარგმნა უძველესი ჟანრია. ჰუსტონ სტევარდ ჩ ე მ ბ ე რ ლ ე ნ მ ა ჩინებულად დაასაბუთა, რომ ბიბლია ერთი რომელიმე ერის მიერ როდია შექმნილი, მრავალმა ერმა ჩასდო მასში თავისი ნიჭი და უნარი. არც „გილგამეში" შეუქმნია რომელიმე ერთ ერს, ასე რომ, ცალკეული თავები სხვადასხვა ენიდანაა თარგმნილი. შესანიშნავი მთარგმნელები ჰყავდათ ირანელებს, ბერძნებსა და არაბებს. ამ საქმეში დიდი ღვაწლი გვაქვს ჩვენ - ქართველებს და სომხებსაც. ქართულ „ვისრამიანზე" უკეთესი ქმნილება სავსებით იშვიათია" **[გამსახურდია კ., 1983, 265].**

აქვე დასძენს საკუთარ ღვაწლზეც: „თავის დროზე მეც შევისწავლე მაჩაბლისეული თარგმანი შ ე ქ ს პ ი რ ი ს ა და დავამტკიცე, რომ იგი მეტწილად გერმანულიდან და რუსულიდან თარგმნიდა."

საინტერესოა მწერლის ბიოგრაფიის ერთი ფაქტი, ამავე ესეში ფიქსირებული: „1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მე იტალიას გავემგზავრე. ფლორენციაში გადავწყვიტე მეთარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია". მთელი წლის მანძილზე ვსწავლობდი იტალიურს, ვაგროვებდი დამხმარე მასალებს. რომში ვცხოვრობდი სასტუმრო „რუაიალში", ბილიარდის თამაშის დროს გავიცანი უ ე ლ ს ი ს პ რ ი ნ ც ი, ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ე ფ ი ს ღვიძლი ძმა. მან მაჩუქა დანტეს კომედიის პროზაული თარგმანი, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი. რომში შევიძინე კომედიის თარგმანები ფრანგულ და გერმანულ ენებზე... დიდის სიზუსტითა და სიტყვიერი მომჭირნეობით ვთარგმნე ოდისევსის ერთ-ერთი ქება და „ჰ ა მ ლ ე ტ ი ს" პირველი აქტი."

საგულისხმოა წიაღსვლა: „ჩემმა ვაჟმა ზვიადმა თარგმნა „მ ე ფ ე ლ ი რ ი", მე უხერხულად მიმაჩნია მისი ქება" **[გამსახურდია კ., 1983, 269].**

ესეშივე რამდენიმე თარგმანთან დაკავშირებით მწერალი-ესეისტის მოსაზრებაცაა ფიქსირებული: „კარგია „ხოგაის მინდიას" ი ნ გ ლ ი ს უ რ ი თარგმანი - "Mindia, the Son of Khogai, პროფ ი. პეტროვას და ც. თოფურიძის მიერ შესრულებული" [გამსახურდია კ., 1983, 269]... ლ ო ნ დ ო ნ შ ი, პროფ. დეივიდ მარშალ ლ ა ნ გ ი ს ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ქართველოლოგები ე. ფულერი და სხვები აპირებდნენ „დავით აღმაშენებელი"-ტრილოგიის თარგმნას. ქების ღირსია ვახტანგ ერისთავი, რომელმაც შესანიშნავის ხელოვნებით შეასრულა „დიდოსტატის" ი ნ გ ლ ი ს უ რ ი თარგმანი" [გამსახურდია კ., 1983, 270].

„ვეფხისტყაოსნის" უკრაინულ თარგმანზე მსჯელობისას გამსახურდიასთან კვლავ ამოჩნდება შექსპირის სახელი: „არც დანტეს „ღვთაებრივი კომედია", არც გოეთეს „ფაუსტი", არც შ ე ქ ს პ ი რ ი ს სონეტები ეჭვმიუტანელი სიზუსტით არ არის თარგმნილი" (მწერალი-ესეისტი არც აქ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას, გამოხატოს თაყვანისცემა მშობლიური ენისადმი: „მე მგონია, ქართული ენა, იტალიურ და ფრანგულ ენებთან ერთად, უეჭველად უმდიდრესია" [გამსახურდია კ., 1983, 350].

რაკი ყველა ენის ცოდნა შეუძლებელია, სწორედ თარგმანის ხელოვნებით ხდება შესაძლებელი იმის გაცნობიერება, რომ „ბიბლიის, ესქილეს, ევრიპიდეს დიდ იდეებს თავის ტრაგედიებში „წაუმატა" შ ე ქ ს პ ი რ მ ა, ხოლო შექსპირს მრავალგზის „წაუმატეს" ბ ა ი რ ო ნ მ ა, გოეტემ და შილლერმა. შეუძლებელია რუსთაველს ჰომეროსის პოემები არა ჰქონდეს გადაკითხული, რადგან ფრიდონის, ავთანდილის და ტარიელის ავანტიურულ ომებში აქილევსისა და ჰექტორის ხმლების წკრიალი მოგვესმის" („ესე „გასაუბრება ღამეულ სტუმართან") [გამსახურდია კ., 1983, 292].

შექსპირის სახელი გამუდმებით ჩნდება კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკაში სხვადასხვა გამორჩეული მოაზროვნის სახელის გვერდით. ინგლისის უპირველეს პოეტს მწერალი-ესეისტი მსოფლიოს უპირველეს ფსიქოლოგთა თუ ისტორიკოსთა დასშიც წარმოადგენს, „უკანასკნელი საუკუნის ფსიქოლოგებსა" თუ „ათას მომზენ-ტიერისა", მაგრამ, ვფიქრობთ, ესეს გამორჩეულად საინტერესო პასაჟი ის ეპიზოდია, სადაც კონსტანტინე

გამსახურდია ხატავს „პარალელურ“ პორტრეტებს პლატონისა და შექსპირისა: „მე არა ვთვლი პლატონს თანადროული გაგების ფილოსოფოსად. იგი თავათ იყო უდიდესი პ ო ე ტ ი, რომელმაც პარაბოლური ენით, უაღრესად ხელფეხშესხმული პოეტური ადამიანისა და ბუნების იდუმალი კიდობანი გაგვიხსნა სულ სხვა საშუალებებით, მაგრამ - იმავე მასშტაბით, როგორც ეს ჩაიდინა უილიამ შ ე ქ ს პ ი რ მ ა. ორივენი, ბოლოს და ბოლოს, დიალოგის ოსტატები იყვნენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პლატონმა თავისი დიალოგები ზუსტად გამიჯნულ დრამატულ არტახებში როდი მოაქცია, ხოლო შ ე ქ ს პ ი რ მ ა ისეთივე დიალოგებისა და მონოლოგების ენით ასეთივე იმპოზანტური ხასიათებისა და მათი ურთიერთთან შეხლის კატალიზმები გვიჩვენა. ა დ ა მ ი ა ნ ურ ი ბ უ ნ ე ბ ი ს მ ი ს ა ნ მ ა შ ე ქ ს პ ი რ მ ა უდიდესი ამოცანები დაუსახა თუნდაც თანადროულ ფსიქოლოგიას, ხოლო გოეტემ განვითარების ცნობილ კანონს დარვინ-ლამარკზე ადრე მიაგნო“ **[გამსახურდია კ., 1983, 293]**.

უაღრესად საინტერესო რაკურსს არჩევს მწეარლი-ესეისტი. ფინალურ პასაჟში კიდევ ერთ საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს: „გოეტემ ეკერმანნთან საუბარში მოგვცა კრიტიკის უბრწყინვალესი შედეგები, ხოლო ინგლისელმა პოეტმა რ ო ბ ე რ ტ ბ რ ო უ ნ ი ნ გ მ ა ბლენკვერსით *[თეთრი ლექსით - ვ.ქ.]* გამოსთქვა თავისი კრიტიკული კრედო“ **[გამსახურდია კ., 1983, 295]**.

შექსპირი „სათეატრო პრობლემის“ *[თავად გამსახურდიასეული სინტაგმაა, მინაწერი ესესი* **„მწერლის ტრიბუნა“** *- ვ.ქ.]* ანალიზისასაც ცენტრალურ პერსონად ჰყავს წარმოდგენილი კონსტანტინე გამსახურდიას: „უეჭველია, შ ე ქ ს პ ი რ ი რომ არ ყოფილიყო, ევროპული თეატრი იქნებოდა უღერძო ურემი“ **[გამსახურდია კ., 1983, 334]**.

(თეატრსა და შექსპირთან დაკავშირებულ ერთ სახალისო შემთხვევასაც ჰყვება მწერალი ესეში **„გავააქტიუროთ მწერალთა კავშირის მუშაობა“** - ქალიშვილს, თამარს წაჰყოლია თეატრში, წარმოდგენით განცვიფრებული დარჩენილა ეს განა შექსპირია, განა „მეთორმეტე ღამეო“ - თურმე, მსახიობი ავად გამხდარა და „შეუცვლიათ რაღაც თანამედროვე პიესით“ **[გამსახურდია კ., 1983, 405]**).

პერსონაჟის ინგლისელი გენიოსისეული ხატვის მანერასთან დაკავშირებით ესეში **„მთვარის მოტაცების“ გამო“** ვკითხულობთ: „ტიპუს“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ხასიათს, ანაგობას, მაგრამ რატომღაც ლიტერატურის ისტორიკოსებმა მოიგონეს ის ცნება, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს „ტიპის“ სახით. ტიპი არასოდეს არსებობდა ქვეყანაზე, არამედ იყო ხასიათები, მე ვამტკიცებ, რომ არც ჰიუგოს, არც დოსტოევსკის, არც მერიმეს, არც ბალზაკის, არც შ ე ქ ს პ ი რ ს ტიპები არა აქვთ. ტიპების ამბავი არის სიტყვიერების თეორიების გვერდებიდან ამოღებული. მწერალი ხანდახან სინგულარულ *[მხოლობით, ერთეულ, ცალკეულ - ვ.ქ.]* ამბავს აიღებს, მაგრამ ეს არის ის, რასაც ლიტერატურაში ხასიათს უწოდებენ და არა ტიპს“ **[გამსახურდია კ., 1983, 337]**.

გამსახურდია არა მხოლოდ კლასიკურ ინგლისურ ლიტერატურაზე მსჯელობს, არამედ - თანადროულ გენიოსზე, ჯეიმზ ჯოისზეც ფრიად საგულისხმო თვალსაზრისს წარმოაჩენს ესეში **„არქაიზმი და პროვინციალიზმი“**: „სავსებით უმაგალითო და კურიოზული ცდები მოახდინა ჩვენი თაობის თვალწინ ცნობილმა რომანისტმა ჯეიმს ჯოისმა თავისი ეპოპეით - „უ ლ ი ს ე ს“... ირლანდიური ენა კელტურ ენათა ოჯახიდანაა. ასე რომ, იგი საკმაოდ შორსაა ი ნ გ ლ ი ს უ რ ი დ ა ნ, ჯოისმა უხვად შემოუშვა თანამედროვე ი ნ გ ლ ი ს უ რ შ ი უძველესი ირლანდიურის სავსებით გადავიწყებული სიტყვები, რომელნიც სპეციალისტებსაც კარგად არ ესმოდათ, ეგეც არ აკმარა ენის საკითხებშიაც ფრიად პურიტანულად განწყობილ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ს, თავის რომანებში იგი ხმარობს ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ი მ პ ე რ ი ი ს თორმეტი ენიდან ნასესხებ ბარბარიზმებს, ამას ემატება იტალიურიდან, ესპანურიდან, ფრანგულიდან და გერმანულიდან აღებული სიტყვები, ასე რომ, ჯოისის მკითხველმა, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ს გარდა, ათზე მეტი ენა უნდა იცოდეს. ამ ამბავმა უმაგალითო აღშფოთება გამოიწვია ინგლისში, ასე რომ, ჯოისს რამდენჯერმე დაუწვეს აწყობილი რომანები და ბოლოს იგი იძულებული გახდა, ამერიკაში გამოექვეყნებინა თავისი წიგნები“ **[გამსახურდია კ., 1983, 397]**.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მწერალი ინგლისურ კონტექსტს გამუდმებით აკავშირებს ქართულთან: „განა ქართველი ერის ბრწყინვალე წარსული, ჩვენი ხალხის ბრძოლების თავგამო-

დებული ისტორია ღირსი არაა იმისა, რომელიმე შესანიშნავ მწერალს მიენდოს - დაწეროს პოპულარული წიგნი საქართველოს ისტორიისა, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი მწერლის დ ი კ ე ნ ს ი ს ანალოგით. ამ მიმართულებით არაფერი თვალსაჩინო არ გაკეთებულა, გარდა ირაკლი აბაშიძის შესანიშნავი პოემისა „რას გადაურჩა ტფილისი" [გამსახურდია კ., 1983, 436] *[ეს ხარვეზი აღმოფხვრა ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებმა" - ვ. ქ.]].*

მწერალი აქვე აზუსტებს, რომ ერზაცი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაენაცვლოს აკადემიურს. ესეში **„მწერლობა და მისი კადრები"** კვლავ უბრუნდება თარგმანის ხარისხის საკითხს და კატეგორიულად მოითხოვს თარგმნისას აკადემიზმსა და პროფესიონალიზმს: „ცუდი ქართულით თარგმნილი ცუდი მოთხრობა, ან დრამა ვერ შექმნის ვერც ქართულ პროზას, ვერც ქართულ ნაციონალურ დრამატურგიას. ამას ნურავინ გაიგებს ისე, თითქოს წინააღმდეგი ვიყვე საერთოდ თარგმნილი ლიტერატურისა. მე თავათ მითარგმნია დიდი სიყვარულით შ ე ქ ს პ ი რ ი, გოეტე, დანტე" [გამსახურდია კ., 1983, 443].

შექსპირის მოთაყვანეს, ჯერ კიდევ სტუდენტობისას ინგლისის სანახები მიმოუხილავს მწერალს. ესეში **„მიკროფონთან თქმული სიტყვიდან"** ვკითხულობთ, რომ სულში „დიდი შთაბეჭდილებანი შემოიჭრა ესპანეთსა და სკანდინავიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, ი ნ გ ლ ი ს ს ა და შ ო ტ ლ ა ნ დ ი ა შ ი [დიდ ბრიტანეთში - ვ.ქ.] მოგზაურობიდან" [გამსახურდია კ., 1983, 487]. ამავე ესეში საკუთარ მწერლურ ღვაწლზეც საუბრობს: „მოხდა ისე, რომ მე მერგო პატივი გამხდარიყავი რომანისტი ისეთი ქვეყნისა, რომელიც დიდ იმპერიებთან შედარებით ისე მცირეა, როგორც ჩემი საყვარელი მდინარე ზანა - ვოლგას, სენას და ტ ე მ ზ ა ს პირისპირ" [გამსახურდია კ., 1983, 488].

ინგლისური სოციუმი განსაკუთრებული სკრუპულოზურობითაა წარმოჩენილი ვრცელ ესე-მონოგრაფიაში **„ჯორჯ ბაირონ."** ყურადღებას მივაპყრობთ ესეს სწორედ აღნიშნულ ასპექტს (ბაირონის პორტრეტის გამსახურდიასეული ვერსიის აღსადგენად მთელი ესეს გადმოწერა იქნებოდა უპრიანი).

ხაზგასმულია ინგლისელთა ხასიათის უარსებითესი ასპექტები, ბრიტანელთა დამოკიდებულება ეთიკისადმი: „ინგლისე-

ლები მ ი ლ ტ ო ნ ი ს დროიდანვე მოითხოვდნენ პოეტისაგან არა მარტო ესთეტიურობას, არამედ - ეთიური იდეების ალამდარობას" [გამსახურდია კ., 1985, 18] *[შდრ. გალაკტიონისეული: „პოეტი იყო ბედუინი და მეომარი..." - ვ.ქ.].*

მწერალი-ესეისტი ბრიტანულ სოციუმს მოიხსენიებს „ინგლისის რიგორისტული საზოგადოების" დეფინიციით და გვთავაზობს ბრიტანეთის გეოგრაფიული თუ სულიერი ლანდშაფტის უარსებითეს თავისებურებებს [დავიმოწმებთ ვრცელ ამონარიდს]: „ინგლისელი მუდამ თავისი სოციალური ყოფის ნიღაბს ატარებს. თავისი სოციალური პოზიციიდან აფასებს იგი ყოველ მოვლენას.

ისტორიამ და ბედმა არგუნა ინგლისელობას გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ა დ უ ბ ე დ ნ ი ე რ ე ს ი პ ო ზ ი ც ი ა მ თ ე ლ ს ე ვ რ ო პ ა შ ი: უილიამ დამპყობლის შემდეგ ინგლისელების მიწაზე მტერს ფეხი არ შეუდგამს და ამიტომაც განუსაზღვრელი სიამაყით შესცქერის ინგლისელი ყოველ კაცს, ვინც ლამანშს გადმოღმა დაბადებულა.

თავკერძი, გულჩათხრობილი, ფილისტერული ინგლისელობა ისეა გაჟღენთილი სოციალური კონვენციების ნალექით, რომ იგი მუდამ ზიზღით შესცქეროდა ადამიანობის უშუალო ეფექტებს, ამიტომაც ფილისტერული ინგლისელობა მოითხოვდა პოეტისა და მხატვრისაგან „ეთიური და ესთეტიური" იდეების ჰარმონიულ შეგუებას" ... ზემოთქმულს მწერალი-ესეისტი უაღრესად საგულისხმო რეზიუმეს მოადევნებს: „სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ბაირონსა და ინგლისს შორის წარმოშობილი სტიქიური განხეთქილების პირველსათავე" [გამსახურდია კ., 1985, 19].

ბიოგრაფიულ დეტალთა დაზუსტებისას, მწერალი გამუდმებით წარმოაჩენს „დაწყევლილი ლორდისადმი" საზოგადოების დამოკიდებულებას: „1805 წელს ლორდ ბაირონი კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტია. კემბრიჯში სწავლობდა მუდამ ინგლისის უმაღლესი არისტოკრატია. მიუხედავად ამისა, ამ წრეშიაც თავს ისე გრძნობს ბაირონი, როგორც „მგლის ხროვას მოცდენილი ერთი მგელთაგანი"... მალე დარწმუნდება, რომ „ინგლისის უნივერსიტეტები მის გონებას ახალს ვერაფერს შეჰმატებენ.... 1812 წლის პირველ მარტს გამოქვეყნდა მისი "Childe

Harold's Pilgrimage" და მთელი ლონდონი აალაპარაკა ამ პოემამ. ეს სენსაცია თავათ პოეტისთვისაც მოულოდნელი იყოო", წერს გამსახურდია და არ იშურებს საქებარ სიტყვებს მსოფლიო რომანტიზმის გამორჩეული პერსონალიის მისამართით: „ძლიერ ფლეგმატურად ემსახურებოდა ბაირონი მუზებს. მიუხედავად ამისა, მის „ჩაილდ ჰაროლდს", „დონ ჟუანს", „მანფრედს" და ლირიკას ათასეული საუკუნეების ფოლადის კბილებიც ვერას დააკლებენ."

რემარკას კვლავ ინგლისური საზოგადოების დახასიათება მოსდევს: „კრიტიკის, ჭორიკანა არისტოკრატიული საზოგადოების სისინმა საბოლოოდ შეაძულა ბაირონს ინგლისი. თუმცა უნდა ითქვას, ბაირონი ისეთივე ცუდი პატრიოტი იყო, როგორც გოეტე - როცა ვატერლოოში მოკავშირეებმა ნაპოლეონი დაამარცხეს, ორივე გენიოსს ძლიერ დასწყდა გული, „პატარები დიდს მოერივნენო" და პარადოქსული ფრაზა: „გულგამოჭმულ დენდის არ უყვარდა არც სამშობლო, არც პოლიტიკა, არც პოეზია" [გამსახურდია კ, 1983, 30] - თვალსაზრისი, რომელსაც, გგონია, რომ ან გაიზიარებ ან ვერა, მაგრამ რომლის ორიგინალ(ურ)ობაცა და ტრაგიზმიც უდავოა, მაგრამ მწერლის არგუმენტები იმდენად დამაჯერებელია, რომ მისი გჯერა კონსტანტინე გამსახურდიას დაკვირვებით, „ფილისტერულ ინგლისელობას არ უყვარს ბაირონი, რადგან იგი სწორედ ისეთი იყო, როგორიც არ უნდა იყოს ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი თავისი რიგორისტული ყოფის, სახელმწიფოსა და ოჯახის ატმოსფეროში. ფილისტერულ ინგლისელობას სძაგდა ეს უარისმთქმელი სული, რადგან მან გამოამზეურა მთელი

ნ ა ც ი ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი, მთვლემარე „დიაბოლური, დემონიური სულობა." როგორც საკუთარი მშობელი დედა, ისევე სძაგდა ინგლისი ბაირონს - ჩაილდ ჰაროლდის პირით ნატრობს კიდეც, ხელმეორედ არ იხილოს ინგლისის ნისლიანი ნაპირები. განებივრებული შვილი თავისი ერისა, ნიუსტედის კოშკს თავის სამშობლოზე მაღლა აყენებს, არა იმიტომ, რომ ბაირონში მესაკუთრე პეერი სთვლემდა, არამედ იმიტომ, რომ ბაირონი გადასცდა ნაციონალური ფარგლებით მოჯადოებულ წრეს და ასეთ ადამიანებს გული არ უდგებათ თავიანთ სამშობლოში. დიდი

ადამიანების სიძულვილიც ისევე აფხიზლებს ერს, როგორც მათი სიყვარული“ [გამსახურდია კ., 1985, 33].

ინგლისის გამორჩეული მოაზროვნის ხასიათის ანალიზისას, კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისით, „ლორდ ბაირონში უნდა განვაკერძოოთ ადამიანი, ინგლისელი და დიდი ტალანტი. მისი ხასიათის კეთილი მხარეები უმეტესად მისი ადამიანობიდან გამომდინარეობენ. მისი ცუდი თვისებანი მის პეერობასა და ი ნ გ ლ ი ს ე ლ ო ბ ა შ ი ა საძებარი. მისი ტალანტი განუზომელია. ინგლისელი თავისთავად ურეფლექსო ადამიანია. დაბნეულობა და პრაქტიკული სული ხელს უშლის ინგლისელს განათლების მიღებაში. ინგლისელი დიდია როგორც პრაქტიკული ადამიანი.“

ესეში ბაირონის შემოქმედების სტილურ თავისებურებესაც გაესმის ხაზი: „არ ემარჯვებოდა ჰომერისებური, ან შ ე ქ ს პ ი რ ი ს ე ბ უ რ ი ეპიური ოპტიკით სამყაროს განჭვრეტა. ყოველ გმირში იგი საკუთარი „მეს“ შინაარსსა სდებდა. ამით აიხსნება საოცარი ჰომოგენობა მისი პოემების გმირების გალერეაში.“

ესეს ფინალში კონსტანტინე გამსახურდია ბაირონს „ინგლისის უდიდეს პოეტად“ იხსენიებს“ [გამსახურდია კ., 1985, 42].

ბაირონის აბრისი გაილანდება ესეშიც „დანტე ალიგჰიერი.“

გენიოსთა გალერეაში გამსახურდია განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს დანტეს და აბსოლუტურად მოსალოდნელ პარალელს შექსპირთან ავლებს: „არც შ ე ქ ს პ ი რ ს და არც გოეტეს, არც რუსთაველსა და არც ბაირონს ისეთი მჭიდრო კავშირი არ ჰქონიათ თავიანთ ეპოქის ვითარებასთან, როგორც დანტეს“ [გამსახურდია კ., 1983, 48] *[შდრ. ელიოტი შექსპირსა და დანტეზე - ზვიად გამსახურდიას ესეში - ვ.ქ.].*

პარალელი გრძელდება: „დანტეს ბიოგრაფიული თარიღებიც ძლიერ მოგვაგონებს რუსთაველისა და შ ე ქ ს პ ი რ ი ს ა ს. მკვლევარები, ბიოგრაფები აქაც მეტწილად ბნელში აფათურებენ ხელს... ახალ საუკუნეში ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი ჩავიდა რავენაში და თავისი ლექსების კრებული დასტოვა დანტეს სამარხში.“

დანტეზე საუბრისას, კვლავ გაიჟღერებს ბაირონისა და შექსპირის სახელები ესეში **„აპოლოგია რუსთაველისა“**: „ბ ა ი რ ო ნ ი ს, გოეტეს, ლონგფელოუსა და ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილი პოემის ჟანრი თითქმის გადაგვარდა. თავად ბაირონმა სიცოცხ-

ლის უკანასკნელ წლებში ამაოდ მოსინჯა გზა პროზისაკენ... რუსთაველისთვის უცნობია ის მრუმე ფერები მისტიციზმისა, როგორითაც განირჩევა მთელს მსოფლიოს დიდოსტატთა შორის დიდი ფლორენციელი, ალიგჰიერი დანტე და, თუ გნებავთ, შ ე ქ ს პ ი რ ი თავისი „მაკბეტის“ მიხედვით“ [გამსახურდია კ., 1983, 132].

მწერალი-ესეისტისათვის ინგლისის დანახვა ისტორიული რაკურსით უაღრესად საინტერესოა და ეს რაკურსი არაერთხელ წარმოჩნდება. ესეში **„ივანე ჯავახიშვილი“** კონსტანტინე გამსახურდია გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომ „თუ დასავლეთის დიდი ინვაზიები მეტწილად დიდ კულტურათა ურთიერთთან შეხლით, ურთიერთზე ზეგავლენის მოხდენით თავდებოდა (მაგალითად, სარკინოზებისა - იტალიასა და ესპანეთში, გერმანთა ტომებისა - ძველ რომში, ნორმანებისა - ი ნ გ ლ ი ს შ ი), სულ სხვა ბუნებისანი იყვნენ საქართველოში მომხდარი თავდასხმები“ [გამსახურდია კ., 1983, 134].

ვფიქრობთ, გამსახურდიასეული კონცეპტი კვლევის საინტერესო რაკურსს სთავაზობს ისტორიკოსებს.

მსჯელობს რა ინგლისური ცივილიზაციის წარმომადგენელთა განსხვავებულ ტიპაჟებზე, ესეში **„ფაშიზმი და მსოფლიო ლიტერატურა“** კონსტანტინე გამსახურდია წარმოაჩენს პორტრეტს ოდიოზური პიროვნებისაც - „რასსული თეორიის მამამთავრებად ითვლებოდნენ უმთავრესად არაგერმანელნი: საკმაოდ დაბნეული, ფრანგი მწერალი და ისტორიკოსი გრაფ გობინო და ინგლისელი რენეგატი ჰუსტონ სტევარტ ჩ ე მ ბ ე რ ლ ი ნ ი, რომელმაც ზურგი შეაქცია თავის ეროვნებას პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში და გაგერმანელდა... ცარიელ სიტყვად გამოაცხადა კაცობრიობა. ეს ცნება ისევე უსაგნიერიაო, როგორც „ცხენობრიობა.“ მრავალტომიან შრომებში ჰუსტონ ჩემბერლენმა ანალიზი გაუკეთა, თავისი ჭკუით, მთელი კაცობრიობის მიღწევებს მრავალი ათასი წლის მანძილზე, და უდიდესი მათ შორის მიაწერა გერმანებს, ანუ არიელებს, ინდოგერმანებს.“

გერმანოფილი გამსახურდია არც ამჯერად კარგავს ობიექტურობის გრძნობას, რემარკა სარკასტულია (და ეპოქალური ტრაგიზმის ამრეკლავიც): „ჩემბერლენზე ადრე არა ერთსა და ორ ჭკუანაღრძობ ბურჟუაზიულ ისტორიკოსსა და ლინგვისტს

უვარჯიშებია კალამი „ინდოარიულ“ ან „ინდოგერმანული“ ერების საკითხების გამო“ [გამსახურდია კ., 1983, 139].

ესეში დეტალურადაა განხილულ-გაანალიზებული ჩემბერლენის „რასსიული“ (რასისტული!) წიაღსვლები, რომელთაც მწერალი ეპოქის რეფლექსირებისათვის ოსტატურად იყენებს - ჩემბერლენის კონცეფციით, არიულ „რასსად“ ითვლებიან რომაელები, ძველი ბერძენნი, ინდოელნი, ირანელნი, გერმანელნი და სხვა, ე.ი., ერების ისეთი კომპლექსი, რომელთაც ეთნიურად, ენობრივად, ტერიტორიულადაც არაფერი აკავშირებს.

„წმინდასისხლიან“ და ერთადერთ ნიჭიერ არიულ რასსას ჩემბერლენმა დაუპირისპირა ვითომდაც „დაბალი, უნიჭო“ ჩინელები, არაბები, ებრაელები, იაპონელები, რუსნი და ჰოი, საკვირველებავ, თვით მუსოლინის სახლიკაცები - იტალიელნი“ [გამსახურდია კ., 1983, 139].

ჩემბერლენის „თეორიას“ გამსახურდია „უხამსს“ უწოდებს. „მართლმორწმუნე ჩემბერლენმა „უნიჭო არააროელად“ გამოაცხადა ებრაელი ერი, რომელმაც კაცობრიობას მისცა არა მარტო ებრაული დიდი ეპოსის ავტორები, არამედ ისეთი საპატიო სახელები, როგორიც არიან ბარუხ სპინოზა, ჰაინრიხ ჰაინე, მენდელსონი, მაიერბეერ, გეორგ ბრანდესი, აინშტაინ, ანატოლ ფრანს, ბერნარდ კელლერმან, მარსელ პრუსტ და მთელი პლეადა მეცნიერებისა, მწერლებისა და კომპოზიტორებისა როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. ჩემბერლინმა თავის ჭკუაში „დაამტკიცა“, რომ მთელი ძველებრაული პროზა პლაგიატია, ებრაელებს არც პოეზია ჰქონიათო, არც ხუროთმოძღვრება, არც ფილოსოფია და არც მხატვრობა. მაშ, რა უყოს ქრისტიანმა ჩემბერლენმა ქრისტეს?! იოლად მოუარა საკითხს ამ შემთხვევაში: ჯერ „მეცნიერულად“ დაასაბუთა ქრისტე ქერა იყოო. ბოლოს ისიც „გამოარკვია“, რომ ქრისტე რომელიღაც რომაელი ჯარისკაცის ბუში ყოფილაო. სხვა უხერხულობანიც წარმოიშვა ჩემბერლენის თეორიებიდან. არიელობის ფარგალს გადაღმა დარჩა ბრწყინვალე სახელები: ჯორდანო ბრუნო, დანტე, პეტრარკა, ჯიოტტო, მიქელანჯელო, რაფაელი, დავინჩი და სხვა მრავალნი“ [გამსახურდია კ., 1983,, 141].

ესეისტი ჩემბერლენის „წიაღსვლებს“ უპირისპირებს კლასიკურ მაგალითებს მსოფლიო კულტურის ისტორიიდან: „ცნობი-

ლია, თუ როგორ დავალებული არიან დანტე, გოეტე და ბ ა ი რ ო ნ ი ებრაული ეპიკის მიმართ. დანტეს ჯოჯოხეთად ჩასვლას საფუძვლად უდევს ლეგენდარული ნაზარეველის ქვესკნელს ჩასვლა, ხოლო ფაუსტისა და მეფისტოს ანალოგია იობის წიგნშია მოცემული. ებრაული ფოლკლორის მიერ შთაგონებულია მ ი ლ ტ ო ნ ი ს „დაკარგული სამოთხე"... თანამედროვე საფრანგეთის, ი ნ გ ლ ი ს ი ს ა და გერმანიის დიდი მხატვრები შორეული აღმოსავლეთის ოსტატებისაგან სწავლობდნენ ნიადაგ" **[გამსახურდია კ., 1985, 145]** *[მწერლის თვალსაზრისის ჭეშმარიტების დასტურად ვან გოგის იაპონური ესტამპებიც იკმარებდა, ან ეზრა პაუნდის „ხატაის" სტილიზებული ტექსტი - ვ.ქ.].*

გერმანოფილი ესეისტი მომდევნო პასაჟშიც ობიექტურია, როდესაც აღნიშნავს: „გერმანული ფილოსოფია უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ი ნ გ ლ ი ს უ რ ი და ფრანგული ფილოსოფიებიდან სესხულობდა მმართველ იდეებსა და ინსპირაციებს. კანტის კრიტიციზმის პირველსათავეები დ ე ი ვ ი დ ჰ ი უ მ ი ს ა და ლ ო კ ი ს ფილოსოფიაშია მოცემული" **[გამსახურდია კ., 1985, 146].**

გამსახურდია მორიგ (კიდევ ერთ) ესეშიც წარმოაჩენს აბრისებს შექსპირისა და ბაირონისა, მსოფლიოს გამორჩეული ეპიკოსისა (დრამატურგისა) და ლირიკოსისა: „ლიტერატურის ყოველ ჟანრში XIII საუკუნიდან დღემდის ფრანგები, ესპანელები, იტალიელები და ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი იძლეოდნენ მმართველ იდეებს როგორც დრამატურგიაში, ისე პროზასა და ლირიკაში. გოეტე და შილლერი, თავიანთი დიდი და ორიგინალური იდეების მიუხედავად, როგორც დრამატურგები, შ ე ქ ს პ ი რ ი ს ა გ ა ნ სწავლობდნენ, ხოლო, რაც შეეხება ლირიკას, დარბაისელი გოეტე, რომელიც თავისთავად მსოფლიო პოეზიის უბრწყინვალესი მწვერვალთაგანია, თავათ აღიარებს ლორდ ბ ა ი რ ო ნ ს, როგორც უდიდეს შთამაგონებელს" **[გამსახურდია კ., 1985, 146].**

ჩემბერლენის „დოქტრინის" ჭრილში განიხილავს მწერალი-ესეისტი თომას მანის ზოგიერთ თვალსაზრისსაც.

ესეში **„თომას მანნ"** კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნის სტილზე „ზეგავლენა მოახდინეს ნიცშემ, ფონტანემ, მოპასან-

მა, სკანდინავიელმა დაინგლისელმა დიდმა პროზაიკოსებმა, განსაკუთრებით, ტეკერეიმ და დიკენსმა... თომას მანნზე ადრე ჰუსტონ სტეევარტ ჩემბერლენ ახდენს ერთგვარ ექსკურსს მსოფლიო ისტორიის მანძილზე. იგი რატომღაც ძველ რომაელებს ცივილიზებულ ხალხად აცხადებს, ხოლო ძველბერძნებს და მათ შემდეგ ისტორიის არენაზე გამოსულ გერმანებს - კულტურისერებად" [გამსახურდია კ., 1985, 152... 162].

გამსახურდია გაკვირვებით იკითხავს, რატომ „გადააფასა" მანმა „ასე ხელაღებით იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის დიდი კულტურა, რად ჩამოაქვეითა ეს ერები „ცივილიზაციის დაბალ ხარისხზე."

მწერალი-ესეისტი ევროპული კულტურის უნივერსალურ ღიაობას კონსტატირებს, როდესაც აღნიშნავს, რომ თვით გერმანული კულტურა საუკუნეების მანძილზე იკვებებოდა იტალიური რენესანსის მაღალი იდეებით. იტალიის ბრწყინვალე მხატვრობა, ფრანგული გოტიკა, პროვანსალური რომანი, ტრუბადურების პოეზია, ლოკკისა და ჰიუმის ფილოსოფიური კონცეპციები,

შექსპირის ტრაგედიები, მოლიერის კომედიები - განა ეს ყოველივე საუკუნეთა მანძილზე არ ანაყოფიერებდა გერმანულ კულტურას მთლიანად, რამდენადაც ეს უკანასკნელი გაცილებით ახალგაზრდაა იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის კულტურებთან შედარებით?! რენესანსის, ჰუმანიზმის, რეფორმაციების დროინდელი იტალია, საფრანგეთი დიდ ზეგავლენას ახდენდნენ გერმანელი ხალხის შემოქმედებაზე და ვერც თომას მანნი უარჰყოფს ინგლისის დიდი ფილოსოფიისა და მწერლობის ზეგავლენას გერმანულ კულტურაზე. პლატონური ესთეტიზმი, აპოლოგია მამაკაცის მშვენიერებისა, როგორც ტემა, არაერთგზის გამოუყენებიათ ფრანგსა და გერმანელ სიმბოლისტებს, ინგლისელ პოეტს ოსკარ უაილდს, თანამედროვე გერმანიის დიდ პოეტს სტეფან გეორგეს და მის სკოლას."

უაღრესად მნიშვნელოვანია მწერლისეული დაკვირვება თომას მანის მწერლური მეთოდის, ზოგადად, პათოსის საკითხზე - „პრუსიული იუნკერების იდეოლოგიას იგი ებრძოდა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის, ინტელექტუალური ბიურგერობის პო-

ზიციებიდან, ხოლო საფრანგეთისა და ი ნ გ ლ ი ს ი ს დიდ დემოკრატებს უპირისპირებდა ვითომდაც „აპოლიტიკურ“ კულტურის გერმანიას. ცხოვრებამ არ გაამართლა მისი თეორიები“ **[გამსახურდია კ., 1983, 165].**

ზემოთ მოყვანილი არაერთი მაგალითი ადასტურებს, რომ გამსახურდია ევროპას ერთიან სივრცედ იაზრებს და, რასაკვირველია, არამხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით. მწერალი-ესეისტი გამუდმებით ავლებს პარალელებს ევროპელთა გამორჩეული მოაზროვნეების ბიოგრაფიულ დეტალებს, თუ ზოგადპერსონალურ აბრისებს შორის, რათა მსგავსება-განსხვავებანი ნათლად გამოკვეთოს. წლიდან წლამდე, ესედან ესეში უბრუნდება შექსპირის, გოეთეს, ბაირონის პერსონალიებს, ესედან ესეში აცოცხლებს და ხელახლა ძერწავს თითქოს უკვე მრავალგზის გამონაძერწს და ყოველ ახალ ჯერზე - ახალი რაკურსით წარმოჩენილს, ახალი დეტალით გამდიდრებულს. თომას მანის თუ სტეფან გეორგეს პორტრეტების გამოკვეთის შემდეგ, კვლავ გოეთეს დაუბრუნდება, რათა მემირიადედ შეადაროს შექსპირსა თუ ბაირონს, გენიოსთა საერთოევროპული სულისკვეთება გაამკვეთროს მკითხველის წარმოსახვაში.

ესეში **„იოჰან ვოლფანგ გოეტე“** მწერალი გამორჩეულ მოაზროვნეთა შესახებ ლიტერატურათმცოდნეთა დამოკიდებულებას უღრმავდება და, ტრადიციულად, საგულისხმო, უცილობლად გასაზიარებელ განაზრებებს გვთავაზობს: „ზოგიერთი ბიოგრაფი გოეტეს გაცილებით უფრო „ბედნიერ ვარსკვლავზე“ დაბადებულად სთვლის, ვიდრე ბ ა ი რ ო ნ ს და პუშკინს. რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა ბედნიერი ვარსკვლავის მეოხებით, არამედ - მისი მშვიდი, ჰარმონიული და აუმღვრეველი ბუნების წყალობით. იგი გაცილებით უფრო გულდინჯი მჭვრეტელი იყო, ვიდრე ბ ა ი რ ო ნ ი. ილია ჭავჭავაძის მიერ მოცემული კლასიკური დაპირისპირება გოეტე-მყინვარისა და ბ ა ი რ ო ნ-თერგს შორის უბრწყინვალესი ანალოგოსსია, გოეტეს მჭვრეტელური ბუნების შესაცნობად განწონილი“ **[გამსახურდია კ., 1985, 190].**

აღნიშნული პასაჟი ილიას „მგზავრის წერილებისა“ არაერთგზისაა მოხმობილი გამსახურდიას ესეისტიკაში.

ბაირონის მორიგი ხსენებისას ინგლისური საზოგადოების აბრისსაც კიდევ ერთხელ შემოგვთავაზებს მწერალი: „რა თქმა უნდა, არც ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი მჯდარა გულზე ხელებდაკრეფილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოთავებული მისი დიდი პოემები და განსაცვიფრებელი ერუდიციის მოხვეჭა კოლოსალური ენერგიის გაღებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დეგრადირებული ი ნ გ ლ ი ს უ რ ი არისტოკრატიის გახრწნილებამ ისეთი წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ლორდზე, რომ მის დაღუპვაში ამ მომენტმაც განსაზღვრული წილი დაიდო“ [გამსახურდია კ., 1985, 192].

ღრმა ფსიქოლოგიზმითაა აღბეჭდილი ესეს დამოწმებული პასაჟი.

ინგლისური (და არამხოლოდ) საზოგადოების ხაზგასმული დეკადანსის ერთ უარსებითეს გამოხატულებად კვლავ მშობლიური ენისადმი დამოკიდებულების კონცეპტია გამოკვეთილი, ენის პრობლემაა აქცენტირებული (მწერლისეული კონცეპტი უაღრესად დამაფიქრებელია): „არც ერთ ქვეყანაში არისტოკრატია არ ყოფილა ნაციონალური ენის მესვეური. ფრანგული არისტოკრატია მუდამ ი ნ გ ლ ი ს უ რ ენას სთვლიდა „შიკად“, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი არისტოკრატია - ფრანგულს, ხოლო გერმანული თავადაზნაურობა დაღუპვის კვირაძალამდის ხან ფრანგულ ენას ეპოტინებოდა, ხან - ი ნ გ ლ ი ს უ რ ს, იგივე ითქმის როგორც რუსულ, ისე ქართულ „ბრწყინვალე“ წოდებათა გამო.”

ესეისტი გოეტეს შემოქმედების წყაროებსა და წინამძღვრებს აკონკრეტებს: „ჰერდერმა ნამდვილი მენტორობა გაუწია გოეტეს ხალხური პოეზიის, ბიბლიის, რუსსოსა და შ ე ქ ს პ ი რ ი ს შ ე ფ ა ს ე ბ ი ს საქმეში.”

„ლორდ ბაირონს“ ორი ნაკლი აქვსო, ეუბნება ცნობილ საუბრებში ეკერმანს გოეტე: ლორდობა და ი ნ გ ლ ი ს ე ლ ო ბ ა“ [გამსახურდია კ., 1985, 199], - ხაზგასმით გამოკვეთს აღნიშნულ პასაჟს გამსახურდია.

პირუთვნელი მოაზროვნე იმასაც აღნიშნავს, „არც ერთ გენიოსს მსოფლიოსას ყველაფერი თანაბარი ღირებულებისა არ შეუქმნია. როგორც შ ე ქ ს პ ი რ ს, ისე ბ ა ი რ ო ნ ს, გოეტესა და შილლერს ბევრი რამ დაუწერიათ ისეთი, რომელნიც მათივე ნა-

ციონალური ენების ისტორიისათვის თუ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ ინტერესს" კვლავ გენიოსთა შემოქმედების ენობრივ შრეებს აქცენტირებს მწერალი-ესეისტი. ენობრივ შრეებთან ერთად, ლიტერატურულის საზომის არსსაც ულრმავდება: „[გოეტეს] ზოგიერთი დრამა შ ე ქ ს პ ი რ ი ს მოუნელებელ ზეგავლენას ამჟღავნებს, ხოლო ჰექზამეტრით დაწერილი პოემები ძნელად საკითხავია, რამდენადაც ჰექზამეტრი ბერძნული ლექსის სპეციფიურად ნაციონალური ფორმაა და ჰექზამეტრი ანაქრონიზმია საერთოდ."

უხვად ვხვდებით ინგლისურ ალუზია-რემინისცენციებს ესეში **„ჰონორე დე ბალზაკ."** „პოემა, რომელსაც ბრწყინვალე ტრადიციები ჰქონდა ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი ს, შილლერისა და ლონგფელოუს ქმნილებებში, ჩვენი საუკუნის ზღურბლზე თითქმის დაიშრიტა" **[გამსახურდია კ., 1983, 206]** - დაკონკრეტებულ-რეფლექსირებულია ჟანრის დეკადანსი. თვალსაზრისთა განსამტკიცებლად გამსახურდია ისეთი ავტორიტეტული მოაზროვნის მოსაზრებას დაიდასტურებს, როგორიც იპოლიტ ტენია: „ჰიპოლიტ ტენი შ ე ქ ს პ ი რ ს უწოდებდა ადამიანური დოკუმენტების სალაროს. ბალზაკი შ ე ქ ს პ ი რ ს უტოლდება არა მარტო თავისი პოეტური რანგით, თავისი კოლოსალური ძალმომრეობით, არამედ იმითაც, რომ ბალზაკის ქმნილებებიც დაუშრეტელი სალაროა ადამიანურ ვნებათა, ზნეთა, ჩვევათა, იდეალთა და ტკივილთა" - პარალელიზებულია შექსპირისა და ბალზაკის ღვაწლი, ისიც აღნიშნულია, რომ „ბალზაკს არც ისეთი მეცნიერი ჰყოლია, როგორც გოეტეს ვაიმარელი ჰერცოგის სახით, მას არა ჰქონია გვაროვნული არისტოკრატობის პრივილეგიები, როგორიც გააჩნიათ ლორდ ბ ა ი რ ო ნ ს ა და ლევ ტოლსტოის, მის კალამს უნდა მოეხვეჭა მისთვის ის დიდი მოცალეობა, რომელიც აუცილებელია დიდი მასშტაბის შემოქმედისათვის" **[გამსახურდია კ., 1983, 214]**.

ესეში ლამის რომანულ ინტრიგას გამოლანდავს მწერალი-ესეისტი: „ბალზაკი წაეპოტინება ამ უკანასკნელ ხავსს (ცნობილია, როგორც იმჟამინდელ საფრანგეთში, ისე დღევანდელ ევროპასა და ამერიკაში უსახსრო ახალგაზრდა კაცი, მწერალი ან მეცნიერი, მდიდარი ცოლის მზითევით იკეთებს ხოლმე კარი-

ერას)" - ხაზგასმულია ფინანსურ-მატერიალური ასპექტები შემოქმედებისა, შემოქმედის ცხოვრებისა.

გამსახურდია აბსოლუტურად ობიექტურად აფასებს ბალზაკის ღვაწლს და ფრანგ მოაზროვნეს მართებულად აცხადებს გენიოსთა თანამოდასედ: „თავისი დიდი განსწავლულობით, ერუდიციითა და შრომის კულტურით იგი უსწორდება შ ე ქ ს პ ი რ ს, გოეტესა და დანტეს... ვიტალურ დეტალებს რომ თავი დავანებოთ, ამ ეპოპეაში ფრანგულის გვერდით გაისმის ი ნ გ ლ ი ს უ რ ი, ლათინური, იტალიური, სლავური ენები და თვით არაბული" - იქმნება ერთგვარი ენობრივი, ლინგვისტური მოზაიკა.

დასამახსოვრებელ ლიტერატურულ ფიგურებს გვთავაზობს კონსტანტინე გამსახურდია: „თუ ანატოლ ფრანსი გრანდიოზულ ი ნ გ ლ ი ს უ რ პარკსა ჰგავს, დაოსტატებული მებაღის მიერ შეკრეჭილსა და მოვლილს *[კიდევ ერთხელ გაკრთება ეს ხშირი და საგულისხმო პარადიგმა - „ინგლისური პარკი", როგორც ქაოსს დაპირისპირებული კოსმოსის ენიგმა - ვ.ქ.]*, ბალზაკი უსიერ ტევრს მოგაგონებს, რომელსაც თვალის წარმტაცად ცაში ატყორცნილი კიპარისები, პინიები და მაგნოლიები ამშვენებენ, ამ ტევრში ჰყვავიან შტომრავალი და ჩრდილმრავალი ხეები, არა მარტო ფრანგული წარმოშვებისა."

ეს ლირიკული ინტერმეცო დაუვიწყარია, საინტერესო პასაჟად გვთავაზობს გამსახურდია ინგლისური და ფრანგული ბაღების შედარებას *[შდრ. ბაღის კონცეპტი მარსელ პრუსტის „სვანის მხარეში" - ვ.ქ.]*.

ბალზაკზე დაწერილ ესეშიც, რასაკვირველია, ამოჩნდება შექსპირი და მისი გენიალური მონასმის სილაღე და ძალდაუტანებლობა: „მისაბაძია ყოველ დროის ხელოვანისათვის შ ე ქ ს პ ი რ ი, რომელსაც თავისი ოხუნჯობის, კარის ხუმარების პირით სიმსუბუქე და ფრივოლური განწყობილება შეაქვს თვით გამძაფრებულ დრამატულ სიტუაციაში" **[გამსახურდია კ., 1985, 224]**.

ამგვარ მეთოდს გამსახურდია რუსთველის შემოქმედებაშიც გამოკვეთს (ესე **„ჰერდრიკ იბსენ"**): „რუსთველი ნადირობით იწყებს თავისი პოემის უდიდეს დრამას და შ ე ქ ს პ ი რ ს ოხუნჯებისა და ტაკიმასხარების ლეგიონი იმისთვის სჭირია, რომ ტრაგიული გმირების პირიდან გადმონთხეული სატირა და სიბრძნე შეამსუბუქოს" **[გამსახურდია კ., 1985, 402]**.

მწერალი-ესეისტის მახვილი თვალი იქვე შექსპირის მხატვრული სტილის სხვა უარსებითეს თავისებურებასაც აღიქვამს და დააფიქსირებს: „შ ე ქ ს პ ი რ ი ს ტრაგედიებშიც უამრავი ბრძნული აზრია გაბნეული, მაგრამ ეს ყოველივე არასოდეს განცხადებული არაა მსჯელობის, რეზონირების სახით, არამედ - სენტენციების, აფორიზმების და პარაბოლების მეშვეობით, სწორედ ამაშია შექსპირის გენიის იგავმიუწვდენლობა."

საუბრობს რა „გობსეკის" ავტორზე, გამსახურდია უღრმავდება ევროპის ეკონომიკურ პოლიტიკას, აღნიშნავს, რომ „ამ ახალი ტიპის ბურჟუებს თავიანთი ქსელი განფენილი აქვთ მთელს ევროპაში: ნიდერლანდის, გერმანიის, ი ნ გ ლ ი ს ი ს, იტალიისა, რუსეთის და ბალკანეთის სავაჭრო ცენტრებთან კავშირი აქვთ; სპეკულანტების გვირგვინოსან მეფეს ლუი ფილიპსაც წილი უდევს ამ ბნელ ოპერაციებში" [გამსახურდია კ., 1985, 227].

პოლიტიკურ-ეკონომიკური რაკურსი ესეისტს კვლავ პარალელიზებისთვის სჭირდება: „ბალზაკის რომანი „მამა გორიო" უსასტიკესი სატირაა ბურჟუაზიული ცხოვრების მორალისათვის. ამ რომანში ბალზაკი ახლებურად აშუქებს შ ე ქ ს პ ი რ ი ს ე უ ლ თემას, „მ ე ფ ე ლ ი რ შ ი" აღძრულს" *[ვფიქრობთ, ასევე, „ვენეციელ ვაჭარშიც" - ვ.ქ.]*. ესეისტი იმ დეტალსაც აფიქსირებს, რომ „თავათ ბალზაკი დარწმუნებული იყო, რომ მისი რომანები უფრო დიდი ტრაგიზმის შემცელნი იყვნენ, ვიდრე შ ე ქ ს პ ი რ ი ს ტრაგედიები... მართლაცდა, ადამიანის სულის ჯურღმულებში ასე ღრმად მხოლოდ შ ე ქ ს პ ი რ ს თუ ჩაუხედნია. შ ე ქ ს პ ი რ ს ა ვ ე წააგავს იგი თავის ქმნილებებში გამოვლინებული ხასიათების რთული და მრავალფეროვანი კალეიდოსკოპით, თავის მრავალგვარი ტიპების კომპლექსით."

მწერალი-ესეისტის დასკვნა ფაქტის ჰიპერბოლიზებად არ აღიქმება. გამსახურდია გამუდმებით უსვამს ხაზს, რომ „ბალზაკის ტალანტის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით შ ე ქ ს პ ი რ ს ა და მოლიერს, რაბლესა და რ ი ჩ არ დ ს ო ნ ს, ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ს ა და გოეტეს, რუსოსა და ვოლტერს, სავსებით განსაკუთრებული - გერმანელ რომანტიკოსს ჰოფმანს."

ესეს სხვა პასაჟში გამსახურდია კვლავ პოლიტიკური და ეკონომიკური კონცეპტების უმჭიდროეს კავშირზე საუბრობს: „ერ-

თის მხრით, აოცებს ადამიანს ევროპის დასავლეთის დიდი ლიტერატურანი, ამ ქვეყნების ბრწყინვალე მუზეუმები, დიდი ისტორიული ძეგლები, მუსიკა და მეცნიერება, უაღრესად ჰუმანისტური იდეები, რომელთაც ქადაგებდნენ თუნდაც საფრანგეთის XVIII და XIX საუკუნის მწერლები დიდრო, რუსსო, ვოლტერი, შატობრიანი, ვიქტორ ჰიუგო, ხოლო, მეორეს მხრით, ის სავსებით გაშიშვლებული ველური და ცინიკური ეგოცენტრიზმი, რომელსაც ეწეოდნენ დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელმწიფოები: ი ნ გ ლ ი ს ი, საფრანგეთი და გერმანია" [გამსახურდია კ., 1985, 235].

გამსახურდია პარალელს ავლებს ანტიკური ცივილიზაციების პოლიტიკურ-ეკონომიკურ თავისებურებებთან: „ჩვენ ხომ ზუსტი ცნობები მოგვეპოვება ძველი ანტიკის, საბერძნეთისა და რომის საგარეო და საკოლონიო პოლიტიკის გამო. გვაქვს ცნობები ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ნახევრად ველური, იმპერიალისტური ხალხების თავდასხმებისა და მათ მიერ სხვა ეროვნებათა ჩაგვრის გამო, მაგრამ უნდა ითქვას, არც ერთ ქვეყანაში ეგოიზმსა და გაშიშვლებულ მატერიალიზმს, უაღრესი ცინიზმის ზღურბლამდის მისულს, ასეთი მასშტაბები ჯერ არსად ჰქონია. იგივე ხდება ჩვენს დროში დასავლეთის ჰემისფეროზე, სახელდობრ, ამერიკაში" [მწერალი ამერიკისადმი, ტრადიციულად (კონკრეტულად, მისი ეკონომიკური პოლიტიკისადმი) უნდობლადაა განწყობილი].

ამერიკიდან მწერალი-ესეისტი „აღმოსავლეთ ჰემისფეროში" ბრუნდება, რათა შემდეგ კვლავ დასავლეთში გადაინაცვლოს: „წარსულში ყველა ხალხი ვაჭრობდა ამ პლანეტაზე, ცნობილია, ისეთი ხალხების წრეში, სადაც დიდი საზღვაო და საქარავნო გზები გაივლიდნენ, ადამიანის პსიხიკაზე ვაჭრული ურთიერთობის ანაბეჭდი რჩებოდა მუდამ, მაგრამ ისეთი მერკანტილური სული, როგორსაც მატარებლიდან ან გემიდან ახლად ჩამოსულიც გრძნობს ე ვ რ ო პ ა შ ი, მე არა მგონია სხვა კონტინენტზე სადმე წარმოსადგენი იყოს. რა თქმა უნდა, თანამედროვე ამერიკის გარდა" [გამსახურდია კ. 1985, 236].

პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზისას, გამსახურდია სხვა ინგლისელ ავტორებსაც დაასახელებს, რასაკვირველია - კვლავაც ზოგადევროპული კონტექსტის გათვალისწინებით:

„რუსსოსა და ვოლტერს, გოეტესა და შილლერს, დ ი კ ე ნ ს ს ა და ტ ე კ ე რ ე ი ს ხშირად გამოუსახავთ ადამიანებს შორის ფულადი დამოკიდებულებების პრობლემები, საფრანგეთის ლიტერატურის სხვა დიდ კორიფეებს არა ერთხელ აუმაღლებიათ ხმა ამ ოქროს მამონას კულტის წინააღმდეგ, მაგრამ ისეთი შემზარავი სურათი დასავლეთ ევროპის მერკანტილიზმის გამომჟღავნებისა, ჯერ არც ერთ დიდ ხელოვანსს არც ბალზაკამდის და არც მას შემდეგ არ გამოუსახავთ."

ციტატაში კვლავ ეკონომიკის პოლიტიკური ასპექტებია აქცენტირებული.

ესეს შემდეგ პასაჟში გამსახურდია კვლავ შექსპირთან პარალელს უბრუნდება:

„შ ე ქ ს პ ი რ თ ა ნ თემატურ გაჯიბრებად უნდა მივიჩნიოთ ბალზაკის „გობსეკი" ... არც ტაიფერი, არც ბარონ ნუსინგენი, არც ტიუე, არც ბიქსიუ, არც ლიუსიენი, არც ემილი ბრონტე, არც რასტინიაკი - თანამედროვე ევროპასა და ამერიკაში გობსეკი და მისი სულიერი მემკვიდრენი ცხოვრობენ, ბატონობენ და თაყვანს სცემენ იმავე ღვთაებას - ოქროს... ოქროს უჩხრიალებენ ჯიბეში მარშალის გეგმებისა და ატლანტიკის პაქტის ავტორები, ხოლო ემილ ბლონდეს დარი ჟურნალისტები „ოსანას" უგალობენ მსოფლიო იმპერიალიზმისა და ახალი ომების გამჩაღებლებს. დასასრულ, ამერიკელი მილიარდერები გობსეკსავით როდი ალპობენ ხორაგეულს, არამედ ოკეანეში ჰყრიან ყავას და შაქარს საკმარისი ბაზრების უქონლობის გამო" [გამსახურდია კ., 1985, 240].

სავარაუდოდ, ესესისტი საგაზეთო ინფორმაციას ეყრდნობა.

„ლეონარდოს სურათები და ნახაზები გაბნეულნი არიან მთელი ევროპის მუზეუმებში. ზოგი მილანშია, ზოგი - ფლორენციაში, ზოგი - პარიზის ლუვრში, ვ ი ნ დ ზ ო რ შ ი, ლ ო ნ დ ო ნ შ ი, ვენაში, ბერლინში, ლენინგრადში" [გამსახურდია კ., 1985, 258] - ეს უკვე „ხელოვანთა ბედის" კონსტატაციაა ევროპა-ამერიკის ბაზარზე.

ამავე ესეში მწერალი-ესეისტი იძლევა რომანის ჟანრის ჩინებულ დეფინიციას. გამორჩეულ რომანისტთა შორის უილიამ მეიქფის თეკერეისაც ასახელებს: „რომანისა და ნოველის ჟანრი,

რომელიც მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში აღწევს თავისი განვითარების ზენიტს, უნივერსალური ჟანრია, რომანმა შემოიმტკიცა ლირიკის უშუალო შემართება, დრამისაგან დიალოგების ლაპიდარობა ისესხა, ხოლო ისტორიოგრაფიისაგან აიღო რეტროსპექტური მეთოდი ჭვრეტისა; მანვე აითვისა ბუნებისმეტყველების მიღწევანი, და ამგვარად შეიქმნა ტოლსტოის, ბალზაკის, ტ ე კ ე რ ე ი ს ა და ჰიუგოს რომანები."

გამსახურდია არც ამ ესეში უშვებს ხელიდან შესაძლებლობას ბაირონის ხსენებისა: „ხომ დიდზე დიდი პოეტი იყო ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი, მაგრამ იგი თავის პოემებს შერჩა, ამაოდ ეცადა პროზაში მოეკიდა ფეხი; ამასავე ცდილობდა ჰაინრიხ ჰაინე, მაგრამ ნიჭიერად დაწერილ ნარკვევს ვერ გასცდა" [გამსახურდია კ., 1985, 262].

ესეისტი, აგრძელებს რა ჟანრობრივ განაზრებებს, ინგლისელ ავტორებსაც (ამჯერად - შექსპირსა და თეკერეის) ახსენებს: „ცნობილია, რომ დიდი მწერლების შემოქმედებაც იწვევს ხანდახან შორეულ რემინისცენციებს, რამდენადაც დიდი ლიტერატურაც არ გამორიცხავს ზეგავლენასა და პარალელიზმს, თემის სესხებას და თემის გამო გაჯიბრებას, ისე როგორც ეს ფაუსტისა და დონ ჟუანის გამო მომხდარა საუკუნეთა მანძილზე. მაგალითისათვის დავასახელებდი შილლერსა და გოეტეს, მათ არაერთხელ უცდიათ შ ე ქ ს პ ი რ ი ს თემატიკის განგრძობა, ან მასთან გაპაექრება, ისევე, როგორც პუშკინს, ტოლსტოისა და ლერმონტოვს - ბაირონის, გოეტესა და ტ ე კ ე რ ე ი ს მიმართ, მაგრამ გოგოლის შესახებ ამის თქმა არამც და არამც არ შეიძლება. მისი თემატიკა და მისი კომპოზიცია აღბეჭდილია განსაცვიფრებელი ორიგინალობით."

იუმორისტულ-გროტესკული პლასტის შესახებაც მსჯელობს გამსახურდია: „სიცილის მომგვრელი რამეების თქმასა და კომიურის აღწერას გენიოსი თუ შეძლებსო" - ეს სიტყვები ეკუთვნის მიგუელ სერვანტესს. ამ საქმის ოსტატები იყვნენ ლაბიში, რაბლე, ს ვ ი ფ ტ ი და გოგოლი."

გამსახურდია ბალზაკისა და შ ე ქ ს პ ი რ ი ს ტექსტების ოქსიმორონულ ბუნებას უსვამს ხაზს, კერძოდ - ტრაგიკულისა და კომიკურის ურთიერთ-განპირობებულობას: „ეს ნიჭი მას [ბალ-

ზაკს - ვ.ქ.] აახლოებს შექსპირთან - შ ე ქ ს პ ი რ ს რომ თავისი ტრაგიკული პერსონაჟები და ნიღბები მარტოოდენ დრამატული ინტონაციით აემეტყველებინა, ვერავითარი მაყურებელი და მსმენელი მისი პიესების მოსმენას ბოლომდე ვერ შეძლებდა, მაგრამ შექპირის გენიოსობა სწორედ ისაა, რომ იგი ოსტატია კიდევ ერთ საქმეში: იგი ტრაგიკულს ხელოვნურად აწყვილებს კომიკურ ინტონაციასთან და ეს შესაძლებელს ხდის იმ განსაცვიფრებელი დრამატიზმის მონელებას, რომელიც ჩქერალივით იფრქვევა მისი ტრაგედიების გმირთა პირიდან" **[გამსახურდია კ., 1985, 268].**

საგულისხმოა დაკვირვება მწერალთა სტილის ცვალებადობაზე ლანდშაფტის გავლენით: „ასე მაგალითად, კავკასიაში ჩამოსული პუშკინი, ლერმონტოვი და თვით სადა წერის დიდოსტატი ლევ ტოლსტოი, კავკასიის ბუნების გრანდიოზულობასა და ფერადიანობის ზეგავლენით გაცილებით უფრო ხატოვანი სტილით წერდნენ, ვიდრე მაშინ, როცა ჩრდილოეთის ლანდშაფტებს გვიხატავდნენ. ეს ეხება არა მარტო მათ, - თვით ლორდ ბ ა ი რ ო ნ მ ა ც აღმოსავლეთში ჩამოსვლის შემდეგ ოდნავ შეიცვალა წერის მანერა."

ესეს სხვა პასაჟში გამსახურდია პარალელს ავლებს გოგოლის, შექსპირისა და ბალზაკის პერსონაჟებს შორის და ხაზს უსვამს მათ ორიგინალობას: „მკვდარი სულებით მოვაჭრე კაცი ისევე უცნაურია, როგორც შექსპირის შეილოკი და ბალზაკის გობსეკი. მე მგონია, არც ძველი და არც თანამედროვე კრიტიკა საკმარისი ყურადღებით არ მოქცევია ორს, მოცულობით მცირე, მაგრამ უდიდესი ექსპრესიით დაწერილ ნოველას - „ცხვირსა" და „პორტრეტს". უცნაურ ნოველებს ბევრს იცნობს მსოფლიო პოეზია. საკმარისია ედგარ პო და ჰოფმანი ვახსენოთ. ჰოფმანი მშრალია და მოსაწყენი, უზომო არაბუნებრიობა სრულ აბსურდამდეა დაყვანილი."

ინგლისური და ამერიკული რომანის შესახებ მსჯელობისას, გამსახურდია აღნიშნავდა: „ფრანგულ რომანს XII საუკუნეში ეყრება საფუძველი. ამ ეპოქაში რომანს, ისევე, როგორც ირანსა და საქართველოში, ლექსად წერდნენ. ამ ტენდენციას გზა გადაუღობა ლა სალესის „პეტიტ ჟეან დე სენრეს" გამოსვლამ.

რაბლეს გროტესკები არ შეიძლება რომანებად ჩაითვალოს, მიუხედავად ამისა, პანტაგრუელის ავტორმა ძლიერად წინ წასწია ფრანგული პროზა, რომელსაც უკანასკნელ საუკუნემდის უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა ესპანეთის, ი ნ გ ლ ი ს ი ს, გერმანიისა და იტალიის რომანისტიკის განვითარებაზე“ [გამსახურდიაკ., 1985, 279].

გამსახურდია კონსტატირებს ფრანგული რომანის გავლენას ევროპის დანარჩენი ქვეყნების სიტყვაკაზმულ მწერლობაზე, მათ შორის, ინგლისისაც, შემდეგ მზერის რაკურსს რუსეთისკენ ანაცვლებს: „პუშკინს მიუძღვის უდიდესი ღვაწლი არა მარტო რუსული პოეზიის აღორძინებაში, რუსული პროზაც მან აიყვანა დიდ სიმაღლეზე. პუშკინის მიერ აღებული გეზი დაასრულეს რუსული მწერლობის თავკაცებმა - გოგოლმა, ტურგენევმა და ლევ ტოლსტოიმ. მათ მიანიჭეს რუსულ რომანს ევროპული პოპულარობა და თავიანთი დიდი ქმნილებები თამამად ამოუყენეს გვერდში საფრანგეთის, გერმანიის და ი ნ გ ლ ი ს ი ს დიდი მწერლების რომანებს.“

ევროპულ-ამერიკული რეზონანსის მქონე რომანებზე მსჯელობისას გამსახურდია წერს: „ჩვენი თანადროულობისათვის მხოლოდ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს შერჩენილი ტოლსტოის ნეოქრისტიანულ ქადაგებებს, მის ასკეტურ ფილოსოფიას, ამას ყოველივეს ორგანული კავშირი არა აქვს „ანნა კარენინას“ შემოქმედისათვის, რომელიც ჰომერისეული ვნებიანობით აღგვიწერს თავისი მშვენიერი ელენეს - ნატაშას და ანნა კარენინას - უჭკნობ ხორციელ სილამაზეს და მთელს გალლერეას ულამაზესი ქალებისას. მხოლოდ გენიოსის ჭირვეულობით უნდა ავხსნათ მისი უმართებული თავდასხმები შ ე ქ ს პ ი რ ი ს, დანტეს, ბეთჰოვენისა და ვაგნერის მიმართ. ლოგიკას განრიდებულია ტოლსტოის მიერ ხელაღებით უარყოფა კაცობრიული ცივილიზაციის პროგრესისა და მთელი თანამედროვე კულტურის მიმართ - ნიჰილისტური პოზიციის აღება - ეს ყოველივე ჩრდილს ვერ აყენებს ლევ ტოლსტოის როგორც დიდ ხელოვანს, რუსული სიტყვის უბადლო ოსტატს“ [გამსახურდია კ., 1985, 282].

კ. გამსახურდიას კომენტარი უზუსტესია. მწერალი-ესეისტის დაკვირვებით, „ედგარ პო და დოსტოევსკი, მირაბო, ანდრე

ჟიდი და მრავალი თანამედროვე მწერალი ევროპისა და ამერიკისა დოსტაქრის შეუპოვრობით აშიშვლებენ ადამიანის ინტერიორს, შინაარსებას და მუდამ იმას მიელტვიან, ტენდენციურად გამოაჩინონ ადამიანის ფსიხიკის და ბუნების ზადი, ხაზი გაუსვან ღამით *[ბნელ - ვ.ქ.]* მხარეებს ბუნებისას და კაცთა ცხოვრებისას... მეცხრამეტე საუკუნის რომანისტთა შორის არა ერთი დიდოსტატი შეხებია ახალგაზრდა ადამიანის კაცად გახდომის პროცესს. ახალგაზრდა ადამიანის ვნებას დიდი ტილოები უძღვნეს გოეტემ და სტენდალმა, ტ ე კ ე რ ე ი მ და ბალზაკმა. ტოლსტოის „ბავშვობა, სიყრმე და სიჭაბუკე" უბრწყინვალესი შედევრია ამ ტემაზე დაწერილ ქმნილებათა შორის. იგი თამამად უსწორდება გოეტეს „დიჰტუნგ უნდვარჰაიტ-ს" და ავგუსტინეს „აღსარებებს".

ჩამონათვალში ჩნდება დიდი ინგლისელი რომანისტის უილიამ თეკერეის სახელი.

ქართველი მკითხველისათვის საინტერესო პარალელიც ჩნდება ესეში: „ისე, როგორც ბაირონის შემოქმედებაში წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა იტალიასა და საბერძნეთში მოგზაურობამ, საქართველოს, კავკასიის ბუნებამ შთაგონებით აღავსო ტოლსტოი" **[გამსახურდია კ., 1985, 289]**.

ეგზოტიკურ სივრცეებზე მსჯელობისას გამსახურდიას ამჯერად ორი ინგლისელი ავტორი შემოჰყავს: „ყოველი მწერლისათვის უდიდესი გამოცდაა ის მომენტი, როცა იგი თავისი ტომის, თავისი ერის ყოფის მიჯნებს გადაალაჯებს და უცხო მასალის დამუშავებას ხელს მიჰყოფს. ასეთი გამოცდა ბრწყინვალედ აიტანეს ლევ ტოლსტოიმ და შ ე ქ ს პ ი რ მ ა, სტენდალმა და კ ი პ ლ ი ნ გ მ ა." „ეგზოტიკის თემატიკას" მრავალგზის უბრუნდება მწერალი-ესეისტი.

კონსტანტინე გამსახურდია ესეში **„კარგი ევროპელი"** ჩამოთვლის ქართული კულტურის უცხოელ მოამაგეებს: „ჩვენ ევროპელ მეგობრებში მარი ფელისიტე-ბროსსე, პროფ. ჰომელ ფინკ, შუხარტ, ჰოლდაკ, მეკელაინ, ბორკ, მ ი ს ი ს და მ ი ს ტ ერ ვ ო რ დ რ ო პ ე ბ ი, არტურ ლაისტი განსაკუთრებით დაფასების ღირსნი არიან. **[გამსახურდია კ., 1985, 294]**.

„ლ ო რ დ მ ა ბ ა ი რ ო ნ მ ა ც იტალიაში, საბერძნეთსა და სტამბოლში დასწერა თავისი უდიდესი პოემები. თუ ლორდ ბა-

ირონი მოხეტიალე ბოჰემა იყო, ძველი ვიკინგივით რომ დაჰქროდა ქვეყანაზე, გოეტე ქალაქებთან ისე იყო დაკავშირებული, როგორც უბრალო მდაბიო მოქალაქე - აქაც არის მათ შორის განსხვავება. ა ნ გ ლ ო -ს ა ქ ს ე ბ ი ს ა და ვიკინგების მოხეტიალე სისხლი ედგა ინგლისელ ლორდს; დარბაისელი გერმანელი მისანი იყო გოეტე და, ალბათ, მისი ჭვრეტითი პოტენცია ისევე ვერ ითმენდა არეს გამოცვლას, როგორც კენიგსბერგელი ბრძენის - კანტის, რომელიც თავის ქალაქს აროდეს გასცილებია" [გამსახურდია კ., 1985, 298]. მწერალი-

ესეისტი ყურადღებას მიაპყრობს ისეთ დეტალებსაც კი, როგორიცაა მოაზროვნეთა ჰობი: „სიჭაბუკიდან ბ ა ი რ ო ნ ს ა და ნიცშეს გაშმაგებით უყვარდათ ცხენოსნობა; გოეტე ბავშვობიდანვე დარბაისელ მოხუცებთან ბაასს არჩევს ამ სპორტსო", დასძენს ესეს სხვა პასაჟში. [„სამხედრო საქმისადმი სიყვარული არც ბარათაშვილს ჩაუნერგავს ჩემთვის და არც ბაირონს - ოდითგანვე ცხენის კულტი იყო ოდიშის მხარეში. ექვსი წლის ბავშვს განსვენებული მამაჩემი უბელო ცხენზე შემაგდებდა. ბოლოს შეეეთვისეო" - ავტობიოგრაფიულ პასაჟს გვთავაზობს ესეში „ჰენდრიკ იბსენი" (გამსახურდია კ., 1985, 397)].

ხეტიალის ჟინის ანალიზისას, გამსახურდია კიდევ ერთხელ დაიმოწმებს ბაირონის ქრესტომათიულ პერსონაჟს - ეს ჟინია, „ჩ ა ი ლ დ ჰ ა რ ო ლ დ ს რომ დაახეტებდა მთვარეულივით მთელს ქვეყანაზეო" [გამსახურდია კ., 1985, 316].

მერამდენედ განაზოგადებს გამსახურდია არაერთგზის კონსტატირებულს: „გოეტე და შ ე ქ ს პ ი რ ი, რუსთაველი და ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი, როგორც სული, როგორც ფენომენი, ინტერნაიონალური ხდებიან. ამიტომაც ამგვარი დიდი სულის მემკვიდრეობა შეუძლია დაიჩემოს ყოველ ტომს, ყოველ ერს, ვისაც მათი შეცნობის და შეთვისების უნარი შესწევს."

ზემოაღნიშნულ ესეშიც (ისევე, როგორც ბალზაკისადმი მიძღვნილში) კვლავ კონსტატირდება ეპოქის კომერციული სული, რომლის დასახასიათებლადაც ინგლისელ მოაზროვნეთა პორტრეტებსა და ციტატებს მოიშველიებს მწერალი-ესეისტი: „ლორდ ბ ა ი რ ო ნ ზ ე ამბობენ, როცა პირველი ჰონორარი მიიღო, მწარე ცრემლებით იტირაო, გოეტეს არ მოსწრებია ის დრო,

როცა ფულისთვის სწერენ მოსყიდული ჟურნალისტები და გაყიდული მწერლები. იგი პოეტობას სთვლიდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც დემონიურის განსახიერებას, პოეზიას - როგორც უცილო დემონოლოგიას. ო ს კ ა რ უ ა ი ლ დ ი წერდა: რას დასწერდა ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი, რომ იგი უბრალო კონტორის მოხელე ყოფილიყო" [გამსახურდია კ., 1985, 330].

სამყაროს კომერციალიზაციის სულის საპირწონედ, გამსახურდია იხსენებს: „ჩვენს საუკუნეს შესაძლოა არც კი ესმოდეს, თუ როგორი განუსაზღვრელი სინატიფით სწერდნენ თავიანთ გულის დედოფლებს სიყვარულის უსტარებს გოეტე და ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი... შ ე ქ ს პ ი რ ი ს არ იყოს, მასაც [გოეტესაც] სჯეროდა, რომ „ამ ქვეყანაზე უფრო დიდი საიდუმლოებანი მოიპოვებიან, ვიდრე ფილოსოფიას ოდესმე დასიზმრებია."

ბაირონის დასახასიათებლად გამსახურდია გოეთეს მიერ ეკერმანისათვის თქმულ სიტყვებს კონსტატირებს: „ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი ცეცხლმოდებული ჯაგი იყო, რომელმაც ლიბანის წმინდა ნაძვები ხანძრით მოსრნა... ლორდ ბაირონი უჩვეულო ტალანტია. ერთხელ შობილი უბადლო ნიჭი და ნიჭი მისოდენი არავის ჰქონია ჯერ მეორეს, დედისგან შობილს... „მანფრედს" „ვნებათა და აზრთა კვინტესსენციას" უწოდებს იგი, ხოლო „დონ ჟუანს" - უსაზღვროდ გენიოსურ ქმნილებას."

ესეში კონსტანტინე გამსახურდია გოეთესა და ბაირონის პარალელურ პორტრეტებს კიდევ ერთხელ გვთავაზობს: „საუკუნის დიდი სულები ერთიმეორეს გაეხმაურნენ და ლორდ ბ ა ი რ ო ნ მ ა ტრაგედია „სარდანაპალი" უძღვნა ვაიმარელ ოლიმპიელს ასეთი წარწერით: "To the Goethe a stranger presumes to offer the honour of a literary vassal to his lord, the first of existing writers, who has created the literature of his own country and illustrated that of Europe, the unworthy production which the author ventures to inscribe to him is entitled Sardanapalus" (გამსახურდია პასაჟის საკუთარ თარგმანს გვთავაზობს) - „უცნობი ჰბედავს შესთავაზოს მორჩილება ლიტერატურული ვასალისა ბრწინვალე გოეტეს - თავის უფალს, ცოცხალ მწერლებში უპირველესს, შემქმნელს თავისი ქვეყნის ლიტერატურისა, ე ვ რ ო პ ი ს ლიტერატურის აღმზევებელს. მოკრძალებული ნაშრომი, ავ-

ტორის მიერ მოწიწებით მისადმი მიძღვნილი, იწოდება "სარდანაპალად." გამსახურდია წერს: „გოეტემ უპასუხა ლექსით: "Ein freundlich Wort kommt eines nach dem andern". ლექსმა მოუსწრო ბაირონს ლივორნოში, საბერძნეთის განმათავისუფლებელ ომში წასვლის კვირაძალში. 1824 წლის 19 აპრილს მისოლუნგში დაიღუპა ლორდ ბაირონი. გოეტე შეაძრწუნა ამ საშინელმა ამბავმა" **[გამსახურდია კ., 1985, 354].**

ესეს სხვა პასაჟში გამსახურდია ერთიან სივრცეში მოიხსენიებს საკულტო ავტორებსა და ქრესტომათიულ პერსონაჟებს: „ადამიანურის გადალმა, ადამიანურზე ზევით მიიწევდნენ მუდამ ლუტერი და რუსსო, ჰ ა მ ლ ე ტ ი და მ ა ნ ფ რ ე დ ი, შილლერი და გოეტე, ფაუსტი და ზარატუსტრა", რათა კვლავ პარალელი დაძებნოს: „ფაუსტის სიყვარული გრეტხენისადმი ძლიერ წააგავს ჰ ა მ ლ ე ტ ი ს ა და ო ფ ე ლ ი ას რომანს. შ ე ქ ს პ ი რ ი და გოეტე აქ ამხელენ იმ დიდ უფსკრულს, რომელიც ქალსა და ვაჟს შორის არსებობს - ხომ განუზომელია ო ფ ე ლ ი ა ს ა და გრეტხენის გრძნობიერება, უბადლო სინაზით მეტყველებს მათი სიყვარული, მაგრამ რა საცოდავი ქონდრისკაცებია ქალთა ფიგურები ორივე ტრაგედიაში!" **[გამსახურდია კ., 1985, 361].** *[განსხვავებულია ოფელისადამი დამოკიდებულება ვალერიან გაფრინდაშვილის ესეისტიკაში - ვ.ქ.].*

გოეთესა და შექსპირის „პარალელური ბიოგრაფიის" წერას გამსახურდია აგრძელებს ესეშიც **„სტეფან გეორგე"**: „გოეტესა და შ ე ქ ს პ ი რ ი ს ა გ ა ნ მოითხოვდნენ, რომ მათ ნაწერებში გამოხატულიყო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლი. მიუხედავად გოეტეს ვაიმარული პარნასიზმისა, გოეტე ანგარიშს უწევდა თავისი დროის მოთხოვნილებათ. ამიტომაც როგორც მისი „ფაუსტი", ისე „ვილჰელმ მაისტერი" როკოკოს დროის ზნეობრივი სახიერების აღბეჭდვას გულისხმობდა."

შემდეგ მწერალ-ესეისტს ტექსტის მხატვრულ ქსოვილში სხვა გერმანელი ავტორი შემოჰყავს და პარალელს ამჯერად უაილდთან ავლებს: „ფენომენ ბუნებას *[ბუნების ფენომენს - ვ.ქ.]* უნდა დაუპირისპირდეს ფენომენი ხელოვნება *[ხელოვნების ფენომენი - ვ.ქ.].* სტეფან გეორგე, ამ აზრით, ერთგვარი დასრულებაა იმ ხელოვნებისმიერი პოეზიისა, რომლის წარმომადგენე-

ლი იყო ლამანშს გადაღმა ინგლისელი პოეტი-ესთეტიკოსი ოსკარ უაილდი, ხოლო კონტინენტზე - ბოდლერი, მალარმე, ვერვეი და ჰიუსმანი" [გამსახურდია კ., 1985, 379].

ევროპული სივრცის უნივერსალური ერთიანობა წარმოჩნდება ესეში **„ჰენდრიკ იბსენი."** მწერალი-ესეისტი აღნიშნავს, რომ იბსენის „დრამები იდგმებოდა მთელს ევროპაში - ბერლინი, მიუნხენი, პარიზი, ლონდონი ყოველ საღამოს ტაშს უკრავდა მის გმირებს... ინგლისური გაზეთი "Daily Telegraph" „ბესტიანურ-ცინიკურ კოცებუს" უწოდებდა იბსენს. კარგად შენიშნა ბერნარდ შოუმ: „მხოლოდ ჭკუათხელ იდიოტებსა და ჭკუანაღრძობ ხალხს არ ესმით იბსენის სიდიადე" [გამსახურდია კ., 1985, 394].

იბსენზე საუბრისასაც კი ქართულ სივრცეში „ინაცვლებს" მწერალი-ესეისტი და ფრიად საინტერესო დაკვირვებას აფიქსირებს: „ერთ საღამოს მეგობრისას შევიარე. ჩემი მასპინძელი ფრიად საამური მოუბარი იყო და ძველი საქართველოს ყოფის კარგი მცოდნე. ბერიკაცს საუბრის დროს სიტყვა „ზანდაროზი" წამოსცდა. ამ სიტყვას მე საბასგანაც ვიცნობდი, მაგრამ წინათ ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის. იმ ხანებში ერთი ინგლისელი მოგზაურის დღიურს ვკითხულობდი და მე მას ვუამბე: აფრიკელ ველურებს ზოგიერი ცხოველის სახელის ხსენება ეკრძალებათ და, ისევე, როგორც ჩვენში, მათაც ტაბუ ჰქონიათ-მეთქი" [გამსახურდია კ., 1985, 403].

მკვლევარი მზია თამაზაშვილი აღნიშნულ საკითხს იკვლევს ფრიად საინტერესო წერილში „ტაბუ" - მითი და ნოველა": „უხსენებელზე იყო ტაბუ, რადგან მისი ხსენება თვით სულს იწვევდა" [თამაზაშვილი მ., 1997, 132].

ესეში **„თანამედროვე რომანისათვის"** გამსახურდია კვლავ უბრუნდება შექსპირის გრანდიოზულ ფიგურას და მნიშვნელოვან კონცეპტს უსვამს ხაზს: „შექსპირს არავითარი ტიპები არ გამოუსახავს, არც ჰამლეტი, არც მეფე ლირი, არც ოტელო, არც რომელიმე მისი ჰენრი *[იგულისხმება პიესები „ჰენრი მეშვიდე, ჰენრი მერვე..." - ვ.ქ.]* ტიპები არ არიან, დანტეს კომედიაში არც ტიპებია და არც ხასიათები, არამედ იმანენტურად მოცემული მზა სქემებია ისტორიულ პირთა, ან მითოლოგიური წარმოდგე-

ნანი, როგორც გრაფ უგოლინო, ეშმაკი, ანგელოზი, ღმერთი, ღვთისმშობელი, ვირგილიუსი და სხვანი... ტიერს, მომზენს ან მიშლეს სირცხვილად ჩაეთვლებოდათ რომელიმე ისტორიული ფაქტის შეთხზვა, ხოლო დ ა რ ვ ი ნ ს ან მენდელს არასოდეს არც ერთი არყოფილი ცხოველის ან მცენარის სახელი არ გამოუგონიათ, არც შეეძლოთ გამოეგონათ. ბ ა ი რ ო ნ მ ა კარგად იხუმრა ერთხელ - წაართვით შეთხზვის, ტყუილის ნიჭი პოეტს და შიმშილსგან ამოძვრება სულიო" [გამსახურდია კ., 1985, 405].

ესეისტი „პროფესიულ მწერლობაზეც" მსჯელობს და ამ კონტექსტში თეკერეის შემოქმედებას იხსენიებს: „თანადროული გაგების პროფესიული მწერლობა დასავლეთის ბურჟუაზიის აღმავლობას თან მოჰყვა. ბალზაკი, ტ ე კ ე რ ე ი და ჰაინრიხ ჰაინე გაცილებით უფრო უფლებამოსილი ადამიანები იყვნენ, ვიდრე მათი წინაპარნი ლიტერატურისმიერნი.... სტენდალი, ტ ე კ ე რ ე ი, ტოლსტოი ცხოვრების მიერ მაგრად ნათრევი ადამიანები იყვნენ. ზოგი ომებში, ზოგი ვაჭრობაში. განსაკუთრებთ დიდს ვიტალურ *[ცხოვრებისეულ - ვ.ქ.]* გამოცდილებას მოითხოვს ხელობა რომანისტისა, არა მარტო თანადროულ მეცნიერებათა მიღწევებისა, არამედ ადამიანთა მასების ფსიქოლოგიის დიდ ცოდნას. ალბათ, მერიმეს მოყირჭდა პროფესიული მწერლობა და ამიტომაც სიძველეთა ინსპექტორობა არჩია თავის ძირითად ხელობას. აგრეთვე ამბობენ: ლორდ ბ ა ი რ ო ნ მ ა იტირა თურმე, როცა პირველი ჰონორარი მიიღო. ჩვენი თანამდროვენი ზოგნი პირუკუ იქცევიან ხოლმე: ჰონორარების ნაკლებობას დასტირიან მომეტებულად" [გამსახურდია კ., 1985, 415] - გროტესკულ-ირონიული მწერლის მონასმი. ვაჭრული, კომერციული სულისკვეთებისადმი ქართველთა დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანშივეა" ფიქსირებული: „თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი."

სულიერების ჭირისუფლად ცხადდება ბაირონი, რომელიც მხატვრული ტექსტების არა მხოლოდ შინაარსობრივ, ფორმალურ მხარეზეც ზრუნავდა. გამსახურდია აზუსტებს, რომ „მეცხრამეტე საუკუნეს გააჩნდა, რომანსა და დრამას გარდა, ერთი ფრიად ტევადი ხელმარჯვე ჟანრი, სახელდობრ პოემა. ბ ა ი რ ო ნ მ ა, გოეტემ და პუშკინმა დიდ სიმაღლეზე აიყვანეს იგი.

მეოცე საუკუნეში ეს ჟანრი დაქვეითდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვერჰარნის ეპიურ პოემებს, რომელნიც მოკლებულნი არიან ოსტატურად გაკვანძულ ფაბულებს, ხსენებული კორიფეების მიერ ეგზომ რაფინირებულს. საქართველოში ჩვენს უახლოეს პოეზიაშიც არის ამ ჟანრის წამოწევის ცდა“ **[გამსახურდია კ., 1985, 418]**.

ფორმალისტური ძიებების პარალელურად, გამორჩეული მოაზროვნენი აქტიურად იყენებენ არქეტიპებს, წინარესახეებს. შემოქმედების ამ ასპექტსაც მიაპყრობს ყურადღებას კონსტანტინე გამსახურდია: „ევროპის მწერლობისა და მხატვრობის ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, ნამდვილი ხელოვნება არასოდეს ყოფილა მხოლოდ აწმყოთი განსაზღვრული. დანტე, და ვინჩი, რაფაელი, შ ე ქ ს პ ი რი და გოეტე ხან ბიბლიურ მოტივებს ამუშავებენ, ხან - ანტიურ ტემებს *[ტრანსლიტერაცია გა-მსახურდიასეულია - ვ.ქ.]*, მაგრამ მათი შემოქმედებითი მიზანი იყო არა პოპულარიზება წარსულისა, არამედ - შეფარული, პარაბოლური ენით გამოჩინება მათივე თანადროულობის, მათივე ეპოქისა.“

გამსახურდია შექსპირის შემოქმედების წანამძღვრებზე, ინსპირაციაზე საუბრობს: „შ ე ქ ს პ ი რ მ ა ისესხა საქსო გრამატიკუსის ქრონიკებიდან ლეგენდარული ჰამლეტის ამბავი, მაგრამ იგი პირდაპირ ან სიტყვა-სიტყვით როდი გადმოუღია, არამედ - ტრანსფორმირებულის სახით, ასევე, გამოიყენა მან პლუტარქი *[პლუტარქე - ვ.ქ.]* იულიუს ცეზარის დრამატიზების დროს, ხოლო ჰოლინშედის ქრონიკები - რიჩარდ მესამის, ყველა ჰენრისა და მეფე იოანესთვის და, როგორც ერთი გონებამახვილი ფრანგი შენიშნავს, და ეს გააკეთა „ისტორიული ჭეშმარიტებით კი არა, არამედ - დრამატიული ჭეშმარიტების ფარგლებში.“ შ ე ქ ს პ ი რ ი ს დრამებს როცა ვკითხულობთ, ასე გვგონია, იულიუს ცეზარის, კორიოლანუსის და თვით ჰამლეტის ამბები თითქოს გუშინ მოხდა. სწორედ აქ ეყრებიან ურთიერთს ისტორია და ხელოვნება. პლუტარქეს, პოლიბიუსის და ჰოლინშედის ნათხრობით მივყავართ წარსულში, ხოლო შ ე ქ ს პ ი რ ს, ფლობერს და ტოლსტოის წარსული მოჰყავთ ჩვენთან და, ტლანქად რომ ვთქვათ, ისინი ახდენენ წარსულის გადმოსახლებას აწმყოში“ **[გამსახურდია კ., 1985, 419]**.

მწერალი-ესეისტი, რასაკვირველია, აღნიშნავს, რომ არქეტიპი მხოლოდ ინსპირაციაა და „ისტორიული მასალა შემოქმედის ხელში მუდამ განიცდის „ძალდატანებას“ *[გამსახურდია გულისხმობს მხატვრულ ტრანსფორმაციას - ვ.ქ.]*. ამის გარეშე ავტორს ეკარგება უფლება გამოგონებისა, ურომლისოდაც შ ე ქ ს პ ი რ ი, ბალზაკი და ტოლსტოი ანალისტების *[მემატიანეების - ვ.ქ.]* გადმომწერელნი, კოპისტები *[ზმნიდან to copy - ვ.ქ.]* დარჩებოდნენ უთუოდ.“

შემოქმედება, ბუნებრივია, არქეტიპის მეტამორფოზაა და არა „კოპირება“ და ეს კონცეპტია ფიქსირებული მწერალი-ესეისტის ზემოთ დამოწმებულ ამონარიდში.

გამსახურდია უშორესი წარსულისაკენაც მიაპყრობს მზერას და ლიტერატურის ერთიან ისტორიას წარმოაჩენს (მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, როგორც ყოველთვის, ქართულ ლიტერატურასაც იაზრებს): „ასე გაამითა *[მითად აქცია - ვ.ქ]* ჰომეროსმა საბერძნეთის ისტორია, შ ე ქ ს პ ი რ მ ა - ი ნ გ ლ ი ს ი ს ა და ვაჟა-ფშაველამ პრეისტორიისაკენაც დაიხია და ძველი სკანდინავიური ბარდების კილოზე შეაქო ომში გამოჩენილი მამაცობა ქართველი ხალხისა.“

გამსახურდია ლიტერატურის ისტორიის ერთიან სურათს ქმნის, პანორამა-მოზაიკაში თითოეული „კენჭის“ თვითმკმარობას აქცენტირებს, მაგრამ იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ვერც ერთი ცალკეული ავტორი, გენიოსიც რომ იყოს, მხოლოდ ცალკეული ავტორია და არა მთელი ლიტერატურის მონუმენტური სივრცის შემქმნელი: „ორი-სამი კაცი, თუნდაც ყოველი მათგანი ბ ა ი რ ო ნ ი ს, გინდა ბალზაკის ტოლი რომ იყოს, ლიტერატურას ვერ შექმნის. თანამედროვე მწერლობას სჭირდება არამც თუ ცალკეული პიროვნებანი, არამედ - მაღალნიჭიერ ადამიანთა მთელი ანსამბლი“ **[გამსახურდია კ., 1985, 424]**.

მხოლოდ წარსული შედევრებით ტკბობას კონსტანტინე გამსახურდია მიუღებლად მიიჩნევს, მახვილგონივრულად ნათლავს „უკუმზერიობად“: „უკუმზერიობის ყველაზე ტრივიალური განსახიერებაა ისეთი კაცი, რომელიც ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახის: ოჰ, რა დიდი მწერლები იყვნენ ტ ე კ ე რ ე ი, ტოლსტოი, ფლობერი, რა დიდი პოეტები იყვნენ: აკაკი, ბ ა ი რ ო ნ ი და პუშ-

კინი!" [გამსახურდია კ., 424]. მწერლისავ აზრით, დაუშვებელია პანთეონი უფრო მაღალი გქონდეს, ვიდრე აწმყო.

გენიოსთა ტექსტების სიუჟეტებსაც ულრმავდება მწერალი-ესეისტი. მისი გაღიზიანება გამოუწვევია მავან რეცენზეტს („ჟურნალ „ზნამიას" რეცენზენტის საპასუხოდ"), რომელსაც მწერალი რომანში ადიულტერის ფიქსირებისთვის გაუკიცხავს. გამსახურდია მკაცრად, მაგრამ ტაქტიანად (არცთუ გროტესკული ნოტების გარეშე) შეახსენებს, რომ „ადიულტერზეა აგებული მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი პოემა და რომანი. ადიულტერია მშვენიერი ელენეს ამბავი, ჰომეროსის მიერ შექებული, ადიულტერია „ვეფხისტყაოსნის" ავთანდილის მიერ ფატმანთან გამიჯნურება, მე-19 ს. ევროპული რომანების საფუძვლად ადიულტერია დადებული. საკმარისია ვახსენოთ „მადამ ბოვარი", ტ ე კ ე რ ე ი ს „ამაოების ბაზარი", ლევ ტოლსტოის „ანნა კარენინა", „კროიცერის სონატა", მთელი მოპასანი და ბალზაკიც რომ ადიულტერია, ეს უნდა იცოდეს რიგიანმა კრიტიკოსმა, და თუ არ იცის, მცოდნეს დაუჯეროს" [გამსახურდია კ., 1985, 444].

ესეში **„უწყინარი შენიშვნები"** აზუსტებს, რომ მწერალს განსაკუთრებული ტაქტი მოეთხოვება, რაც, სამწუხაროდ, შემოქმედთაგან ყველას როდი აქვს გააზრებული და, როგორც მწერალი-ესეისტი წერს, „მარკიზ დე სადის, ზიგმუნდ ფროიდის, ანდრე ჟიდის და მაქს შტირნერის ღირსეული მემკვიდრეები დღესაც ზრდიან ე ვ რ ო პ ა ს ა და ამერიკაში ლიტერატორების ახალ კადრებს, რომელთაც სერიოზულად სჯერათ, მწერალი რაც უფრო ღრმად ჩაიყურყუმალავებს უზნეობის მორევში, მით უფრო იოლად მისწვდებაო ადამიანის სულის უფსკრულებს" [გამსახურდია კ., 1985, 457].

ამგვარი თემატიკა ბუნებრივად ამოიყოლებს ჟარგონის პრობლემასაც, რასაც ასევე საგანგებოდ აღნიშნავს მწერალი: „ი ნ გ ლ ი ს ი ს ა და საფრანგეთის დიდი მწერლები სრულიადაც არ ერიდებოდნენ ჟარგონს, რა თქმა უნდა, ლექსიკის ხარჯზე."

ჟარგონის თემიდან ძალდაუტანებლად გადადის ენის ზოგად ბუნებაზე და, ამავდროულად, ენათა გავრცელების ისტორიულ-პოლიტიკურ ასპექტებზეც: „ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ენაც საკმაოდ დი-

დი კატაკლიზმების ხარჯზეა წარმოქმნილი. როცა რომაელებმა ბრიტანეთის ტერიტორია ედინბურგამდის დაიპყრეს და თავიანთი „კოლონია“ დაარსეს, ლათინურმა გასრისა აბორიგენთა ენა.... გერმანულ-საქსურ ტომების ინგლისის კუნძულებზე შეჭრამ კიმრულ-ბრიტ(ან)ული ენა გაანადგურა, იგი მარტო უ ე ლ ს ი ს პროვინციაში შემორჩა. ქვემოგერმანული ტომების, ანგლოსაქსების, იუტების, დანიელებისა და ნორმანების შემოსევათა შედეგად, ი ნ გ ლ ი ს უ რ ენაში უამრავი ბარბარიზმი შემოიჭრა... ნორმანთა ბატონობის პერიოდში ნორმანული გახდა სახელმწიფო ენა და იგი გაბატონებული იყო XV საუკუნემდე. ინგლისურზე უფრო მონოლითური იყო იტალიური ენა, რომელმაც მრავალი საუკუნის მანძილზე გაუძლო რომის იმპერიის სახელმწიფო ენის მეტოქეობას. დანტეს და პეტრარკას დროს იტალიური ისე დაბრიყვებული იყო, რომ მას „ბაზარზე სალაყბო ენას“ უწოდებდნენ. დანტეს გენიამ ბოლოს ტოსკანური დიალექტი საფუძვლად დაუდო იტალიურს. რუსულ ენასაც ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონდა ბერძნულთან და ძველსლავურთან, ახალ საუკუნეებში - გერმანულთან, ი ნ გ ლ ი ს უ რ თ ა ნ და ფრანგულთან“ [გამსახურდია კ., 1985, 478]. მწერალი-ესეისტი აღნიშნავს, რომ მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის დიდი ჯაფა გასწიეს ჟუკოვსკიმ, პუშკინმა, ტოლსტოიმ და ტურგენევმა - „ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენების ზეგავლენის დასაოკებლად. ცნობილია: ყოველი ხალხის არისტოკრატები და ბიუროკრატები თაკილობდნენ საკუთარ ენაზე საუბარსა და წერას. ვილჰელმ მეორის კარზე მხოლოდ ი ნ გ ლ ი ს უ რ ა დ ლაპარაკობდნენ, ხოლო ნიკოლოზ II-ის სასახლეში - ი ნ გ ლ ი ს უ რ ი დ ან ფრანგულად.“

როგორც ყოველ ესეში, „უწყინარ შენიშვნებშიც“ კვლავ ქართულ პრობლემატიკასთან „მიიყვანს“ მკითხველს კონსტანტინე გამსახურდია: „ქართული ენა მსოფლიო უხუცეს ენათაგანია, ქართული ანბანის კონფიგურაციას რომ დავუკვირდეთ, იგი ჯერაც ატარებს ტვიფარს იმ ეპოქისას, როცა ასო-ნიშნებს ქვაზე ამოკვეთდნენ ხოლმე. მსოფლიოში სულ რამდენიმე ალფაბეტია ცნობილი. ევროპისა და ამერიკის ხალხებს ლათინური აქვთ, მუსულმანურ ერებს - არაბული, ცნობილია კიდევ ძველსპარსუ-

ლი, კატაკანა (იაპონური), ებრაული, ბენგალური, სანსკრიტული, ეგვიპტური, ტიბეტური და რუსული *[მწერალი გულისხმობს კირილიცას - ვ.ქ.]*. მცირერიცხოვან ერთა შორის მხოლოდ ჩვენ და სომხებს გაგვაჩნია ნაციონალური ალფაბეტი."

ქართულივე სივრციდან „გამოვა" მწერალი-ესეისტი, რათა შექსპირის შემოქმედების ერთ არსებით მახასიათებელს - გმირთა მრავალეროვნულობას - გაუსვას ხაზი: „შორეულ წარსულში ამგვარ რამეებს მხოლოდ გენიოსები ახერხებდნენ: რუსთაველი თანაბარი ოსტატობით აღწერდა არაბსა და ინდოელს, შ ე ქ ს პ ი რ ი ს გმირები არიან არა მარტო ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი, არამედ იტალიელები, დანიელები და რომაელები" **[გამსახურდია კ., 1985, 483]**.

სხვა კონცეპტებთან ერთად, გენიოსთა შემოქმედებაში უმთავრესს - ბოროტის კეთილით ძლევის პრინციპსაც გამოკვეთს გამსახურდია. ესეში **„ლადო გუდიაშვილი"** ზემოთქმულის ანალიზს საკმაო სივრცე ეთმობა: „მსოფლიო პოეზიის უდიდესი გენიოსები: ჰომეროსი, შ ე ქ ს პ ი რ ი, რუსთაველი და პუშკინი კეთილის მიერ ბოროტის ძლევას გვიჩვენებდნენ, ხოლო თავად მხატვრობა, რომელიც ჩრდილისა და შუქის შენაცვლებისაგან ძალმოცემულია, ნათელი ფერების ჩრდილებზე გამარჯვების შედეგია, ბოლოს და ბოლოს... ნამდვილი ჰუმანისტური ხელოვნება უნდა ცდილობდეს ადამიანის გულისყური გაამახვილოს ცხოვრებისა და ბუნების სილამაზისადმი" **[გამსახურდია კ., 1985, 536]**.

გამსახურდიასთვის მნიშვნელოვანია მწერლ(ობ)ის უნივერსალურობის კონცეპტიც, ამდენად, იგი აბსოლუტურად სამართლიანად გაუღიზიანებია პოზიციას მავანი კრიტიკოსისა, რომელიც „ნაციონალურ შეზღუდულობას" უკიჟინებდა მწერალს. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ესედან **„ავტორისეული რეპლიკები"**, დასტურად იმისა, რამდენად სიღრმისეულად იცნობდა დიდი შემოქმედი მსოფლიო ლიტერატურასა და ისტორიულ ანალებს. მწერლისეულ განაზრებებში გულისტკივილი გამოსჭვივის იმის გამო, რომ „ევროპელი ისტორიკოსები იმთავითვე იგნორაციით ექცეოდნენ წინა აზიის, საერთოდ, აზიის ისტორიის საკითხებს, რადგან მათთვის მსოფლიოს ისტორია

იწყება საბერძნეთისა და რომის პირველი სახელმწიფოებრივი ფორმაციის ამბებით. ჩაიხედეთ ფრანგების, გერმანელების, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი ს მიერ შედგენილ მსოფლიო ისტორიებსა და ენციკლოპედიებში, - ეს სამყარო სავსებით გამორიცხულია მათგან... ბიზანტიელები რუსებს შემთხვევით „სკვითებს“ უწოდებდნენ. მე მგონია, ვარანგთა საკითხის გასარკვევად ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ანა კომნენის ჩვენება. ანა კომნენი - კეისარის, ალექსი კომნენის ქალია, იგი კარგად იცნობდა იმპერატორის სასახლეში სტუმრად მოსულ ქართველებს, რუსებს, სომხებს და ბულგარელებს. აი, რას წერს იგი ე.წ. ვარანგების გამო: „ამ ციხეში გუშაგად დაყენებულნი იყვნენ ეგრეთწოდებულნი „უკვდავნი“, ეს იყო საგანგებო რაზმი რომაელთა (ე.ი., ბიზანტიელთა) ჯარისა, ხოლო მეორეში - ვარანგები თულიდან (წერაქვ-ცელებით შეიარაღებული ბარბაროსები).“

ეს ციტატი მოტანილი მაქვს ანა კომნენის „ალექსიადიდან.“ ი ნ გ ლ ი ს უ რ ი თარგმანის ტექსტს დართული აქვს მთარგმნელის შენიშვნა სქოლიოში, სიტყვის ქვეშ Thule. ზოგიერთ ინტერპრეტატორთა აზრით, რომელიმე სლავური ტომის ნაშიერნი“ [გამსახურდია კ., 1985, 548].

განაზრებების შემდეგ, გამსახურდია უბრუნდება ზემოაღნიშნულ უსაფუძვლო ბრალდებას: „მასალების შტუდირებისა და ჩხრეკის დროს, მე არ გამომრჩენია თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერი, არც რუსეთის, არც ი ნ გ ლ ი ს ი ს, არც საფრანგეთის მეცნიერთა წრეებიდან და სრულიად არ მესმის, სად არის აქ „ნაციონალური შეზღუდულობა“, რომელსაც გვიკიჟინებს ჩემი რეცენზენტი?!

გამსახურდია არა მხოლოდ ანალებს იცნობს ზედმიწევნით, ლიტერატურის თეორიასაც ძირისძირობამდე სწვდება და მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის მემკვიდრეობას აქტიურად იყენებს თავის ესეისტიკაშიც.

ესეში **„ბოლოსიტყვა“** მწერალი, ესეს ჟანრული თავისებურებების კვლევისას, ისტორიასაც გადასწვდება: „ესსეი, უპირველესად, ცდას ნიშნავს. ესსეის ჟანრი ევროპულ მწერლობაში შემოიღო მონტენმა. იგი ი ნ გ ლ ი ს უ რ შ ი გადანერგა ლორდ ბ ე კ ო ნ მა. დიდი წვლილი შეიტანეს ამ ჟანრის განვითარებაში

კარლაილმა, ტემპლმა, ლორდ ს ტ ე ნ ჰ ო უ პ მ ა, გერმანელმა ტრაიტშკემ და ამერიკელმა ესსეისტმა ვალდო რაპ ემერსონმა *[რალფ უოლდო ემერსონი - ვ.ქ.]*" **[გამსახურდია კ., 1985, 553]**.

ევროპის მხრიდან აზიის ისტორიის ერთგვარი უგულებელყოფის თემა, „ავტორისეულ რეპლიკებში" წამონეული, გრძელდება ესეში **„დიდი ქართველოლოგი"**, რომელშიც მწერალი-ესეისტი ორიენტალისტიკაზე მსჯელობს: „ორიენტალისტიკას, აღმოსავლეთმცოდნეობას არცთუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს ევროპაში. ეს მეცნიერება უპირატესად დააფუძნეს ფრანგებმა, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ მ ა და გერმანელებმა, ჯერ კიდევ XI- XII საუკუნეებში, როცა დასავლეთ ევროპულმა იმპერიალიზმმა ენერგიულად შეუტია მესოპოტამიას, სირიასა და პალესტინას... ინგლისური და ფრანგული ექსპანსია, როგორც ვიცით, XVII საუკუნეში მისწვდა ინდოეთს, ავღანისტანსა და ჩინეთს; რაც შეეხება სპარსეთის კულტურას, იგი XIV საუკუნიდან ამ ერთა მეცნიერებათა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა" **[გამსახურდია კ., 1985, 577]**.

მწერლის ესეისტიკაში ინგლისური რემინისცენციების მოკრძალებული კვლევის ერთგვარ რეზიუმედ გამოვიყენებთ თვალსაზრისს, გამოთქმულს ესეში **„სიახლე და გონივრული ძიება"**, რომელშიც გამორჩეული შემოქმედი დიდ ინსპირატორებს ასახელებს: „რუსთაველი, შ ე ქ ს პ ი რ ი, დანტე, გოეტე, ვაჟა-ფშაველა, ლევ ტოლსტოი, შატობრიანი, ბალზაკი, ილია ჭავჭავაძე... შევეცადე ძველქართული სიტყვის მარაგი ჰარმონიულად შემერწყა ქართულ დიალექტებთან. არ მინდა დავივიწყო უკვე ცნობილი მოსაზრებებით შექმნილი ჩემი ნეოლოგიზმებიც. მე მიმაჩნია, რომ მწერალი, რომელიც რაიმე ახალს არ შეიტანს ნაციონალურ მეტყველებაში, შორს ვერ წავა. რუსთაველი, დანტე და შე ქ ს პ ი რ ი ენის რეფორმატორები იყვნენ, უწინარეს" **[გამსახურდია კ., 1985, 581]**.

ამავე ესეში გამოთქმული თვალსაზრისით, მწერალს ქართველი მკითხველისათვის „სასარგებლოდ გასაცნობად" მიუჩნევია „ფოლკნერის, მანის, პოეტებიდან კი, ცხადია *[ვფიქრობთ, ჩართული „ცხადია" კონცეპტუალურია - ვ.ქ.]*, ე ლ ი ო ტ ი ს შემოქმედება."

კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკის დასავლეთევროპული შრეები საინტერესოდაა გაანალიზებული თათია გიგანის საკვალიფიკაციო ნაშრომში „კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები", რომლის მესამე თავში საფუძვლიანადაა შესწავლილი „ევროპული მოდერნისტული სკოლების ესთეტიკური პრინციპები" [გიგანი თ., 2010, 10].

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოკრძალებული მასალაც ადასტურებს შემოქმედის მიერ ევროპული (კონკრეტულად, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი) სივრცის უზუსტეს აღქმას, უზადო გემოვნებას, დროით დადასტურებულს..

თავი 2

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების ევროპული კონცეპტები

2.1. „მთვარის მოტაცება"

ელგუჯა მაღრაძე კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ანალიზისას აღნიშნავდა, რომ მწერლის მრწამსით, „თანადროული ლიტერატურა უფრო ეპიკური ჟანრებისკენ იხრებოდა. რომანის, ლექსის, დრამის, კომედიის, ნოველის სამშობლოდ აღმოსავლეთს თვლიდა. პროზა და სახელმწიფო ერთად წარმოიშვნენო, - წერდა, - არც აზიასა და არც ევროპაში, არც ერთ დიდ ერს, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციები არა ჰქონია წარსულში, მყარი ფეოდალური და ეკლესიური ინსტიტუტები, იმ ხალხებს არც პროზა ჰქონიათ" [მაღრაძე ე., 1983, 17].

კონსტანტინე გამსახურდიას კონცეპტუალური რომანები - „დიონისოს ღიმილი" და „მთვარის მოტაცება" სხვადასხვა რაკურსით უკვლევიათ გამორჩეულ ლიტერატურათმცოდნეთ (აკაკი ბაქრაძე, დიონისოს თვითმკვლელობა, „მნათობი" N12, 1968; მითოლოგიური ენგადი, 2000; მითი „მთვარის მოტაცებაში", „მნათობი" N12, 1967; „მთვარის მოტაცების" მედიტაცია, „მნათობი" N10, 1967; შტეფი იუნგერ-ხოტივარი, „დიონისოს ღიმილის" სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები, „ცისკარი" N10, 1982; გურამ კანკავა, „დიონისოს ღიმილის" მითოსური სტრუქტურა, „კრიტიკა" N2, 183; სოსო სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1989; მაია ჯალიაშვილი, ქართული მოდერნისტული რომანი, 2006; ამირან გომართელი, ქართული სიმბოლისტური პროზა, 1996.....).

თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის შეფასებით, „კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების გვირგვინი

აღმოჩნდებოდა თანადროულ ცხოვრებაზე შექმნილი სამკარიანი რომანი „მთვარის მოტაცება" - ქართული რომანისტიკის ერთი საუკეთესო მიღწევა" [ჩხეიძე რ., 2015, 85].

„მთვარის მოტაცებაში", გამორჩეულ რომანში, საკუთრივ ინგლისური რემინისცენციები ნაკლებად გაიელვებს, თუმც ზოგადევროპული ალუზია მრავლადაა. ცხადია, „ზოგადევროპულში" ბრიტანულიც იგულისხმება, ირეკლება.

ჯერ კიდევ ილიას ქრესტომათიულ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" აღნიშნულია, რომ ახალ დროებას ახალი საფრთხე მოაქვს.

იგივე კონცეპტი, ოღონდ - აბსოლუტურად განსხვავებული რაკურსითა და მიზანდასახულობით, გაიჟღერებს საბჭოეთის „ნაფიცი კრიტიკოსის" - ბესო ჟღენტის ციტატაში: „ნათლადაა გამოთქმული ხელოვანის ნეგატიური დამოკიდებულება იმ ღრმა ცვლილებებისა და გარდაქმნებისადმი, რითაც სავსე იყო ჩვენი საუკუნის *[მეოცე საუკუნის - ვ.ქ.]* ოციანი წლების სინამდვილე" [ჟღენტი ბ., 1973, 15].

მწერალი პერსონაჟს ათქმევინებს (რასაკვირველია, კონცეპტი ავტორისეულია, თარაში მწერლის ლირიკული ორეულია, მისი ალტერ ეგო): „როგორც დასაგეშ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკერავენ, მერე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს ააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადაავიწყონ, თანდაყოლილი ენერგიის პირველადი სილაღე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში ააააა -ს ... ე ვ რ ო პ ე ლ ი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში, რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამომადგა და რაც აქ შემიძენია, იქ აღარ გამომადგება... მამასთან ერთად მთელ ე ვ რ ო პ ა შ ი ყიალის დროს მე გავეცანი დაწვრილებით ევროპის ყოფა-ცხოვრებას, პრესსას და ინდუსტრიას. მართალი გითხრათ, შევდრკი, ეს ყოველივე როს შევიცანი. ახლა რა უნდა გააწყოს ჩვენისთანა პატარა ერმა? შუა საუკუნეებში მანძილების სივრცე, მანქანების პრიმიტიულობა, ბუნების სტიქიონების სიზვიადე შესაძლებელს ხდიდა პატარა ერების დამოუკიდებელ არსებობას. ახლა დასავლეთის დიდი ერები მოდიან თავიანთი ჰაუბიცებით, ჰაეროპლა-

ნებით, პრესსით, თეატრით და ლიტერატურით და ჩვენ რა უნდა დავუპირისპიროთ მათ სამაგიეროდ?! მიტომაც ვყოყმანობდი შინ დაბრუნებას."

ენას, როგორც იდენტობის უპირატეს ნიშანს დაჰლირებია ცივილიზებული სამყარო, ახალი დროის ინვაზორი: „კაროლინა ხომ შენი რძალია, ჩვენი რძალია, აფხაზეთის რძალი. ხომ მართებული იქნებოდა, რომ მას ჩვენი ენა შეესწავლა, ჩვენი ჩვეულებები შეეთვისებინა, მაგრამ იცის, ეს მას არა სჭირია. ეს არ აინტერესებს, რადგან ჩვენ ცოტანი ვართ. აბა, ორასი მილიონი ვიყოთ, ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს, მდიდარი ლიტერატურა, მაშინ აქეთ შემოგვეხვეწებოდა მასწავლეთო" [გამსახურდია კ., 1990, 105].

[ლიტერატურა უმდიდრესი გვაქვს, მაგრამ - მსოფლიოსათვის ჯერაც გასაცნობი და ღირსეულად წარსადგენი - ვ.ქ.]

თარაშისა და კაროლინას კონცეპტუალურ საუბრებში მრავალი „წყევლაკრულვიანი საკითხავი" წარმოჩნდება, სადაც, ქართული ხასიათის ანალიზისას, ჩნდება პარალელი ზოგადევროპულ თუ, კონკრეტულად, ინგლისურ სივრცესთან.

მაგალითად, გადამეტებულ ცნობისმოყვარეობას ამგვარი ახსნა ეძებნება: „ჩვენში თვით ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებიდან ახლად ჩამოსულთაგან შედგება... ლ ო ნ დ ო ნ შ ი რომაული ტოგა რომ გადაიცვა და ჩალმითაც თავი შეიბურვო, ზედ არავინ შემოგხედავს და იქიდან რაც უფრო მეტად ივლი აღმოსავლეთისკენ, ამას უფრო მეტად შეამჩნევ" [გამსახურდია კ., 1990, 157].

ევროპელი (აფხაზთა გერმანელი რძალი, კაროლინა) ქართველთა ვიზუალურ ტიპაჟზე დაკვირვებისას აღნიშნავს: „იტალიის გარდა, მთელს ევროპაში წოდებრივი სხვაობა ეტყობა ხალხის ჯილაგსაც. მაგალითად, გერმანელი გლეხები, რომელთაც თუნდაც სამი თაობის წინათ პროფესია შეუცვლიათ, მაინც განირჩევიან განაზებულ გერმანელ ბარონებისაგან. ასევეა ი ნ გ ლ ი ს ს ა და სკანდინავიაში." უცხოელის დაკვირვებას თარაშიც დაუკრავს კვერს, „ამ ამბავს ორიოდე საუკუნის წინათ არქანჯელო ლამბერტიმაც მიაქცია ყურადღებაო."

რაციონალური, პრაგმატული ევროპელი ეჭვს გამოთქვამს: „მე არ ვიტყოდი, თითქოს რაფინირებული სილამაზე ეგზომ

კარგი იყოს ნაციისთვის თქვენ კიდევაც მოგიხდებოდათ ფლანდრული ტლანქი ჯილაგის აღრეცა თქვენს ძველსა და გაფაქიზებულ სისხლში".

თარაში ხსნის ქართული არისტოკრატიის დახვეწილობის ფარულ, შინაგან მიზეზს: „უდიდეს როლს თამაშობდა, ალბათ, ჩვენი პლასტიკური ხელოვნება. თქვენ, ალბათ, იცით, იტალიისა და საფრანგეთის შემდეგ საქართველოსა და სომხეთის ფრესკული მხატვრობა უდიდესია მთელს ქრისტიანულ სამყაროში. ე ვ რ ო პ უ ლ ი ხელოვნებათმცოდნეობა სავსებით არ იცნობს მცხეთის, ატენის, ვარძიის, ზარზმის, ბეთანიის, ქაშუეთის, გელათის, დრანდის, ბედიის, ილორის, ხობის, საფარის, სვანეთის და აფხაზეთის უშესანიშნავეს ფრესკებს. შუა საუკუნეში ხელოვნება რელიგიის ხიზანი იყო. ხალხი საუკუნეების განმავლობაში შესცქეროდა ფერწერის უდიდეს ოსტატების მიერ შესრულებულ ფიგურებს. უეჭველია, ეს ყოველივე ქვეშეცნეული ვიზიონერობის ძალით ზეგავლენას ახდენდა ჩვენი ხალხის ტიპიზაციაზე, საუკუნეების მანძილზე მიჰყავდათ ფეხმძიმე ქალები ამ მშვენიერი მადონების საჭვრეტად. და აქ კი, ქრისტეანული ღმერთის ნაცვლად, ხელოვანი ახდენდა ზეგავლენას" [გამსახურდია კ., 1990, 242].

ისევე, როგორც კაროლინა, ხელოვნების „ვიზუალიზაციის" კონცეპტის დასტურად, თარაშიც ანტიკურობის, ასევე - რენესანსის ეპოქის საბერძნეთ-იტალია-ესპანეთის მაგალითს დაიმოწმებს: „დიდი, დიდი ზეგავლენა ჰქონდა ძველბერძენთა თაობების ფიზიკურ აღნაგობაზე საბერძნეთის მოედნებზე აღმართულ ქანდაკებებს. ფიდიასი და პრაქსიტელესი თუ თავათ უძეოდ გადაგებულან, სამაგიეროდ, ვიზიონერული ძალით ჰქმნიდნენ თავიანთ ნაციის ფიზიკურ მშვენებას. ესპანეთსა და იტალიაში მოგზაურობის დროს თავათ შემინიშნავს: იქაური ქალები და ბავშვები ზედმიწევნით ჰგვანან იმავე ერების ფერწერის დიდი ოსტატების ფიგურებს. ნეაპოლში, ფლორენციაში, ვერონაში, ვენეციასა და პერუჯიაში ქუჩებში შეხვდები ისეთ ქალებს და ბავშვებს, ასე გეგონებათ რაფაელისა და ჯიოტოს ფრესკებიდან ჩამოსულანო" [გამსახურდია კ., 1990, 243].

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში მითოსის სიღრმეებიც ჩნდება. აპოლონ ცანავა წერილში „კონსტანტინე გამსახურდია

და ქართული მითოსი" იმოწმებს მალკოლმ კაულის აზრს: „ეროვნულ მწერლობას საძირკვლად ყველგან მითოსი დასდებია, რადგან მითოლოგიის არმქონე ერს არ შეიძლება ერი ეწოდოს" [ცანავა ა3., 1991, 7].

თამაზ ჩხენკელი საგანგებოდ ამოწერს გამსახურდიას სიტყვებს - „ჩემი მკითხველი უნდა იცნობდეს იაკობ ხუცესს, გიორგი მერჩულეს, რუსთველს და საბასო" [ჩხენკელი თ., 1991, 122].

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ანალიზისას ამავე კონცეპტებს ამკვეთრებს მკვლევარი რევაზ ბარამიძეც, „ქართულ პროზას გავლილი აქვს სავსებით თავისთავადი გზა....ჩვენი ჰაგიოგრაფია არაფრით ჰგავდა ბიზანტიურს, იტალიურს და ფრანგულსო" [ბარამიძე რ., 1988, 166].

„ცნობისა და ცოდნის მოყვარე" ევროპელ კაროლინას ეროვნულ ცეკვათა ხასიათებზე საუბრისას განუმარტავს თარაში: „არის ერთი ფრესკა მცხეთის ტაძარში, სამაიას მოცეკვავე ქალები ჰქვია იმ ფრესკას. იმ ქალთა შორის ერთია, ქართულად თავდახურული, მაღალი, შინდისფერ ქოშებიანი. თავი ოდნავ ზეაწეული აქვს და თვალებზეც მცირე რამ ბლონდი აქვს აკრული; ისეთი, როგორიც ვ ე ნ ე ც ი ე ლ ქალებს შუასაუკუნეებში ნიღაბის ნაცვლად სჩვეოდათ... ვერც ერთი ევროპელი ქალი ლეკურს და უზუნდარას ვერ იცეკვებს... ეს უკანასკნელი მენუეტსა და ვალსებზე უფრო რომანტიულია. ფ ო ქ ს ტ რ ო ტ ი, ტანგო და „დათვური ცეკვა" ე ვ რ ო პ ი ს სნობისტური კულტურის ნაშხეფია" [გამსახურდია კ., 1990, 252].

„სნობისტურ" სულისკვეთებას, ფარისევლობას თარაში რელიგიისადმი ევროპელთა მიმართებაშიც ხედავს - „კათოლიკე ქალებს ეკლესიის, საკმეველის და ოფლით გაზინთული ლოცვანების სუნი უდით-მეთქი. ვერ ვიტან ამ სუნს" [გამსახურდია კ., 1990, 112].

„ლეგიტიმურობის საუკუნეში" (ასე ნათლავს ავტორი-პერსონაჟი მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებს) ნიღბის თემას არაერთხელ უბრუნდება თარაში: „ძალიან მომწონს ძველი ვენეციელი გრანდების ჩვეულება: ისინი უნიღბოდ არ გამოდიოდნენ ქუჩაში. კარგად მესმის, რად უყვართ დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ხალხებს ნიღაბი კარნავალში, ან ქართველ ხალხს - ბერიკაობის დროს,

ან ფილიპინელი ველური რად ატარებს ონავარი თევზის ნიღაბს რელიგიური აღტკინების ჟამს" [გამსახურდია კ., 1990, 313].

ნიღბის, ტაბუს კონცეპტები კონსტანტინე გამსახურდიას საფუძვლიანად აქვს დამუშავებული ქრესტომათიულ ნოველაში „ტაბუ", რომელშიც მითის დაუვიწყარ ინტერპრეტაციას სთავაზობს მკითხველს, დაახლოებით, იმ ტიპისას, როლან ბარტი რომ წერს „მითოლოგიებში": „შესაძლოა, მითის წინააღმდეგ საუკეთესო იარაღი მისი მითოლოგიზაციაა, ხელოვნური მითის შექმნა" [ბარტი რ., 2011, 211],

ცნობილია, რომ ტაბუსა და ტოტემიზმის პრობლემებს მეოცე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობა განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა (კლოდ ლევი-სტროსის ფუნდამენტურ კვლევაში „ტოტემიზმი დღეს" ლაკონიურადაა კონსტატირებული - „ფრეიზერმა ტოტემიზმი ფიზიოლოგიური მამის არცოდნის იდეასთან გააერთიანაო" [ლევი-სტროსი კ., 2010, 10] *[ეს თემა, „დიონისოს ღიმილზე" მძაფრად, ალბათ, „მთვარის მოტაცებაში" ჩნდება - ბოლშევიზმის ტოტემი არზაყანს ბიოლოგიურ მამასთან აპირისპირებს - ვ.ქ.]*.

გარდა სნობიზმისა და ფარისევლობისა, ყოყოჩობასაც უსვამას ხაზს ევროპელთა დახასიათებისას ემხვარი. ევროპელ პროფესორთა პორტრეტების ხატვისას აღნიშნავს: „ვერ ამიტანია სწორედ ეგ პროფესიული ყოყოჩობა. პროფესორი პ... ბუდიზმისა და ბრაჰმანიზმის გამო გვესაუბრება. იგი ტენდენციურად ეხება არაქრისტეანულ რელიგიებს. რენანს თავს დაესხა, პოზიტივიზმი გააკრიტიკა. ნიცშეს გადასწვდა. ქრისტეანიზმი. ჰმ!.. მან უაღრესად გააღრმავა უფსკრული! ბატონებო, ბნელა თქვენს ბიბლიაში, ბნელა იოჰანეს გამოცხადებაში, ისევე, როგორც თქვენს ნოტრდამში. გოტიური ტაძარიც ხომ ცამდის ატყორცნილი ცათა ტრფიალია? მაგრამ გ ო ტ ი ურ ტ ა ძ ა რ შ ი ც ბნელა" [გამსახურდია კ., 1990, 314].

ნიცშეს პერსონაჟისეული (ავტორისეული) გამოსარჩლებაც ცხადყოფს, რომ რწმენა მისთვის ფარისეველობის სივრცე კი არა, ცხოველი (ცოცხალი) განცდაა: „სტყუით, ბატონო პროფესორო *[ციტატა პროტესტია საუკუნეთა მიჯნის ევროპული ფილოსოფიის გამორჩეული წარმომადგენლის - ნიცშეს ნააზრევის*

ცალმხრივი, ტენდენციური აღქმისადმი - ვ.ქ.], ნიცშე ანტიქრისტე არა ყოფილა.მისი გახელებული სიძულვილი უმაღლეს სიყვარულს ემიჯნება."

გამსახურდიასეულ კონცეპტს სრულიად იზიარებს თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა - „ესე იტყოდა ზარატუსტრას" ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანის 2014 წლის გამოცემას დართულ ესე-დიალოგს როსტომ ჩხეიძე დაარქმევს „ტრაგიკული გზა - მეხუთე ევანგელე" **[ჩხეიძე რ., 2014, 6].**

„მთვარის მოტაცებაშიც" ამოჩნდება მუზეუმის პარადიგმა, როგორც კულტურის ერთგვარი „სასაფლაოსი", და აქაც ფარისევლობის ცოდვას შეიგრძნობს ევროპის უცხოელი სტუმრის გული: „მესამე თვეა, რაც ლუვრში დავდივარ, ერთ პროვინციულ ქალაქს უდრის მისი ფართობი. ჩინეთის ხელოვნების ექსპონატებიდან დავიწყე სამი თვის წინად. ჩინეთი, ინდოჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ეგვიპტე, ირანი, ასურეთი, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი, იტალია, საფრანგეთი, ი ნ გ ლ ი ს ი, ფლანდრია, გერმანია.... მესამე თვეა, მოგზაურობს აქ ჩემი თვალი. აჰა, ძლივს მივაღწიე ლუკას კრანახამდის. ჯვარცმა, გარდამოხსნა, ცად ამაღლება, ეკლის გვირგვინი, ნამსჭვალები, ისევ ნამსჭვალები, ნაგვემი სახე - საოცრების ქვესკნელი. ნუთუ ტანჯვის ჯურღმულებში უნდა იაროს კაცობრიობამ, რათა რისხვისა დღეს ცად ამაღლდეს სული კაცისა?!"

თარაშის მრწამსით, რაციონალურად მოაზროვნე ევროპელი ქალისათვის ძნელი დასამტკიცებელია, რომ „უშედეგო ფლირტი საამურია... სიყვარული ენგურის თაფლსა ჰგავს, თუ ბევრი ინებე, უთუოდ მოიშხამები (ენგურის თაფლმა მოსწამლა თურმე პომპეუსის ლეგიონები, კოლხიდის გასაძარცვავად ჩამოსულნი)" **[გამსახურდია კ., 1990, 318]** - როგორც ნოველებსა და ესეებში, არც რომანში უშვებს მწერალი ხელიდან შემთხვევას, ევროპის ისტორიაზე საუბრისას, პარალელები ქართულ სინამდვილესთან გაავლოს, მეტიც, ქართველთა ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში „ჩასვას."

არაპრაგმატულ, ირაციონალურ საწყისს ევროპელთაგან მხოლოდ იტალიელთა ყოფასა და ლანდშაფტში ჭვრეტს გამსახურდიას პერსონაჟი, მწერალთაგანაც იტალიელებთან აწყვი-

ლებს ქართველთა უპირველეს შემოქმედს: „ნეტავ, უსიყვარულოდ თუ გასძლებს ადამიანი? მე ვამბობ: ხორციელი სიყვარულის კიდეგან?! მაშ, რას უმღეროდნენ პეტრარკა, დანტე და რუსთაველი?!... იტალიაში ვარ, ყურს ეალერსება იტალიური ენის უნაზესი მუსიკა. იტალიური უცხოსაც არ გეუცხოვება, ასე გგონია, დედის საშოდან იცნობო მას და ეს ქვეყანაც თვალს არ ეუცხოვება, თვალსაც ჰგონია, აქ, ამ მთებს შორის დავიბადეო და ეს ადამიანებიც შენი მახლობლები და თანამემემულენი გგონია, ისინიც ისე ხმაურობენ, ყვირიან, როგორც ჩვენში სჩვევია ხალხს. სწრაფი ლაპარაკი და ფიცხელი ჟესტიკულაცია. ღრუბლები, ზეცა, მწვანე ველი, მინდორი, ჩქერალი და გორმახები - აქ ყოველივე საქართველოს მაგონებს, თეთრქვიანი სოფლები შეფენილან მთების კალთებზე და ნათესების, ჯეჯილების იდილიაც ისე ნაცნობია და საყვარელი! ეს ტრიალ ველებზე კანტიკუნტად გამდგარი ლიბანის ნაძვები თუ ეუცხოვებიან თვალს. და ლაჟვარდისფერი ტბები... (ეს კი აკლია ქართულ ლანდშაფტს, ეს მართალია). გადმომდგარან თხემებზე კასტელები, ციხე-კოშკები.“

როგორც კონსტანტინე გამსახურდიას ყოველ ტექსტში, ევროპული ლანდშაფტით ტკბობისას, „მთვარის მოტაცებაშიც“ პარალელი გაივლება ქართულ ლანდშაფტთან, საქართველოს ტკბილ-მწარე ისტორიასთან: „ქსნის ციხე მოგაგონდებათ შესანიშნავი, შეუდარებელი მუცცო, იგავმიუწვდომელი თმოგვის ციხე, ბებრის ციხე, ნარიყალა და გორის ციხე, სათანჯო, რუხი, უქიმერონი და ქორსატეველა. მხოლოდ ესაა: იტალიის ციხეებს არ მოხვედრია არც რომაული არტილერიის ლოდსატყორცნების ნასროლი, პომპეის ხმალს იერიშით არ აუღია ისინი. მაკედონელი აქ არ ყოფილა, არც მურვან ყრუ, შაჰ აბასი, არც აღა-მაჰომედ *[ტრანსკრიფცია გამსახურდიასეულია - ვ. ქ.]* ხანი. არაბებისა, მონღოლების, სელჯუკების, ირანელების და თურქმანების ცხენოსან ჯარს არ შეუტევია მათთვის და არც თემურ ლენგის მოისარები მოსულან აქამდის. სადგურებზე ყურძენს ჰყიდიან ისე, როგორც საქართველოში და ქალებს ბუდეშურის მარცვალსავით თვალის გუგები აქვთ ისევე, როგორც საქართველოში. ჰაერიც ისევე რბილია, როგორც საქართველო-

ში. ცა - აუმღვრეველი ლურჯი, საფირონი და იასპი... ამ ცის განათებამ შეჰქმნა ჯიოტოს და რაფაელის ფერწერის მშვენება, ამგვარმა ცამ მიანიჭა შთაგონება ჩვენს უდიდეს ფრესკოს მწერლებს, შეჰქმნა გელათის, ვარძიის, ბეთანიის,ზარზმის, ატენის, უბისის უკვდავი ფერების სიმფონია."

საგულისხმოა ევროპელი მიჯნურის სიტყვები პროტაგონისტისადმი: „ნუთუ მართლა იტალიასა ჰგავს საქართველო?! უთუოდ წამოგყვები საქართველოში, - მეუბნება ელლენ რონსერ, - უთუოდ, უთუოდ."

თარაში ერთმანეთს ადარებს ტიბრს, მტკვარსა და ენგურს. აღნიშნავს რომ, „ტიბრი არა რბის მტკვარისა და ენგურის დარად. ტიბრი მდორე და შავი წყალია. გულჩათხრობილია და თვალჩაღამებული ტიბრი. ღრმად მოხუცებულს, მიხრწნილსა ჰგავს მართლა ტიბრი. მასაც ბევრი, ბევრი რამ უნახავს და ახსოვს და ასე გგონია, იმადაც სდუმს, რომ, რასაც ხედავს თავის გარშემო, მცირე და უმნიშვნელო რამე ჰგონია და ლაპარაკიც ეზარება ამიტომაც ამის გამო. მდორედ და მრუმედ მიიზლაზნება ტიბრი, მას არ აშფოთებს ამ ქვეყნის დრტვინვა, თითქოს არც ცეზარების ტრიუმფები ენახოს ოდესმე, არც თავაწყვეტილი იტალიელი გრანდების, ბარონების და პაპების მიერ ატეხილი სისხლის ღვართქაფი" [გამსახურდია კ., 1990, 325].

მრავალათასწლოვანი რომიც „ბაბილონად" ქცეულა, „უცხოურ გაზეთებს კითხულობენ... ამერიკელი, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი, გერმანელი და ფრანგი ჟურნალისტების ყალიონისგან მოღრანჯული ტუჩები უნდა ნახოთ! ამ ტუჩების კუთხეებში ისეთი დიდი ამპარტავნობა შეგიძლიათ ამოიკითხოთ, თითქოს რომი მათ დაეარსებინოთ და ფორუმ რომანუმიც მათ სახელზე ყოფილიყოს აშენებული!"

„ე ვ რ ო პ ე ლ ე ბ ს ასე გგონიათ, რომ აზიაში არავინ არაფერი იცისო", - ელლენ რონსარს ეტყვის თარაში, - მარაზმა მარტო მოხუცებს არა სჭირთ ევროპაში, მარაზმით სნეული ისტორიკოსები, კრიტიკოსებიც და ჟურნალისტებიც ბევრი შემხვედრია რომში, ბერლინში, პარიზსა და ლ ო ნ დ ო ნ შ ი" [გამსახურდია კ., 1990, 335].

ეპოქის კონტექსტის გასააზრებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია პასაჟი: „უნდა გამოგიტყდე: მე თავად ბოლშევიკებიც ძალიან მაინტერესებს, ერთი ვნახოთ, რა ჯილაგის ხალხია. ეს

უკვე 12 წელია მთელი ე ვ რ ო პ ი ს პრესსა გაუგონარ ამბებს სწერს მათ გამო და ამან, გამოგიტყდე, პირუკუ, ინტერესი აღმიძრა. არასაინტერესო ადამიანების გამო შეუძლებელია ამდენი განგაში! შენ იცი, ამდენი კათოლიკური ორდენებია რომში, მე შევკრთი, იეზუიტი და დომინიკანელი ბერების ლაშქარი რომ შეგვეგება ამ დილით, ვატიკანიდან მომავალთ. იერემიტები, იეზუიტები, ფრანცისკანები, დომინიკანები და ეშმაკი და დოზანა! ესენიც ხომ ფანატიკოსებია! *[მსგავსია კონცეპტი პოსტმოდერნიზმის ქრესტომათიული ტექსტისა - უმბერტო ეკოს „ვარდის სახელისა“ - ვ.ქ.]* ახლა მთელს ე ვ რ ო პ ა შ ი რამდენი სექტანტური, კათოლიკური, ანგლიკანური, პროტესტანტული, მასსონური ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ მათ გამო არავინ არაფერს ამბობს, ახლა რამდენი უდღეური პარტიაა მთელს ევროპაში: ბურჟუაზიული, რადიკალური, ნახევრად რადიკალური, ზომიერი, უზომო, და უზომოზე უფრო უზომოდ ზომიერი სოციალისტები, ანარქისტები, სინდიკალისტები, ათასნაირი „ისტები“ და „იზმები“! მათი სახელი ლეგიონია და არც მათი ამბავი ვიცი დაწვრილებით. მე ახლაც არ ვიცი, ჰენდერსონი რა პარტიისაა და მაკდონალდი ქრისტეანია, სოციალისტი თუ ბაპტისტი? ან ის ამერიკელი ქვეკერები რომელ ინტერნაციონალში შედიან?! ან თვითონ თქვენი მეორე ინტერნაციონალი სად შედის, ბოლოს და ბოლოს?! მე მძაგს ეს „ზომიერად გონიერი“ ე ვ რ ო პ უ ლ ი საშუალოება, „მედიოკრიტეს“ რომ ეტყვიან *[უწოდებენ - ვ.ქ.]* ფრანგები; ისინი, ვისაც „ლე ბუტიკიეს“- „მეწვრილმანეებს“ უწოდებდა ნაპოლეონი“ **[გამსახურდია კ., 1990, 340].**

ევროპის საერთოკულტურულ სივრცეზე საუბრისას „ცივილიზაციის სენზე“ - მელანქოლიაზეც ჰყვება თარაში *[რომანის ამ პასაჟის ენერგეტიკა თითქოს წინასწარმეტყველებს მიქელანჯელო ანტონიონის „ეკლიფსის“ („დაბნელების“) კონცეპტს - ვ.ქ.]:* „მოკიდებული მაქვს მელანქოლიის სენი, მე ვიტყოდი, ცივილიზაციის სენი. ადამიანი შოპენს რომ გაიგონებ, შოპენჰაუერისა და ს ვ ე დ ე ნ ბ ო რ გ ი ს წიგნებს წაიკითხავ, ათინას და პომპეის ნანგრევებს ნახავ, ან როგორ გაიხარებ?! პირველად ჩემს სიცოცხლეში შ ო პ ე ნ ი ს მუსიკამ და შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს კითხვამ მაფიქრებინა სიკვდილისთვის.“

ევროპისათვის სიმპტომატური, ნიცშეანური მოტივი გაიჟღერებს პასაჟში: „ჩვენი ქვეყანაც ამ ჯვარს შეეწირა, შენ წარმოგიდგენია შუა საუკუნეთა ბნელი დღეები, თურქების შიშით გერმანელები ვენაში კანკალებდნენ და ასეთ დროს ჩვენი კავალერია ერზერუმში ებრძოდა თურქებს...“

გავიხსენოთ გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის, ავსტრიელი ჰუგო ჰუპერტისეული ციტატა „თბილისის აპოლოგიიდან“: „თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში, ტაძრის ნაცვლად, მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“ [გამსახურდია კონსტანტინე ზ., 2015,139].

„ჩემს სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ხოლო შენი გული ილორის დამსხვრეულ ზარასავით ჟღარუნებსო“, თამარ შერვაძიძეს ეუბნება თარაშ ემხვარი. [გამსახურდია კ., 1990, 356].

პროტაგონისტი საუბრობს რასათა, გენთა აღრევაზე, ევროპულ ბაბილონზე. თარაში აღწერს „ბინძურ და საშინელ სასტუმროებს, სადაც დღისით ბიურგერული წესრიგი სუფევდა, მაგრამ მოაწევდა ნაშუაღამევი და ამ სასტუმროებში უკვე იღვიძებდნენ მეძავები და მათი ალფონსები და ატყდებოდა ჟრიამული, საყვარლების, მუშტრების და სასტუმროს გამგეების ჩხუბი. მე მეტწილად თავქვე ვიწევი და ვსტიროდი. მერმე წამომეწია სიჭაბუკე, აჩქამდა სისხლი და ჩემს ჭაბუკურ ვნებას ქერა ქალი დაეძგერა. უნდა გითხრა, ქერა ჯილაგი შავგრემანებზე უფრო მეტად ეტრფის სიცოცხლეს, ჩვენ მელანქოლიკები ვართ და დატკბობის არისტოკრატები. ქერა ჯილაგი ხარბია დატკბობის, ვნების და სიყვარულის მიმართ და, როგორც ჩრდილოეთის ფიორდში დარგულ პალმას ქარბუქი ეკვეთოს, დასეტყვოს და დააზროს, ისე მომეჭრა ამ უშველებელი, უ ც ხ ო ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს გრიგალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიაქა. და ქარისგან გატაცებულ ძეწნის ფოთლის დარად დამაქროლებდა ცხოვრება ქალაქიდან ქალაქად... ე ვ რ ო პ ა შ ი დიდხანს რომ იცხოვრებ, მიზანტროპი ხდები ადამიანი. ტრამვაები, სასტუმროები, მეტ-

როპოლიტენები, თეატრები, ქარხნები, უნივერსიტეტები, ქუჩები სავსეა ადამიანებით" [გამსახურდია კ., 1990, 359].

ქალაქის ქუჩაზე „რომაელ სენატორების დარბაისლობით აღვსილი" ხევსურების დანახვისას, თამარს ეტყვის: „საოცარი ქვეყანაა საქართველო, ვინ წარმოიდგენს, მეოცე საუკუნეში ფარხმალიანი ხალხი დადიოდეს ტრამვაების და ავტოების ორომტრიალში?! ლ ო ნ დ ო ნ შ ი ასეთ გამვლელებს კინოოპერატორების ლაშქარი გზას გადაუჭრიდა" [გამსახურდია კ., 1990, 425].

„აზიის სამანზე" მდგარ ტფილისშიც ქალების „ზიმზიმი" შეაცბუნებს თარაშს: „ჯუფთად მოდიოდნენ წერწეტა, მაღალკისრიანი გოგონები, ისეთნი, როგორნიც შევალიე გამბას ქართულ ალბომში შეგხვდებათ ხოლმე... [აგონდება] ევროპელი დემომონდენები, ენას რომ გამოუყოფდნენ ხოლმე მას ჰ ა ი დ პ ა რ კ შ ი, სენ მიშელზე ან ფრიდრიჰ შტრასსეზე და ზოგნიც სწორედ ისევე, როგორც ევროპაში, გაიელიდნენ, მოიხედავდნენ და ამხანაგსაც მოახედებდნენ მისკენ... ცივილიზაცია შემოდის სალუტით და მთები ბანს ეუბნებიანო", მწარედ ფიქრობს პერსონაჟი-პროტაგონისტი *[იზლერის ბალის პარადიგმაც მოაგონდება „მონაღვლე" მკითხველს - ვ.ქ.]*, - „გზასაც გაიყვანენ და მერე მშვიდობით, სვანეთის თავისებურებავ. სვანეთი და ხევსურეთი-ღა იყვნენ გავლენის კიდეგან" *[იგივეა კონცეპტები მიხეილ ჯავახიშვილის რომანისა „თეთრი საყელო" - ვ.ქ.]*.

წინასწარმეტყველებად აღიქმება მწერლისეული აღქმა-გაფრთხილება: „ყოველ ხალხს უნდა შერჩეს ველური ენერგიის მარაგი, თორემ ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ა ვ ით გააზიზდება და გამოიფიტება *[ფრაზა ანტიციპაციურია, წინასწარმეტყველებითი - ვ.ქ.]* ... მგონია, დიდი ინდუსტრია მოსპობს მცირე ერების თავისებურებას. ავიაცია მთასა და ბარს გაათანაბრებს და მერე მშვიდობით!... პარიზის, ბერლინის, ლ ო ნ დ ო ნ ი ს დიდ პროსპექტებზე ისე ნაღვლიანად მისეირნია, როგორც რომის ვია ლატაზე, ფორუმ რომანუმზე, პომპეის, ან მესსინის ნანგრევებს შორის, ისევე, როგორც ვარძიისა და ზარზმის დაქცეულ თაღებქვეშ" [გამსახურდია კ., 1990, 597].

პროტაგონისტი სვანეთში უცხოელი ალპინისტების მიერ დატოვებული გაზეთის, „ტან"-ის ნაგლეჯს კითხულობს. პასა-

ჟი ევროპის „სიღატაკისა და ბრწყინვალების“ საოცარი ნიმუშია (ვრცელ ამონარიდს დავიმოწმებთ): „რამდენი ახალი ამბავი გავიგე. თურმე გერმანელი პოეტი რაინერ მარია რილკე საშინელ სიღატაკესა და მარტოობაში მომკვდარა, ხოლო თომას მანნ გერმანიიდან გაუძევებიათ ფაშისტებს. რაინერ მარია რილკე მომკვდარა? მან დიდი ხანია პოეზიაზე ხელი აიღო, რადგან დროზე შეატყო: ე ვ რ ო პ უ ლ მ ა ბურჟუაზიამ ისეთი გაუვალი უგემურობა *[უგემოვნობა - ვ.ქ.]* გაამეფა, იქ დიდი პოეტის ხმა ისეთივე უადგილო ხდება, როგორც სახერხ ქარხანაში - ბულბულის გალობა. ერთმა გონებამახვილმა ფრანგმა კარგად იწინასწარმეტყველა ასი წლის წინათ, ასი წლის შემდეგ ყოველი კაცი, რომელიც რაიმე დიადთან, რაიმე მშვენიერთან წილნაყარია, ყოველი სულიერი, რომელშიაც პოეტი სულდგმულობს, უეჭველად კისერს მოიტეხს და, ბოლოს, იძულებული გახდება, თურქეთში წავიდეს და იქ რენეგატი გახდესო... პარაშუტისტები რეკორდს რეკორდზე ამყარებენ, ადამიანი კალიასავით ხტის მიწაზე. რომელიღაც შვედ მფრინავს, სადღაც პოლუსთან კისერი მოუტეხია. რომელიღაც დიდ ხალტურისტს უნუგეშო სიყვარულისთვის კიდევ დაუწერია ორმოცდაათფორმიანი რომანი. რომელიღაც გერმანელი მეცნიერი გულთმისნური აპარატის გამოგონებას აპირებს თურმე. ასე რომ, მალე ჩვენ გვეცოდინება აქედან, ალიასკაში ღორჯოს რომ კაცი იჭერს, იგი რას ფიქრობს. ეს თუ მოხდა, მაშინ ყოველი კაცი თავის ცოლს გააგდებს უეჭველად. არავინ არც ერთ ქალს არ შეიყვარებს, არავითარი ინტრიგა არ ექნება მომავალ რომანებს და შეყვარებულები, ვარდის წყლის ნაცვლად, ქეძაფს შეასხამენ სახეში ერთმანეთს. არ იქნება საიდუმლო, ყველას ყველაფერი ეცოდინება და სიყვარულის, მეგობრობის და გრძნობის გამო არავინ არაფერს დასწერს. ოჰ, ფლობერ, შენ ნათელმხილველი ყოფილხარ უეჭველად, შენ არ ამბობდი, განა, ამ ასი წლის წინათ: „რაც შეეხება დანარჩენ დღეებს, ისინი სავსებით ჰგავდნენ სხვა დანარჩენებს. წყალი ნაგუბარში დგებოდა, ჩემი ძაღლი თავის ულუფას თქვლეფდა, ადამიანები კვლავინდებურად დარბოდნენ, დაფუსფუსებდნენ, საქმიანობდნენ, სვამდნენ, ეძინათ (მე დავუმატებდი, ერთმანეთს ატყუებდნენო - ამატებს კონსტანტინე

გამსახურდია - ვ.ქ.), და ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა (ეს დაჯღანული ბუ-
ში ადამიანურ შესაძლებლობათა) წინ მიდიოდა, თავის ტრო-
ტუარებზე მიჩლახუნობდა, სანაპიროებიდან გასცქეროდა
ალამგაშლილ გემებს, თავის ხიდებს, კოხტად შეღებილ კედ-
ლებს, პოლიციის მიერ წესიერად მოვლილ ბორდელებს, ხო-
ლო გზებზე კიდევ შეამჩნევდით გამოხრული ლოკოკინების
ხობოკვერებს, კომბოსტოს ნაფცქვენებს და სურნელგაცლი-
ლი პოეზიის დამჭკნარ ყვავილებს. მერმე მან მიაფურთხა
ბრწყინვალე ტაძარს, მის შესანიშნავ კონტურებს თვალი
აარიდა, და ეს გაგიჟებული, გარყვნილი დიაცი *[ც ი ვ ი ლ ი ზ ა-
ც ი ა - ვ.ქ.],* ბუნებას მოებღაუჭა მკერდზე და ჰისტერიულად
აყვირდა: მე პროგრესს ვაკეთებო, ოჰ, ამ ძვირფასმა ც ი ვ ი ლ
ი ზ ა ც ი ა მ, ამ საყვარელმა კახპამ, ეს მან მოიგონა რკინის
გზები, დაშაქრული ტორტები, სამეფო ხელისუფლება და გი-
ლიოტინა“ **[გამსახურდია კ., 1990, 606].**

თითქოს ბიბლიური ბაბილონელი მეძავის ჟამის დადგომას
წინასწარმეტყველებს მწერალი და ერთგვარ რეზიუმესავით
კონსტატირებს: „დ ა ს ა ვ ლ ე თ უ რ ი ს ს უ პ ე რ ე რ ო ტ ი უ ლ ი
ს ნ ო ბ ი ს ტ უ რ ი ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა უთუოდ რყვნის ადამია-
ნის სულს.“

ვრცელია ევროპის ფემინისტური სულის განაზრების პასა-
ჟიც: „რა დიდი ადგილი უჭირავს მართლაც ევროპულ ხელოვნე-
ბაში ქალს. მე მგონია აქაც ქრისტეანიზმის ფემინისტური
ზეგავლენანი მჟღავნდებიან. ქრისტეანიზმმა ქალის პერსონა
შემოიყვანა სამებაში და აქედან დაიბადა ეს დანტესებური, გო-
ეტესებური „მარად ქალურის“ გადაჭარბებული მეხოტბეობა.
მილლიონი მადონა მხატვრობისა და მრავალი მილლიონი „მა-
რიას ლექსები“, პეტრარკადან დაწყებული - რაინერ მარია რილ-
კემდის.... ქალი იყო დღემდის ე ვ რ ო პ უ ლ ი ხელოვნების
თითქმის ერთადერთი უცვლელი მუზა, იგივე თითქმის მხატვ-
რობის, მუსიკის და ხუროთმოძღვრების მიმართაც. და ყველა-
ზე მეტად ქალურმა ნაციამ *[კონსტანტინე გამსახურდია
გულისხმობს საფრანგეთს - ვ.ქ.]* ევროპაში თავისუფლების ემ-
ბლემაც ქალის სახით აღმართა პარიზში. დღესაც მთელი დ ა ს-
ა ვ ლ უ რ ი ცივილიზაცია გადაჭარბებულად ხაზს უსვამს ამ მა-

რადჟამულ ქალურობას. თქვენ როგორ გგონიათ, მამაკაცთა განმამაკაცების ნიშანი ხომ არაა ეს?! ძველი ბერძნული კულტურა გაცილებით უფრო ვაჟური იყო, ვაჟი აპოლონი ითვლებოდა სინათლისა და სილამაზის ღმერთად და ვაჟს უმღეროდა, უპირატესად, მთელი ბერძნული პოეზია და მხატვრობა" [გამსახურდია კ., 1990, 672] *[კონცეპტი სიღრმისეულად მუშავდება „დიონისოს ღიმილში" - ვ.ქ.]*.

დროის კონცეპტს ევროპული ყოფიერების ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად გამოკვეთს კონსტანტინე გამსახურდია. „მთვარის მოტაცებაში" ვკითხულობთ: „არავის ეცოდინება, რომელი საათია. კალენდარის რიცხვები ამერია. სული მშვიდდება ასეთ გარემოში, ე ვ რ ო პ ა შ ი დ რ ო ი ს ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ი თ სნეულია ხალხი. მეც მჭირდა ოდესღაც ეგ სენი. ერთხელ, ნაშუაღამევს გამიჩერდა საათი პარიზში. ისე მიჩვეული ვიყავი მის წიკწიკს, მყისვე გამომეღვიძა. იქ სულ გეჩქარება. იჩქარი, იჩქარი და არც კი გრძნობ სიცოცხლის დღეების დალევას. აქ ტაატით მიდის დრო. დროის შეგნებას მოკლებული ხარ. ამ მყინვარებს რომ შესცქერი, გრძნობ ათი და ოცი წელიწადი თვალის დაფახულებაა ერთი" [გამსახურდია კ., 1990, 679].

რომანის ზემოაღნიშნულ პასაჟში სიმბოლიზმის ერთ-ერთი საკულტო პერსონის, ბოდლერის „პარიზული სპლინის" ქრესტომათიული მინიატურის კონცეპტი კრთება - ისევე, როგორც თავად გამსახურდიასეული მინიატურისა „საათები" [პრობლემა გამოწვლილვითაა დამუშავებული მოდერნიზმის საკულტო ტექსტში - კარლ გუსტავ იუნგის ესეში „პასუხი იობს": „გაუთვითცნობიერებლისთვის ერთ მოვლენაში ზედროულის, მარადიულისა და ისტორიულ-უნიკალურის გაერთიანება ძნელია, მაგრამ უნდა მიეჩვიოს აზრს, რომ „დრო" ფარდობითი ცნებაა და ის ისტორიული „პროცესის" ერთდროულობის, პლერომული არსებობის ცნებით უნდა შეივსოს - ის, რაც პლერომაში „მარადიული პროცესია", დროში არასისტემატური თანმიმდევრობით, მრავალჯერადი, არარეგულარული განმეორებით ვლინდება" [იუნგი კ.გ., 2013, 219].

2.2. „დიონისოს ღიმილი“

გავრცელებული შეხედულებით, „დიონისოს ღიმილი“ ტიპურ ექსპრესიონისტულ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება“ **[სარია ზ., 2009, 68]**. „შიფრით ნაწერია, სიმბოლურ-ალეგორიულია „დიონისოს ღიმილი“ **[სორდია ლ., 2011, 233]**.

როსტომ ჩხეიძე კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ პოსტმოდერნისტულ რომანში „პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“ წერდა: „ისე მოხდებოდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია იმ მცირერიცხოვან მწერალთა შორის პოვებდა ადგილს, ბიოგრაფიაც არანაკლებ წარმტაცი და მღელვარე რომ აღმოაჩნდებოდათ, ვიდრე შემოქმედება, ერთმანეთს რომ შეთანასწორებიან და მწერალიც სულიერ სამყაროში ისევე რომ იოდისევსებდა, როგორც ყოფით რეალობაში, ერთი კარგი სათავგადასავლო რომანის ქარგა ამიტომაც შეიკვრის ჯერ მარტო მისი ცხოვრების მდინარებით“ **[ჩხეიძე რ., 2016, 55]**.

„როცა ერთიან დასავლურ ცივილიზაციაზე, ან ევროპულ იდენტობაზე საუბრობენ, ანტიკური, ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია ევროპული ერთიანობის დასაბამად არის აღქმული“ („მოდერნიზმის კულტურული პარადიგმა“) **[ქართული ლიტერატურა,** ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, წ.2, თბ., 2016, 55].

„კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონისტულ რომანს „დიონისოს ღიმილი“ მსჭვალავს ანტიკოლონიური, ანტიაზიატური, ანტირუსული, ანტიშპენგლერული სულისკვეთება“ **[ბრეგაძე კ., 2016, 88]**.

ზოგადევროპული კონცეპტები, ზოგადევროპული რემინისცენციები „დიონისოს ღიმილის“ გამჭოლი თემაა, სხვა მრავალ კონცეპტუალურ პრობლემასთან ერთად.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც ბრწყინვალედ იცნობს ევროპის ისტორიას (ანტიკური ფესვებიდან - ვიდრე თანადროულობამდის), პარიზულ სალონში საუბრისას პერსონაჟ-პროტაგონისტს (ამჯერად - კონსტანტინე სავარსამიძეს) ათქმევინებს: „კაცობრიობას მეორე საუკუნეა, რაც მოსვენება არა აქვს. ფრანგული რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს სახელით გამოსულმა ფრანგულ-

მა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ მ ა ე ვ რ ო პ ა ააფორიაქა (მსოფლიო ომიც მათ გადავაბრალე)... დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ისტორიაში ორი უდიდესი მომენტი აღვნიშნე: ამერიკის აღმოჩენა და სტამბის გამოგონება გუტენბერგის მიერ. მესამე იქნება: ცეპელინების გადაფრენა ბერლინიდან ნიუ-იორკს."

მუზეუმის (მწერლისათვის კონცეპტუალური) პარადიგმა „დიონისოს ღიმილშიც" არაერთგზის ჩნდება: „[ლუვრის] მოდერნისტების დარბაზში ზერელედ გადავავლეთ თვალი კუბისტების, ფუტურისტების, ექსპრესიონისტების სურათებს. აქ სრულიად ახალი სულია, უჩვეულო კომბინაციები საღებავებისა, ჩვენ გვეუცხოვება ეს საოცარი, ქაოტური ვიზიონერობა. მაინც სანუგეშოა, მ ა ტ ე რ ი ი ს დ ე მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა იწყება ახალ ხელოვნებაში... კაპიტალიზმის სტილი გახლავთ,...ე.ი., უსტილობა... ანტიკას და ფეოდალიზმს ჰქონდა თავისი სტილი. კაპიტალიზმს ჯერ არ ჰქონია, ვგონებ, არც ექნება... ავიაციის განვითარებამ თუ არ გვიმტყუნა, დიდი ქალაქის ბატონობას ბოლო მოეღება. ადამიანები ისევ ტყეების, ტბების, და მდინარეების ნაპირებს მიაშურებენ... უთუოდ გენერალური უკუქცევა იქნება. ინდუსტრიამ მოჰკლა სილამაზის გრძნობა. მთელი ე ვ რ ო პ ა დაამახინჯეს ტელეფონების ბოძებმა, რადიოს, რკინიგზის სადგურებმა, რკინის ხიდებმა, ზღვების ნაპირები წარყვნეს დ ო კ ე ბ მ ა და ელევატორებმა. უდიდესი ცოდვა ჩავიდინეთ ბუნების მიმართ. ახლა რამდენი ცოდვაა ადამიანის ესთეტიკური შეგრძნების მიმართ ჩადენილი? ჩვენი თვალი უკვე ველარ ხედავს ლამაზ საგნებს. თუ თვალი სილამაზეს ველარ ნახავს, ვერც სული აღიზრდება ესთეტიკურად" [გამსახურდია კ., 2006, 72].

ევროპის არქიტექტურასა და პლასტიურ ხელოვნებაზე მსჯელობისას პერსონაჟი კონსტატირებს: „ხუროთმოძღვრება დიდი ხანია დ ა ს ა ვ ლ ე თ შ ი მოისპო. დღეს იგი ისტორიული ხელოვნებაა. სკულპტურა? ხომ ხედავთ ამ ულაზათო, ხისა და ბრინჯაოსაგან გამოჩორგვლილ ფიგურებს? ქაოტიურ გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ღვთაებრივი ჰარმონიის ხილვისა და შექმნის უნარი... განა ეს სკულპტურაა? თვით დიდი როდენიც ბერძნების ეპიგონი იყო. აწ ვერვინ ააგებს ე ვ რ ო პ ა შ ი სან პიეტროს, ნოტრდამის, შტრასსბურგის, კელნის, რაიმსის კათედ-

რალებს. არც პალაცო ვეკიოს და დოჟების სასახლეს. სრულიად გადაგვარდა ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ქანდაკი, თითქმის მთელ დასავლეთში გადავარდა ხელოვნური შინამრეწველობა. ის მიამიტი ცდა, რ ო ს კ ი ნ მ ა და მისმა მოწაფეებმა რომ დაიწყეს, სრულიად უნუგეშო ჩხირკედელაობაა.“

ზოგადევროპულ სურათში გამსახურდია გამოლანდავს ინგლისელი პრერაფაელიტების აბრისს *[საგულისხმოა პრერაფაელიტების შესახებ კოკო გამსახურდიას უაღრესად საინტერესო ნაშრომი - ვ.ქ.]*.

პროტაგონისტს (რასაკვირველია, თავად მწერალსაც) ისტორიულო პროცესების წინააღმდეგ სანტიმენტებით ბრძოლა სასაცილოდ მიაჩნია.

ხაზგასმულია ხელოვნების ჟანრთა ცვლა თუ ჩანაცვლება: „თ ე ა ტ რ ი ს ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ მ ა *[კინომ - ვ.ქ.]* დაჩრდილა. ლირიკა კვდება. ერთადერთი დარგი, რომელიც კიდევ იბოგინებს, ვიდრე ხანგადასული ქალები არ გამოლეულან - ეს არის რომანი. მუზეუმებში ჩაკეტილი ხელოვნება მე არ მიმაჩნია ხელოვნებად. რა თქმა უნდა, არც აღმოსავლეთში შეუძლია ყოველ კაცს ლამაზი საგნების შეძენა. მაგრამ რელიგიურ ინსტინქტს იგი ტაძრებში მიჰყავს და იქ ჰხედავს მშვენიერ საგნებს რელიგიური ექსტაზის წუთებში“.

საგულისხმოა პასაჟი, ლაკონიური, მაგრამ ტევადი: „პოეტი მენიე აღშფოთებულია, რომ არც ერთ ე ვ რ ო პ ი უ ლ დარბაზში რელიგიური მოტივი არ გაჰხსენებიათ თანამედროვე მხატვრებს.“

არანაკლებ კონცეპტუალურია (რომ არა ვთქვათ, ტრაგიკული) რეპლიკა: „მეოცე საუკუნეში რელიგიურ მოტივებს ეძებთ?!“ [გამსახურდია კ., 2006, 75].

ზვიად გამსახურდია წერილში „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“ აღნიშნავდა, რომ თავად მწერალსაც „შეეხო ეპოქის სენი - ესთეტიზმის, ნიცშეანიზმისა და დიონისიზმის სამსალა მასაც ჩაეწვეთა სულში, რომელიც აირეკლა რომანში „დიონისოს ღიმილი“, როგორც გმირის გაორება ქრისტე-დიონისეს შორის. ეს გაორება ტრადიციულია და, ამავე დროს, ეს არის მწერლის თანამედროვე ევროპული კულტურის სახე - ეს

არის გაორება იულიანე აპოსტატისა *[განდგომილისა - ვ.ქ.]*, გოეთესი, ვაგნერისა, ნიცშესი" **[გამსახურდია ზ., 1991, 378]**.

საგულისხმოა, რომ ამგვარი გაორება ახასიათებს მოდერნიზმის საკულტო ტექსტის -„ულისეს" პერსონაჟს, სტივენ დედალოსს - „სტივენი მკვეთრად ცვლის ცხოვრების წესს, ის მინოსის ლაბირინთის მშენებელი დედალოსია და არა პირველმოწმე სტეფანეს მოსახელე სტივენი, მასში წარმართული მუსიკა იღვიძებს" **[გაბუნია თ., 2018, 51]**.

ჯოისის ადრეული პროზის ანალიზისას რუსი კრიტიკოსი სერგეი ხორუჟი აღნიშნავს: «Джойс переживает кризис, катастрофу, катарсис, и из пылкого, верующего католика становится столь же истовым и пылким художником» *(„ჯოისი განიცდის კრიზისს, კატასტროფას, კათარზისს და მგზნებარე, მორწმუნე კათოლიკე გადაიქცევა ასეთსავე მგზნებარე ხელოვანად" - ვ.ქ.)* **[Джойс Дж., 2011, 866]**.

„ნიცშეს სიტყვები უშუალოდ მოდერნიზმის, ზოგადად, მოდერნული დროის სიმბოლოდ იქცა" **[წიფურია ბ., 2016, 55]**.

რომანის ერთ-ერთ დიალოგში ბრიტანეთის დედაქალაქის კონტური იკვეთება (და ქალაქისა და ქვეყნის მიმართ პერსონაჟის დამოკიდებულებაც ცხადდება): „მართლა აპირებთ ლ ო ნ დ ო ნ ს წასვლას? არა, მე ველარ ვიტან ზღვაზე მგზავრობას. გარდა ამისა, ლ ო ნ დ ო ნი მეჯავრება. მე ისიც მიკვირს, თვითონ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი როგორ სცხოვრობენ მაგ ნ ი ს ლ ი ა ნ ქვეყანაში" **[გამსახურდია კ., 2006, 74]**.

თუკი „მთვარის მოტაცებაში" მწერლის თანამედროვე ევროპის რწმენის (ურწმუნოების) ფარისევლური კონცეპტი აქცენტირდება, „დიონისოს ღიმილში" „ღვთის გმობასა და რელიგიურ პაროქსიზმს შორის" თავად პერსონაჟი (სავარსამიძე) ირყევა, მეორე პერსონაჟი კი (ჯენეტი) ნოტრდამის მშვენიერებას კონსტატირებს: „ამაზე ულამაზესი ადგილი პარიზში არ მეგულება. საღამოობით საუცხოოა ნოტრდამი. მგლოვიარე ქალწულსა ჰგავს" *[პაროქსიზმი - ძლიერი განცდა, პერიოდული შეტევა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989, 372)]*.

პერსონაჟი მართებულად ღიზიანდება, როდესაც მის სამშობლოს ევროპელები თუ ამერიკელები განზოგადებულ გეოგ-

რაფიულ სივრცედ აღიქვამენ - „თქვენი სამშობლო - კავკასია.“ პროტაგონისტის შენიშვნა თავაზიანია, მაგრამ კატეგორიული: „ჩემი ქვეყანა საქართველოა და არა კავკასია. კავკასია საქართველოს ყოფილი საუფლო იყო. „კავკასია“ რომანოვების სატრაპებისგან შეთხზული ადმინისტრაციული ტერმინია და სხვა არაფერი.“

მისის ბლუტი პროტაგონისტს ურჩევს: „მე თქვენ ადგილას ჯიშიან, ლამაზ ქართველ ქალს შევირთავდი. ვენახს გავაშენებდი. მთებში ვიცხოვრებდი. მალე ნიუ-იორკს წავალ. თუ ასე გაინტერესებთ, წამოდით. იქედან ტოკიო, მერმე - ჩინეთი... კიაჩუაში ჩემს ქმარს გაგაცნობთ. აღმოსავლეთის ფლოტის კომანდირია... მერმე ტფილისს ჩავიდეთ. ერთი იტალიელი მოგზაურის დღიურში წამიკითხავს: ტფილისელ ქალებს კრინოლინის კაბები აცვიათო, მტკვარზე გადაკიდებულ აივნებზე გამოეფინებიან და სპარსულ ხალიჩებზე ცეკვავენო“ **[გამსახურდია კ., 2006, 80]** *[პერსონაჟი გულისხმობს მარკო პოლოს ჩანაწერებს - ვ.ქ.].*

პროტაგონისტს არ ესმის „ამერიკელების საოცარი სიყვარული ფოტოგრაფიისა და სინემატოგრაფიისადმი. ესენი უფანტაზიო ხალხს უყვარს. საზიზღარი რეალიზმია“, სამაგიეროდ, ხიბლავს სამეგრელოს, სვანეთის, ხევსურეთის წარმართული მისტერიები, 365 წმ. გიორგის რიტუალები, სუჯუნის თეთრი გიორგის მონები...“

სალონურ საუბრებში (მისის ბლუტთან) მრავალთაგან ერთი უაღრესად საინტერესო თემაც გაიჟღერებს: „საოცარია, ი ნ გ ლ ი ს ს ა და ამერიკას დიდი მუსიკოსები არა ჰყოლია.“ ლაკონიურია ამერიკელი ქალბატონის პასუხი: „მიტომაც ჩვენსავით არავინ აფასებს მუსიკას. ომამდის ყოველ წელს ბაიროეთს მივდიოდი“. **[გამსახურდია კ., 2006, 84].**

სალონური საუბრების ტონი კამერულ-ინტიმურით იცვლება, მაგრამ აქაც მარადიული ქართული „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ ამოჩნდება: „ქართველმა ქალმა გააკეთილშობილა ოსმალეთისა და სპარსეთის არისტოკრატია. ასეთივე ბედი ეწია ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს. საქართველო უმდიდრესი ქვეყანა იყო მთელს აღმოსავლეთში. მარტო თამარის პატიოსანი თვლების ულევი სალაროები! ევროპაში მარია ანტუანეტას და პომ-

პადურის ტუალეტები უკვირდათ. ჩვენ რომ მარია ანტუანეტას გვირგვინის ბრილიანტები ვნახეთ წინა კვირას ლუვრში, ამგვარ ბრილიანტებს საქართველოს ვასალური მთავრების ცოლები ატარებდნენ. თამარს სათამაშო ბურთისოდენა ბრილიანტები ჰქონდა. თვითონ ბისონით, ოფაზის ოქროთი და პორფირით იყო შემკული, მისი გვირგვინი - იშვიათი ინდური ქვებით, წითელი, ყვითელი, ლურჯი იაგუნდებით დამშვენებული. თამარის სიკვდილის შემდეგ მის შვილიშვილს, ულუ-დავითს ერგო იმოდენა ალმასი, რომლის მსგავსი ჯერ არავის ენახა. უფრო გვიან, ანუკა ბატონიშვილს ათას ორასზე მეტი პატიოსანი თვალი გააყოლეს მზითვად... ნაწილობრივ ე ვ რ ო პ ა შ ი ც დაღარიბდა არისტოკრატია; მაგრამ ეს ქონება ადგილობრივ ხალხს შერჩა. დაიცალა საქართველო, მისი უდიდესი საუნჯენი უცხოეთში გაიტანეს, მისი უკეთილშობილესი სისხლიც ჩვენ თვალწინ უცხოეთში მიდის და ახდა ჩვენს უბედურ თავზე: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჩემსა განიგდეს წილი." მხოლოდ თვალები შეგვარჩინეს სატირლად" **[გამსახურდია კ., 2006, 87].**

ჯენეტი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რელიგიური მხატვრობისადმი, ყურადღებით ათვალიერებს ჯვარცმის, გარდამოხსნის, ზეცად ამაღლების სურათებს. სავარსამიძე უამბობს გრიუნევალდის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის იმ სურათებზე, რომელნიც პარიზში არ მოიპოვებიან. ჯენეტის აზრით, „ჯვარზე გაკრული ქრისტე ულამაზესი სიმბოლოა ყოველი დროის მხატვრობაში."

ევროპის მზის მზირალი, პერსონაჟი (სავარსამიძე) იევდრება: „საფრანგეთის მზე, ნეფრიტისფერ სითხეში გაქნილი *[თითქოს მონეს ტილო - ვ.ქ.]*.... შენ მაინც გამითბე გული, ქარვის წვენში გალესილო უცხოეთის მზევ, მე დღენაკლულს, მსოფლიოს ც ი ვ ს ა და ნ ი ს ლ ი ა ნ ნ ა პ ი რ ზ ე გამორიყულ თევზს" **[გამსახურდია კ., 2006, 95].**

შთამბეჭდავი და შემაძრწუნებელია ე ვ რ ო პ უ ლ ი ბ ი რ ჟ ი ს მწერლისეული აღქმა: „ჩოჩქოლი და წრიალი ატყდება. მთვარეულებივით დარბიან ადამიანები. ნაციებსავით უცახცახებთ ხელ-ფეხი. ბირჟის ვირთაგვები დამშეული ფოცხვერებივით მივარდებიან ხოლმე შავ დაფებს. მაღალცილინდრიანი წრიპა ბი-

ჭები გახელებული დარბიან, ჭაჭყანებენ, ისტერიულად ჰყვირიან. იმ დილას პუანკარეს მილიტარისტულ სიტყვაზე შევატყვე: ფრანკი კისერს მოიტეხდა."

საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის მიმართ ამერიკაში არ მოსწონთ: პუანკარეს უცნობ ჯარისკაცის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვას მტრულად შეხვდნენ ი ნ გ ლ ი ს ს ა და ამერიკაში" [გამსახურდია კ., 2006, 103].

ევროპაში წლობით მცხოვრები მწერლის განაზრებებს პერსონაჟი გაახმოვანებს: „ე ვ რ ო პ ე ლ ე ბ თ ა ნ საქმის დაჭერა ძლიერ საფრთხილოა. ჩვენ, არაევროპელებს, დაახლოებითი წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს ევროპელი პირველად შეხვედრილ ადამიანის გარეგნობას (საქმიანობის დროსაც). ევროპელები ხშირად საგნებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ადამიანის სხეულის ნაწილებს, მის გამომეტყველებას და მის ნათქვამს. ასევე მძაფრად აკვირდებიან ადამიანის აღნაგობას, მის მიმოხვრას, ჩაცმულობას... თუმცა ევროპელებს დიდი სიფრთხილის და დაკვირვების უნარი აქვთ, იმდენად გულუბრყვილო ნდობა სჩვევიათ, თუ პირველ შეხვედრისას შთაბეჭდილება მოახდინე. ტიტულებიან სადარბაზო ბარათს მათთვის თამასუქის წონა აქვს. მე გავოცდი ერთხელ, როცა ერთი შვეიცარული ბანკიდან ფულის მიღების დროს, მოხელემ სადარბაზო ბარათის მიხედვით მომცა ჩემ სახელზე გამოგზავნილი 1000 ფრანკი. ეს მე ვიცოდი, ამიტომაც გავსწირე ორი ფრანკი „თავად სავარსამიძის სადარბაზო ბარათის დასაბეჭდად" [გამსახურდია კ., 2006, 110].

ევროპის კულტურული ეპიცენტრი - პარიზი - განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი იხატება ბუკინისტ მუსიო შარტრიესადამი მიძღვნილ პასაჟებში: „პარიზი ტკბილი ჯოჯოხეთია! ყველა მას წყევლის, მაინც ყველა აქ ბრუნდება... პარიზის მერიდიანს გადაცდენილი სისხლის მოძრაობა... ბერლინი, ლ ო ნ დ ო ნ ი, პარიზი - ამ ქალაქებში ვიგრძენი პირველად, რა ძლერია და რა საცოდავია უღმერთო ადამიანი! მე ვუმღეროდი ამ დიდ ქალაქებს - წყეული საუკუნის სოდომსა და გომორს, სადაც უკან მოხედვა გაქვავებას უდრის, სადაც სიყვარული თავგასართობ ჩვეულებად ითვლება და ენტუზიაზმი - უსამიზნო

რომანტიკად. ადამიანის ბუნების ულოლიკობა!" [გამსახურდია კ., 2006, 128] [„ჩვენი საუკუნე მე მაგონებს მედუზა გორგონას თავსო", წერდა მწერალი-ესეისტი].

„პარიზში ადამიანი უბრალო ნომერია, თუნუქის ქონდრის კაცი, მე რომ თოფს ვესროდი ბელფორის ტირში, სწორედ ისეთი. მხოლოდ იტალიაში გრძნობ ადამიანი, თუ რა ძლიერი ყოფილა ღმერთი ადამიანში" [გამსახურდია კ., 2006, 132] „დიონისოს ღიმილშიც" კონსტატირდება იტალიისადმი მწერლის განსაკუთრებული სიყვარული და მოწიწება: „ზღვა აკვანივით არწევს გონდოლს. გაშავდა წყალი. ვსტკბები ჯენეტის სიახლოვით. ამ მაღალი, მოკაშკაშე ზეცის დიდებულებით და უსაზღვრო ზეფირისა და ტალღების ალერსით. მეგონდოლე არ ისვენებს. ახლა დანტეზე ჩამოგვიდგო ლაპარაკი. ჯენეტის თხოვნით, „ღვთაებრივი კომედიის" მესამე ქებიდან საუკეთესო ადგილები ზეპირად წარსთქვა. მე დავინტერესდი. დანტეს მრავალი მკვლევარისთვის მომისმენია. ოფიციალურ კათედრებიდან ნათქვამს არ დავუინტერესებივარ ისე, როგორც ამ მეგონდოლეს გასაოცარ ერუდიციას. იგი მთელი თავის სიცოცხლე დანტეს სწავლობდა თურმე. ჩვენთან საუბრის დროს ფრიად გონებამახვილი აზრები წამოსცდა... პირველად ამ მეგონდოლემ მიაქცია ჩემი ყურადღება ფლორენციელ პოეტისადმი. გამოვკითხე მეგონდოლეს სახელი და გვარი. ჯიორდანო ერქვა (გვარი დამავიწყდა) [გამსახურდია კ., 2006, 135].

მეგონდოლეს ეპიზოდი შეიძლება შევადაროთ ჯოისთან მერძევე ქალის ეპიზოდს. კონტრასტი ძალიან დიდია. იტალიური ხელოვნება თითქოს ცალკე დგას ფრანგული, გერმანული, ანგლო-ამერიკულისგან, მთელს ევროპულ კულტურას „მოუკვდა" ღმერთი, იტალიურს კი ჰყავს - „ბერლინი, ლონდონი, პარიზი - ამ ქალაქებში ვიგრძენი პირველად: რა ძლიერია და რა საცოდავია ულმერთო ადამიანი!" „მხოლოდ იტალიაში გრძნობ ადამიანი, თუ რა ძლიერი ყოფილა ღმერთი ადამიანში" [გამსახურდია კ., 2006, 127....132].

ევროპული კულტურის წანამძღვრისა და ლიბოსადმი - იტალიისადმი (ელადასთან ერთად) მოწიწება სჭვივის პასაჟშიც: „რომში ათი წელიც რომ დარჩეთ, იქ ახალ-ახალი შთაბეჭდილება მაინც არ

გამოილევა. ორიოდე კვირის განმავლობაში ვათვალიერებდით პართენონს, კაპიტოლის მუზეუმს, პალაციო მასსინოს, პალაციო ფარნეზეს, პალაციო ვენეციას, პალაციო ჩენჩის, გასაოცარ ვატიკანს, ვილლა ბორგეზეს და ფორუმ რომანუმს.“ სინანულიც გაკრთება: „ჯენეტს ვერ გაუგია ჩემი დიდი ინტერესი ძველი, წარმართული რომისადმი.“ ჯენეტის მოწყენის მიზეზსაც ახსნის - „ევროპელებს ვერ წარმოუდგენიათ საზოგადოების გარეშე ცხოვრებაო.“

მწერლის ყურადღების მიღმა არ რჩება კონტრასტი ანტიკურ და მის თანადროულ იტალიას (ევროპის ერთ-ერთ კონცეპტუალურ სახელმწიფოს) შორის: „საოცარია პერუჯია! ქვეყანაზე სხვა ქალაქი არ მეგულება, ძველი რომანტიული სული და საშუალო საუკუნეების ელფერი ასე უცვლელად რომ იყოს შენახული. კოშკებისა და ბასტიონების ვიწრო სათოფურებიდან დამცინავი თვალებით გიცქერიან ჩაფხუტიანი რაინდების ლანდები. რა საცოდავად მოსჩანან ამ პერსპექტივიდან ბენზინის სუნით აყროლებული თანამედროვე ქუჩები, საწვრილმანო დუქნები, სინემატოგრაფის საზიზღარი რეკლამები, იტალიელი მათხოვრები! ვიდრე ავტომობილი, ან პარიზულ მოდაზე მორთული ქალი ჩამოივლიდეს, თქვენ ყოველ წუთში შეგიძლიათ თანადროულობის თარიღი დაივიწყოთ და ტრუბადურებისა და მოხეტიალე რაინდების ეპოქაში გადასახლდეთ“ **[გამსახურდია კ., 2006, 172]** - ხაზგასმულია დროის სამივე ჰიპოსტასის თანაარსებობა ევროპის ამ გამორჩეულ სახელმწიფოში.

გამსახურდია ევროპის მთავარ ტაძრებს აღწერს: „არაფერი ჩემი თვალით ნახული სან ფრანჩესკოს მონასტერს არ შეედრება. მე მომისმენია დიდი ხუთშაბათის მწუხრი სან პიეტროს ტაძარში, წირვას დავსწრებივარ პარიზის ღვთისმშობლის და სან პაოლოს ტაძარში, ვამბერგსა და შტრასსბურგში ვყოფილვარ, მაგრამ რაც მე აღდგომა ღამეს განვიცადე ფრანჩესკო ასიზელის მონასტერში, კალმით არ აიწერება.“

ასიზელი ევროპის კონცეპტუალურ ფიგურად ცხადდება: „ტაძარი ფრანჩესკო ასიზელის საფლავზეა აგებული და იტალიელებს დღესაც სჯერათ, რომ წმ. ფრანჩესკო არ მომკვდარა, არამედ იგი ეკლესიის სიღრმეში სალოცავადაა დამდგარი. **[გამსახურდია კ., 2006, 173]**.

უაღრესად საინტერესოა ქართული რომანტიზმის ასევე გამორჩეული წარმომადგენლის, გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება ასიზელისადმი: „მინდია იგივე ფრანცისკ ასიზელია, ოღონდ - საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი ალპების“**[რობაქიძე გრ., 1988, 124]**. თავად კონსტანტინე გამსახურდიასეულ ინტერპრეტაციას „ხოგაის მინდიას“- მკვლევარი ინგა მილორავა მიიჩნევს „მითის ყველაზე უფრო სუფთა ჟღერადობის მქონე ლიტერატურულ ვარიანტად, მითის მხატვრული ტრანსფორმაციის უმაღლეს საფეხურად“ **[მილორავა ი., 2016, 104]**.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში ასიზელის სახის ანალიზს მაია ჯალიაშვილი ცალკე პარაგრაფს უძღვნის მონოგრაფიაში „ქართული მოდერნისტული რომანი. “მკვლევრის თვალსაზრისით, „წმინდა ფრანჩესკოს ქება სავარსამიძის არსებაში რწმენის საწყისის გამარჯვებისა და სულიერი გაორების დაძლევის მაჩვენებელია“ **[ჯალიაშვილი მ., 2006, 169]**.

„ცრუ ქრისტეს“ ქადაგება რომანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პასაჟია, რომელშიც თანადროული ევროპის სულიერი არსი ირეკლება: „უფალი ჩვენი ჯესუ ქრისტე მიიცვალა ადამიანში. ადამიანს დაავიწყდა ღმერთი და გაცოფდა. ანტიქრისტემ აუშენა ადამიანებს ეს ქალაქები, ანტიქრისტემ გაუკეთა მათ მანქანები. მანქანა თვით არის ეშმაკი. არც დედა ყოლია, არც მამა - მაინც ცოცხლობს, დარდი არ აწუხებს - მაინც ხვნეშის, ღმერთს სული არ მიუცია მისთვის - მაინც სუნთქავს, „ადექ და იარე“, არ უბრძანებია მისთვის უფალს - მაინც დადის“ **[გამსახურდია კ., 2006, 176]**.

იტალიურის პარალელურად, „ევროპული ცის“ ერთ უარსებითეს ანარეკლად გამსახურდია ბერლინის ცის რეფლექსიასაც გვთავაზობს: „ბერლინში სულ სხვა ცაა, სულ სხვა ადამიანები. სულ სხვა სიცივე და მარტოობა. ზამთრის საღამოებიც ბერლინურია, პირქუში, ნესტიანი და საძაგელი. და ასეთ საღამოებში აღარ იცი, სად წახვიდე, რა ჰქნა... რომ შემეძლოს, მე ერთ წუთსაც არ დავრჩებოდი ამ ბერლინში, დამარცხებულ, განადგურებულ გერმანიის ბერლინში“ **[გამსახურდია კ., 2006, 196]**.

ევროპის სურათი, რა თქმა უნდა, ნაკლული იქნებოდა დამარცხებული გერმანიის რეფლექსირების გარეშე. დაუვიწყარია

პასაჟი: „შვიდი ბრმა ჯარისკაცი და ერთი ხნიერი ქალი..... ქალი გერმანულ ლაუტეზე უკრავს, ფორმაშემოხუნებული ბრმა ჯარისკაცები მღერიან. და ეს არა ჰგავს სრულიად სიმღერას, ეს არა ჰგავს იმ გერმანელების ფოლადის ხმას, ომში მიმავალი ფოლადისმუზარადიან(ი) ჯარების პირიდან რომ გამიგონია, ეს არა ჰგავს სიმღერას, არამედ - დამარცხებულ გმირების გლოვის ზარს" [გამსახურდია კ., 1985, 197].

უაღრესად მნიშვნელოვანია ევროპული სულის(კვეთების) გასაგებად ბოჰემის კონცეპტის მწერლისეული ახსნა: „სცდება, ვისაც ჰგონია, რომ გერმანიაში ბოჰემა არ არისო. ეს არის, გერმანული ბოჰემა უფრო არისტოკრატულია. რომანულ და სლავურ ქვეყნებში ყოველი კაცი ბუნებით ბოჰემიელია. საფრანგეთში ყოველი კაცი კარგი ტონის ნიშნად სთვლის ბოჰემიელობას. გერმანიაში საშუალო მოქალაქე, სამხედრო კასტა და პროფესურა ერიდება კიდევაც ბოჰემას... სალონში ყველა აგინებდა იმ დროს ევროპის ცივილიზაციას, ყველა შ პ ე ნ გ ლ ე რ ს ეთანხმებოდა, მაგრამ არც ერთს თავში არ მოსვლია ამ „დასაღუპავ" ევროპიდან გაქცევა" [გამსახურდია კ., 2006, 209].

ელინი თუკიდიდეს „ათინას ჟამიანობას" იხსენიებს პერსონაჟი, რათა თანადროული ევროპის ყოფიერება არეკლოს: „ათინელები ხედავდნენ, თუ როგორი სისწრაფით ხდებოდა ცვლილება მდიდრების ცხოვრებაში. ყველა დატკბობის სურვილმა შეიპყრო, რადგანაც, ჟამიანობით დაშინებულნი, თანაბრად წარმავლად სთვლიდნენ ფულსაც და სიცოცხლესაც... სიკვდილი დაჰქრის ელექტრონით გაჩაღებულ ქუჩაზე, ვხედავ ყველგან უაზრო, წითელ რეკლამას: „პერტინაქს", „პერტინაქს," „პერტინაქს". საიდანღაც კონდუქტორმა გამოჰყო თავი: „ბილეთები, ბატონებო", გვეუბნება. მე სიცილი ამიტყდა. „დიდი პედანტები ხართ გერმანელები! რალა დროს ბილეთებია?" - ვეუბნები ჰერბერტს. - ჩვენ სიკვდილის წუთებშიაც მოვალეობა არ გვავიწყდება", - არის პასუხი.

„ბრანდებურგის ჭიშკარზე დადგმული ტყვიამფრქვევები" [გამსახურდია კ., 2006, 214] ევროპული ცივილიზაციის თანადროული ყოფიერების ენიგმაა.

რომანში თხრობის ძირითადი რაკურსი ევროპული (და მსოფლიო ცივილიზაციის) გერმანული „სამრეკლოდან"ჭვრე-

ტაა (თავად მწერლის გერმანოფილური პათოსი და პოზიცია არაერთხელ აღვნიშნეთ. ზემოთქმული რეფლექსირდება პერსონაჟის პათოსსა და პოზიციაშიც, მაგალითად, ციტატაში: „იმედი მაქვს, გერმანული კორპორაციების რაინდები უკანასკნელსაც არ დაიშურებენ თავიანთ მრავალტანჯულ სამშობლოსა და უნივერსიტეტისათვის“ **[გამსახურდია კ., 2006, 215]**.

ევროპელის სამკვიდრებელიც კი ეკლექტურია, რასაც იოჰანეს ნოიშტეტის ბინის აღკაზმულობაც მოწმობს: „ძველი ავეჯი. ბიბლიოთეკის კედლებზე ნიკარაგუას ზანგების მშვილდ-ისრები, შუბები, ტყავის ფარები, რომელიღაც ამერიკულ ცხოველების ტყავები... სასადილო ოთახში ძველი დანიელი ოსტატების „ნატიურმორტები“ **[გამსახურდია კ., 2006, 220]**.

გერმანოფილურ პათოსს აბსოლუტურად ობიექტური, ლოგიკური ახსნა აქვს: „მე მხოლოდ იმ დიდ სახლს ვიცავდი,... სადაც ამდენი სინათლე მიმიღია.“

ევროპული კულტურის ეკლექტურ ბუნებას ის საოცარი დეტალიც გამოკვეთს, პერსონაჟის (ავტორის ლირიკული ორეულის) დაკვირვებით, ფრიდრიჰის მუზეუმში მიქელანჯელოს გოლეულის მჭამელი იოანე ნათლისმცემელი ძლიერ [რომ] წააგავს ლუვრის, კაპიტოლის, ვილლა ალბანის, ვილლა ბორგეზეს ჭაბუკ დიონისოს.“

მწერლისეული მინიშნებით, ანტიკური (დიონისე) და ბიბლიური (იოანე ნათლისმცემელი) ერთურთს ერწყმის ევროპულ კონცეპტში და განსაზღვრავს ევროპელის სულიერ არსს.

საინტერესოა კომენტარი, დართული „ევროპის დაისის“ კონცეპტით გაერთიანებული ესეებისათვის: «Христу противопоставляется Дионис, а не Люцифер, хотя в сознании Ницше присутствовал и образ Антихриста» *[„ქრისტეს უპირისპირდება დიონისე, და არა ლიუციფერი, თუმცა ნიცშეს ცნობიერებაში არსებობდა ანტიქრისტეს სახებაც“ - ვ.ქ.]* **(Ницше Ф., Антихристианин, М., 1989, примечания А.М. Руткевича, 347)**.

გარდა ანტიკურ(ობ)ისა, „მოდერნიზმის ესთეტიკამ ააღორძინა ბაროკოს იდეალები, შუასაუკუნეობრივი დუალიზმი, სახეთა ალეგორიულობა“ **[ჯალიაშვილი მ., 2016, 22]**.

კონსტანტინე გამსახურდიას ყურადღების მიღმა არც წმინდად ნაციონალური შტრიხები რჩება: ბერლინელები პარიზე-

ლებს სულაც არ ჰგვანან - „ბერლინელი რეკლამისტი მთავარდიაკონისებური ბოხი ხმით ღიღინებს. აღარც ფრანგული ტემპერამენტია, მაგრამ ბერლინელი რეკლამისტი ენამოსწრებულია. ოხუნჯობაც ვერ დაუკარგავს მას დარბაისლურ გამომეტყველებას" [გამსახურდია კ., 2006, 230].

კონტინენტური ევროპის ყოფაში იჭრება „ფაიე ო ქლოქ თიის" ინგლისური ტრადიცია, რასაც მწერალი აფიქსირებს: „ქალბატონ ფონ შაი მთხოვდა ხუთ საათზე ჩაიზე ვწვეოდი. სიკვდილივით მეზარებოდა ქუჩაზე გასვლა, მაგრამ არ შეიძლებოდა, არ წავსულიყავ." არწასვლის „შეუძლებლობაც" ევროპული ეტიკეტის ნაწილია.

ქალთა დახასიათებაშიც ევროპის კონტრასტულ ხასიათთა რეფლექსია სჭვივის: „ანრიეტეში მუდამ ვგრძნობდი ფრანგული სისხლის იოტს - ოდნავ გესლიანი, ოდნავ ეშმაკი მადონა! მან კარგად იცის, როგორ დაიჭიროს მამაკაცი ხელში. უზომოდ ამაყია და გულჩახვეული. ფრიდა ოდნავ ტლანქია, მაგრამ - განუსაზღვრელად სანტიმენტალი (როგორც ყოველი გერმანელი)" [გამსახურდია კ., 2006, 232] *[მსგავსია კონცეპტი ვერკორის „ზღვის დუმილისა" - ვ.ქ.].*

ეპოქის სულისკვეთება საოცარი სიზუსტითა და სიმძაფრით იკვეთება პასაჟში, რომელიც წინასწარმეტყველურ მუხტსაც შეიცავს: „ფრანგებს არ შევარჩენთ ვერსალის ზავს... წინააღმდეგ *[პირიქით - ვ.ქ.],* ბატონებო, უნდა მოვძებნოთ საერთო ენა ჩვენს ევროპელ მეზობლებთან, თუ ჩვენ პ ა ნ ე ვ რ ო პ ე ი ზ მ ი არ ვიქადაგეთ და ს ა ე რ თ ო ე ვ რ ო პ უ ლ ი კავშირი არ შევკარით, ე ვ რ ო პ ი ს ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა დაიღუპება."

ფრიად სიმპტომატურია ინდოელის დაღონება გერმანიის დამარცხების გამო პირველ მსოფლიო ომში: „თერთმეტმა ნოემბერმა ჩვენი ილუზიები დაანგრია. გერმანიის დამარცხება დიდხანს დააგვიანებს ჩვენს განთავისუფლებას. გახსოვთ „ჰოტელ ესპლანდაში" მიტინგი? ვისი დროშები არ ფრიალებდა იმ ღამეს, ბანკეტის დროს, პატარა შტანდარტებზე! ყველა აქ იყო: ინდოეთის, სპარსეთის, ავღანისტანის, არაბეთის, საქართველოს, ეგვიპტის. მე ხსოვნაში დამრჩა, თქვენ, ქართველები, ძლიერ ლამაზ ეროვნულ ჰიმნებს მღეროდით. მერმე ერთმა იცეკვა.

ის სიმღერები ბავშვობაში ინდოეთში განაგონ ხალხურ სიმღერებს მაგონებდნენ... თუ ი ნ გ ლ ი ს ს ასეთი *[იგულისხმება ტოლფარდი - ვ. ქ.]* მეტოქე არ გაუჩნდა, აღმოსავლეთში ყველაფერი ამაოა. დღეს პატარა, უორგანიზაციო, უცივილიზაციო ერებს არ შეუძლიათ ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოებთან ბრძოლა. დიდი სახელმწიფოს დამარცხება მხოლოდ დიდი სახელმწიფოს საშუალებით თუ მოხერხდება... რა უნდა გავაკეთო ინდოეთში? სანამ იქ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი ა, ჩვენ იქ ზედმეტნი ვართ *[ამას ინდოელი ამბობს ინდოეთზე! - ვ.ქ.]* ... ჩვენ მარტო კრეისერებით არ გვებრძვის ი ნ გ ლ ი ს ი. იგი აგზავნის ჩვენ წინააღმდეგ თავის ურიცხვ წიგნებს, გაზეთებს, მისსიონერებს, მანქანებს, ქარხნის საქონელს."

ზემოთქმულს მწერალი გასაოცარი და უზუსტესი კონცეპტით განაგრძობს (პერსონაჟს ათქმევინებს): **„შ ე ქ ს პ ი რ ი იმპერიალიზმის ისეთივე დიდი იარაღია ინგლისის ხელში, როგორც ი ნ გ ლ ი ს უ რ ი კრეისერი. მწერლობა და მეცნიერება ბუნებით იმპერიალისტური ფენომენებია,** ამიტომაც, მე რომ 18 წლის ვიყავი, ო ქ ს ფ ო რ დ ი ს კოლეჯში გამგზავნეს. სახელმწიფო ხარჯზე უნდა გავეზარდეთ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ს. მე გავექეცი მათს უნივერსიტეტს, გერმანიას შევეკედლე, რადგან მათი სკოლა ისევე მძულდა, როგორც მათი ყაზარმა, მათი წიგნის მაღაზია და ეკლესია. ისინი უტიფრად ამართლებენ ჩვენს მონობას თავიანთი დიდი კულტურის სახელით. ჩვენ კიდევ ჩვენი ძველი კულტურის სახელით მათ ზიზღითა და სიძულვილით ვუპასუხებთ." *[ჯოისთანაც იმპერიალიზმის იარაღია შექსპირი - ვ.ქ. - იხ. ჩვენი ნამშრომის მესამე თავი].*

კონცეპტუალურია დიალოგი: „ - სიძულვილი ისევე წმინდა და მაღალი გრძნობაა, როგორც სიყვარული. გააჩნია შემთხვევას. მაგრამ განა თქვენ შ ე ქ ს პ ი რ ს უარჰყოფთ?

- შექსპირი რაა, ინდოეთის მომავალთან შედარებით? ახლა რომ აკვანში ინდოელი ბავშვებია, რა იცით, ისინი შექსპირზე უკეთ არ დასწერენ? მე რომ ინდოეთის განთავისუფლებას მოვესწრო, კალკუტაში, მოედანზე გამოვიტან მათს წიგნებს, მათს ქარხნის საქონელს და საჯაროდ დავსწვავ საერთო ცეცხლში" **[გამსახურდია კ., 2006, 245].**

რომანში განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერსონაჟად იკვეთება აბსენ ტუნგი, რომელიც ჰინდის ენაზე ეტყვის ინგლისელთა სამსახურში მყოფ თანამოძმეებს: „თქვენ აბსენ ტუნგს ესვრით ინგლისურ ტყვიებს?" მერე ისტორიული ნარატივია, ერთდროულად პოლიტიკური და მენტალური მდგომარეობის ამრეკლავი: „ჯარმა იარაღი დაჰყარა, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ოფიცრები გადმოგვცეს. სიპაების აჯანყებაში ჩვენ დავმარცხდით, რადგან გამცემლები აღმოგვაჩნდა. ამ ომის დროს ორჯერ ჩავიდა აბსენ ტუნგი ინდოეთში არალეგალურად. ის იყო, ბერლინს დაბუნებას აპირებდა, იგი შეიპყრეს. აბსენ ტუნგი მ ე ფ ი ს ნ ა ც ვ ა ლ მ ა შეირიგა, საკუთარი იახტით გამოისტუმრა ლ ო ნ დ ო ნ ს. აქ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი ეცადნენ მოესყიდათ. ო ქ ს ფ ო რ დ შ ი სანსკრიტული ენის კათედრა შესთავაზეს. უზომო პატიოსანი თვლები და ოქრო დააყარეს. მეფემ ინგლისის საპატიო აზნაურობა უბოძა. აბსენ ტუნგი ბერლინში გამოიქცა. 1917 წლის აჯანყების შემდეგ დეპეშა გაუგზავნა ი ნ გ ლ ი ს ი ს მეფეს: მას შემდეგ, რაც ინდოეთის ხალხის სისხლში ამოისვარეთ ხელი, ინგლისის მეფის აზნაურობა ჩემთვის სამარცხვინოც იქნებოდაო" **[გამსახურდია კ., 2006, 246]**.

[მსგავსია იმპერიის (მეტროპოლიის) ქმედება რადიარდ კიპლინგის „ოლქის გამგებელში" - ვ.ქ.].

როდესაც სავარსამიძე იკითხავს, რა ენაზე ველაპარაკო აბსენ ტუნგსო, დაარიგებენ - „რაკი სანსკრიტი არ იცით, მხოლოდ გერმანულად, ფრანგული და ი ნ გ ლ ი ს უ რ ი არ უყვარს" **[გამსახურდია კ. 2006, 247]**.

მსოფლიო ომმა ჰერბერტ შტუდერსის (სავარსამიძესთან ერთად, ფრანცისკ ასიზელის მიმდევრის) ფსიქიკაც შეცვალა. ოდესღაც სჯეროდა, მტერი სიყვარულით უნდა დაამარცხოო, პოეზიაზე, სიყვარულზე, რელიგიაზე შეყვარებულს. ახლა კი მზადაა, „ოღონდ გერმანიის ვარსკვლავი კვლავ გაბრწყინდეს და თუნდ კიდევ ოთხ წელიწადს იჯდეს სანგარში" **[გამსახურდია კ., 2006, 248]**.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს სავარსამიძის (აღსარებასავით გულწრფელი) სიტყვები: „აბსენ ტუნგის ასკეტური ქანდაკება მგლის თავზე სახარების კითხვა ყოფილა თურმე, რადგან

ჩემში ისევ ძლიერი დარჩენილა გაელინებული წარმართი ლაზი" **[გამსახურდია კ., 2006, 260].**

ინგლისისა და ინდოეთის ურთიერთმიმართების კონცეპტიც მწერალს თითქოს საქართველოს მარადიული „წყევლაკრულვიანი საკითხავ(ებ)ის" გასამკვეთრებლად სჭირდება. ბინარული ოპოზიცია „ინგლისი-ინდოეთი" პარალელიზდება სხვა ენიგმებთან: „საქართველო - დამპყრობელი იმპერიები": „ღმერთო, რა ძლიერნი ყოფილან ჩვენი წინაპრები და ჩვენი მტრები. ამ ციცაბოებზე ურიცხვი ეკლესიების, ტაძრების, სასახლეების ამშენებელნი და დამანგრეველნი!.. უკუნეთის ცეცხლით გადაბუგულო საქართველო! რკინის კარები შეგხსნია სამხრეთით... ვიგრძენი იმ ერის ტრაგედია, რომლის წარსულის მავზოლეები აწმყოს ჩრდილავენ და აცამტვერებენ. მე მიხეტიალნია ძველ საბერძნეთში, ძველ რომში, მინახავს გაჩანაგებული კართაგენი, პომპეის ჩანაცრული ქუჩები, სასახლეები და საკურთხეველები, აკროპოლისა და ფორუმ რომანუმზე მელანქოლიური ფიქრებით გულგასენილი ვმჯდარვარ, მაგრამ ყველაფერ ამას ოდნავ ვერ შეედრება ის დიდი მწუხარება, რომელიც სამხრეთ საქართველში განვიცადე. რაც უფრო ვუახლოვდები აწინდელი საქართველოს სამხრეთის საზღვრებს, იმდენად ნაკლებად ისმის ქართული. გზებზე და სოფლის კალოებზე შეხვედრილი გლეხების სახეები მეუცხოვება, აქა-იქ ძველი მესხური იერი იელვებს. მერმე - ისევ თურქული, სომხური სახეები, ანდა - ნარევი, ბასტარდული ტიპები.

რომისა და საბერძნეთის ნანგრევების მძიმე შთაბეჭდილებას ნანგრევების გარშემო მობინადრე იტალიელებისა და ბერძნების ახალი ქალაქები და სოფლები აქარწყლებენ. აქ ხედავ, რომ სიცოცხლე, თუმცა სხვა სახისა და სხვა აღნაგობისა, მაინც სჩქეფს.... სამხრეთ საქართველოში კი - ნასახლარები... ნასოფლარები... ნანგრევები... სიღატაკე... სიბინძურე და გადაგვარება."

ერთგვარი ლირიკული ინტერმეცოს სახით აღვნიშნავთ, რომ „[მივუხვდით], რა ნესტრით ნაჩხვლეტი" აღწერს აბსენ ტუნგისა და ბრიტანეთის იმპერიის ამბავს კონსტანტინე გამსახურდია - საქართველოს ტრაგედიის გამოსალანდად... კონცეპტუალურია პასაჟიც: „სოფელში წავალ, მამის ნასახლარს მოვძებნი და პა-

ტარა ვენახს გავიშენებ. ან არადა, ი ნ დ ო ე თ ს წავალ“ [გამსახურდია კ., 2006, 293].

აქ „ინდოეთი“, რასაკვირველია, პარადიგმულ დატვირთვას ატარებს და, რომანის საერთო კონცეფციიდან გამომდინარე, იმპერიასთან ღირსეული დაპირისპირების ენიგმატურ სივრცედ მოიაზრება. თუ ზემოთქმულს „ვეფხისტყაოსნისეული“ ინდოეთის პარადიგმულ გააზრებასაც დავუმატებთ, „სულის ლანდშაფტი“ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს *[გასაგებია, რატომაც ფიქრობს პერსონაჟი გარიდებაზე - მშობლიურ სივრცეში, გასაბჭოებულ საქართველოში ეროვნულ მითებს „საბჭოთა მითოლოგია“ ანაცვლებს. „სოცრეალისტურ ლიტერატურას კატარინა კლარკმა „სახელმწიფო მითების ოფიციალური საცავი უწოდა“* ***[გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., 2010, 76]].***

ზემოთქმული ადასტურებს, რომ გამსახურდიას რომანისტიკაში ინგლისი ისე მკვეთრად, აქტიურად არ არის წარმოდგენილი, როგორც პუბლიცისტიკაში (ესეებში, წერილებში, ნარკვევებში), თუმც ციტატებში გამოლანდული ბრიტანეთის იმპერია კონცეპტუალური შტრიხებით წარმოჩნდება.

თავი 3

კონსტანტინე გამსახურდიას ნარატივის ზოგიერთი კონცეპტი

3.1. ამერიკა კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტულ-პუბლიცისტურ ნარატივში

კ. გამსახურდიას უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალი რაკურსითაა საკვლევი. საკვალიფიკაციო ნაშრომის წინამდებარე პასაჟში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ამერიკული რემინისცენციები ნოველებსა და რომან „გოეტეს ცხოვრების რომანში."

მკვლევარ ზაზა გოგიას აზრით, მეოცე საუკუნის „ათიანი წლების მიწურულიდან იწყება საკაცობრიო კულტურის არეალში საკუთარი პიროვნული თუ ეროვნული იდენტობის, როლისა და ადგილის თანდათანობითი ძიების პროცესი. ამ გზაზე ყველაზე მკაფიო ორიენტირად პოსტ-ბიურგერული გერმანიის ინტელექტუალური სამყარო იქცა, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა არა მხოლოდ ცალკეულ კონცეფციათა, **მთელ კულტურათა** *[ხაზი ჩვენია - ვ.ქ.]* გეოგრაფიული, რასობრივი, ენობრივი ნიშნებით გადახარისხების პროცესი"**[გოგია ზ., 2014, 57]**.

„მთელ კულტურათა" სივრცეში, ბუნებრივია, ამერიკული სამყაროც მოიაზრება.

ნოველა „პორცელანში" ამერიკა გაკრთება, როგორც კულტურის ანტითეზური პარადიგმა, რაც პერსონაჟების საუბარში რეფლექსირდება: „ომმა ცხოვრება გააძვირა „მონ შერ ამი", ... ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ჩვენსას ერთი ა მ ე რ ი კ ე ლ ი ჟურნალისტი იყო, მან დიდი ფული შემომთავაზა ჩვენს პორცელანში ნ ი უ - ი ო რ კ ის ერთი მუზეუმისთვის, მეტი გზა არ იყო, უნდა გაგვეყიდა...

სად არის ნეტავ ბარონ როსტრუპის პორცელანი? ვფიქრობ ხანდახან... ეგებ, ნიუ-იორკის რომელიმე მუზეუმში. ჰმ, მუზეუმი! მუზეუმი სხვა რაღაა, თუ არა უშველებელი სასაფლაო, სადაც ყოველი ერი, ყოველი რასსა, თავის გრძნობებს ჰმარხავს?!... დიდი საფლავი მიცვალებულ გრძნობათა, დრომოჭმულ ფერადებისა და რითმების" [გამსახურდია კ., 1992, 28].

უაღრესად საგულისხმოა, რომ იდენტურია კონცეპტი იაპონელი მოდერნისტის, რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობისა „ხინა თოჯინები" [აკუტაგავა, მოდერნიზმის ეპოქის გამორჩეული ავტორი, ეპოქის სულისკვეთებას ტრაგიკული ფრაზით რეფლექსირებდა: „მე არ მაქვს სინდისი, მე მაქვს მხოლოდ ნერვებიო" [ჯოხაძე მ., 2009, 421]. რასაკვირველია, ფრაზა ფიგურალურია და, თუ ვინმეს შეიძლება ეწოდოს „ეპოქის სინდისი", სწორედ აკუტაგავას].

„ვერცხლის ბეჭედშიც" ჩნდება ამერიკის რეფლექსია. პასაჟში ამერიკა ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთ აქტიურ „მოთამაშედ" ჩნდება. პერსონაჟი ჰყვება: „ტფილისში მობრუნებულს, შემთხვევით ჩამივარდა ხელთ ა მ ე რ ი კ უ ლ ი ჟურნალის "THE JOURNAL OF AMERICAN MEDICAL ASSOCIATION"-ის *[„ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალი" - ვ.ქ.]* რამდენიმე ნომერი, თურმე ფაშისტი ფიზიკოსები და ექიმები ბოკმაიერისებრ ცდებს აწარმოებდნენ აუშვიცის და დახაუს საკონცენტრაციო ლაგერებში. ნიურნბერგის პროცესში გაასამართლეს 29 გერმანელი ფიზიკოსი, რომელთა გაუგონარი გულმხეცობის ამბავი მოახსენა სამსჯავროს ა მ ე რ ი კ ე ლ მ ა დოქტორმა ივიმ: ფიზიკოსები კანქვეშ უშხაპუნებდნენ თურმე ტყვეებს ტუბერკულოზის და ტიფის ბაცილებს, აწარმოებდნენ ფაჩვუნიერი ნაწილებიდან გლუ ადგილებზე თმების გადანერგვას"[გამსახურდია კ., 1992, 401] .

საინტერესოა კონცეპტი, რომელიც რეპლიკის სახით აქვს წარმოდგენილი სოსო სიგუას: კ. გამსახურდია „1921 წელს ავითარებდა შეხედულებას, რომ უნდა შეკავშირდნენ ი ნ გ ლ ი ს ი და გერმანია ა მ ე რ ი კ ი ს წინააღმდეგ" [სიგუა ს., 1991, 468].

ვფიქრობთ, აღნიშნული კონცეპტის ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტუ-

რულ-კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც. ზემოთქმული მხოლოდ ცალკეული პლასტებია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ამერიკული რემინისცენციების მრავალწახნაგოვანი სპექტრიდან.

მწერლის მოდერნისტულ (ექსპრესიონისტულ) შტუდიებში ცალკე მოტივად ჩნდება ამერიკელი პერსონაჟების პორტრეტები, ამერიკული კულტურა, სახელმწიფოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონცეპტები.

აღნიშნულ საკითხს სამ ტექსტზე: რომან „ევროპა გალიაში“, „უკრაინის თემიდსა“ და ბელეტრისტულ-მემუარულ ჩანაწერებზე - „ლანდებთან ლაციცი“ დაყრდნობით განვიხილავთ.

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „ევროპა გალიაში“ ჩნდებიან ამერიკელი პერსონაჟები. როდესაც სხვადასხვა ეროვნების ტურისტებს შეავლებს თვალს ურდოელი, ამჩნევს, როგორ „მიჩოჩქოლებენ ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ ი, თანაც ხორხოცობენ ისე ხმამაღლა, თითქოს ს ა კ უ თ ა რ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ჩამოსულანო. ჰოლანდიელების ხავილი მოისმის, იტალიურის ფრინველისებრი ჟღურტული“...

„ვიღაც ა მ ე რ ი კ ე ლ ორიენტალისტს ნდომებია მასთან გაცნობაო“, ვკითხულობთ რომანში. ორიენტალისტიკა ამერიკელთა და ინგლისელთა შორის ფრიად პოპულარულ დისციპლინად ფიქსირდება კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკასა და რომანებში.

ხაზგასმულია ანგლოამერიკელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ტექნიკური პროგრესისადმი - „ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ მ ა და ინგლისელებმა ტელეფონით ამიკლეს, სამი დღის წინათ სამინისტროდან დამირეკესო“, ჩივის პერსონაჟი. შვედი მეცნიერები ჩამოვიდნენ ბოტანიკოსების კონგრესზე, სამი ოთახი პროფესორ სტიკლინგს მივეცი, ოთხი - მის თანამშრომლებს, ახლა ფრანგი ტურისტები მეწვივნენ ამ დილას. ამ ბატონებს ძლიერ მოეწონათ ჩვენი ვერანდები, აივნები და, რაც მთავარია, ბაღი. სექტემბრიდან ორ სართულს ავიღებთო. ახლა ბალკანელები, რუსები, ებრაელები რამდენს გვირეკავენ, მაგრამ თქვენ იცით ჩემი პოზიცია. მე კათოლიკეებს და პროტესტანტებს ჩემს სახლში არ ვუშვებ, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი კათოლიკენი - ჰო და ჰო“ **[გამსახურდია კ., 1983,20]**.

მწერალი დეტალით ახერხებს ევროპელთა თუ ამერიკელთა ხასიათის, ჩვევების ჩვენებას: „სასადილო ოთახში მთელი პანსიონი მოგროვილიყო, ფრაუ მაიორი სუფრის თავში იჯდა. ურდოელი ყოველდღე აქ სადილობდა, მაგრამ ასეთი რამ არ შეუმჩნევია. ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ მ ა, ფრანგებმა, შვედებმა, და თვით ყველაზე მეტად თავშეკავებულმა ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ მ ა თავი აიღეს და ურდოელს დაუწყეს თვალიერება“ [გამსახურდია 1983, 23]

- ამგვარი ქცევა ევროპელთა და ამერიკელთათვის არადამახასიათებელია, არატიპურია და პასაჟს მწერალი განსაკუთრებული სიტუაციის დასახატად სთავაზობს მკითხველს.

რომანში გაჟღერებული ფრაზა - „ინგლისის მეფის გვირგვინი რომ გადავარდეს, სამი კონტინენტის ხალხები ამოისუნთქავდნენ“ [გამსახურდია,1983, 48] - ფაქტობრივად, პოლიტიკური განაცხადია. თავის დროზე, ასევე სწამდათ ამერიკული სახელმწიფოებრიობის მამებსაც.

ტექსტის სხვა პასაჟში კვლავ ჩნდება ამერიკელი ტურისტი: „დიდი აურზაური გამოიწვია პანსიონ „კობურგში“ ურდოელის მობრუნებამ. ოთახი იმ წუთშივე დაეკავებინა ვიღაც ა მ ე რ ი კ ე ლ ტურისტს. დაფაცურდა ფრაუ მაიორი, ა მ ე რ ი კ ე ლ ი დიდ სალონში გადაასახლეს დროებით“ [გამსახურდია,1983, 61].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისელი და ამერიკელი პერსონაჟები, ანგლო-ამერიკული პასაჟები ცენტრალური პერსონაჟის ხასიათის გამოსაკვეთად ჩნდებიან რომანში „ევროპა გალიაში“, ამდენად, მათ აქვთ არა თვითმკმარი, არამედ - მხოლოდ დამხმარე დანიშნულება.

ამერიკასთან დაკავშირებული პასაჟები გვხვდება მემუარული ხასიათის ტექსტში „ლანდებთან ლაციცი.“ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში საინტერესო პასაჟებს გვთავაზობს მწერალი, ევროპის პოლიტიკურ კონტექსტებს აღწერს.

გერმანელთა აზრით, „გერმანელებმა და ფრანგებმა უნდა შევკრათ კავშირი რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. ინგლისი, მოგეხსენებათ, მუდამ იმის ცდაში იყო, ევროპის ჰეგემონი გამხდარიყო, ამიტომაც მრავალი საუკუნის მანძილზე ებრძოდა იგი საფრანგეთსა და გერმანიას და ახლაც ებრძვის. ნაპო-

ლეონის იმპერიის დამსხვრევამ ი ნ გ ლ ი ს ი ევროპის ჰეგემონად აქცია, მოგეხსენებათ. კაიზერ ვილჰელმი ამას ვერა ჰხედავს და მეც აგრე მეოცნებება: მომავალ ომში კვლავ ი ნ გ ლ ი ს ი გაიმარჯვებს და, საბოლოოდ, ჩვენ და ფრანგებს ინგლისის სატელიტობა მოგველის" [გამსახურდია,1983,110].

სწორი ხედვა სჭვივის პასაჟშიც რუსეთის მოგებიანი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ. გავიმეორებთ კვლევის პირველ თავში უკვე ფიქსირებულს: „რუსეთის იმპერატორი შლეგი რომ არ იყოს, რუსეთს ბრილიანტი მდგომარეობა აქვს. ინგლისი მას ვერასოდეს მისწვდება სამტროდ" [გამსახურდია,1983,110].

ყველაზე „მოგებიანი" გეოგრაფიული პოზიცია კი, რასაკვირველია, ამერიკას აქვს, მწერლის თვალსაზრისით.

ესეში „უკრაინის თემიდი" წარმოჩნდება ბრიტანეთისა და ამერიკელების დამოკიდებულება სხვადასხვა ერისადმი: „ევროპელები და ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ ი ამტკიცებენ: აღმოსავლეთის ერები თავიანთი ფლეგმატურობის წყალობით მხოლოდ პარიზსა, ლონდონსა და ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ შ ი გამოგონილი მანქანების მუნჯ მსახურებად თუ გამოდგებიანო" [გამსახურდია,1983,186] .

ზემოთ მოვიხსენიეთ ამერიკელი ორიენტალისტი, რომანის „ევროპა გალიაში" პერსონაჟი. ზემოაღნიშნულ რომანში უზუსტესადაა განსაზღვრული XX ს. დასაწყისის მწერლობის თემები და მოტივები: „ასეთი ამბები მართლაც ზღაპრების წიგნში თუ მოთავსდება. უნდა ითქვას, კიპლინგის შემდეგ მთელი დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს მწერლობა ე გ ზ ო ტ ი კ ა ზ ე ნადირობას უნდება ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ შ ი" [გამსახურდია,1983, 187], რასაც მწერალი ბუნებრივ მოვლენად თვლის: ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ლიტერატურა *[რომლის მემკვიდრეცაა ამერიკული ლიტერატურა - ვ.ქ.]* ოდითგანვე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ღებულობდა შთაგონებას, ადრიან რენესანსის ეპოქის შემდეგ იტალია ითვლება შთაგონების წყაროდ როგორც გოეტესთვის, ისე შექსპირისთვის. სამხრეთისა და აღმოსავლეთისგან მიუღიათ უდიდესი შთაგონებანი ბაირონს და შელლის, ბოდლერსა და ჰაინეს, ლერმონტოვსა და პუშკინს. ჰოლანდიელებს, ფრანგებს, ინგლისელებს და გერმანელებს არა ერთი და ორი ათასი ერის ტერიტორია დაუპყრიათ აღმოსავლეთსა და აფრიკაში, მაგრამ

არსად დამპყრობელ ერების კულტურაზე იმდენი ზეგავლენა არ მოუხდენია დაპყობილების კულტურას, რამდენიც კავკასიელებს - რუსულ კულტურაზე; სულ სხვა მანძილია ანალოგიურ შემთხვევაში დასავლეთის ეგზოტიკოსების: კიპლინგის, ბონზელსის, მორანის და იოჰანეს ვ. ინსენის კულტურულ დონესა და მათ შთამგონებელ ხალხებს შორის. აქ ბუნება წარმოადგენდა ყოფა-ცხოვრების თავისთავად ეგზოტიკას" [გამსახურდია კ., 1983, 188] - როგორც ზემოთაც არაერთგზის აღვნიშნეთ, ლამის ყოველ პასაჟს მწერალი ქართულ კულტურასთან პარალელიზებისთვის იყენებს. გამონაკლისი არც ზემოაღნიშნული ეპიზოდია.

კულტურულ-ესთეტიკურ განაზრებებს სოციალურ-პოლიტიკური განსჯა ცვლის: „განა თავათ ევროპაში დღესაც ცოტაა ყაჩაღი? პარიზსა, ლონდონსა და ნ ი უ ი ო რ კ შ ი დღის სიცხადეზე განა ცოტა ხალხს ჰკლავენ და ძარცვავენ?!" [გამსახურდია კ., 1983, 189].

ესეს სხვა პასაჟში, ევროპისა და ამერიკის ეკონომიკური ვითარების მხატვრული განაზრებისას, აღნიშნულია, რომ „ევროპის, ა მ ე რ ი კ ი ს, ავსტრალიის, აფრიკის ზღვებში და დიდ მდინარეებში სცემს, მოძრაობს, იბრძვის, ქშინავს, ხრჩოლავს და ბობოქრობს უკრაინის ნახშირი" [გამსახურდია,1983, 199], თითქოს გამკვეთრებულია, ხაზგასმულია გლობალიზმის წანამძღვრები: „უნახშიროდ სავსებით წარმოუდგენელი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიის ძველ მსოფლიოში გაბატონება. თუ ბერძნებისა და რომაელების ფლოტი ქარს დაჰყავდა, ი ნ გ ლ ი ს მ ა ნახშირის ძალით დაიპყრო აზია, აფრიკა და ა მ ე რ ი კ ა" [გამსახურდია, 1983, 199] - როგორც ყველა დასკვნა, ზემოაღნიშნულიც მწერლის უფართოეს ერუდიციასა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემათა არსში წვდომას ადასტურებს.

XX ს-ის დასაწყისის პოლიტიკური ვითარების აღწერისას, მწერალი მსოფლიო ლინგვა ფრანკაზეც საუბრობს: „ინგლისურმა ანბანმა წალეკა ძველი და ახალი ქვეყანაო", აღნიშნავს მწერალი და „ახალ ქვეყანაში", ბუნებრივია, ამერიკას გულისხმობს [«В основе американской культуры лежат мифологизированные представление о Новом Свете как о Новом Эдеме, а об

американце о Новом Адаме» (А. Долинин, 1989, 542) *[„ამერიკული კულტურის საფუძველს წარმოადგენს მითიური წარმოდგენა ამერიკაზე, როგორც ახალ ედემზე, ამერიკელზე - ახალ ადამზე " - ვ.ქ.].*

„უკრაინის თემიდში" ვკითხულობთ, „ავიღოთ თუნდაც საფრანგეთის, ინგლისის, ა მ ე რ ი კ ი ს და გერმანიის მწერლობის რომანები და მოთხრობები ნახშირის მაღაროების მუშების ცხოვრებიდანო" [გამსახურდია კ., 1983, 203].

მწერალი ოსტატურად აკავშირებს საბჭოთა (უკრაინის ნახშირის) თემას მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტთან: „შესაძლოა, „ნახშირის ტრაგედიამ" დაამხოს დღევანდელი იმპერიალისტური ინგლისი, თუნდ იტალიაც და ნახშირი, როგორც ტემა, ისე დაულეველია და თვალშეუდგამი, როგორც უკრაინის ლაღი და ულევი სტეპი" [გამსახურდია კ., 1983, 203].

ზემოთ წარმოდგენილი რემინისცენციებიც განხილული სამი ტექსტიდან (ბელეტრისტული „ევროპა გალიაში", პუბლიცისტური - „ლანდებთან ლაციცი" და "უკრაინის თემიდი") ნათელი დასტურია, რომ მწერალი მწირი ამერიკული რემინისცენციებითაც კი გამომსახველობას სძენს ნარატივს და მკითხველს კულტურულ, პოლიტიკურ, ესთეტიურ განაზრებებს სთავაზობს.

3.2. ევროპულ-ამერიკული მუზეუმ(ებ)ი, როგორც მოდერნიზმის კონცეპტუალური სივრცე

შტეფან ცვაიგი გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის" გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „ევროპული და, საერთოდ, მთელი ცივილიზებული სამყარო იოლად ეგუება გაერთნაირებისა და გათანასწორების კანონს. ზნე-ჩვეულებანი და ეროვნული სამოსელი, ადათ-წესები და ხალხური ცეკვები თანდათან ქრებიან ან, როგორც სხვა ისტორიული უცნაურობანი, სამუზეუმო ნიმუშებივით ხელოვნურადღა არსებობენ. ძირფესვიანად ერთფეროვნდება ნივთიერი ფორმები

(მათ შორის, სულიერიც), ოდესღაც მძლავრად რომ გამოხატავდა პიროვნულ და ეროვნულ ხასიათს, რომ თანადროულ ქუჩაზე აღარც იგრძნობა, დედამიწის რომელ განედზე მდებარეობს იგი" [ცვაიგი შ., 1995, 4].

მოდერნიზმის ეპოქის კონსტანტინე გამსახურდიასეული რეფლექსია-რეცეფციები ჟამის პირუთვნელი ანარეკლია.

ეპოქის პარადიგმულ მიკრომოდელად აღიქმება ლუვრში მოწყობილი ცვალებადი კოლექციების საგამოფენო დარბაზები. „მოცლილ" დამთვალიერებელთა დიალოგებიც ჟამის ერთგვარ „სტენოგრამად" აღიქმება: „კაცობრიობას მეორე საუკუნეა, რაც მოსვენება არა აქვს. ფრანგული რევოლუციის სახელით გამოსულმა ფრანგულმა იმპერიალიზმმა ევროპა ააფორიაქა", - ეუბნება კაპიტან დოაზანს კონსტანტინე სავარსამიძე და ტექსტის აღნიშნულ პასაჟში ლაპიდარულადაა ახსნილი მოდერნიზმის ეპოქის პრობლემების სათავე თუ მიზეზი.

ფრანგულმა რევოლუციამ ფეოდალიზმის წიაღში გააჩინა ულრმესი ბზარი, შეარყია რწმენა, უფალი „გონებით", ერი - მასით („ხალხით") ჩანაცვლდა (უაღრესად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო. ჯანრი კაშია ერთერთ წერილს ასე ასათაურებს - „რენესანსი - კაცობრიობის მარცხი?!" და სწორედ აღნიშნულ პრობლემებზე მსჯელობს).

„აფორიაქებული ევროპა", რომანის მიხედვით, პოლუსებადაა დაყოფილი და „დიონისოს ღიმილის" პასაჟებში ამ პოლუსებად ხან გერმანია და საფრანგეთი, ხან -გერმანია და ინგლისი, ხან - გერმანია და რუსეთი წარმოჩნდება, თითოეული „პოლუსი" საოცარი სიღრმით რეფლექსირდება.

გამოფენის ეპიზოდში ფრანგი კაპიტან დოაზანისა და გერმანელი დოქტორ რაიმერის გესლიანი კინკლაობა სწორედ ამ პოლუსების დაპირისპირების მტკიცებულებაა.

ნეიტრალური პერსონაჟი (სავარსამიძე) ბოლომდის ნეიტრალურიც ვერ არის, ის გერმანიის მოტრფიალეა და არც მალავს ამას, მაგრამ დიპლომატიურად წარმართავს საუბარს, აქცენტების გადატანით „ახალი დროის" ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტების პედალირებას ახდენს - „დასავლეთის ისტორიაში ორი უდიდესი მომენტი აღვნიშნე - ამერიკის აღმოჩენა და სტამბის გამოგონება გუტენბერგის მიერ. მესამე იქნება ცეპელინების გადაფრენა ბერლინიდან ნ ი უ - ი ო რ კ ს" [გამსახურდია კ., 2006, 104] *[ქარაგმულად კიდევ ერთხელ კონსტატირდა პერსონაჟის გერმანოფილური მისწრაფებანი - ვ.ქ.].*

საგამოფენო სივრცე ვიწრო ქრონოტოპოსში ატევს სამყაროს სურათს, გვერდიგვერდ განლაგებულ დარბაზებში იქმნება ევროპის, აზიის, ამერიკის მიკრომოდელები (ერთგვარი სინოპსისის თუ კოსპექტის სახით „დიონისოს ღიმილის“ ეს პასაჟი ნოველა „პორცელანშიც“ ჩნდება, კონსტატირდება, რომ „მუზეუმი სასაფლაოა“ **[გამსახურდია კ., 1992, 25]**.

სავარსამიძე ლაპიდარულად აფასებს ეპოქის მენტალობას, დოქტორ რაიმერთან დიალოგში ვკითხულობთ: „ - აქ სრულიად ახალი სულია... უჩვეულო კომბინაციები საღებავებისა. ჩვენ გვეუცხოება ეს საოცარი, ქაოტური ვიზიონერობა. მაინც სანუგეშოა. მატერიის დემატერიალიზაცია იწყება ახალ ხელოვნებაში“ **[გამსახურდია კ., 2006, 67]**.

იმავე ეპოქის რეფლექსია-რეცეფციაში - გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულშიც“ ხაზგასმულია ჟამის მატერიალისტური ბუნება, მეტიც, მატერიის აბსოლუტური ფეტიშიზაცია **[რობაქიძე, 2005, 19]**, და აღნიშნულ კონტექსტში „დიონისოს ღიმილის“ ზემოაღნიშნული ციტატა გროტესკულ მონასმად უფრო აღიქმება, ვიდრე რეალური ფაქტის კონსტატაციად.

საგულისხმო და, იმავდროულად, ტრაგიკულ-გროტესკულია დიალოგის გაგრძელებაც: „- არ მესმის, საით მიდის ეს ხელოვნება.

- კაპიტალიზმის სტილი გახლავთ.

- ესე იგი, უსტილობა, არა? ანტიკას და ფეოდალიზმს ჰქონდა თავისი სტილი, კაპიტალიზმს ჯერ არ ჰქონია. ვგონებ, არც ექნება“ **[გამსახურდია კ., 2006, 168]**.

პასაჟში კვლავ ჩნდება დაპირისპირება - ახალი პოლუსები (ამჯერად - სტილური თუ სტილისტური) და ფეოდალიზმი კაპიტალიზმთან მიმართებით (თუ შედარებით) აღმატებულ, უპირატეს ფორმაციად ცხადდება - ჯერ არ კონსტატირებულა, რომ „ღმერთი მოკვდა“ (ნიცშე) და მონარქებიც „სახითა მისმიერითა“ (ანუ უფლისმიერი ხატის მატარებლობით) გამორჩეულ პერსონალიებად აღიქმებიან.

„დიონისოს ღიმილის“ გამოფენის ეპიზოდში რუსოსეული მოტივებიც გაკრთება, ბუნებასთან დაბრუნების პასტორალური ობერტონები, ნოსტალგია პირველქმნილი, შეურყვნელი სივრ-

ცეებისადმი, არაინდუსტრიალიზებული ლოკალისადმი. რაიმერისა და სავარსამიძის დიალოგში ვკითხულობთ:

„ - ავიაციის განვითარებამ თუ არ გვიმტყუნა, დიდი ქალაქის ბატონობას ბოლო მოეღება *[ტონი კვლავ გროტესკულია - ვ.ქ. „გვიმტყუნა" ტრაგედიასაც აფიქსირებს და ნუგეშსაც].*

- თქვენ გგონიათ?

- უთუოდ გენერალური უკუქცევა იქნება. ინდუსტრიამ მოჰკლა სილამაზის გრძნობა. მთელი ევროპა დაამახინჯეს ტელეფონის, რადიოს ბოძებმა, რკინიგზის ხიდებმა, ზღვების ნაპირები წარყვნეს დოკებმა და ელევატორებმა. უდიდესი ცოდვა ჩავიდინეთ ბენების მიმართ" **[გამსახურდია კ., 2006,168]**.

ფაქტობრივად, პასაჟში აღწერილია იმავე ტიპის ლანდშაფტი, რაც სალვადორ დალის სიურეალისტურ ტილოებზე - ინდუსტრიალიზაციის შხამით „უნაყოფო მიწად" ქცეული სივრცე, მელოდიად კი მუნკის „ყვირილის" ობერტონის წარმოდგენა შეიძლება. თუ საკუთრივ ლიტერატურულ პარალელს დავძებნით, ალბათ, ყველაზე ზუსტი ტომას სტერნზ ელიოტის „ბერწი მიწის" მხატვრული სივრცე იქნება, სადაც მკვდარი ტუბერები ვერასოდეს გაღივდებიან და ვერც "memory and desire" (მეხსიერება და ლტოლვა) შეერწყმის ერთურთს **[ელიოტი ტ.ს., 2015, 14]**.

მოდერნიზმის ეპოქის ხელოვანები (ჟანრის მიუხედავად - მხატვრებიც, მწერლებიც, მუსიკოსებიც) ატონალობას, მკვეთრ ფერებს, ერთგვარ აგრესიულ ობერტონებს აფიქსირებენ ეპოქის ხასიათის წარმოსაჩენად და მომავლის საქმეა ამ პარალელების აღმოჩენა და კვლევა (ატონალობა და აგრესიული ტონები, როგორც მოდერნიზმის მახასიათებლები, საინტერესოდაა მინიშნებული ბელა წიფურიას ქრესტომათიულ წერილში **[წიფურია, 2016, 31]**.

პასაჟში კ. გამსახურდია იმ ფაქტსაც აღნიშნავს, რომ მოდერნიზმის ეპოქამ ადამიანის ესთეტიკური გემოვნება შეცვალა (რა საკვირველია, უარესობისკენ): „რამდენი ცოდვაა ადამიანის ესთეტიკური შეგრძნების მიმართ ჩადენილი? ჩვენი თვალი უკვე ვეღარ ხედავს ლამაზ საგნებს. თუ თვალი სილამაზეს ვეღარ ნახავს, ვერც სული აღიზრდება ესთეტიკურად" **[გამსახურდია კ., 2006, 72]**.

რეპლიკაში ჟამის ტრაგიზმი მძაფრად ირეკლება, ეპოქის „ჰისტერიული" (ისტერიული) სული წარმოჩნდება: „ინდუსტრია ხელოვნებას მოჰკლავს... რაღა უკლია?! ხუროთმოძღვრება, დიდი ხანია, დასავლეთში მოისპო - დღეს იგი ისტორიული ხელოვნებაა. სკულპტურა? ხომ ხედავთ ამ ულაზათო, ხისა და ბრინჯაოსაგან გამოჩორკნილ ფიგურებს? ქაოტიურ გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ჰარმონიის ხილვისა და შექმნის უნარი" **[გამსახურდია კ., 2006, 73]**.

მოდერნიზმის ეპოქის მთავარი მოქანდაკე - ოგიუსტ როდენი „ბერძნების ეპიგონად" ცხადდება და ამ დეტალით ხაზი გაესმის „ევროპული ცივილიზაციის ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) ფესვებსაც და ამავე ცივილიზაციის ოსვალდ შპენგლერის მიერ კონსტატირებულ „დაისსაც."

თუ როდენს ეპიგონობის „პატივი" მაინც ერგო, როსკინის (პრერაფაელიტების) ცდები „უნუგეშო ჩხირკედელაობად" იხსენიება პასაჟში. მწერლის ტონი გროტესკულ-ტრაგიკულია (იმავდროულად, მკაცრიც): „ისტორიული პროცესების წინააღმდეგ სენტიმენტებით ბრძოლა სასცილოა. თეატრი ს ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ მ ა დაჩრდილა, ლირიკა კვდება, ერთადერთი დარგი, რომელიც კიდევ იბოგინებს, ვიდრე ხანგადასული ქალები გამოლეულან, ეს არის რომანი" **[გამსახურდია, 2006, 74]**.

ხაზგასმულია კულტურის დეგრადირების შეუქცევადი პროცესი (ელიტარულ თეატრს მასკულტურული კინემატოგრაფი ანაცვლებს, ლირიკის პერსპექტივა აბსოლუტურად უნუგეშოა - „კვდება"). საინტერესოა, რომ განსხვავებულია თანადროული აღმოსავლური კულტურის აღქმა ტექსტში, მიზეზიც ახსნილია - აღმოსავლეთი არ იზიარებს ნიცშეს ფორმულას და არც რელიგიური ექსტაზის განცდა დაუკარგავს: „[აღმოსავლეთი] რელიგიურ ინსტინქტს ტაძრებში მიჰყავს და იქ ხედავს მშვენიერ საგნებს რელიგიურ ექსტაზის წუთებში".

პასაჟი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს პოლუსებიც (აღმოსავლეთი - დასავლეთი) ფიქსირდება, მწერალი თითქოს „გზას ხსნისას" (ილია) სთავაზობს „დაშრეტილ" ევროპასა და ამერიკას (შემთხვევითი როდია რომანის სხვა ეპიზოდებში ინდოელი აბსენ ტუნგის გამოჩენა) - რწმენა, ტრადიცია,

ფესვების ძიება და ერთგულება ის კატეგორიებია, რომელთაც ყავლი არ გასდით, არც საძებარია და, მით უფრო, არც გამოსაგონებელი.

აღნიშნული პლასტები სოსო სიგუას ფუნდამენტურ კვლევაში „მარტვილი და ალამდარი" ჩნდება. ვფიქრობთ, კრიტიკოსთა თაობების საქმეა ხსენებული პრობლემების სიღრმისეული კვლევა.

ყურადღება მხოლოდ ერთ კონკრეტულ ლოკალზე - საგამოფენო დარბაზზე შევაჩერეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ლაპიდარულ ეპიზოდშიც იკვეთება მოდერნიზმის ეპოქის ევროპისა და ამერიკის „წყევლაკრულვიანი საკითხავები."

3.3. ინგლისი მოდერნიზმის კონცეპტუალურ ტექსტში (ჯეიმზ ჯოისის „ულისე")

ტომას სტერნზ ელიოტი „ულისეს" მიიჩნევს საუკუნის ხატად, რისი ბადალიც ძნელად თუ მოიძებნება" **[ელიოტი ტ.ს., 1989, 416]**.

ნიკო ყიასაშვილი ჯეიმზ ჯოისის „ულისეს" წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ჯერ კიდევ სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ჯოისი თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნევდა, იგივე გაეკეთებინა ირლანდიისათვის, რაც იბსენმა - ნორვეგიისათვის - „გაეევროპულებინა" მშობლიური ლიტერატურა" **[ჯოისი ჯ., 1983, 10]**.

მოდერნიზმის კონცეპტუალურ ტექსტში, ჯეიმზ ჯოისის „ულისეში", ირლანდიელები (ბაკ მალიგანი და სტივენი) ინგლისელ ჰეინზს ამგვარად ახასიათებენ: „ამაზრზენი, გაფუყული საქსონელი. ჯენტლმენად არ მიაჩნიხარ. წყეული ინგლისელები! ფული და საჭმლის მოუნელებლობა ხეთქავთ. აქაოდა, ოქსფორდიდან ვარო..." **[ჯოისი ჯ., 2015, 6]**.

„მოდერნიზმის სახარებად" მონათლულ რომანში კლასიკური დაპირისპირებაა - ინგლისი - ირლანდია, დამპყრობელი - დაპყრობილი. ლამის ყოველი დეტალი ტექსტში არქეტიპთან გადაგვამისამართებს, პარადიგმულ დატვირთვას იძენს, მაგალითად, „მგოსნის წვინტლსახოცი. ახალი მწვანე ფერი ჩვენი ირლანდიელი პოეტების პალიტრაზე: წვინტლისფერი.... ელჯის *[ელჯერნონ ს უ ი ნ ბ ე რ ნ ი - ვ.ქ.]* თქმისა არ იყოს, ეს ზღვა მართლაც საყვარელი, ჭაღარა დედაა. წვინტლისფერი ზღვა...

Epi oinopa ponton *[„ღვინისფერ ზღვაში“ ან „ღვინომუქ ზღვაში“ - ჰომეროსისეული ეპითეტი - ვ. ქ].* ეჰ, დედალოს, ბერძნები! უნდა გასწავლო, რომ დედანში წაიკითხო. Thalatta! Thalatta! *(„ზღვა, ზღვა“ - ბერძნ. - ვ.ქ.)* ჩვენი დიდი, საყვარელი დედა... ჩვენი ძლევამოსილი დედა“ **[ჯოისი ჯ., 2015, 7]**.

სხვა ირლანდიელის, ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ პასაჟი გაიელვებს „ულისეს“ ექსპოზიციაში, რათა დიქოტომია კიდევ უფრო გამკვეთრდეს: „კალიბანის რისხვა იმის გამო, რომ საკუთარ სახეს ვერ ხედავს სარკეში“ (და გროტესკულად ემატება: „ნეტავ, უაილდი ცოცხალი ყოფილიყო, დაენახე.“

პარადიგმათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „ირლანდიური ხელოვნების სიმბოლო: მოახლის გაბზარული სარკე“, ისევე, როგორც თავად მოახლე, რომელსაც მშობლიური გელური (ირლანდიური) ფრანგული ჰგონია („კილოთი ირლანდიურს მივამსგავსე, ... დასავლეთ სანაპიროდან ბრძანდებით, სერ?“).

გროტესკულ-ტრაგიკულია მონასმი, რომ ინგლისელს (და არა - ირლანდიელს) სწამს, რომ „ირლანდიაში ირლანდიურად უნდა ვლაპარაკობდეთ.

- მართლაც, კი უნდა ვლაპარაკობდეთ, თქვა მოხუცმა ქალმა. მრცხვენია, რომ არ ვიცი. ვინც იცის, ამბობენ, დიდებული ენააო.

- დიდებული რა სათქმელია, მთლად გადასარევია.“

ინგლისელი ჰეინზი კრებს ირლანდიელი სტივენის ფრთიან გამონათქვამებს.

„მთელ ირლანდიას გოლფსტრიმი ბანს“ ერთ-ერთი ასეთი სენტენციაა, ისევე, როგორც ზემოთ ციტირებული - „მოახლის გაბზარული სარკე ირლანდიური ხელოვნების სიმბოლოა.“

ბაკ მალიგანი უცხოელს დააინტერესებს, როდესაც შექსპირისადმი (ინგლისელისადმი) სტივენის (ირლანდიელის) დამოკიდებულებაზე ექილიკება: „უაილდისა და პარადოქსების დრო წავიდა. ყველაფერი გაცილებით მარტივია. [სტივენი] ალგებრის მეშვეობით ამტკიცებს, რომ ჰამლეტის შვილიშვილი შექსპირის პაპაა და რომ თვითონ საკუთარი მამის აჩრდილია“ **[ჯოისი ჯ, 2015, 19]**.

სტივენისა და ჰეინზის დიალოგში ირლანდიისათვის უმტკივნეულესი პრობლემა - ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა იკვეთება. ჰეინზი თვლის, რომ ირლანდიელებს უფლება აქვთ

მოიპოვონ თავისუფლება - „ჩემის აზრით, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ხართ."

ირლანდიის უდიდესი მწერალი პერსონაჟს ათქმევინებს უმტკივნეულეს სათქმელს, თავად მწერლის ტრაგიკულ გულისნადებს: „ორი ბატონის მსახური ვარ... ინგლისელისა და იტალიელის ...და მესამე ისაა, ვისაც დროებით სამუშაოზე ვჭირდები."

კონცეპტუალური პერსონაჟი რომანისა განმარტავს, რასაც გულისხმობს „ორი ბატონის მსახურებაში", ვის მოიაზრებს ორ ბატონად - „ბრიტანეთის იმპერიას და წმინდა რომაულ-კათოლიკურ სამოციქულო ეკლესიას."

ბრიტანელი ტიპური ბრიტანული თავშეკავებითა და ტაქტით ეტყვის, „ირლანდიელი მართლაც ასე უნდა ფიქრობდეს. ჩვენ ინგლისში ვგრძნობთ, რომ მაინცდამაინც კარგად ვერ მოგექეცით. ისტორიის ბრალი უნდა იყოს."

თავად ბრიტანელი საკუთარ ეროვნულ დოქტრინაზე საუბრობს, საკუთარი ერის წინაშე მდგარ საფრთხეზე: „ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ი ვარ, ბრიტანელივით ვფიქრობ კიდეც. სრულიად არ მინდა, ჩემი ქვეყანა გერმანელი ებრაელების ხელში ვიხილო. ვშიშობ, ამჟამად სწორედ ეს არის ჩვენი ეროვნული პრობლემა" **[ჯოისი ჯ., 2015, 22]**.

ინგლისელის პორტრეტი იკვეთება სკოლის ეპიზოდშიც, დიზისა და სტივენის საუბარში: „რითი ამაყობს ინგლისელი? იცით, რა არის მისთვის ყველაზე საამაყო სიტყვები? ზღვათა მეუფე. ზღვასავით ცივი თვალები. ცარიელ ყურეს გასცქეროდნენ: ისტორიის ბრალია *[აქ სტივენს რემინისცენციულად ამოუტივტივდება ჰეინზის ზემოთქმული სიტყვები - ვ.ქ.]*, რომ მის იმპერიაში მზე არასოდეს ჩადის.

- არა! - წამოიძახა ბატონმა დიზიმ, - ინგლისელი მაგას არ იტყვის. ეგ ფრანგი კელტის ნათქვამია, - გეტყვით, ყველაზე მეტად რითი მოაქვს თავი: საკუთარ ხარჯზე ვცხოვრობ.

ჩემი წინაპარი სერ ჯონ ბლეკვუდი იყო, რომელიც უნიას ემხრობოდა. ჩვენ ყველანი ირლანდიელები ვართ, მეფის შთამომავალნი.

- ვაი, რომ ასეა, თქვა სტივენმა" *[გვაგონდება ნიკო ლორთქიფანიძისეული - „იმერეთში რამდენი კორტოხია, იმდენი ბატონია" - ვ.ქ.]*.

სკოლის ბეჩავი დირექტორიც კი, „უნიის მომხრე“, ზუსტად ისევე ფიქრობს, როგორც ინგლისელი ჰეინზი: „ინგლისი ებრაელების ხელშია. ყველა მაღალ თანამდებობაზე: ფინანსები, პრესა. ეს კი ერის დაცემას მოასწავებს. სადაც კი შექუჩდებიან, ერის სასიცოცხლო ძალას სწოვენ“ [ჯოისი ჯ., 2015, 34] - უნიონისტი ირლანდიელი ბრიტანელზე უფრო ბრიტანელია, რომის პაპზე უფრო კათოლიკე (პასაჟი ჯოისის ნარატივის გროტესკულობის ბრწყინვალე ნიმუშთაგანია).

ისრაელი, როგორც პარადიგმა ნაციონალური თვითშეგნებისა (საპირწონედ სახელმწიფოებრიობაწანისლული ირლანდიისა), რომანის ერთ-ერთი მთავარი ენიგმაა. სტივენის წარმოსახვაში ირეკლება ებრაელის პორტრეტი: „პარიზის ბირჟის საფეხურებზე კაცები ძვირფასბეჭდიანი თითებით ერთმანეთს კურსს ანიშნებენ. ბატების ყაყანი. ყაყანით ქუჩდებიან, ტაძარს ბილწავენ. უხეიროდ მორგებული აბრეშუმცილინდრიანი თავებით საქმეებს აწყობენ. მათ არ ეკუთვნით ეს ტანსაცმელი, ეს მეტყველება, ეს ჟესტები. მათი გადმოკარკლული, აუჩქარებელი თვალები იმას არ ამბობენ, რასაც სიტყვები, მათი ჟესტები მგზნებარე და არაშეურაცხმყოფელია, თუმც კი იცოდნენ, რომ მათ გარშემო ფარული სიძულვილი იბუდებდა და რომ მათი გარჯა ამაო იყო - მოხვეჭისა და დაგროვების ამაო რუდუნება. დრო ჭეშმარიტად განაბნევს ყოველს. გზისპირას გადანახული სიმდიდრე: ნაძარცვი და ოხრად დარჩენილი. მათ თვალებს ახსოვდათ ხეტიალის წლები და, ყოვლის ამტანთ, ახსოვდათ მათი ხორცის გვემა“ **[ჯოისი ჯ., 2015, 34].**

ანტისემიტი დიზი აღნიშნავს, „ირლანდიას პატივი აქვს იყოს ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არასოდეს დევნიდა ებრაელებს. თქვენ ეს იცით? არა. და იცით რატომ?! იმიტომ, რომ ისინი აქ არასოდეს შემოუშვია.“

ტრაგიკულ-გროტესკულია ირლანდიელის თვითწარდგინება პარიზში: „ირლანდია, იცით? აჰ, დიახ.“ ცნობილი ჟურნალისტი, დრიუმონი, დედოფალ ვიქტორიას „ჩაყვითლებულკბილებიან ბეხრეკი კუდიანს“ უწოდებს..

ტექსტში გაიკიაფებს ირლანდიის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალის, მოდ გონის აბრისიც: „მოდ გონი, ულამაზესი ქალი, La patrie (ფრ. “სამშობლო“).

როგორც ყოველი, მომდევნო ფრაზაც ტრაგიკულ-გროტესკულია: „იფ-იფ-იფ, ირლანდიელის სისხლის სუნი მცემს!" [ჯოისი ჯ., 2015, 46].

როგორც ზემოთ მოყვანილ პასაჟებში, დიდებული ლათინურიც (რომის ეკლესიის ლინგვა-ფრანკა) მშობელი ქვეყნის დამონების იარაღად აღუქვამს ირლანდიელს. სტივენის ქვეცნობიერში ირევა წარსული შთაბეჭდილებები და აწმყო: „მღვდელი დაიხარა მის საზიარებლად, თან გამუდმებით ბურტყუნებდა. ლათინური. ახლა შემდეგთან. დახუჭე თვალები და პირი გააღე. რაო? Corpus, სხეული. გვამი. დიდებული მოფიქრებაა ლათინური. ჯერ გ ა მ ო ა თ ა ყ ვ ა ნ ე ბ ს ხოლმე."

რომანის პარალელურ განზომილებაში, ბლუმის ისტორიაში, არის პასაჟი: „ბ-ნმა ბლუმმა კისერი წაიგრძელა, რომ სიტყვები გაერჩია. ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ა. ძვალი მიუგდე მაგათ. ბუნდოვნად მახსოვს."

აქ, ფაქტობრივად, კვლავ ორი ბატონის (ბრიტანეთის იმპერიისა და რომის კათოლიკური ეკლესიის) ირლანდიაზე ბატონობის კონცეპტებია გამკვეთრებული. „რამდენი ხანია, რაც უკანასკნელად იყავი წირვაზე? ნეტარისა ღვთისმშობლისა, მარადის ქალწულისა. მეუღლისა მისისა იოსებისა. პეტრესი და პავლესი. უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ გესმოდეს, რის შესახებაა ლაპარაკი *[არ ესმის, რადგან წირვა ლათინურად ტარდება და არა ირლანდიურად - ვ.ქ.]*. მართლაც შესანიშნავი ორგანიზაციაა, საათივით აწყობილი. აღსარება. ყველას უნდა. მაშ, ყველაფერს გეტყვით... კარგი მაგარი თავი აბიათ იმ ვაჟბატონებს რ ო მ შ ი: მთელ წარმოდგენას თვითონ დგამენ. ფულში კი არ ბანაობენ?!"

პარაბოლურია პედი დიგნამის დაკრძალვისას განაფიქრები: „ირლანდიელის სახლი მისი კუბოა" [ჯოისი ჯ., 2015, 107].

გროტესკულია ბლუმის განაზრებანი დუბლინის სასაფლაოზე, საფლავის ქვების წარწერების მზერისას: „ირლანდია იყო მისი საოცნებო სახელი ან სხვა რამ ამგვარი... ესენი ყველანი ერთ დროს დუბლინის ქუჩებში დადიოდნენ" [ჯოისი ჯ., 2015, 111].

ტექსტის პარაბოლურ შრეში უნგრელი ებრაელის, ლეოპოლდ ბლუმის განაზრებანიც ჩნდება: „უცნაურია, არასოდეს

უნახავს თავისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო. სამშობლო ჩემი ირლანდია" [ჯოისი ჯ., 2015, 116].

გაზეთის რედაქციაში სტატიის კითხვისას ხაზი გაესმის ირლანდიელთა ხასიათის ზოგიერთ ასპექტს (როგორც თავადვე ამბობენ ირონიით, „გუდასტვირობას"), ირონიულადვე კითხულობენ საკუთარი ლანდშაფტის კოლეგისეულ რეფლექსიას:

„განვიწმინდოთ ი რ ლ ა ნ დ ი ი ს განუმეორებელი პანორამით, მიუხედავად მისი დიდად ნაქები პროტოტიპებისა სილამაზით განთქმულ სხვა მხარეებში, აქოჩრილი ხეივნებით და გაშლილი ველ-მინდვრებით და გაზაფხულის მწვანით აბიბინებული საძოვრებით, რომლებიც ჩვენი რბილი, თბილი ი რ ლ ა ნ დ ი უ რ ი ბინდბუნდის გამჭვირვალე ციმციმშია ჩაძირული..."

ჯოისი ცივილიზაციათა აბრისებს ქმნის: „როგორი იყო მათი ცივილიზაცია? უკიდეგანო... ებრაელებმა უდაბნოსა შინა და მთასა ზედა განაცხადეს: აქ გვიწერია ყოფნა. აღვუშენოთ ტალავერი იეჰოვას. რ ო მ ა ე ლ მ ა, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ს ა არ იყოს, რ ო მ ე ლ ი ც მ ი ს გ ზ ა ს ა დ გ ა *[ანუ, რომის მსგავსად, ბრიტანეთიც იმპერიაა - ვ.ქ.]*, ყოველ ნაპირზე, სადაც კი ფეხი შედგა (ჩვენს ნაპირზე არასოდეს შემოუდგამს!) თან მხოლოდ თავისი კლოაკალური აკვიატება მიიტანა. ტოგაში გახვეული მიმოიხედავდა და იტყოდა: აქ ვარგისია ყოფნა. ავაგოთ ვატერკლოზეტი" [ჯოისი ჯ., 2015, 127]. აქ ჯოისური პაროდია ლამის პიკს აღწევს.

ირლანდიის ისტორიის სხვადასხვა პასაჟი ასოციაციურად, რემინისცენციულად ებმის ერთმანეთს, ასევე ასოციაციურად დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის (და ლიტერატურის) უმნიშვნელოვანეს სიუჟეტებთან (მშვენიერი ელენე, ჰაბსბურგები - ტროას ომიდან - ვიდრე პირველ მსოფლიო ომამდე).

ლაპიდარულ დასკვნად გაიჟღერებს: „ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი აირ-დაირევა. გარეული ბატები..." [ჯოისი ჯ., 2015, 128].

მწერალი პაროდიით ებრძვის და ერკინება იმპერიას, რომელსაც მისი ქვეყანა ჰყავს დამონებული. გრძელდება „ორი ბატონის მსახურების" კონცეპტუალური თემა: „ვასწავლი უხეშ ლათინურ ენას. ვლაპარაკობ იმ ერის ენაზე, რომლის გონიერულობის უმაღლესი მიღწევაა აფორიზმი: დრო ფულია *[სტივენი გულისხმობს ბრიტანეთის იმპერიას - ვ.ქ.]*. ფულის საუფლო.

Domine! უფალო! სად არის სულიერება? უფალი იესო! უფალი სოლზბერი? სავარძელი უესტენდის .კლუბში...“ [ჯოისი ჯ., 2015, 129].

კონცეპტუალური დატვირთვისაა განაზრებანი „მტკიცების კანონზე რომაულ სამართალში“, რომელიც უპირისპირდება „ადრეულ მოსესეულ კოდექსს, lex talionis, (ლათ., შურისგების კანონი).“

ვიზიონერულია პასაჟი, აღმწერი „მიქელანჯელოს მოსე[სი] ვატიკანში: ეს გაქვავებული მუსიკა, ადამიანის ღვთაებრივი სახის ეს რქოსანი და საზარი ქანდაკი, სიბრძნისა და გულთმხილველობის ეს მარადი სიმბოლო, თუკი სიცოცხლის ღირსია რამე განსულიერებული და სულისჩამდგმელი, მოქანდაკის ხელმა თუ წარმოსახვამ მარმარილოდან რომ შექმნა, ღირსია სიცოცხლის“ [ჯოისი ჯ., 2015, 135].

რომანის ერთ-ერთ პასაჟში პერსონაჟები განიხილავენ ესეს, დაწერილს ირლანდიური ენის აღორძინების დასაცავად. მნიშვნელოვანია დამოკიდებულება თავად ფაქტისადმი: „მეჩვენებოდა, თითქოს ჩვენგან ძლიერ დაშორებულ ქვეყანაში გადამსვეს, საუკუნეში, რომელიც ძლერ დაშორებულია ჩვენსას, თითქოს ძველ ეგვიპტეში ვიყავი და ყმაწვილ მოსესადმი მიმართულ რომელიღაც უზენაესი ქურუმის სიტყვას ვისმენდი“ [ჯოისი ჯ., 2015, 137].

მოსეს პორტრეტის პარალელურად, ტექსტში ჩნდება აბრისი შექსპირსა. ყურადღება გამახვილდება ინგლისის მთავარი პოეტის მხატვრულ სტილზე: „შექსპირს არა აქვს რითმები: თეთრი ლექსი ენის თავისუფალი მდინარებაა. აზრები. დიდებული“ [ჯოისი ჯ., 2015, 146].

უნდა აღინიშნოს, რომ შექსპირი გროტესკულ კონტექსტშიც მოიხსენიება ირლანდიელ მწერალთან. ექვს მამაც მედიკოსზე საუბრისას, პერსონაჟი შექსპირის პერსონაჟზე გესლიანად შენიშნავს: „ვგონებ, ჰამლეტისთვის კიდევ ერთი დაგჭირდეთ. რიცხვი შვიდი მისტიკურ გონებას ესალბუნება.“

ირლანდიური და ინგლისური სივრცეების დაპირისპირებისას პერსონაჟი (ჯონ ეგლინტონი) იტყვის: „ჩვენს ახალგაზრდა ირლანდიელ მგოსნებს ... ჯერ არ შეუქმნიათ ისეთი სახე, რო-

მელსაც მსოფლიო ს ა ქ ს ო ნ ე ლ ი შ ე ქ ს პ ი რ ი ს ჰამლეტს ამოუყენებდა გვერდში. პირადად მე, ვ ე თ ა ყ ვ ა ნ ე ბ ი მას *[აქ შექსპირისდმი თავად ჯოისის ამბივალენტური დამოკიდებულება ირეკლება - ვ.ქ.]*,... ყველა ეს საკითხი წმინდად აკადემიურია - ვგულისხმობ, ჰამლეტი შექსპირია, ჯეიმზ პირველი, თუ ესექსი..."

მსჯელობისას ჯოისი მსოფლიო კულტურის უნაპირო სივრცესაც გადასწვდება: „მღვდლების კამათი იესოს ისტორიულობის თაობაზე. ხელოვნებამ იდეები, უფორმო სულიერი რაობანი უნდა გვიჩვენოს. უმთავრესი კითხვა, რომელიც ხელოვნების ნიმუშის მიმართ დაისმის, ის არის, თუ რაოდენი ცხოვრებისეული სიღრმეებიდან ამოიზარდა იგი. გუსტავ მოროს მხატვრობა იდეების მხატვრობაა. შ ე ლ ი ს უღრმესი პოეზია, ჰ ა მ ლ ე ტ ი ს სიტყვები ჩვენს გონებას მარადიულ სიბრძნეს აზიარებს, პლატონის იდეათა სამყაროს. ყველაფერი დანარჩენი მოსწავლეთა ტვინის ჭყლეტაა, სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი."

საგულისხმოა, რომ გესლიანი ტონით სტივენი მხოლოდ შექსპირს როდი იხსენიებს ხოლმე დროდადრო. მაგალითად, არისტოტელეზე ამბობს: „მასწავლებლები ჯერ მოსწავლეები იყვნენ,... არისტოტელე ერთ დროს პლატონის მოწაფე იყო და ბოლომდე დარჩა კიდეც... [ეს სანიმუშო მოწაფეო, დასძენს სტივენი], ჰამლეტის ფიქრებს მისი მეფური სულის საიქიო არსებობის შესახებ პლატონის მონოლოგივით ზერელე, დაუჯერებელ, უმნიშვნელო და არადრამატულ მონოლოგად მიიჩნევდა, რომ წაეკითხა."

ნაკლებად გესლიანი არც სხვა პერსონაჟი - ჯონ ეგლინტონია - საქსონელს „ტორფის კვამლი ტვინში აუვარდაო."

ცხადია, ირლანდიელთა სარკაზმის მიზეზი სამშობლოს ბედია - ირლანდიისა, რომელიც მეტაფორული სახელებით იხსენიება რომანში: „მწვანე მოციმციმე ქვა. ზღვის ბეჭედში ჩასმული ზურმუხტი" **[ჯოისი ჯ., 2015, 180].**

ტექსტში მოხსენიებულია შექსპირის რეფლექსია-რეცეფციები ფრანგულ სივრცეშიც: „მალარმემ დაწერა შესანიშნავი ლექსები პროზად... ერთი ჰ ა მ ლ ე ტ ზ ეა. იგი ამბობს: il se promene, lisant au livre de lui-meme - „თავისი სულის წიგნს კითხულობს."

ასევე აღწერილია „ჰამლეტის“ წარმოდგენა საფრანგეთის რომელიღაც პროვინციულ ქალაქში. ასეთი აფიშა ჰქონდათ: HAMLET ou Le Distrait piece de Shakespeare [Joyce J., 1990, 289]. *(ფრ. „ჰამლეტი ანუ გულმავიწყი“, პიესა შექსპირისა, მოლიერის ერთ-ერთი მიმბაძველის კომედია - ვ.ქ.).*

სტივენი აგრძელებს შექსპირზე მსჯელობას: „სულის ჯალათი უწოდა მას რობერტ გრინმა... ტყუილად კი არ იყო ყასბის შვილი, შუბ-ნაჯახს ჩაბღაუჭებული ხელისგულზე რომ იპურჭყებოდა! ცხრა სიცოცხლე შეეწირა მამამისის ერთ სიცოცხლეს, ჩვენი მამისას, რომელი არს სულთა სალხინებელსა შინა: ხაკისფერმუნდირიანი ჰ ა მ ლ ე ტ ე ბ ი წარბშეუხრელად ისვრიან. სისხლიანი სასაკლაო მეხუთე მოქმედებაში იმ საკონცენტრაციო ბანაკის პირველსახეა, ბატონი ს უ ი ნ ბ ე რ ნ ი რომ უმღერდა“ [ჯოისი ჯ., 2015, 181].

კონცეპტუალურია ჯოისის ფრაზა: ირლანდია არსებობს „ს ა ქ ს ო ნ ე ლ ი ს ღიმილსა და ი ა ნ კ ი ს ღრეჭას შორის. წინ წყალი, უკან მეწყერი. „ჰ ა მ ლ ე ტ ი“ აჩრდილებზე დაწერილი ამბავია, ... სურს, როგორც პიკვიკის მსუქანი ყმაწვილი იტყოდა, ტანში ჟრუანტელმა დაგვიაროს“ [ჯოისი ჯ., 2015, 182].

ირლანდიელის განაზრებანი ინგლისზე, ერთდროულად, ტრაგიკულიც არის და გროტესკულიც: „რა არის აჩრდილი? ...ის უგრძნობლად აქცია სიკვდილმა, არყოფნამ, შეცვალა ზნემ. ელიზაბეთისდროინდელი ლონდონი ისევე შორს იყო სტრეტფორდისგან, როგორც გარყვნილი პარიზია შორს უმანკო დუბლინისგან. ვინ არის ეს აჩრდილი limbo patrum-იდან (ლათ. „მამათა სამყოფელი“), იმ ქვეყანას რომ უბრუნდება, რომელმაც ის დაივიწყა? ვინ არის მეფე ჰამლეტი? ... ეს აჩრდილია, მეფე, მეფე და არამეფე, მსახიობი კი შ ე ქ ს პ ი რ ი ა, მთელი სიცოცხლე ჰ ა მ ლ ე ტ ს რომ სწავლობდა, და ამაოდ არ გარჯილა, რათა მოჩვენება ეთამაშა... შვილს ელაპარაკება, თავისი სულის ნაშიერს, უფლისწულს, ყმაწვილ ჰამლეტს, და ჰამნეტ შექსპირს, საკუთარ ძეს ხორციელს, რომელიც სტრეტფორდში მოკვდა, რათა მის ს ე ხ ნ ი ა ს მარად ეცოცხლა... შენ ხარ განძარცული შვილი: მე ვარ მოკლული მამა: დედაშენი ბოროტმოქმედი დედოფალია, ენ შექსპირი, ჰეთუეების ასული...“

ირლანდიური ეპოსის არარსებობა ხაზგასმულია ტექსტში, „გელური ლიგა მოითხოვს რაიმეს ირლანდიურად.“

სტივენის აზრით, საკუთარი სახელი შექსპირმა თავის პიესებში მიმალა, ჩინებული სახელი - უილიამი, აქ სტატისტი, იქ - მასხარა, მსგავსად ძველი იტალიელი მხატვრისა, საკუთარ სახეს ტილოს ბნელ კუთხეში რომ მიახატავდა. მან იგი სონეტებში გამოიყენა, სადაც უილი ზომაზე მეტად გვხვდება. ჯონ გონტის მსგავსად, მასაც ეძვირფასება საკუთარი სახელი, ისევე, როგორც სააზნაურო გერბი, რომლისთვისაც თითლიბაზობა დასჭირდა, დახრილ შავ ზოლზე, მოვერცხლილი ფოლადის ოროლი უფრო ეძვირფასება, ვიდრე დიდება და სახელი ინგლისის უდიდესი სცენისმრხევლისა. „რაა სახელი?“ *[ციტატა შექსპირის „რომეო და ჯულიეტადან“ - ვ.ქ.]* - ამას ვეკითხებით საკუთარ თავს ბალღობაში, როცა ვწერთ სახელს, რომელიც გვითხრეს, რომ ჩვენია. ვარსკვლავი, დღის ვარსკვლავი, კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა, როცა დაიბადა. მარტოდ ციმციმებდა დღისით ცაში, უფრო კაშკაშა, ვიდრე ვენერა ღამით, ხოლო ღამით, ხომლის ზემოთ, კასიოპეას დელტას ანათებდა, გაწოლილ თანავარსკვლავედს, ვარსკვლავთა შორის საკუთარი ინიციალის ხელწერას რომ წარმოადგენს. მისი თვალები უმზერდნენ მას, დაბალ ჰორიზონტზე, დიდი დათვის აღმოსავლეთით“ **[ჯოისი ჯ., 2015, 205].**

რაც შეეხება შექსპირის კონცეპტების ჯოისისეულ (პერსონაჟისეულ) აღქმას, ტექსტში აღნიშნულია: „მოღალატე ძმის თემა ან უზურპატორისა ან გარყვნილისა, ან სამივესი ერთად, მარად შექსპირს თანა არს, ხოლო გლახაკთა - არა. განდევნის მოტივი, გულიდან განდევნის, შინიდან განდევნის - უწყვეტლივ გაისმის, ორი ვერონელი აზნაურიდან მოყოლებული, სანამ პროსპერო თავის კვერთხს არ დაამსხვრევს, რამდენიმე ფუტის სიღრმეზე ჩამარხავს და თავის წიგნს ჩაძირავს... ულეველთა მის ნიჭთა ძალა განფენილია მის მიერ შექმნილ სამყაროში, „აურზაურში არაფრის გამო“, ორჯერ კომედიაში „როგორც გენებოთ“, „ქარიშხალში“, „ჰამლეტი“, „საწყაული საწყაულის წილ“-ში, და იმ დანარჩენ პიესებში, რომლებიც არ წამიკითხავს...

შექსპირმა ღმერთის შემდეგ ყველაზე მეტი შექმნა" [ჯოისი ჯ., 2015, 208] - დრამატურგის, რომელმაც ამა ქვეყნის ფოლიო დაწერა, თანაც უხეიროდ (ჯერ მოგვცა ნათელი და ორი დღის მერე - მზე)".

ლიტერატურათმცოდნე ფილიპ ტოინბი აღნიშნავდა: „ჰამლეტი" არის „ულისეს" მეორადი ქარგა, რომელიც ავსებს ტექსტს შვილისა და მშობლის რთული ურთიერთდამოკიდებულების მოტივით, რასაც „მოითხოვს" ბლუმისა და სტივენის სახეები და რაც არ არის „ოდისეაში" [ტოინბი ფ., 1988, 243].

ჯოისს შესანიშნავად ესმოდა, რაც იყო ბრიტანეთში მისი რომანის „წარუმატებლობის" მიზეზი და სწერდა ამერიკელ გამომცემელს: „I wish you all possible success in your courageous venture both as regards the legalisation of "Ulysses as well as its publication [Joyce J., 1990, 27] *(„გისურვებთ წარმატებას და სიმამაცეს „ულისეს" ლეგალიზებასა და პუბლიკაციაში (გამოცემაში)" - ვ.ქ.)*

ნიკო ყიასაშვილის უაღრესად ღრმა დაკვირვებით, „ჯოისმა მიზნად დაისახა, დაეწერა თავისი ქვეყნის ზნეობრივი ისტორია... დიდი პაროდია-პარაბოლა გაშლილია ანტითეზის რიტორიკული ფიგურების მიხედვით: ეგვიპტე - ებრაელები, რომი - ბერძნები, ინგლისი - ირლანდიელები. საგანგებოდ ანტიჯოისურად უნდა იყო განწყობილი, რომ ამ პარაბოლაში ჭეშმარიტი ირლანდიელი პატრიოტის გულისტკივილი ვერ ამოიკითხო" [ყიასაშვილი ნ., 1983, 10].

ოთარ ჩხეიძე ჯოისის შემოქმედების კონცეპტუალურ მიზნად „ეროვნული სულის აღორძინებისათვის გამიზნული პრინციპების" ხაზგასმას მიიჩნევს [ჩხეიძე ო., 1982, 8], - „სხვაა ტკივილი დიდი ქვეყნისა, პატარა ქვეყნის ტკივილი სხვაა..."

ჯოისის შემოქმედების ანალიზისას იგივე კონცეპტებია ხაზგასმული როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიაში „ირლანდიური მელოდიები" და პაატა ჩხეიძის ესეში „საით მიდის გებრიელ კონროი?" („გებრიელ კონროი ირლანდიაში დარჩენილი ჯოისია" [ჩხეიძე პ., 2002, 4]).

ვფიქრობთ, ჯეიმზ ჯოისის და კონსტანტინე გამსახურდიას ტექსტთა პარალელური ანალიზი მოდერნიზმის უარსებითეს კონცეპტთა გასააზრებლად ფრიად საშურია.

დასკვნა

საკვალიფიკაციო ნაშრომის სათაურია „ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში.“

კონსტანტინე გამსახურდია ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული, საკულტო ავტორია. მაღალი მოდერნიზმის ეპოქა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგნად უნდა იქცეს, რადგან მოდერნიზმი „შეწყვეტილი პროექტია“ და ამ ჟამის ლიტერატურული კონცეპტების, ეპოქალური სულისძვრების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრალური ხაზის უწყვეტობის გააზრება. შესავალშივე ვაფიქსირებთ თვალსაზრისს ქართული კულტურის „სინთეტური ბუნების“ თაობაზე, აღმოსავლურ-დასავლურის უაღრესად ორიგინალურ კომპილაციაზე ეროვნულის პრევალირებით.

კონსტანტინე გამსახურდიას ესეისტიკაში არაერთგზისაა ხაზგასმული სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის არტეფაქტებისადმი ქართული ცივილიზაციის ინტერესი.

ინგლისური რემინისცენციები, ზოგადად, ბრიტანეთისადმი მიმართება, ვფიქრობთ, კონსტანტინე გამსახურდიას მრავალშრიანი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედების ერთი უარსებითესი პლასტია, რომლის კვლევა უაღრესად საინტერესო სივრცეს გადაშლის მკვლევართა წინაშე. წინამდებარე ნაშრომში შევისწავლეთ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ინგლისური რემინისცენციები შემდეგ მასალაზე დაყრდნობით: ნოველები; ბიოგრაფიულ-პუბლიცისტური რომანი „გოეტეს ცხოვრების რომანი“; დაუმთავრებელი მხატვრული ტექსტები („ევროპა გალიაში“, „ლანდებთან ლაციცი“, „უკრაინის თემიდი“), ესეისტიკა, რომანები „მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი.“ თითოეული ტექსტი ეპოქის მხატვრული რეფლექსია-რეცეფციაა, რის გათვალისწინების გარეშე მეოცე საუკუნის

პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის კონცეპტუალური პრობლემების სიღრმისეული ანალიზი შეუძლებელია, ჩვენეულ კვლევაში პოლიტიკური ასპექტები მხოლოდ გაკვრით ფიქსირდება და ძირითადი აქცენტი გადატანილია ინგლისის, როგორც კულტურული ფენომენის, კონსტანტინე გამსახურდიასეულ აღქმაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ინგლისური ლიტერატურის საკულტო პერსონებისა (შექსპირი, ბაირონი, შელი, თეკერეი, უაილდი...) და ტექსტებისადმი („ჰამლეტი", „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა"...) მწერლის მიმართებას.

„ახალი ადამიანის ფორმირების" ტრაგიკულ ეპოქაში დიდი მწერალი მხატვრული სიტყვის უნაპირო ძალმოსილებით „ხსნის" ჩაკეტილ საზღვრებს, „ახდის" „რკინის ფარდას" და ქართველთ შესთავაზებს მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის გამორჩეული სივრცის - ინგლისის საკუთარ ხედვას.

პრობლემა მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, თუმც მწერლის შემოქმედების გამორჩეულ მკვლევართა ნააზრევში ეს შრე მაინც ილანდება. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას აქტიურად იკვლევდნენ როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა ეპოქაში. გამოწვლილვითაა გაანალიზებული მწერლის მსოფლმხედველობის, შემოქმედებითი მემკვიდრეობის უარსებითესი კონცეპტები (მიმართება წარსულსა და აწმყოსთან, ისტორიული და თანადროული ნარატივი, თეორიული სისტემა, ენობრივი კონცეფცია, ჟანრული თავისებურებანი, დამოკიდებულება ფოლკლორთან, ლიტერატურულ სივრცესთან...).

განსაკუთრებული სიღრმით გამსახურდიას შემოქმედება სოსო სიგუას მონოგრაფიებში („კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა", „მარტვილი და ალამდარი") ანალიზდება, მწერლის შემოქმედების ცალკეული ასპექტები შეისწავლეს ბესო ჟღენტმა, სერგი ჭილაიამ, გურამ გვერდწითელმა, ელგუჯა მაღრაძემ, სარგის ცაიშვილმა, ეთერ შუშანიამ, ზვიად გამსახურდიამ, თეიმურაზ დოიაშვილმა, მაია ჯალიაშვილმა, ამირან გომართელმა, როსტომ ჩხეიძემ, ნონა კუპრეიშვილმა, კონსტანტინე ბრეგაძემ, ნანა ქირიამ, თამარ გუმბერიძემ...

როგორც აღვნიშნეთ, საკუთრივ ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ფართო კვლე-

ვის საგნად არ ქცეულა. ვფიქრობთ, ჩვენეული დაკვირვებები მწერლის მხატვრული მემკვიდრეობის აღნიშნულ შრეს მეტნაკლებად გამოკვეთს, მნიშვნელოვან პლასტად წარმოაჩენს.

შესასწავლ ტექსტთა ჟანრული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რემინისცენციების სპეციფიკაც განსხვავებულია. ნოველებსა და რომანებში ინგლისური რემინისცენციები საკუთრივ პერსონაჟთა თვალთახედვის, მრწამსის რაკურსითაა წარმოდგენილი, პუბლიცისტურ ნარატივში კი - თავად მწერლისეული ალუზია-რემინისცენციებისა.

მასალა მოცულობითია და საკითხის გაშლაც მრავალი მიმართულებითაა შესაძლებელი (კულტურული, კულტუროლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ლიტერატურათმცოდნეობითი...). სირთულეს ქმნის სპეციალური ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის, კვლევითი წანამძღვრების ფაქტობრივი არარსებობა, თუმც ზემოთქმული, იმავდროულად, ერთგვარ გამოწვევადაც აღიქმება. წყაროებად გამოყენებულია ავტორიტეტულ მეცნიერთა ნაშრომები, რომელთა უმეტესობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის კლასიკად გაიაზრება. ლიტერატურულ-კრიტიკული დისკურსები განსაზღვრავს ნაშრომის ანალიტიკურ ბაზისსაც.

გავითვალისწინეთ ინგლისის მოდერნიზმის ეპოქის გამორჩეული მოაზროვნის - ჯეიმზ ჯოისისეული ხედვა (მოდერნიზმის რაკურსი), თეორიულ საფუძვლებად აგრეთვე გამოყენებულია ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის ზოგიერთი კონცეპტუალური დებულება მოდერნიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულ კანონებთან მიმართებით, ფიქსირებული ცალკეულ ლიტერატურათმცოდნეობით სახელმძღანელოსა თუ ესეისტურ ნარატივში.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა 1. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველისტიკის, დაუსრულებელი ტექსტების, პუბლიცისტურ-ბელეტრისტული რომანის („გოეტეს ცხოვრების რომანი“), რომანების („დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“) ანალიზისას იმ პასაჟების დაძებნა, სადაც ინგლისის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ზოგადად, ინგლისური ცივილიზაციისადმი მწერლის (ან პერსონაჟის, რაც, რასაკვირველია, კვლავ მწერლისეულია) მიმართება ირეკლება;

2. ინგლისური რემინისცენციების მოძიების პარალელურად, საცნაური ხდება, რომ ყოველი ალუზია ქართულ სინამდვილესთან პარალელიზებისათვის დაუსაჭიროვებია მწერალს, ამდენად, ეს შრეც დავაფიქსირეთ კვლევაში (ვგულისხმობთ, მაგალითად, რუსთველისა და შექსპირის მუდმივ პარალელურ მოხსენიებას მსოფლიო გენიოსთა დასში).

3. ინგლისური ენისადმი, როგორც „ლინგვა ფრანკასადმი" მწერლის დამოკიდებულების ფიქსირება (ზემოთქმული ცალკე კონცეპტად არ გამოვკვეთეთ, თუმც ერთგვარ ობერტონად ყოველ კონკრეტულ ესეში გავამკვეთრეთ);

4. ინგლისის გამორჩეულ მოაზროვნეთა პორტრეტების კონსტანტინე გამსახურდიასეული განაზრება-რეფლექსია;

5. ინგლისური ლიტერატურის ჟანრული თავისებურებების ცალკეული ასპექტებისადმი მწერლის დამოკიდებულების წარმოჩენა;

ანალიზისას მივმართეთ სხვადასხვა მეთოდს, რაც განპირობებულია კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათით. დისერტაციის ძირითად კვლევით პრინციპად ავირჩიეთ *კომპარატივისტული მეთოდი*, ზოგიერთი ცნების დასაზუსტებლად - *ჰერმენევტიკული*, ფაქტების კონცეპტუალური ინტერპრეტაციის, ისტორიულ-კრიტიკული, კულტუროლოგიური ანალიზის, ინტერდისციპლინარული მეთოდები.

კვლევის ძირითადი შედეგები კონკრეტიზდება შემდეგ დებულებებში:

ინგლისური რემინისცენციების კონტექსტში შესწავლილი მემკვიდრეობა კონსტანტინე გამსახურდიასი თვალნათლივი დასტურია მწერლის მაღალი გემოვნებისა, განსაკუთრებული ერუდიციისა. ჩვენეული კვლევა ადასტურებს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია გამორჩეული ევროპული სივრცისადმი (ინგლისისადმი) მწერლის მიზანმიმართული ყურადღება, რაც ტოტალიტარიზმის ზეობის ხანაში წარმოაჩენს ქართული კულტურის განსაკუთრებულ ღიაობას უცხოური „გოლფშტრიმების" (გამსახურდიასეული დეფინციაა) მისაღებად;

იკვეთება ინგლისური პოლიტიკური სისტემის „იმედი" „რკინის ფარდის" მიღმა დარჩენილთათვის („ქოსა გახუ"); კონცეპ-

ტუალურია მუდმივი პარალილიზება ინგლისურ-ქართული ლიტერატურული თუ, ზოგადკულტურული სივრცეებისა (რუსთველი და შექსპირი, ბაირონი და ბარათაშვილი, მაჩაბლისეული თარგმანები და ივირონის მთარგმნელობითი ტრადიცია და ა. შ.); უაღრესად დასაფასებელია მწერლის ძალისხმევა - მიმართული იმისაკენ, რომ ტოტალიტარიზმს ევროპული კონტექსტიდან ვერ „ამოეგლიჯა" ბოლშევიკური იმპერიის მარწუხებში მოქცეული საქართველო.

ნაშრომის პირველ თავში - „ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ბელეტრისტულ-ესეისტურ ნარატივში" - შესწავლილია ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში, ბიოგრაფიულ-პუბლიცისტურ რომანში „გოეტეს ცხოვრების რომანი", დაუმთავრებელ ტექსტებში („ევროპა გალიაში", „უკრაინის თემიდი", „ლანდებთან ლაციცი"), პუბლიცისტურ ნარატივში (ესეები, წერილები, ნარკვევები). კვლევისას, ძირითადად, დავეყრდენით კონსტანტინე გამსახურდიას ათტომეულსა და ოცტომეულში (არასრული გამოცემა), ასევე, „პალიტრა ლ"-ის ეგიდით გამოცემულ მრავალტომეულში დაბეჭდილ ტექსტებს. გულდასმით წავიკითხეთ თითოეული ტექსტი, ამოვკრიბეთ ციტატები, რომლებშიც საფუძვლიანად, გაკვრით, თუ მინიშნებით რეფლექსირდება ინგლისთან დაკავშირებული ფრაგმენტული მოსაზრებები თუ ფუნდამენტური განაზრებანი. ბუნებრივია, მხატვრულ ტექსტებში ეს რეფლექსიები თავისუფალია, შემოქმედებითი, ინტერპრეტაციული (მაგალითად, ტაგუ სამუგიას გულუბრყვილო რწმენა, რომ ბოლშევიკებს მის დაჩაგვრას „ანგლია" არ დაანებებს", ან „დჟენტლმენური" მანერები „თავადყოფილ" ანჩაბაძისა, რომელიც „რომელიმე ლედი ბიკოსფილდსაც კი მოხიბლავდა"), პუბლიცისტურში - გაცილებით კონკრეტიზებული, კონკრეტულ ფაქტთან, ფენომენთან დაკავშირებული (მაგალითად, „ლანდებთან ლაციცში" ბავშვობისა და სიყრმის მოგონებები აქცენტირდება, „უკრაინის თემიდში" - უკრაინული თემატიკა, რომელშიც ინგლისური რემინისცენციებიც კრთება...). პუბლიცისტურ ნარატივში (ესეებში, წერილებში, ნარკვევებში, რომელთა ჟანრული დიფერენცირებაც წარმოუდგენლად რთულია,

ფაქტობრივად, შეუძლებელიც) მწერალი უამრავ თემას წამოჭრის, კონცეპტს ეხმიანება - ისტორიულს, კულტურულს, კულტუროლოგიურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს, თვალს გაადევნებს ბრიტანეთის ისტორიას კელტებიდან ვიდრე თანამედროვე სახელმწიფომდის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ინგლისის მთავარ შემოქმედთ - შექსპირსა და ბაირონს, რომელთა პორტრეტები განსაკუთრებული სიყვარულითაა დახატული აბსოლუტურად განსხვავებულ კონტექსტში და ყველგან - მწერლისათვის დამახასიათებელი აკადემიურობით.

ნაშრომის მ ე ო რ ე თავში „კონსტანტინე გამსახურდიას რომანების ევროპული კონცეპტები" განხილულია მწერლის ორი რომანი - „მთვარის მოტაცება" და „დიონისოს ღიმილი." განსხვავებით ესეისტიკისა და ნოველისტიკასაგან, რომანებში საკუთრივ ინგლისური კონცეპტები ნაკლებად იკვეთება, უფრო ობერტონების სახით, დამატებითი ფერის, ნიუანსის ფუნქციით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მწერალი იტალიასა და გერმანიას და სწორედ ამ ქვეყნებთან მიმართებით წარმოაჩენს ინგლისურ ალუზია-რემინისცენციებს (მაგალითად, დანტე და შექსპირი, გოეთე და შექსპირი, ბაირონის მიმართება იტალიისადმი და ა. შ.).

ამაედროულად, კონსტანტინე გამსახურდია გამოკვეთს ევროპულ სივრცესთან საქართველოს მიმართების საკითხებსაც, ერთურთს ადარებს, ვთქვათ, იტალიურ და ქართულ ციხესიმაგრეებს, ფრესკებს, წარსულისადმი დამოკიდებულებას, მაგალითად, იტალიელი მეგონდოლისა, რომლის სიყვარულმა დანტეს შემოქმედებისადმი შთააგონა იტალიურის სილრმისეულად შესწავლა და „ღვთაებრივი კომედიის" თარგმნა.

კვლევის აღნიშნულ პასაჟში დავაფიქსირეთ ინგლისურ სივრცესთან დაკავშირებული არცთუ მრავალრიცხოვანი რემინისცენცია.

სადისერტაციო ნაშრომის **მ ე ს ა მ ე თავში „ამერიკა კონსტანტინე გამსახურდიას ნარატივში"** შესწავლილია პუბლიცისტურ ტექსტებში რეფლექსირებულ-რეცეფცირებული ამერიკა, მეორე პარაგრაფად გამოტანილია მუზეუმის (როგორც ეპოქისეული პარადიგმის) კონცეპტის მწერლისეული გააზრება. ამა-

ვე თავში დამატებით პარაგრაფად წარმოვადგინეთ ინგლისამერიკის კონცეპტი მოდერნიზმის ქრესტომატიულ ტექსტში „ულისე“ („საქსონელის ღიმილსა და იანკის ღრეჭას შორის“).

უფრო დაწვრილებით კონკრეტული თავებისა და მათში შესწავლილ-წარმოდგენილი ტექსტების შესახებ:

პარაგრაფ 1.1.-ში ნოველათაგან განვიხილეთ **„ლილ“, „ქოსა გახუ“, „ტაბუ“** (წარმოვადგინეთ ნოველებში გამკრთალი ინგლისური რემინისცენციები), მოთხრობათაგან - **„ვერცხლის ბეჭედი.“**

პირველი თავის მეორე პარაგრაფში - *1.2. ინგლისური რემინისცენციები კ. გამსახურდიას ბიოგრაფიულ რომანში* ***„გოეტეს ცხოვრების რომანი“*** - გავაანალიზეთ მწერლის პუბლიცისტურ-ბელეტრისტული ტექსტი.

ნაშრომის მორიგ პასაჟში (1.3.) - **ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას დაუსრულებელ მხატვრულ ტექსტებში** - პირველ პარაგრაფად განვიხილეთ **„ევროპა გალიაში.“**

მომდევნო ქვეპარაგრაფში განხილულია **„ლანდებთან ლაცი-ცი.“** ისევე, როგორც დაუმთავრებელ ტექსტში „ევროპა გალიაში“, ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში არაერთი ანგლოამერიკული რემინისცენცია-ალუზიაა.

ევროპის პოლიტიკური ვითარების ხატვისას მემუარებში ირეკლება ანტანტასა და „სამთა კავშირის“ წევრთა შორის რადიკალური დაპირისპირება, პოლიტიკური ვითარების ანალიზი მემუარების უარსებითესი შრეა, ანალიზდება ეპოქის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ-ისტორიულ-კულტურული პრიორიტეტები. **„უკრაინის თემიდში“** წარმოჩნდება ბრიტანეთის დამოკიდებულება სხვადასხვა ერისადმი.

მეოთხე პარაგრაფში განხილულია **ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტურ ნარატივში (ესეები, წერილები, ნარკვევები)**

ესეისტიკა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების არსებითი პლასტია, გამორჩეული მხატვრული სივრცე, რომელშიც მწერლის ესთეტიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისია ფიქსირებული. შევისწავლეთ ესეები: **„თამარ“** (ისტორიული პასაჟები), **„მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა“** (პოლიტიკური პასაჟები), **„ლადო მესხიშვილის იუბილეს გამო“** („ჰამლეტი“ ქართულ სცენა-

ზე), **"დაგვიანებული ბიბლიოგრაფია"** (მაჩაბლისეული თარგმანი), **„ჰამლეტი თუ დონ კიხოტი"**(ესეში გაიჟღერებს უაღრესად საინტერესო კონცეპტი - „ჰ ა მ ლ ე ტ უ რ პათეტიზმს ნახავთ თქვენ ილია ჭავჭავაძეში." ვფიქრობთ, ციტატა კონცეპტუალურია და დისერტაბელურ პრობლემასაც გამოკვეთს - „ჰამლეტური პათეტიზმი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში" (ბუნებრივია, აღნიშნული რაკურსით კვლევა სცდება ჩვენი დისერტაციის ინტერესის სფეროს); **„ტროასეულ ცხენში"** ხაზგასმულია კულტურის უნივერსალიზმის კოლონიურ ასპექტში გამოყენების საფრთხე. ესეში **„ქართველობა და უცხოეთის გენია"** გააზრებულია საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე, წარმოდგენილია ევროპული კონცეპტი. წერილში **„ცოტა რამ თანამედროვე ინტერნაციონალურ პოლიტიკისათვის"** მწერალი მსჯელობს ისტორიული პროცესის სასრულობაზე და ბრიტანულ კოლონიალიზმსაც ნებისმიერი გლობალისტური პროცესისათვის გარდაუვალ ბედს უწინასწარმეტყველებს. **„აპოლიტიკოსის წერილებში"** მწერალი-ესეისტი განაგრძობს ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული ვითარების ანალიზს და კიდევ ერთხელ იმეორებს არაერთგზის ფიქსირებულ თვალსაზრისს, რომ „ჩრდილო გერმანელებმა და ანგლო-საქსებმა უორგულეს თავიანთ სისხლითა და თესლით ნათესავებს - გერმანელებს", ესეში **„რომში"** პერსონალურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და ლოკალსაც ავიწროებს, 1920 წელს ბათუმის ნავსადგურში შემოსულ ინგლისურ ხომალდს აღწერს (ქართულ პუბლიცისტურ ნარატივში კონსტანტინე გამსახურდიამდე ინგლისელთა ყოფნა ბათუმში დავით კლდიაშვილის მემუარებში („ჩემი ცხოვრების გზაზე") არის დაფიქსირებული).

თემა კულტურის ცივილიზაციით ჩანაცვლებისა გრძელდება ესეში **„ფრაგმენტები."** ინგლისის პარალელურად, ამერიკის ხსენებისას, მწერალი ყოველთვის პედალირებს ცივილიზაციის ზეობას კულტურაზე. ესეში **„მოზაიკები"** კონსტატირებულია, რომ საზოგადოებრივი (და თავად მწერლისეულიც) „პროტესტი მიმართულია იმ საშინელი ამერიკანიზმის, იმ კოლოსალური მექანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე გაიტაცა ჩვენი საუკუნე."

კულტურისა და ცივილიზაციის ფენომენთა არსს კონსტანტინე გამსახურდია მრავალ ტექსტში უღრმავდება, მაგრამ განსაკუთრებული განაზრებანი **„მეტაფიზიკოსის დღიურში“** გვხვდება. მწერლის მრწამსით, „კულტურა გენიალობაა, ცივილიზაცია - რაციონალობა.“

ილიას პორტრეტი (და სხვა „დიდი ანალოღოსებისაც“) გაიელვებს ესეში **„ტრაგედიის გმირი“** - მწერლის დისკურსით, „დიდი საკითხია: ტრაგედიის გმირი უფრო დიდი კაცია, თუ ტრაგედიის ავტორი: ჰამლეტი თუ შ ე ქ ს პ ი რ ი.“ შექსპირი გამსახურდიასეულ ნებისმიერ „შორთ-ლისტშია“, როგორც კაცობრიული გონის განსაკუთრებული გამოვლინება! ესეში **„ახალი სიტყვები“** გამსახურდია ინგლისელებს მოიხსენიებს, როგორც „უგანათლებულეს ნაციას დღევანდელ ევროპისას.“

ეპოქის სულისკვეთებათა გააზრება, ბუნებრივია, წარმოუდგენელია გაბატონებულ ლიტერატურულ სკოლათა ანალიზის გარეშე. აღნიშნულ პრობლემას მწერალი-ესეისტი კონცეპტუალურ ესეს **„იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“** უძღვნის და სკოლის ადეპტად „ლამანშს გადაღმა“ ოსკარ უაილდს ასახელებს.

ესეში **„დანტე“** წარმოჩენილი კონცეპტით, შ ე ქ ს პ ი რ ს ა და გოეთეზე ახლოს, რუსთაველსა და ქართველი ერის „გენიასთან“ (სულთან), გამსახურდიას თვალსაზრისით, „დანტე დგას თავისი დიდი ენტუზიაზმით და დიდი ტემპერამენტით... დანტე მასწავლებელია როგორც შ ე ქ ს პ ი რ ი ს, ისე გოეთესი, როგორც კლოფშტოკის, ისე კ ო ლ რ ი ჯ ი ს. დანტე სათავეა მთელი ევროპიული ლიტერატურის და პოეზიის.“ მწერალი-ესეისტი წერილში **„კრიტიკა და შემოქმედება“** იმ კრიტიკოსზეც გვიამბობს, რომელსაც შექსპირის შემოქმედების შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეუტანია (კუნო ფიშერი). ეპოქის გამორჩეულ ავტორზე - ჰამსუნზე (ესე **„კნუტ ჰამსუნი“**) საუბრისასაც შექსპირს უბრუნდება ესეისტი და აღნიშნავს: „მწამს იდენტივობა მწერალსა და გმირებს შორის. მწამს, რომ შექსპირის „ძვალია ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“ არა მარტო ჰამლეტი, არამედ - შაილოკიც.“

„ლიტერატურული პარიზში“ აღნიშნულია, რომ მწერლის თანადროულ ეპოქაში ევროპულ კულტურულ სივრცეში ძალთა სერიოზული გადალაგება განხორციელდა: „თუ XVIII საუკუნეში

ი ნ გ ლ ი ს უ რ ი სანიშნოებით მიდიოდა ევროპის კულტურა, სოციალურ ცხოვრებაში საფრანგეთი იყო ავანგარდი. ჰეგელიდან დღემდის, თუმცა უჩინარად, მაგრამ, არსებითად, გერმანია მიუძღვის წინ ევროპიულ კულტურას."

ბრიტანეთში გამოიცემა **„ქართველი ხალხის ისტორია" ინგლისურ ენაზე** - 1932 წელს, ლონდონში. ინგლისელი მეცნიერის უ. ოლენის „ქართველი ხალხის ისტორია" შვიდასგვერდიანი მონოგრაფიაა, რომელსაც მწერალი საგანგებოდ განიხილავს. მწერალი-ესეისტი ქართულ-ბრიტანულ კულტურულ კავშირებზე საუბრობს. ესეში **„ხარისხისათვის"** აზუსტებს, რომ „თანამედროვე ქართველ მწერალს არა სჭირდება ინგლისის პოლიტიკის გამო წერილების წერა, ილიას დარად."

უაღრესად საინტერესო კონცეპტებზე მსჯელობს მწერალი ესეში **„ლევ ტოლსტოი"**, რომელშიც სხვადასხვა ერის გამორჩეულ მოაზროვნეთ მოიხსენიებს: „სიტყვა ლორდ ბ ა ი რ ო ნ ი ს, გოეტეს, ილია ჭავჭავაძის და ლევ ტოლსტოის პირში მე მაგონებს იმ მახვილს, რომელიც აპოკალიპსის იოანეს ჰქონდა". ბაირონი, გოეთე და ილია ესეში **„ერისმთავარი"** კვლავ ერთად წარმოჩნდებიან: „ბრწყინვალეა ილიას ანალოგია გოეტე-მყინვარისა და ბაირონ-თერგს შორის."

როგორც არაერთ სხვა პუბლიცისტურ ტექსტში, ესეში **„კორნელი კეკელიძე"** ლინგვა-ფრანკას პრობლემა აქტუალურდება (ხაზგასმულია, რომ ლინგვა ფრანკა ეპოქათა შესაბამისად ცვალებადი კატეგორიაა). ინგლისური ენის უღრმეს, ნიუანსობრივ ცოდნას ამჟღავნებს მწერალი-ესეისტი წერილში **„ჰამლეტის" თარგმანის გამო."** მწერალი-ესეისტი დეტალურად მიმოიხილავს, მისი აზრით, თარგმანის უზუსტობებს, რომელთა ანალიზი სცდება ჩვენი კვლევის მიზანს. საინტერესოდ წარმოჩნდება გოეთეს, შექსპირისა და ბაირონის პორტრეტები ესეში **„რეცენზიის საპასუხოდ."** მწერლის აზრით, ბაირონის სახელს ჩრდილს არ აყენებს ფაქტი, რომ ვერც მან და ვერც ჰაინემ „რომანი ვერ დაწერეს" (ესე **„ახალი წარმატებანი ვუსურვოთ იუბილარს")**. შექსპირი „სათეატრო პრობლემის" *[თავად გამსახურდიასეული სინტაგმაა, მინაწერი ესესი* ***„მწერლის ტრიბუნა"*** *- ვ.ქ.]* ანალიზისასაც ცენტრალურ პერსონად ჰყავს წარმოდგენილი კონს-

ტანტინე გამსახურდიას: „უეჭველია, შ ე ქ ს პ ი რ ი რომ არ ყოფილიყო, ევროპული თეატრი იქნებოდა უღერძო ურემი.“ პერსონაჟის ინგლისელი გენიოსისეული ხატვის მანერასთან დაკავშირებით გამსახურდია ესეში **„მთვარის მოტაცების“ გამო“** მსჯელობს. მწერალი-ესეისტი არა მხოლოდ კლასიკურ ინგლისურ ლიტერატურას განიხილავს, არამედ თანადროულ გენიოსზე - ჯეიმზ ჯოისზეც ფრიად საგულისხმო თვალსაზრისს წარმოაჩენს ესეში **„არქაიზმი და პროვინციალიზმი.“**

ინგლისური სოციუმი განსაკუთრებული სკრუპულოზურობითაა წარმოჩენილი ვრცელ ესე-მონოგრაფიაში **„ჯორჯ ბაირონ.“** კვლევაში ყურადღებას მივაპყრობთ ესეს სწორედ აღნიშნულ ასპექტს (ბაირონის პორტრეტის გამსახურდიასეული ვერსიის აღსადგენად მთელი ესეს გადმოწერა იქნებოდა უპრიანი). ბაირონის აბრისი გაილანდება ესეშიც **„დანტე ალიგჰიერი.“**

მწერალი-ესეისტისათვის ინგლისის დანახვა ისტორიული რაკურსით უაღრესად საინტერესოა და ეს რაკურსი წარმოჩნდება ესეში **„ივანე ჯავახიშვილი.“** ესეში**„თომას მანნ“** კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეული მოაზროვნის სტილზე „ზეგავლენა მოახდინეს ნიცშემ, ფონტანემ, მოპასანმა, სკანდინავიელმა და ი ნ გ ლ ი ს ე ლ მ ა დიდმა პროზაიკოსებმა, განსაკუთრებით, ტ ე კ ე რ ე ი მ და დ ი კ ე ნ ს მ ა.“

ზემოთ მოყვანილი არაერთი მაგალითი ადასტურებს, რომ გამსახურდია ევროპას ერთიან სივრცედ იაზრებს და, რასაკვირველია, არამხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით. მწერალი-ესეისტი გამუდმებით ავლებს პარალელებს ევროპელთა გამორჩეული მოაზროვნეების ბიოგრაფიულ დეტალებს, თუ ზოგადპერსონალურ აბრისებს შორის, რათა მსგავსება-განსხვავებანი ნათლად გამოკვეთოს. წლიდან წლამდე, ესედან ესეში უბრუნდება შექსპირის, გოეთეს, ბაირონის პერსონალიებს, ესედან ესეში აცოცხლებს და ხელახლა ძერწავს თითქოს უკვე მრავალგზის გამონაძერწს და ყოველ ახალ ჯერზე ახალი რაკურსით წარმოჩენილს, ახალი დეტალით გამდიდრებულს.

საკვალიფიკაციო ნაშრომის **მეორე თავში** შევისწავლეთ **ევროპული კონცეპტები კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში.**

2.1. „მთვარის მოტაცება“ - „მთვარის მოტაცებაში“ საკუთრივ ინგლისური რემინისცენციები ნაკლებად გაიელვებს, თუმც ზოგადევროპული მრავლადაა. ზოგადევროპულში ბრიტანულიც იგულისხმება, რეფლექსირდება. მწერლისეული კონცეპტით, ახალ დროებას ახალი საფრთხე მოაქვს: თარაში მწერლის ლირიკული ორეულია, მისი ალტერ ეგო, რომლის პერსონალური განაზრებები იმპერსონალური, ზოგადეროვნული კონცეპტების მნიშვნელობას იძენს. ენას, როგორც იდენტობის უპირატეს ნიშანს დაჰლირებია ცივილიზებული სამყარო, ახალი დროის ინვაზორი. თარაშისა და კაროლინას კონცეპტუალურ საუბრებში მრავალი „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ წარმოჩნდება, სადაც, ქართული ხასიათის ანალიზისას, გაიჟღერებს პარალელი ზოგადევროპულ თუ, კონკრეტულად, ინგლისურ სივრცესთან.

თარაში ხსნის ქართული არისტოკრატიის დახვეწილობის ფარულ, შინაგან მიზეზს - „ჩვენს პლასტიურს ხელოვნებას.“ „ცნობისა და ცოდნის მოყვარე“ ევროპელ კაროლინას ეროვნულ ცეკვათა ხასიათზე საუბრისას განუმარტავს: „ვერც ერთი ევროპელი ქალი ლეკურს და უზუნდარას ვერ იცეკვებს... ეს უკანასკნელი მენუეტსა და ვალსებზე უფრო რომანტიულია. ფ ო ქ ს ტ რ ო ტ ი, ტანგო და „დათვური ცეკვა“ ევროპის სნობისტური კულტურის ნაშხეფია.“ სნობისტურ სულისკვეთებას, ფარისევლობას თარაში რელიგიისადმი ევროპელთა მიმართებაშიც ხედავს. სნობიზმისა და ფარისევლობის თემებს ყოყოჩობისასაც უმატებს ევროპელთა პორტრეტების ხატვისას ემხვარი. ევროპელ პროფესორთა დახასიათებისას აღნიშნავს, „ვერ ამიტანია სწორედ ეგ პროფესიული ყოყოჩობაო.“

„მთვარის მოტაცებაშიც“ ამოჩნდება მუზეუმის პარადიგმა, როგორც კულტურის ერთგვარი „სასაფლაოსი.“ როგორც ნოველებსა და ესეებში, არც რომანში უშვებს მწერალი ხელიდან შემთხვევას, ევროპის ისტორიაზე საუბრისას პარალელები ქართულ სინამდვილესთან გაავლოს, ქართველთა ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში „ჩასვას.“ როგორც გამსახურდიას ყოველ ტექსტში, ევროპული ლანდშაფტით ტკბობისას, „მთვარის მოტაცებაშიც“ პარალელი ჩნდება ქართულ ლანდშაფტთან, საქართველოს ისტორიასთან:

„ე ვ რ ო პ ე ლ ე ბ ს ასე გგონიათ, რომ აზიაში არავინ არაფერი იცისო“, ელლენ რონსარს ეტყვის თარაში, - მარაზმა მარტო მოხუცებს არა სჭირთ ევროპაში, მარაზმით სნეული ისტორიკოსები, კრიტიკოსებიც და ჟურნალისტებიც ბევრი შემხვედრია რომში, ბერლინში, პარიზსა და ლ ო ნ დ ო ნ შ ი.“ რომანის სხვა პასაჟში კონსტატირდება: „მძაგს ეს „ზომიერად გონიერი“ ე ვ რ ო პ უ ლ ი საშუალოება, „მედიოკრიტეს“ რომ ეტყვიან ფრანგები; ისინი, ვისაც „ლე ბუტიკიეს“ „მეწვრილმანეებს“ უწოდებდა ნაპოლეონი.“ ევროპის საერთოკულტურულ სივრცეზე საუბრისას, „ცივილიზაციის სენზე“ - მელანქოლიაზეც ჰყვება თარაში. ევროპელის ბუნებაზე საუბრისას, გამოკვეთს ენიგმას - „უ ც ხ ო ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს გრიგალს“, რომელიც, ერთი მხრივ, მიზანთროპად აქცევს ადამიანს, მეორე მხრივ, მუდმივ ინტერესს აჩენს ყველასა და ყველაფრის მიმართ: „საოცარი ქვეყანაა საქართველო, ვინ წარმოიდგენს მეოცე საუკუნეში ფარხმალიანი ხალხი დადიოდეს ტრამვაების და ავტოების ორომტრიალში?! ლ ო ნ დ ო ნ შ ი ასეთ გამვლელებს კინოოპერატორების ლაშქარი გზას გადაუჭრიდა.“

პერსონაჟი იხსენებს „ჰაიდპარკელ დემიმონდებს“, როგორც ცივილიზაციის ატრიბუტს - „ცივილიზაცია შემოდის სალუტით და მთები ბანს ეუბნებიანო“, მწარედ ფიქრობს პერსონაჟი-პროტაგონისტი. იზლერის ბაღის პარადიგმაც მოაგონდება წიგნიერ, „მონაღვლე“ მკითხველს. წინასწარმეტყველებად აღიქმება მწერლისეული აღქმა-გაფრთხილება: „ყოველ ხალხს უნდა შერჩეს ველური ენერგიის მარაგი, თორემ ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ა ვ ი თ გააზიზდება და გამოიფიტება... მგონია, დიდი ინდუსტრია მოსპობს მცირე ერების თავისებურებას. ავიაცია მთასა და ბარს გაათანაბრებს და მერე მშვიდობით... პარიზის, ბერლინის, ლ ო ნ დ ო ნ ი ს დიდ პროსპექტებზე ისე ნაღვლიანად მისეირნია, როგორც რომის ვია ლატაზე, ფორუმ რომანუმზე, პომპეის, ან მესსინის ნანგრევებს შორის, ისევე, როგორც ვარძიისა და ზარზმის დაქცეულ თაღებქვეშ.“

თითქოს ბიბლიური ბაბილონელი მეძავის ჟამის დადგომას წინასწარმეტყველებს მწერალი და ერთგვარ რეზიუმესავით კონსტატირებს: „დ ა ს ა ვ ლ ე თ უ რ ი ს უ პ ე რ ე რ ო ტ ი უ ლ ი

ს ნ ო ბ ი ს ტ უ რ ი ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა უთუოდ რყვნის ადამიანის სულს.“დროის კონცეპტს ევროპული ყოფიერების ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად გამოკვეთს კონსტანტინე გამსახურდია: „ე ვ რ ო პ ა შ ი დროის ავადმყოფობით სნეულია ხალხი“ (რომანის პასაჟში სიმბოლიზმის ერთ-ერთი საკულტო პერსონის, ბოდლერის „პარიზული სპლინის“ ქრესტომათიული მინიატურის კონცეპტი კრთება ისევე, როგორც თავად გამსახურდიასეული მინიატურისა „საათები“).

2.2.„დიონისოს ღიმილი“ - ზოგადევროპული კონცეპტები, ზოგადევროპული რემინისცენციები „დიონისოს ღიმილის“ გამჭოლი თემაა, სხვა მრავალ კონცეპტუალურ პრობლემასთან ერთად.

გამსახურდია, რომელიც ბრწყინვალედ იცნობს ევროპის ისტორიას ანტიკური ფესვებიდან ვიდრე თანადროულობამდის, პარიზულ სალონში საუბრისას პერსონაჟ-პროტაგონისტს (ამჯერად - კონსტანტინე საავარსამიძეს) ათქმევინებს: „კაცობრიობას მეორე საუკუნეა, რაც მოსვენება არა აქვს. ფრანგული რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს სახელით გამოსულმა ფრანგულმა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ მ ა ე ვ რ ო პ ა ააფორიაქა.“ დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ისტორიაში „ორ უდიდეს მომენტს“ აღნიშნავს პერსონაჟი-პროტაგონისტი: „ამერიკის აღმოჩენა და სტამბის გამოგონება გუტენბერგის მიერ. მესამე იქნება: ცეპელინების გადაფრენა ბერლინიდან ნიუ-იორკს.“

მუზეუმის (მწერლისათვის კონცეპტუალური) პარადიგმა „დიონისოს ღიმილშიც“ არაერთგზის ჩნდება, ხაზგასმულია „მატერიის დემატერიალიზაციის“ პროცესი. ევროპის არქიტექტურასა და პლასტიურ ხელოვნებაზე მსჯელობისას პერსონაჟი კონსტატირებს: „ხუროთმოძღვრება დიდი ხანია დ ა ს ა ვ ლ ე თ შ ი მოისპო. დღეს იგი ისტორიული ხელოვნებაა. სკულპტურა? ხომ ხედავთ ამ ულაზათო, ხისა და ბრინჯაოსაგან გამოჩორგვლილ ფიგურებს? ქაოტიურ გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ღვთაებრივი ჰარმონიის ხილვისა და შექმნის უნარი... ვერვინ ააგებს ე ვ რ ო პ ა შ ი სან პიეტროს, ნოტრდამის, შტრასსბურგის, კელნის, რაიმსის კათედრალებს. არც პალაცო ვეკიოს და დოჟების სასახლეს. სრულიად გადაგვარდა ოქროს, ვერცხლის, სპი-

ლენძის ქანდაკი, თითქმის მთელ დასავლეთში გადავარდა ხელოვნური შინამრეწველობა. ის მიამიტი ცდა, რ ო ს კ ი ნ მ ა და მისმა მოწაფეებმა რომ დაიწყეს, სრულიად უნუგეშო ჩიხირიკედელობაა" - ზოგადევროპულ სურათში გამსახურდია გამოლანდავს ინგლისელი პრერაფაელიტების აბრისს. ისტორიული პროცესების წინააღმდეგ სანტიმენტებით ბრძოლა სასაცილოა - ტრაგიკულია პროტაგონისტის დასკვნა.

მწერალი აღიქვამს ეპოქის სხვა საფრთხეებსაც: „თ ე ა ტ რ ი ს ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ მ ა დაჩრდილა. ლირიკა კვდება. ერთადერთი დარგი, რომელიც კიდევ იბოგინებს, ვიდრე ხანგადასული ქალები არ გამოლეულან - ეს არის რომანი." ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ა პასაჟი, ლაკონიური, მაგრამ ტევადი: „პოეტი მენიე აღშფოთებულია, რომ არც ერთ ე ვ რ ო პ ი ულ დარბაზში რელიგიური მოტივი არ გაჰხსენებიათ თანამედროვე მხატვრებს", არანაკლებ კონცეპტუალურია (რომ არა ვთქვათ, ტრაგიკული) რეპლიკა: „მეოცე საუკუნეში რელიგიურ მოტივებს ეძებთ?!"

სალონურ დიალოგში ბრიტანეთის დედაქალაქის კონტური იკვეთება(და ქალაქისა და ქვეყნის მიმართ პერსონაჟის დამოკიდებულებაც ცხადდება): „მართლა აპირებთ ლ ო ნ დ ო ნ ს წასვლას? არა, მე ველარ ვიტან ზღვაზე მგზავრობას. გარდა ამისა, ლ ო ნ დ ო ნი მეჯავრება. მე ისიც მიკვირს, თვითონ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი როგორ სცხოვრობენ მაგ ნ ი ს ლ ი ა ნ ქვეყანაში."

თუკი „მთვარის მოტაცებაში" თანადროული ევროპის რწმენის (ურწმუნოების) ფარისევლური კონცეპტი აქცენტირდება, „დიონისოს ღიმილში" „ღვთის გმობასა და რელიგიურ პარადოქსიზმს შორის" თავად პერსონაჟი (სავარსამიძე) ირყევა, მეორე პერსონაჟი კი (ჯენეტი) ნოტრდამის მშვენიერებას კონსტატირებს: „ამაზე ულამაზესი ადგილი პარიზში არ მეგულ;ება. საღამოობით საუცხოოა ნოტრდამი. მგლოვიარე ქალწულსა ჰგავს".

პერსონაჟი მართებულად ღიზიანდება, როდესაც მის სამშობლოს ევროპელები თუ ამერიკელები განზოგადებულ გეოგრაფიულ სივრცედ აღიქვამენ - „თქვენი სამშობლო - კავკასია."

სალონურ საუბრებში მრავალთაგან ერთი უაღრესად საინტერესო თემაც გაიჟღერებს: „საოცარია, ი ნ გ ლ ი ს ს ა და ამერიკას დიდი მუსიკოსები არა ჰყოლია." ლაკონიურია ამერიკელი

ქალბატონის პასუხი: „მიტომაც ჩვენსავით არავინ აფასებს მუსიკას. ომამდის ყოველ წელს ბაიეროეთს მივდიოდი.“

ევროპის მზის მზირალი, პერსონაჟი (სავარსამიძე) ივედრება: „საფრანგეთის მზე ნეფრიტისფერ სითხეში გაქნილი *[თითქოს მონეს ტილო - ვ.ქ.]*... შენ მაინც გამითბე გული, ქარვის წვენში გალესილო უცხოეთის მზევ, მე დღენაკლულს, მსოფლიოს ც ი ვ ს ა და ნ ი ს ლ ი ა ნ ნ ა პ ი რ ზ ე გამორიყულ თევზს.“

შთამბეჭდავი და შემაძრწუნებელია ევროპული ბირჟის მწერლისეული აღქმაც.

ევროპის სურათი, რა თქმა უნდა, ნაკლული იქნებოდა დამარცხებული გერმანიის რეფლექსირების გარეშე - ბრანდენბურგის ჭიშკარზე დადგმული ტყვიამფრქვევები ევროპული ცივილიზაციის თანადროული ყოფიერების ენიგმაა. გერმანოფილურ პათოსს აბსოლუტურად ობიექტური, ლოგიკური ახსნა აქვს: „მე მხოლოდ იმ დიდ სახლს ვიცავდი,... სადაც ამდენი სინათლე მიმიღია.“

ევროპის ეკლექტურ ბუნებას ის საოცარი დეტალიც გამოკვეთს, პერსონაჟის (ავტორის) დაკვირვებით, ფრიდრიჰის მუზეუმში მიქელანჯელოს გოლეულის მჭამელი იოანე ნათლისმცემელი ძლიერ [რომ] წააგავს ლუვრის, კაპიტოლის, ვილლა ალბანის, ვილლა ბორგეზეს ჭაბუკ დიონისოს.“ მწერლისეული მინიშნებით, ანტიკური (დიონისე) და ბიბლიური(იოანე ნათლისმცემელი) ერთურთს ერწყმის ევროპულ კონცეპტში, რაც განსაზღვრავს კიდეც ევროპელის სულიერ არსს.

ეპოქის სულისკვეთება საოცარი სიზუსტითა და სიმძაფრით იკვეთება პასაჟში, რომელიც წინასწარმეტყველურ მუხტსაც შეიცავს: „ფრანგებს არ შევარჩენთ ვერსალის ზავს... წინააღმდეგ *[პირიქით - ვ.ქ.]*, ბატონებო, უნდა მოვძებნოთ საერთო ენა ჩვენს ევროპელ მეზობლებთან, თუ ჩვენ პ ა ნ ე ვ რ ო პ ე ი ზ მ ი არ ვიქადაგეთ და ს ა ე რ თ ო ე ვ რ ო პ უ ლ ი კავშირი არ შევკარით, ე ვ რ ო პ ი ს ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა დაიღუპება.“ სიმპტომატურია ინდოელის დაღონება გერმანიის დამარცხების გამო პირველ მსოფლიო ომში: თუ ი ნ გ ლ ი ს ს ასეთი *[ინგლისხმება გერმანიის ტოლფარდი - ვ.ქ.]* მეტოქე არ გაუჩნდა, აღმოსავლეთში ყველაფერი ამაოა. დღეს პატარა უორგანიზაციო, უცი-

ვილიზაციო ერებს არ შეუძლიათ ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოებთან ბრძოლა. დიდი სახელმწიფოს დამარცხება მხოლოდ დიდი სახელმწიფოს საშუალებით თუ მოხერხდება... რა უნდა გავაკეთო ინდოეთში? სანამ იქ ი ნ გ ლ ი ს ე ლ ე ბ ი ა, ჩვენ იქ ზედმეტნი ვართ *[ამას ინდოელი ამბობს ინდოეთზე - ვ.ქ.]* ... ჩვენ მარტო კრეისერებით არ გვებრძვის ი ნ გ ლ ი ს ი. იგი აგზავნის ჩვენს წინააღმდეგ თავის ურიცხვ წიგნებს, გაზეთებს, მისსიონერებს, მანქანებს, ქარხნის საქონელს."

ზემოთქმულს მწერალი გასაოცარი და უზუსტესი კონცეპტით განაგრძობს (პერსონაჟს ათქმევინებს): „შ ე ქ ს პ ი რ ი იმპერიალიზმის ისეთივე დიდი იარაღია ინგლისის ხელში, როგორც ი ნ გ ლ ი ს უ რ ი კრეისერი. მწერლობა და მეცნიერება ბუნებით იმპერიალისტური ფენომენებია *[ჯოისთანაც იმპერიალიზმის იარაღია შექსპირი - ვ.ქ. - იხ. ჩვენი დისერტაციის მესამე თავი]*.

კონცეპტუალურია დიალოგი: „სიძულვილი ისევე წმინდა და მაღალი გრძნობაა, როგორც სიყვარული. გააჩნია შემთხვევას. მაგრამ განა თქვენ შ ე ქ ს პ ი რ ს უარჰყოფთ? შექსპირი რაა ინდოეთის მომავალთან შედარებით? ახლა რომ აკვანში ინდოელი ბავშვებია, რა იცით, ისინი შექსპირზე უკეთ არ დასწერენ?!"

როდესაც სავარსამიძე იკითხავს, რა ენაზე ველაპარაკო აბსენ ტუნგსო, დაარიგებენ - „რაკი სანსკრიტი არ იცით, მხოლოდ გერმანულად, ფრანგული და ი ნ გ ლ ი ს უ რ ი არ უყვარს." აუცილებლად უნდა აღინიშნოს სავარსამიძის, აღსარებასავით გულწრფელი, სიტყვები: „„აბსენ ტუნგის ასკეტური ქადაგება მგლის თავზე სახარების კითხვა ყოფილა თურმე, რადგან ჩემში ისევ ძლიერი დარჩენილა გაელინებული წარმართი ლაზი." ინგლისისა და ინდოეთის ურთიერთმიმართების კონცეპტიც მწერალს თითქოს საქართველოს მარადიული „წყევლაკრულვიანი საკითხავ(ებ)ის" გასამკვეთრებლად სჭირდება. ბინარული ოპოზიცია „ინგლისი-ინდოეთი" პარალელიზდება: „საქართველო - დამპყრობელი იმპერიები":

ერთგვარი ლირიკული ინტერმეცოს სახით აღვნიშნავთ, რომ „[მივუხვდით], რა ნესტრით ნაჩხვლეტი" წერს აბსენ ტუნგისა და ბრიტანეთის იმპერიის ამბავს კონსტანტინე გამსახურდია - სა-

ქართველის ტრაგედიის გამოსახატად... კონცეპტუალური პასაჟია: „სოფელში სიცილ, ძაძის სახელარს ძოვებში და ჭატარა ვენახს გაეშურება. ახ არიდა, ი ხ დ ი ე თ ი ს სიცილ.“ აქ „ინდოეთი“, რასაკვირველია მარადიული დაბრუნების არქეტიპს და, რომანის საერთო კონცეპტუალიზმის გამომხატველია, იმპერიასთან წარმატებული დაპირისპირების ეზიგზაგური სიერცელე მოიაზრება. თუ ზემოთქმულს „ცეკვის სიმღერის“ ინდოეთის პარადიგმულ გააზრებასაც დავუმატებთ, „სულის ლანდშაფტი“ განსაკუთრებელ დატვირთვას იძენს.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ გამსახურდიას რომანისტიკაში ინგლისი ისე მკვეთრად, აქტიურად არ არის წარმოდგენილი, როგორც პუბლიცისტიკაში (ესეებში, წერილებში, ნარკვევებში), თუმც „მომჭირნედ დახატული“ იმპერია კონცეპტუალური შტრიხებით წარმოჩნდება.

მესამე თავის სათაურია **„კონსტანტინე გამსახურდიას ნარატივის ზოგიერთი კონცეპტი.“** პირველ პარაგრაფში ***„ამერიკა კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტურ-ბელეტრისტულ ნარატივში“*** ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ამერიკული რემინისცენციები. ნოველა **„პორცელანში“** ამერიკა გაკრთება, როგორც კულტურის ანტითეზური პარადიგმა. უაღრესად საგულისხმოა, რომ იდენტურია კონცეპტი იაპონელი მოდერნისტის, რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობისა „ხინა თოჯინები.“ **„ვერცხლის ბეჭედშიც“** ამერიკის რეფლექსია გვხვდება. პასაჟში ამერიკა ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთ აქტიურ „მოთამაშედ“ ჩნდება.

რომანში **„ევროპა გალიაში“** ჩნდებიან ამერიკელი პერსონაჟები. როდესაც სხვადასხვა ეროვნების ტურისტებს შეავლებს თვალს ურდოელი, ამჩნევს, როგორ „მიჩოჩქოლებენ ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ ი, თანაც ხორხოცობენ ისე ხმამაღლა, თითქოს ს ა კ უ თ ა რ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ჩამოსულანო.“ ხაზგასმულია ანგლოამერიკელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ტექნიკური პროგრესისადმი. მწერალი დეტალით ახერხებს ევროპელთა თუ ამერიკელთა ხასიათის, ჩვევების ჩვენებას. რომანში გაჟღერებული ფრაზა - „ინგლისის მეფის გვირგვინი რომ გადავარდეს, სამი კონტინენტის ხალხები ამოისუნთქავდნენ“, ფაქტობრივად, პო-

ლიტიკური განაცხადია. თავის დროზე ასევე სწამდათ ამერიკული სახელმწიფოებრიობის მამებსაც. ანგლო-ამერიკული პასაჟები ცენტრალური პერსონაჟის ხასიათის გამოსახატავად ჩნდება რომანში „ევროპა გალიაში“, ამდენად, მათ აქვთ არა თვითმკმარი, არამედ - მხოლოდ დამხმარე დანიშნულება.

ამერიკასთან დაკავშირებული პასაჟები გვხვდება მემუარული ხასიათის ტექსტში **„ლანდებთან ლაციცი.“** მწერლის კონცეპტით, ყველაზე „მოგებიანი“ გეოგრაფიული პოზიცი ამერიკას აქვს. ესეში **„უკრაინის თემიდი“** წარმოჩნდება ბრიტანეთისა და ამერიკელების დამოკიდებულება სხვადასხვა ერისადმი - „ევროპელები და ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ ი ამტკიცებენ: აღმოსავლეთის ერები თავიანთი ფლეგმატურობის წყლობით მხოლოდ პარიზსა, ლონდონსა და ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ შ ი გამოგონილი მანქანების მუნჯ მსახურებად თუ გამოდგებიანო.“ კულტურულ-ესთეტიკურგანაზრებებს სოციალურ-პოლიტიკური განსჯა ცვლის: „განა თავათ ევროპაში დღესაც ცოტაა ყაჩაღი? პარიზსა, ლონდონსა და ნ ი უ - ი ო რ კ შ ი დღის სიცხადეზე განა ცოტა ხალხს ჰკლავენ და ძარცვავენ?!“

გამკვეთრებულია, ხაზგასმულია გლობალიზმის წინამძღვრებიც: „უნახშიროდ სავსებით წარმოუდგენელი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიის ძველ მსოფლიოში გაბატონება. თუ ბერძნებისა და რომაელების ფლოტი ქარს დაჰყავდა, ინგლისმა ნახშირის ძალით დაიპყრო აზია, აფრიკა და ა მ ე რ ი კ ა.“ როგორც ყველა დასკვნა, ზემოაღნიშნულიც მწერლის დიდ ერუდიციასა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემათა არსში წვდომაზე მიუთითებს.

XX ს-ის დასაწყისის პოლიტიკური ვითარების აღწერისას მწერალი მსოფლიო ლინგვა ფრანკაზეც საუბრობს. ზემოთ წარმოდგენილი რემინისცენციებიც განხილული სამი ტექსტიდან (ბელეტრისტული „ევროპა გალიაში“, პუბლიცისტური „ლანდებთან ლაციცი“ და „უკრაინის თემიდი“) ნათელი დასტურია, რომ მწერალი მწირი ამერიკული რემინისცენციებითაც კი გამომსახველობას სძენს ნარატივს და მკითხველს კულტურულ, პოლიტიკურ, ესთეტიკურ განაზრებებს სთავაზობს.

კვლევის მორიგ პასაჟში (3.2.) წარმოვადგინეთ **ევროპულ-ამერიკული მუზეუმ(ებ)ი, როგორც მოდერნიზმის კონცეპტუალური სივრცე.**

ეპოქის პარადიგმულ მიკრომოდელად აღიქმება ლუვრში მოწყობილი ცვალებადი კოლექციების საგამოფენო დარბაზები, მოცლილ დამთვალიერებელთა დიალოგები კი - ჟამის ერთგვარ „სტენოგრამად.“„აფორიაქებული ევროპა“, რომანის მიხედვით, პოლუსებადაა დაყოფილი და „დიონისოს ღიმილის“ პასაჟებში ამ პოლუსებად ხან გერმანია და საფრანგეთი, ხან - გერმანია და ინგლისი, ხან - გერმანია და რუსეთი წარმოჩნდება, თითოეული „პოლუსი“ საოცარი სიღრმით რეფლექსირდება.

„დიონისოს ღიმილის“ გამოფენის ეპიზოდში რუსოსეული მოტივებიც გაკრთება, ბუნებასთან დაბრუნების პასტორალური ობერტონები, ნოსტალგია პირველქმნილი, შეურყვნელი სივრცეებისადმი. ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ფაქტობრივად, პასაჟში აღწერილია იმავე ტიპის ლანდშაფტი, რაც სალვადორ დალის სიურეალისტურ ტილოებზე - ინდუსტრიალიზაციის შხამით „უნაყოფო მიწად“ ქცეული სივრცე, მელოდიად კი მუნკის „ყვირილის“ ობერტონის წარმოდგენა შეიძლება. თუ საკუთრივ ლიტერატურულ პარალელს დავძებნით, ალბათ, ყველაზე ზუსტი ტომას სტერნზ ელიოტის „ბერწი მიწის“ მხატვრული სივრცე იქნება, სადაც მკვდარი ტუბერები ვერასოდეს გაღივდებიან და ვერც “memory and desire” (მეხსიერება და ლტოლვა) შეერწყმის ერთურთს.ჟამის ტრაგიზმი მძაფრად ირეკლება, ეპოქის “ჰისტერიული“ (ისტერიული) სული წარმოჩნდება, ხაზი გაესმის „ევროპული ცივილიზაციის ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) ფესვებსაც და ამავე ცივილიზაციის ოსვალდ შპენგლერის მიერ კონსტატირებულ „დაისსაც.“ ხაზგასმულია კულტურის დეგრადირების შეუქცევადი პროცესი (ელიტარულ თეატრს მასკულტურული კინემატოგრაფი ანაცვლებს, ლირიკის პერსპექტივა აბსოლუტურად უნუგეშოა - „კვდება“). საინტერესოა, რომ განსხვავებულია თანადროული აღმოსავლური კულტურის აღქმა ტექსტში, მიზეზიც ახსნილია - აღმოსავლეთი არ სცნობს ნიცშეს ფორმულას და არც რელიგიური ექსტაზის განცდა დაუკარგავს: “[აღმოსავლეთი] რელიგიურ ინსტინქტს ტაძრებში

მიჰყავს და იქ ხედავს მშვენიერ საგნებს რელიგიურ ექსტაზის წუთებში" - პასაჟი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს პოლუსებიც (აღმოსავლეთი - დასავლეთი) ფიქსირდება, მწერალი თითქოს „გზას ხსნისას" (ილია) სთავაზობს „დაშრეტილ" ევროპასა და ამერიკას (შემთხვევითი როდია რომანის სხვა ეპიზოდებში ინდოელი აბსენ ტუნგის გამოჩენა) - რწმენა, ტრადიცია, ფესვების ძიება და ერთგულება ის კატეგორიებია, რომელთაც ყავლი არ გასდით, არც საძებარია და, მით უფრო, არც გამოსაგონებელი.

საკვალიფიკაციო ნაშრომის პასაჟის (3.3.) სათაურია **„ინგლისი მოდერნიზმის კონცეპტუალურ ტექსტში (ჯეიმზ ჯოისის „ულისე"")** „მოდერნიზმის სახარებად" მონათლულ რომანში კლასიკური დაპირისპირებაა - ინგლისი - ირლანდია, დამპყრობელი - დაპყრობილი. ლამის ყოველი დეტალი ტექსტში არქეტიპთან გადაგვამისამართებს." პარადიგმათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „ირლანდიური ხელოვნების სიმბოლო: მოახლის გაბზარული სარკე", ისევე, როგორც თავად მოახლე, რომელსაც მშობლიური გელური (ირლანდიური) ფრანგული ჰგონია.

ინგლისელი ჰეინზი კრებს ირლანდიელი სტივენის ფრთიან გამონათქვამებს.

ბაკ მალიგანი ინგლისელს აინტრიგებს, როდესაც შექსპირისადმი (ინგლისელისადმი) სტივენის (ირლანდიელის) დამოკიდებულებაზე ექილიკება: „უაილდისა და პარადოქსების დრო წავიდა. ყველაფერი გაცილებით მარტივია. [სტივენი] ალგებრის მეშვეობით ამტკიცებს, რომ ჰამლეტის შვილიშვილი შექსპირის პაპაა და რომ თვითონ საკუთარი მამის აჩრდილია" - სტივენისა და ჰეინზის დიალოგში ირლანდიისათვის უმტკივნეულესი პრობლემა - ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა იკვეთება. ჰეინზი თვლის, რომ ირლანდიელებს „უფლება" აქვთ, მოიპოვონ თავისუფლება. ირლანდიის უდიდესი მწერალი პერსონაჟს ათქმევინებს უმტკივნეულეს სათქმელს, თავად მწერლის ტრაგიკულ გულისნადებს: „ორი ბატონის მსახური ვარ... ინგლისელისა და იტალიელის... და მესამე ისაა, ვისაც დროებით სამუშაოზე ვჭირდები" [ჯოისი გულისხმობს ბრიტანეთის იმპერიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას]. თავად ბრიტანელი კი საკუთარ ეროვნულ დოქტრინაზე

საუბრობს, ერის წინაშე მდგარ საფრთხეზე: „ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ი ვარ, ბრიტანელივით ვფიქრობ კიდეც. სრულიად არ მინდა, ჩემი ქვეყანა გერმანელი ებრაელების ხელში ვიხილო. ვშიშობ, ამჟამად სწორედ ეს არის ჩვენი ეროვნული პრობლემა."

ინგლისელის პორტრეტი იკვეთება სკოლის ეპიზოდშიც, დიზისა და სტივენის საუბარში. სკოლის ბეჩავი დირექტორი დიზიც კი, „უნიის მომხრე", ზუსტად ისევე ფიქრობს, როგორც ინგლისელი ჰეინზი. უნიონისტი ირლანდიელი ბრიტანელზე უფრო ბრიტანელია, რომის პაპზე უფრო კათოლიკე (პასაჟი ჯოისის ნარატივის გროტესკულობის ბრწყინვალე ნიმუშთაგანია).

ისრაელი, როგორც პარადიგმა ნაციონალური თვითშეგნებისა (საპირწონედ სახელმწიფოებრიობაწანისლული ირლანდიისა), რომანის ერთ-ერთი მთავარი ენიგმაა. ტრაგიკულ-გროტესკულია ირლანდიელის თვითწარდგინება პარიზში: „ირლანდია, იცით? აჰ, დიახ." ცნობილი ჟურნალისტი, დრიუმონი, დედოფალ ვიქტორიას „ჩაყვითლებულკბილებიან ბეხრუკ კუდიანს" უწოდებს. დიდებული ლათინურიც (რომის ეკლესიის ლინგვა-ფრანკა) მშობელი ქვეყნის დამონების იარაღად აღუქვამს ირლანდიელს. რომანის პარალელურ განზომილებაში, ბლუმის ისტორიაში, არის პასაჟი: „ბ-ნმა ბლუმმა კისერი წაიგრძელა, რომ სიტყვები გაერჩია. ი ნ გ ლ ი ს უ რ ი ა. ძვალი მიუგდე მაგათ. ბუნდოვნად მახსოვს" - აქ, ფაქტობრივად, კვლავ „ორი ბატონის" (ბრიტანეთის იმპერიისა და რომის კათოლიკური ეკლესიის) ირლანდიაზე ბატონობის კონცეპტებია გამკვეთრებული.

პარაბოლურია პედი დიგნამის დაკრძალვისას განაფიქრები: „ირლანდიელის სახლი მისი კუბოა." გროტესკულია ბლუმის განაზრებანი დუბლინის სასაფლაოზე, საფლავის ქვების წარწერების მზერისას: „ირლანდია იყო მისი საოცნებო სახელი ან სხვა რამ ამგვარი." ტექსტის პარალელურ პარაბოლურ შრეში უნგრელი ებრაელის, ლეოპოლდ ბლუმის განაზრებანიც ჩნდება: „უცნაურია, არასოდეს უნახავს თავისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო. სამშობლო ჩემი ირლანდია." გაზეთის რედაქციაში სტატიის კითხვისას ხაზი გაესმის ირლანდიელთა ხასიათის ზოგიერთ ასპექტს (როგორც თავადვე ამბობენ ირონიით, „გუდასტვირობას"). ირლანდიის ისტორიის სხვადასხვა პასაჟი ასოციაციურად,

რემინისცენციულად ებმის ერთმანეთს, ასევე ასოციაციურად დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის (და ლიტერატურის) უმნიშვნელოვანეს სიუჟეტებთან (მშვენიერი ელენე, ჰაბსბურგები - ტროას ომიდან - ვიდრე პირველ მსოფლიო ომამდე).

მწერალი პაროდიით ებრძვის და ერკინება იმპერიას, რომელსაც მისი ქვეყანა ჰყავს დამონებული. გრძელდება „ორი ბატონის მსახურების“ კონცეპტუალური თემა: „ვასწავლი უხეშ ლათინურ ენას. ვლაპარაკობ იმ ერის ენაზე, რომლის გონივრულობის უმაღლესი მიღწევაა აფორიზმი: დრო ფულია *[სტივენი გულისხმობს ბრიტანეთის იმპერიას - ვ.ქ.]*. ფულის საუფლო.“

მოსეს პორტრეტის პარალელურად, ტექსტში ჩნდება აბრისი შექსპირსა. ყურადღება გამახვილდება ინგლისის მთავარი პოეტის მხატვრულ სტილზე: „შექსპირს არა აქვს რითმები: თეთრი ლექსი ენის თავისუფალი მდინარებაა. აზრები. დიდებული.“ ცხადია, ირლანდიელთა სარკაზმის მიზეზი სამშობლოს ბედია ირლანდიისა, რომელიც მეტაფორული სახელებით იხსენიება რომანში: „მწვანე მოციმციმე ქვა. ზღვის ბეჭედში ჩასმული ზურმუხტი.“კონცეპტუალურია ჯოისის ფრაზა: ირლანდია არსებობს „ს ა ქ ს ო ნ ე ლ ი ს ღიმილსა და ი ა ნ კ ი ს ღრეჭას შორის. წინ წყალი, უკან მეწყერი. „ჰ ა მ ლ ე ტ ი“ აჩრდილებზე დაწერილი ამბავია.“

ირლანდიელის განაზრებანი ინგლისზე, ერთდროულად, ტრაგიკულიც არის და გროტესკულიც. ირლანდიური ეპოსის არარსებობა ხაზგასმულია ტექსტში, „გელური ლიგა მოითხოვს რაიმეს ირლანდიურადო.“ „ნაციონალური ეპოსი ერის უპირველესი საგანძურია. ერი არსებობას იწყებს, როცა თავის შესახებ დანარჩენ სამყაროს მოუყვება“ (შ. ცვაიგი).

ჯოისისა და გამსახურდიას იმპერიებისადმი დამოკიდებულების თემა სცდება ჩვენი საკვლევი სივრცის საზღვრებს, თუმც, ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი პასაჟებიც ნათელი დასტურია მოდერნიზმის გამორჩეული ხელოვანების იდენტური მსოფლაღქმისა. ორივე შემოქმედი ეროვნული სახელმწიფოს აპოლოგეტია.

ბიბლიოგრაფია

1.ანდრონიკაშვილი ზ., 2010 - ანდრონიკაშვილი ზაალ, ზიგმუნტ ბაუმანის „მოდერნულობა და ამბივალენტურობა“ ***წიგნში*** „მოდერნულობის თეორიები“, ილიაუნი, თბ., 2010;

2. ბარამიძე რ., 1988 - ბარამიძე რევაზ, ლიტერატურული შტუდიები, თბ., 1988;

3. ბარტი რ., 2011 - ბარტი როლან, მითოლოგიები, თბ., 2011, 211;

4. ბაქრაძე აკ., 1968 - ბაქრაძე აკაკი, დიონისოს თვითმკვლელობა, „მნათობი“ N12, 1968;

5. ბაქრაძე აკ., 2000 - ბაქრაძე აკაკი, მითოლოგიური ენგადი, თბ., 2000;

6. ბაქრაძე აკ., 1990 - ბაქრაძე აკაკი, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990;

7. ბაქრაძე აკ., 1967 - ბაქრაძე აკაკი, „მთვარის მოტაცების“ მედიტაცია, „მნათობი“ N10, 1967;

8. ბაქრაძე აკ., 1967 - ბაქრაძე აკაკი, მითი მთვარის მოტაცებაში, „მნათობი“ N12, 1967;

9. ბელტინგი ჰ., 2005 - ბელტინგი ჰ., ნაწარმოები კონტექსტში, თბ., 2005;

10. ბრეგაძე კ., 2016 - ბრეგაძე კონსტანტინე, ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სოციოკულტურული, ესთეტიკური და პიეტოლოგიური კონტექსტები ***წიგნში*** „ქართული ლიტერატურა. ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში“, წ. 2, თბ., 2016;

11. ბრეგაძე ლ., 2008 - ბრეგაძე ლევან, ფსიქოანალიზი და მხატვრული შემოქმედება ***წიგნში*** „ლიტერატურის თეორია (მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები), თბ., 2008;

12. ბუაჩიძე თ., 2014 - ბუაჩიძე თამაზ, ფრიდრიხ ნიცშე და მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ***წიგნში*** ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ., 2014, 401-460;

13. გაბუნია თ., 2018 - გაბუნია თემურ, ჯოისის ლაბირინთი, თბ., 2018;

14. გამსახურდია ზ., 1991 - გამსახურდია ზვიად, წერილები, ესეები, თბ., 1991;

15. გამსახურდია კ., 2006 გამსახურდია კონსტანტინე, დიონისოს ღიმილი, თბ., 2006;

16. გამსახურდია კ., 1990 - გამსახურდია კონსტანტინე, მთვარის მოტაცება, თბ., 1990;

17. გამსახურდია კ., 1992 - გამსახურდია კონსტანტინე, ნოველები, თხზულებანი 20 ტომად, ტ.1, თბ., 1992;

18. გამსახურდია კ., 1983 - გამსახურდია კონსტანტინე, ესეები, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 7, თბ., 1983;

19. გამსახურდია კ., 1984 - გამსახურდია კონსტანტინე, ესეები, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 8, თბ., 1984;

20. გამსახურდია კ., 1985 - გამსახურდია კონსტანტინე, ესეები, თხზულებანი 10 ტომად, ტ.9, თბ., 1985;

21. გამსახურდია კონსტანტინე ზ., 2015 - გამსახურდია კონსტანტინე ზ., „რა ვქნისა ციხე ავაგე" (ჩანაწერები), თბ., 2015;

22. გაფრინდაშვილი ნანა, 2012 - გაფრინდაშვილი ნანა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, თბ., 2012;

23. გაფრინდაშვილი ნ.,... 2010 - გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, წერეთელი ნინო, სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), წ. 1, თბ., 2010;

24. გაწერელია ა., 1962 - გაწერელია აკაკი, რჩეული ნაწერები, წ.1, თბ., 1962;

25. გვერდწითელი გ., 2005 - გვერდწითელი გურამ, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 2005;

26. გიგანი თ., 2010 - გიგანი თათია, კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაციის მაცნე, თბ., 2010;

27. გოგია ზ., 2014 - გოგია ზაზა, ძველი სურათები ახალ ჩარჩოში (შტრიხები კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტისათვის), „ჩვენი მწერლობა" N9 (217), 2 მაისი, 2014, 56- 62;

28. გომართელი ა., 1997 - გომართელი ამირან, ქართული სიმბოლისტური პროზა, თბ., 1997;

29. გუმბერიძე თ., 2010 - გუმბერიძე თამარ, ეროვნული ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტაცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, *დისერტაციის მაცნე*, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2010;

30. დოიაშვილი თ., 1992 - დოიაშვილი თეიმურაზ, მატერიის გავლით - სულობისაკენ (კონსტანტინე გამსახურდია), თხზულებათა ოცტომეულის 1-ლი ტომის ბოლოსიტყვაობა, თბ., 1992;

31. ევგენიძე ი., 2003 - ევგენიძე იუზა, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2003;

32. ელიოტი ტ.ს., 1989 - ელიოტი ტომას სტერნზ, მითი და წესრიგი *წიგნში* ესეები, თბ., 1989;

33. ვაგნერი რ., 2013 - ვაგნერი რიჰარდ, მოთხრობები, წერილები, ესეები, თბ., 2013;

34. ვასაძე თ., 2010 - ვასაძე თამაზ, ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში, თბ., 2010;

35. ვებერი მ., 2014 - ვებერი მ., რაშია დასავლეთის უნიკალურობა? http:/burusi.wordpress.com/2014/05/29/veber/

36. თამაზაშვილი მ., 1997 - თამაზაშვილი მზია, „ტაბუ" - მითი და ნოველა, „ცისკარი" N3, 1997, 130-132;

37. თევზაძე დ., 1996 - თევზაძე დავით, კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1996;

38. თვარაძე რ., 1969 - თვარაძე რევაზ, მთლიანი საქართველოს მესიტყვე, „ცისკარი" N 12, 1969;

39. იუნგერი-ხოტივარი შ., 1982 - იუნგერი-ხოტივარი შტეფი, „დიონისოს ღიმილის" სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები, „ცისკარი" N10, 1982;

40. იუნგი კ. გ., 2013 - იუნგი კარლ გუსტავ, ფსიქოლოგია და რელიგია; პასუხი იობს, თბ., 2013;

41. კალანდაძე ლ., 1984 - კალანდაძე ლავროსი, გზადაგზა (ზოგი რამ კონსტანტინე გამსახურდიასთან ურთიერთობიდან), „მნათობი" N8, 1984;

42. კანკავა გ., 1983 - კანკავა გურამ, „დიონისოს ღიმილის" მითოსური სტრუქტურა, „კრიტიკა" N 2, 1983;

43. კვანჭილაშვილი ტ., 1989 - კვანჭილაშვილი ტარიელ, ათი მწერალი, თბ., 1989;

44. კიკაჩეიშვილი თ., 1997 - კიკაჩეიშვილი თენგიზ - კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა", თბ., 1997;

45. კიკნაძე ზ., 2015 - კიკნაძე ზურაბ, ფიქრები „კარდუზე" ***წიგნში*** „ცეცხლი და ბურუსი" (ესეები), თბ., 2015;

46. კუპრეიშვილი ნ., 2013 - კუპრეიშვილი ნონა, სიტყვის დეგუსტაცია, თბ., 2013;

47. ლევი-სტროსი კ., 2010 - ლევი-სტროსი კლოდ, ტოტემიზმი დღეს, თბ., 2010;

48. ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი (ირმა რატიანის რედაქციით), თბ., 2012;

49. ლიტერატურის თეორიის საკითხები (ავტორთა კოლექტივი), თბ., 1995;

50. ლიტჟურნალები, 2011 1910-იანი-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალები (ოთხ წიგნად), თბ., 2011;

51. ლომიძე გ., 2008 - ლომიძე გაგა, მითოლოგიური კრიტიკა ***წიგნში*** ლიტერატურის თეორია (მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები), თბ., 2008;

52. მაღლაფერიძე თ., 1996 - მაღლაფერიძე თეიმურაზ, ინტერლუდია - „შავჩოხიანები", „არილი" , 7-13 სექტემბერი, 1996, 7;

53. მაღრაძე ე., 1983 - მაღრაძე ელგუჯა, გულითა მართლით (კონსტანტინე გამსახურდია), თბ., 1983;

54. მეოცე საუკუნის... , 2016 - მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2016;

55. მილორავა ი., 2016 - მილორავა ინგა, „ხოგაის მინდი კვდებოდა" ***წიგნში*** ნანა ქირია, „კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების სწავლება სკოლაში", თბ., 2016;

56. მიშველაძე რ., 2000 - მიშველაძე რევაზ, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2000;

57. ნიკოლეიშვილი ა., 2005 - ნიკოლეიშვილი ავთანდილ, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, წ. 6, თბ., 2005;

58. ნატროშვილი გ., 1991 - ნატროშვილი გიორგი, დიდოსტატის საუკუნე, „ცისკარი" N5, 1991, 110-118;

59. ჟღენტი ბ., 1973 - ჟღენტი ბესარიონ, კონსტანტინე გამსახურდია, წინასიტყვაობა კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ათტომეულისა, ტ.1, თბ., 1973;

60. რატიანი ი., 2015 - რატიანი ირმა, ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბ., 2015;

61. რობაქიძე გრ., 1988 - რობაქიძე გრიგოლ, საქართველოს ხერხემალი, „ცისკარი" N9, 1988, 122-124;

62. სარია ზ., 2009 - სარია ზ., კონსტანტინე გამსახურდია და ექსპრესიონიზმი, თბ., 2009;

63. სიგუა ს., 1989 - სიგუა სოსო, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა *წიგნში* „ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი", თბ., 1989;

64. სიგუა ს., 198 - სიგუა სოსო, ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი, თბ., 1988;

65. სიგუა ს., 1991 - სიგუა სოსო, მარტვილი და ალამდარი (კონსტანტინე გამსახურდია), წ.1, თბ., 1991;

66. სიგუა ს., 2002 - სიგუა სოსო, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002;

67. სორდია ლ., 2011 - სორდია ლუარა, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბ., 2011;

68. ტოინბი ფ., 1988 - ტოინბი ფილიპ, „ულისე", „საუნჯე"N1, 1988, 240 - 249;

69. უახლესი...., 1994 - უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თსუ, თბ., 1994;

70. ფუკო მ., 2004 - ფუკო მიშელ, სიტყვები და საგნები, თბ., 2004;

71. ქართული ლიტერატურა, წ. 2, 2016 - ქართული ლიტერატურა - ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, წ. 2, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2016;

72. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1982 - ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ.5, თბ., 1982;

73. ქიქოძე გ., 1963 - ქიქოძე გერონტი, რჩეული თხზულებანი, წ.1., თბ., 1963;

74. ღვინჯილია ჯ., 1983 - ღვინჯილია ჯანსუღ, პოეტური ენერგია, თბ., 1983;

75. შუშანია ე., 1975 - შუშანია ეთერ, კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1975;

76. ჩხეიძე ო., 1982 - ჩხეიძე ოთარ, სამშობლო ჯვეიმზ ჯოისისა, „ლიტერატურული საქართველო", 19 ნოემბერი, 1982;

77. ჩხეიძე პ., 2002 - ჩხეიძე პაატა, საით მიდის გებრიელ კონროი? „ჩვენი მწერლობა" , 26 ივლისი, 2002, 4;

78. ჩხეიძე რ., 2014 - ჩხეიძე როსტომ, ტრაგიკული გზა - მეხუთე ევანგელე *წიგნში* ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ., 2014;

79. ჩხეიძე რ., 2015 - ჩხეიძე როსტომ, ქართული მწერლობა თვალის გადავლებით, თბ., 2015;

80. ჩხეიძე რ., 2016 - ჩხეიძე როსტომ, პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა, თბ., 2016;

81. ჩხეიძე რ., 1997 - ირლანდიური მელოდიები, თბ., 1997;

82. ჩხენკელი თ., 1991 - ჩხენკელი თამაზ, მცველი ყოვლისა ქართლისა, „მნათობი" N7, 1991, 120-122;

83. ცაგარელი ლ., 2012 - ცაგარელი ლევან, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, ილიაუნი, თბ., 2012;

84. ცაიშვილი ს., 1990 - ცაიშვილი სოლომონ, ქართული მწერლობა (წერილები, ნარკვევები, ესეები), თბ., 1990;

85. ცანავა აპ., 1991 - ცანავა აპოლონ, კონსტანტინე გამსახურდია და ქართული მითოსი, გაზ. „ერი" N15, 1991, 7;

86. ცვაიგი შ., 1995 - ცვაიგი შტეფან, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი" (წინასიტყვაობა), „სალიტერატურო გაზეთი", 28 დეკემბერი, 1995, 4;

87. ცისკარიძე ვ., 1972 - ცისკარიძე ვიოლეტა, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972;

88. წიფურია ბ., 2016 - წიფურია ბელა, მოდერნიზმი - კულტურული და ლიტერატურული სტილი *წიგნში* „ქართული ლიტერატურა. ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში", წ. 2, თბ., 2016;

89. წიფურია ბ., 2010 - წიფურია ბელა, მოდერნისტული გამოცდილება. ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე, თბ., 2010;

90. ჭანია ლ., 1997 - ჭანია ლადო, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, თბ., 1997.

91. ჭილაია ა., ჭილაია რ., 1984 - ჭილაია ა., ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984;

92. ჭილაია ს., 1986 - ჭილაია ს., ოცწლეული (წლები და პრობლემები), თბ., 1986;

93. ჭილაია ს., 1975 - ჭილაია ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1975;

94. ხელაია ნ., 2008 - ხელაია ნაზი, მიუწვდომელი მწვერვალები (წერილები), თბ., 2008;

95. ჯალიაშვილი მ., 2016 - ჯალიაშვილი მაია, ზნეობის გარდამოხსნა (ლიტერატურული წერილები), თბ., 2016;

96. ჯალიაშვილი მ., 2006 - ჯალიაშვილი მაია, ქართული მოდერნისტული რომანი, თბ., 2006;

97. ჯალიაშვილი... - ჯალიაშვილი მ. http:/taobebi.site.ge/wordpress/?p=1900#more-1900;

98. ჯანჯიბუხაშვილი მ., 2003 - ჯანჯიბუხაშვილი მაკო, კულტუროლოგია, მეოცე საუკუნე, თბ., 2003;

99. ჯოლოგუა თ., 2013 - ჯოლოგუა თამაზ, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 2013;

100. ჯოისი ჯ., 2015 - ჯოისი ჯეიმზ, ულისე, თბ., 2015;

101. ჯოისი ჯ., 2005 - ჯოისი ჯეიმზ, ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას, თბ., 2005;

102. ჯოხაძე მ., 2009 - ჯოხაძე მაკა, სამოთხე უსიყვარულოდ (წერილები, ესეები), თბ., 2009;

103. Введение... 2005 - Введение в литературоведение (под ред. Л.М.Крупчанова), М., 2005,

104. Андреев Л., 1980 Андреев Л., Импрессионизм, М., 1980,

105. Долинин А., 1989 Долинин Александр, Малая форма и ее великаны *в книге* Американская новелла 20-го века, 1989.

106. Джойс Дж., 2011 Джойс Джеймс, Собрание ранней прозы, М., 2011.

107. Лотман Ю., 1999 Лотман Ю., Внутри мыслящих миров, 1999.

108. Ницше Ф., 1989 Ницше Фридрих, Антихристианин *щтгништ* Сумерки богов (Ф. Ницше, З. Фрейд, Э. Фромм, А. Камю, Ж.-П. Сартр), М., 1989;

109. Основы.... , 2000 - Основы литературоведения (под.ред. В.П. Мещерякова).М., 2000.

110. Рикер П., 2000 Рикер П., Время и рассказ, М., 2000.

111. Руднев В., 2003 Руднев В., Энциклопедический словарь культуры, 20-ый век, М., 2003.

112. Хализев В... , 2002 Хализев В.Е., Теория литературы, М., 2002.

113. Bauman Z., 1991 Bauman Z., Modernity and Ambivalence, N.-Y., 1991;

114. Ermolaev H., 1963 Ermolaev H., Soviet Literary Theories (1917-1934), L.-A., 1963;

115. Fast P., 1999 Fast P., Ideology, Aesthetics, Literary History, Frankfurt, 1999;

116. Gillespie M., 2008 Gillespie M., The Theological Origins of Modernity, Chicago University Press, 2008;

117. 79. Joyce J., 2014 Joyce James, A Portrait of the Artist As A Young Man, New-York, 2014;,

118. Joyce J., 1990 - Joyce James, Ulysses, New-York, 1990;

119. Literary Theory, 2011 Literary Theory by T. Eagleton, 2011 http:/wordpress/cjv2011/05,

120. Rosental, 2002 Rosental B., New Myth, New World. From Nietzsche to Stalinism, The Pennsylvania State University Press, 2002;

121. Wood N., 2000 Wood N., Grabby G., Eastern European and Russian Cinema, L., 2000

შინაარსი

შესავალი 3

თავი 1

ინგლისური რემინისცენციები
კონსტანტინე გამსახურდიას
გელეტრისტულ-ესეისტურ ნარატივში

1.1. ინგლისური რემინისცენციები
კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში 14

1.2. ინგლისური რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას
ბიოგრაფიულ-პუბლიცისტურ რომანში
„გოეტეს ცხოვრების რომანი“ 19

1.3. რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას
დაუმთავრებელ მხატვრულ ტექსტებში 31

1.4. ინგლისური რემინისცენციები
კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტურ ნარატივში
(ესეები, წერილები, ნარკვევები) 37

თავი 2

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების
ევროპული კონცეპტები

2.1. „მთვარის მოტაცება“ 104

2.2. „დიონისოს ღიმილი“ 119